ცხელი შოკოლადი

ოქტომბერი 2010 №64
ფასი 5 ლარი

ისტორიები

გია აბულაძე
რატი ამაღლობელი

კოტე ჯანდიერი
პაატა შამუგია

კარლო კაჭარავა
დავით ჩიხლაძე, დავით ბუხრიკიძე

ფარული ოპერაციები ამერიკაში
ჯეინ მაიერი

ომის ქრონიკა

ინტერვიუ

მაიქ სთერნი
კახა თოლორდავა

დისკუსია

უნივერსიტეტის ფიქტიური ავტონომია
ნინო ბექიშვილი

ესეი

1968 წლის აგვისტო
ლევან ბერძენიშვილი

კომენტარები

გამჭვირვალე სიძულვილის შემოდგომა
დავით ბუხრიკიძე

სიბრძნე სიბრიყვისა
პაატა ქურდაძე

ლიტერატურა

ზურაბ ლეჟავა
დათო ბარბაქაძე
გიუტერ გრასი
გია მირზაშვილი

ISSN 1512-2220
9 771512 222006

ჯეოსელი
იჩქარეთ,
მხოლოდ 10 ოქტომბრამდე
ჩაეთიეთ ლაილაში და
მიიღეთ საჩუქარად
5000 SMS
822 770100
7033
www.geocell.ge
ფასი 2 ლარი

გარეკანზე: გია აბულაძე
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ცხელი შოკოლადი

N64, ოქტომბერი 2010

	6	რედაქტორებისაგან
	8	ჩვენი ავტორები
მიმოხილვები	10	„ხელოვნების ზღვა“ ზღვისპირეთში ***დავით ჩიხლაძე***
	14	კინოფესტივალი ბათუმში კინოთეატრის გარეშე ***ანა ძიაპშიპა***
აქცენტი	16	„მოგონებათა სახლები“ თვითგამორკვევის პროცესში ***ნათია გულიაშვილი***
კომენტარები	18	გამჭვირვალე სიძულვილის შემოდგომა ***დავით ბუხრიკიძე***
	20	სიბრძნე სიბრიყვისა ***პაატა ქურდაძე***
	22	განგრენა, განგრევა, განგი ***გიგი გულედანი***
ცხოვრების წესი	26	*კულინარია* „საკუთარი ოთახი“ და საკუთარი სამზარეულო ***დიანა ანფიმიადი***
	30	*მუსიკა* მუსიკის გემო ***მიშა მდინარაძე***
	32	*მოდა* არქიტექტურა, რომელიც გაცვია ***ლენკა ციციშვილი***
ისტორიები	36	*გია აბულაძე* არქიტექტორი ***რატი ამაღლობელი***
	40	*კოტე ჯანდიერი* ფოტონური რეაქტორის მოტაცება ***პაატა შამუგია***
	46	*კარლო კაჭარავა* კარლო კაჭარავა,როგორც ჯოკერი ***დავით ჩიხლაძე***
	50	ესკიზები ფერმკრთალი პორტრეტისთვის ***დავით ბუხრიკიძე***
	60	ფარული ოპერაციები ***ჯეინ მაიერი*** ***ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ***
	66	ომის ქრონიკა
ინტერვიუ	54	*მაიქ სთერნი* ძირითადად, მუსიკაზე და ზოგჯერ – სხვა რამეებზეც ***კახა თოლორდავა***
ესეი	72	1968 წლის აგვისტო ***ლევან ბერძენიშვილი***
	78	როგორი ქალები მოსწონთ ქართველ მწერლებს ***სოფიო შამანიდი***
დისკუსია	80	უნივერსიტეტის ფიქტიური ავტონომია ***ნინო ბექიშვილი***

მთავარი რედაქტორები: ნინო ლომაძე, რატი ამაღლობელი
არტ-რედაქტორი: გიორგი ნადირაძე
რედაქტორ-სტილისტი: პაატა შამუგია
კორექტორი: თამარ ღონღაძე
ნომერზე მუშაობდნენ: დავით ბუხრიკიძე, დავით ჩიხლაძე, ლევან ბერძენიშვილი, გიგი გულედანი, ნათია გულიაშვილი, ნინო ბექიშვილი, ირმა ტაველიძე, პაატა ქურდაძე, ანა ძიაპშიპა, დიანა ანფიმიადი, მიშა მდინარაძე, ლენკა ციციშვილი, რატი ამაღლობელი, პაატა შამუგია, გიორგი ცხადაია, კახა თოლორდავა, სოფიო შამანიდი
ფოტო: მარიკა ქორჩიაშვილი, გურამ წიბახაშვილი, დავით მესხი, ირინა ხუციშვილი, ლევან ხერხეულიძე
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი, მაია სუმბაძე
დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა: ლელა შუბითიძე
სარეკლამო გაყიდვები: შალვა ჩუბინიძე
დისტრიბუცია: ზვიად შენგელია
გამომცემელი: შორენა შავერდაშვილი

გამომცემლობა:
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net
სხვა გამოცემები: *ლიბერალი, ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი, თიბისი და თიბისელები.*
სტამბა: „ფავორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50, ტელ.: 951952

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ჯიპისი GPC

გათამაშება ჯიპისის და წითელი ✓-ს აფთიაქებში

დააგროვეთ რაც შეიძლება მეტი ვაშლი 20 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე

= 1 ბილეთს

ტელევიზორი METZ PUROS37

Mac book 13''

iPad WiFi 16 Gb



CD/DVD ბიბლიოთეკა

ექსპრეს კლინიკა
ბაიმახიერ ჯანმრთელობაზე ზრუნვა

მთელი წელი „ექსპრეს კლინიკის“ მომსახურების საოჯახო პაკეტი

სამოსის დამზადება დიზაინერთან

ნაძვის ხე და სათამაშოები

სპორტულ მაღაზიაში საყიდლების ბარათი

ბაკურიანის საოჯახო საგზური

ნინო ლომაძე

„ჯერალდინა! სამყარო სადაც შენ ცხოვრობ, მარტო ცეკვის და მუსიკის საუფლო როდია!...შუაღამისას დიდებული დარბაზიდან რომ გამოხვალ, დაივიწყე შენი მდიდარი თაყვანისმცემლები, მაგრამ არ დაგავიწყდეს ტაქსის შოფერს ცოლის ამბავი გამოჰკითხო. შეიძლება ცოლი ფეხმძიმედ ჰყავს და იმის ფულიც არა აქვთ რომ თავიანთი პირმშოსთვის სახვევები იყიდონ. თუ ასეა, ადექი და ჩაუდე ფული ჯიბეში.
დროდადრო მეტროში ჩადი. ქალაქი დაათვალიერე, იარე ფეხით ან ავტობუსით. ხალხს დააკვირდი! ქვრივ-ობლებს შეხედე! და დღეში ერთხელ მაინც შენს თავს უთხარი: „მეც ერთ-ერთი ამათგანი ვარ!“ დიახ, შენ ერთ-ერთი იმათაგანი ხარ, ჩემო გოგონა... ამ წერილთან ერთად გიგზავნი ჩეკის წიგნაკს – ხარჯე, რამდენიც გინდა, ოღონდ გახსოვდეს: ორ ფრანკს რომ დახარჯავ, შენს თავს უთხარი, რომ მესამე მონეტა შენი არ არის. ის სხვას ეკუთვნის. უცნობს, ვისაც ის ერთი ფრანკი სანატრელი აქვს. მისი პოვნა არ გაგიჭირდება. საკმარისია მოინდომო...“
მიმდინარე ნომრის კითხვისას აღმოვაჩინე, რომ ჩვენი ავტორები და გმირები ადამიანების გაუცხოვებაზე, ერთმანეთის მიმართ აგრესიასა და თანაგრძნობის დეფიციტზე სრულიად შეუთანხმებლად, ერთდროულად ალაპარაკდნენ. პაატა ქურდაძის კომენტარი, „ომის ქრონიკა“ და დავით ბუხრიკიძის წერილი – სოციალურ გეტოებად დაყოფილ საზოგადოებაზე რომ წავიკითხე, ბებერი ჩარლის სიტყვები მაშინ გამახსენდა.
„ცხელი შოკოლადის“ ახალ სეზონს სიახლეებით ვიწყებთ. ჟურნალს ახალი რედაქტორი და ავტორი, ჩემ სვეტს კი, შესანიშნავი მეზობელი ჰყავს. ჟურნალში, სხვა ისტორიებთან, კომენტარებთან და ესეებთან ერთად, ამჯერად რუბრიკა „ცხოვრების წესიც“ დაგხვდებათ, სადაც დიანა ანფიმიადი, მიშა მდინარაძე და ლენკა ციციშვილი – კულინარიისა და პოეზიის, მუსიკისა და მოდის შესახებ გვიამბობენ.
ერთი სიტყვით, სეზონს ახალი შთაგონებით და ენთუზიაზმით ვხვდებით. ამ სიახლეებთან ერთად კი, უფრო საინტერესო და მრავალფეროვან „ცხელ შოკოლადს“ გპირდებით.

რატი ამაღლობელი

სექტემბრის „ცხელი შოკოლადი“ ნინო ლომაძის და ჩემი, ანუ ჩვენი ერთობლივი ხედვისა და შრომის ნაყოფია, პირველყოვლისა კი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ავტორებისა, რომელთა შემყოლიებელი, სულმოუთქმელად საკითხავი და ინტენსიური ტექსტები, ქმნიდნენ და დღემდე ქმნიან „ცხელი შოკოლადის“ საზოგადოებრივ და სოციალურ ნაკვთებს, მათ წარმოსადებობას.
ერთი მხრივ ვცადეთ ჟურნალის სხეული გვექცია ადამიანების შეხვედრისა და თანხვედრის დროდ და ადგილად; არქიტექტორი გია აბულაძე, მწერალი კოტე ჯანდიერი – გვიმასპინძლებენ საკუთარ დროში და ისტორიაში, რომელშიც მკითხველმა მოსალოდნელია თვაისთვის ნაცნობი ლანდშაფტები და ატმოსფეროები აღმოაჩინოს. მეორე მხრივ, კი ვეცადეთ შემოგვეთავაზებინა რამდენიმე ტექსტი. ტექსტი, როგორც ინტელექტუალური თავგადასავალი.
ვფიქობ, რედაქტორის „შპარგალკების“ გარეშეც იოლად მოიძიებთ წინამდებარე ნომერში თქვენთვის საინტერესო საკითხავს.
ჩვენ კი გპირდებით, რომ აუცილებლად ვიქნებით ცხელი (ცხელი, როგორც ახლისა და ცოცხალის აღმნიშვნელი სიმბოლო) და არასოდეს გულგრილი. ვიქნებით ცხელი: ხან, როგორც ამბავი, ხან, როგორც მოვლენა, ხან, როგორც თავგადასავალი და ენერგიის მომცემი, როგორც შოკოლადი.

შეიძინე სწრაფად და მარტივად!

30 წუთში

ავტოგანვადება

- სესხის დამტკიცება 30 წუთში
- მხოლოდ პირადობის მოწმობით
- თანამონაწილეობა 30%-დან

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

დიანა ანფიმიადი

ახლა შვედეთში საპარლამენტო არჩევნებია, ჰოდა, ერთ-ერთ ლიდერ პარტიას ასეთი საარჩევნო კამპანია აქვს: ამ პარტიის წევრი ქალების კულინარიული რეცეპტები დაბეჭდეს სააგიტაციო ბუკლეტებზე და მოსახლეობას დაურიგეს. ერთი წუთით წარმოვიდგინე, ჩვენთან რომ ასეთი რამ მომხდარიყო, მეორე დღესვე როგორი ამბები ატყდებოდა, მშიერ და გაჭირვებულ ხახლს დაგვცინიანო, რა დროს კულინარიაა, როცა პურზე ფასები იწევსო და ა.შ. არადა, რეცეპტის გაზიარება ძალიან ინტიმურ და ლამაზ ჟესტად მიმაჩნია, ეს ისეთი ჭკუის სწავლებაა, რომელიც არავის აღიზიანებს.

რატომ მოვყევი ეს ყველაფერი, ქორწილში იმდენი რეცეპტების წიგნი მაჩუქეს, სულ ფერადები და პრიალა ფურცლიანები, ძალიან კარგი ხარისხის და კარგი გამომცემლობების მიერ გამოცემული – არცერთი არაფრად არ ვარგა. კულინარიულმა წიგნმა გემოს რეცეპტორები უნდა გაგიღვიძოს, კერძის სუნი გაგრძნობინოს, ცნობისწადილი გაგიღვიძოს – აქ სულ პირიქითაა, სკოლის მათემატიკის წიგნში რომ ამოცანები იყო, ზუსტად ასე წერია – ამიტომ მიყვარს ადამიანი – რეცეპტები. ერთი ასეთი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში ცხოვრობდა, მწერალი იყო და ბარბარე ჯორჯაძე ერქვა. ჩემი მუზაა ეს ქალი.

აი, ფაფებს ხომ ბავშვობიდან ვერ ვიტან, მაგრამ ამას შევჭამდი: „ფაფა მჟავე – ძრიელ გემრიელი, კრუჟოვნიკისა“ – ერთ-ერთი რეცეპტია ბარბარეს სამზარეულოს წიგნიდან „სრული სამზარეულო“. მიყვარს ასეთი ქალები – გემოს ვნებების რომ არ ეშინიათ.

ადამიანს, სრულყოფილი და ბედნიერი ცხოვრებისთვის, არჩევანის თავისუფლების, სიყვარულის, განხორციელებული შესაძლებლობების, მსოფლიო მშვიდობისა და პირადი სიმშვიდის გარდა ვანილიანი ნაღების კრემიც სჭირდება – ამას ადრეულ ბავშვობაში მივხვდი, როცა ჩემი კლასელის დაბადების დღეზე მისულს, ულამაზესი, დიდი იასამნებით მორთული საოცნებო ტორტი დამხვდა. (ეს ის დრო იყო, გაუგებარ მწვანე პურს და საშინელ მარგარინს რომ ვჭამდით). ტორტის გაჭრამდე როგორც იყო, გავძელი, ბოლოს და ბოლოს, მისი ერთი ნაჭერი ჩემს თეფშზე აღმოჩნდა და... დღემდე ვერ ვივიწყებ მძაღე კარაქის იმ გემოს.

ღმერთმა დაგიფაროთ ჩაშლილი დღესასწაულებისგან.

პაატა შამუგია

რამდენიმე თემის არჩევა შეიძლება: ვთქვათ, რითაა ცუდი აკაკის ლამის გაწმინდანების თემა? კარგი მესვეტის ხელში მშვენიერი რამე გამოვა. გაშლი თემას, ისაუბრებ აკაკის ფილიგრანულ, დაქნილ სტრიქონებზე, ჯერ ეს რად ღირს: „საიდუმლო ბარათო,/ მითხრეს მექმენ მარადო/ სიხარულის მომნიჭედ/ და სევდისა ფარადო.“ მაგარია აკაკი! მერე გადახვალ მის „კარტოჟნიკულ“ ბიოგრაფიაზე. ჰო, ჯიბიდან გავარდნილი შულერი ყოფილა. ვალები, ვალები... მთელი ცხოვრება ვალებში იყო, ეს მევალეებიც დასდევდნენ და დასდევდნენ, მე შენ გეტყვი და, ძნელი მოსაძებნი იქნებოდა, ისევ, სადმე ახლომახლო, სათამაშოდ იქნებოდა გასული, ან მორიგ სულიკოსთან სანებივროდ.

ცოტა პროვოკაციებიც თუ გიყვარს, მაჩაბლის ამბავსაც გაიხსენებ, მოყვები ერთ საეჭვო ვერსიას, რომლის მიხედვითაც, აკაკის სულაც მაჩაბლის ცოლთან რომანის გაჩაღება და საბოლოოდ შექსპირის მთარგმნელის მკვლელობაც ბრალდება. მეტისმეტი სმა-ჭამაც რომ ყვარებია და დანაყრებულზე წამოწოლა და გულიანი ხვრინვა, ეს მისი მეგობრების ჩანაწერებიდანაც ირკვევა. ამის მერე კარგ მესვეტეს ისღა დარჩება, მისი პოტენციური გაწმინდანების თემას შეეხოს და სასტიკად გააკრიტიკოს იდეის მხარდამჭერები. სხვა თუ არაფერი, მხვრინავი წმინდანი, ცოტა არ იყოს, უხერხული წარმოსადგენია, - დაამატებდა კარგი მესვეტე და ხელათ მოუთავებდა ხელს „ამა საქმის“ ინიციატორებს.

ჰო, სვეტისათვის ბუკინისტების თემა მთლად მისწრება იქნებოდა, დაარქმევდი სათაურად, ვთქვათ, „ისინი იდგნენ“ და ბროდსკის „ჯონ დონის“ მოტივებზე მშვენიერი, კოკლოზინა ტექსტი გამოვიდოდა. მაგრამ რაკი ამ ამბავს მალხაზ ხარბედიამ ძალიან კარგად გაართვა თავი, კარგ მესვეტეს მოუწევდა, სხვა თემა გამოენახა, მაგ., გიზო ნიშნიანიძე. რატომაც არა. „იმედზე“ მთელი ორი საათი დაეთმო „ნაღდი თბილისელის“ იუბილეს და ბოლოს, ვარსკვლავიც კი გაუხსნეს. სხვათაშორის, პირველი პოეტია, რომელსაც ეს „ხვდა წილად,“ ამიტომ სულაც არაა გამორიცხული, მასაც გაწმინდანების საფრთხე დაემუქროს. კარგი მესვეტე ონლაინ-სადღეგრძელოებზე გაამახვილებდა ყურადღებას, რომელიც ბატონი გიზოს იუბილეს თან სდევდა. ყველაფერი იყო - ტკბილი მოგონებებიდან დაწყებული სამი ჩ-ს უნიკალური სადღეგრძელოთი დამთავრებული.

ეს ჩემი პირველი სვეტია „ცხელ შოკოლადში“, ამიტომ ყველაფერ პირველს გაუმარჯოს, ჩემო ტკბილო ხალხო!

ჯიპისი GPC

– 20% +

ფასდაკლება

მიიღე 20%–იანი ფასდაკლება ჯი პი სი–ს აფთიაქებში და შეავსე ვაშლებით შენი ზღარბი ბარათი!

აქცია მიმდინარეობს მხოლოდ თბილისის, ქუთაისის და რუსთავის აფთიაქებში

ჯი პი სი – თქვენზე ზრუნავენ!

„ხელოვნების ზღვა“ ზღვისპირეთში

„არტაქტივმა“ ფოთში თანამედროვე ხელოვნების სტრატეგიული პროგრამა აამოქმედა

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: გურამ წიბახაშვილი

4-14 აგვისტოს ფოთში თანამედროვე ხელოვნების ვორკშოპი მოეწყო სახელწოდებით „ხელოვნების ზღვა“. ეს მოვლენა ახალგაზრდა ორგანიზაციის „არტაქტივის“ ორგანიზებულია, რომელსაც ნიკო ცეცხლაძე და ლუკა ზაუტაშვილი კურატორობენ. მათი პროექტების მიზანი დედაქალაქიდან რეგიონებისკენ თანამედროვე ხელოვნებისა და მის ირგვლივ არსებული დისკურსების გატანაა. დეცენტრალიზაციის ასეთი მომენტები, გარდა იმისა, რომ დემოკრატიის მოდელებს თანხვდება, საჭირო და მისასალმებელია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რეგიონებში თანამედროვე კულტურის დეფიციტი დედაქალაქზე გაცილებით თვალშისაცემია.

ეს იყო 2 კვირიანი პილოტი პროგრამა ქალაქ ფოთში, რომელიც მომავალ წელს ფართო მასშტაბით უნდა ამოქმედდეს. გახსნა 1 აგვისტოს სიმბოლურად დაემთხვა შავი ზღვის ქვეყნების თანამედროვე ხელოვნების ყოველწლიური ფესტივალის დაარსებას. ვორკშოპი საქართველოს კულტურის სამინისტრომ დააფინანსა.

ფოთში, სადაც ურბანული პოტენციალი აშკარაა, თითქმის არ არსებობს ქალაქის ინფრასტრუქტურა, გარემო და სათანადო სივრცე. ასეთ ვითარებაში ულტრა-თანამედროვე მიმართულებებზე საუბარი უტოპიურიც კია.

ქალაქი ფოთი უზარმაზარ ტერიტორიაზე არის გაშენებული და მისი ცენტრალური მოედნისკენ 12 გზა მიემართება. ცენტრში ფოთელებმა საკუთარი 1904 წელს აშენებული საკათედრო ტაძარიც აღადგინეს, რომელიც კომუნისტების დროს თეატრს ჰქონდა დაკავებული და მისი რეკონსტრუქცია უკვე დასასრულს უახლოვდება. იქვე თეატრის ახალი შენობის საძირკველი იყრება.

რა თქმა უნდა, აქ არის პორტი, საზღვაო ინდუსტრიის ნაწილი და იდუმალებით მოცული პალიასტომის ტბა, რომელიც ტურისტების ყურადღებას იქცევს. ეს ანტიკური ქალაქია, ფაზისი, სადაც მზის ღმერთის, ჰელიოსის მემკვიდრე მითიური მეფე აიეტი და ჯადოქრობით სახელგანთქმული მისი და, ცირცეა, ცხოვრობდნენ. აქედან გაიტაცა ოქროს საწმისი აიეტის ქალიშვილმა მედეამ და ბერძნებს გადასცა. ქალაქი თითქოს ამ წარმოსახულ და არარსებულ ანტიკურ დროშია გაჩერებული და აქ არც კომუნისტების უახლოესი პერიოდი იგრძნობა, არანაირი არტეფაქტი არ არის შემორჩენი-

ლი. უბრალოდ ცარიელი ადგილია, სადაც ერთადერთი, რაც წარსულზე მიანიშნებს, მალთაყვის საკურორტო კომპლექსია თავისი ულამაზესი ვრცელი ბაღით. მეორე კი ოქროს ტბის ჟანგიანი ხიდია, რომელიც 1991 წელს გამართულ სანიჩბოსნო საკავშირო ჩემპიონატს ახსენებს ზოგიერთს.

ვორკშოპის პირველი დღე მონაწილეთა პროექტების გაცნობას დაეთმო. ფოთელმა მხატვრებმა გრიგოლ ღვანიამ და ქეთი ჩეჩელაშვილმა საკუთარი და კოლეგების ესკიზები წარმოადგინეს, რაც ქალაქის ქუჩებისა და აუთვისებელი ტერიტორიების დეკორატიულ-არქიტექტურულ ჩანახატებსა და იდეებს მოიცავდა. ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონად ოფიციალური გამოცხადების პარალელურად, ეს თემა მართლაც მნიშვნელოვანი გახდება მომავალში, ფოთის ურბანული განაშენიანების პროცესისთვის. ამ მხრივ „არტაქტივის“ საინიციატივო ჯგუფი უკვე გეგმავს კიდეც, რომ მომავალ შეხვედრებზე პროგრამაში ფართოდ ჩართოს არქიტექტორებიც, რომლებიც სწორედ ამ კუთხით მუშაობას დაუთმობენ დროს.

მომავალ წელს ვორკშოპი „ხელოვნების ზღვა“ უკვე ფესტივალად იქცევა. მასში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, თეატრები, როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან. საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად „არტაქტივის“ ხელმძღვანელებს უკვე აქვთ საქმიანი დიალოგი ქალაქის მერთან გოჩა ღემონჯავასთან და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელთან მერაბ ასანიძესთან, რომლებმაც პროექტს წელს უკვე აღმოუჩინეს მნიშვნელოვანი

მხარდაჭერა და ხელშეწყობა.

თანამედროვე ხელოვნების პროგრამას მრავალი სპონსორი და დამხმარე აღმოაჩნდა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად – ფოთის პორტი, თი-ბი-სი ბანკი, კოკა-კოლა, ლოუენბრაუ, ნატახტარი.

ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ოზურგეთიდან იყო, 17 წლის ელისაბედ გეგუჩაძე. ახალგაზრდა მხატვრისთვის, რომელიც ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში სწავლობს და სპონტანური აბსტრაქტული ხატვით გულწრფელად არის გატაცებული, ეს ვორკშოპი საინტერესო გამოცდილება იყო. გამოფენის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე ის მუსიკოს ვაჟა ბექაურთან ერთად პანსიონატის ეზოში დადგმულ ყვავილების ურნებს ხატავდა. აქ შედგა მისი დებიუტი – ვორკშოპის პერიოდში გადაღებული ფოტოების გამოფენა.

ოქროს ტბაზე გადებული ჟანგიანი ხიდის მოხატვას ქუთაისელი ახალგაზრდა მხატვარი თეა სულაბერიძე ცხადია, ვერ შეძლებდა, თუმცა მისი ერთი ბეტონის პოსტამენტი თეამ ლირიკული ფერწერის პანოდაც აქცია, რაც, რამდენიმე დღის განმავლობაში, დამსვენებლებს ახალისებდა, სანამ ფოთში ნანატრი წვიმა მოვიდოდა.

14 აგვისტოს შემაჯამებელი გამოფენისთვის კი თეამ პორტრეტები მოამზადა, რომლებიც არათანაბარი კიდეების მქონე მუყაოზე შეასრულა, ამ პორტრეტებში იქ მყოფი მეგობრები და მხატვრები ასახა – პალიასტომის ტბაზე გასეირნებისას თუ ვახშამზე, მაგიდასთან. საკუთარ თავსაც ხატავდა, მაგრამ ყოველთვის ზურგით მნახველისაკენ. არ ვიცი, რას ნიშნავდა ეს ჟესტი, მაგრამ ნამდვილად პოეტური იყო - თითქოს ის ზურგს აქცევდა იმ უინტერესო სამყაროს, სადაც ხელოვნება უფუნქციოა, თუმცა მაინც არსებობს.

მხატვარმა კატალინა ბაქრაძემ ფოთის სამხატვრო გალერეაში აუდიტორიის წინაშე საკუთარი ფილმები წარმოადგინა. ამ შეხვედრაზე საინტერესო იყო მხატვრის კომენტარები, სადაც ის საკუთარ მოტივაციებს და სამხატვრო კონცეფციებს გვიხსნიდა. ამავე დღეს იყო გურამ წიბახაშვილის მცირე რეტროსპექტივაც, სადაც ფოტოგრაფმა არაფოკუსირებული ფოტოების სერიაზე ისაუბრა, რითაც ბოლო დროს იყო გატაცებული და რასაც ის ასაკობრივ მხედველობის დაქვეითებას უკავშირებს. მან ასევე სლაიდების სახით ნაპოვნი ფოტოების საინტერესო არქივიც გვაჩვენა, რაც მისთვის ტექსტისა და ფოტოს მეტაფორული ურთიერთობის ინსპირაცია გახდა.

გამოფენის გახსნაზე გამორჩეული იყო თემო ჯავახიშვილის ნამუშევრები „ტერ-არტი“ და ყინულის ბალიში. „ტერ-არტი“ ბატი-ბუტის კუსტარული ტექნოლოგიის გამოყენებით გაკეთდა. ოქროს ტბის ნაპირზე მხატვარმა სიმინდის მარცვლებისგან გაკეთებული ნამუშევრის სახელწოდება განალაგა რკინის ლანგარზე, რომელსაც მერე ცეცხლი შეუნთო და ცოტა ხანში სიმინდის მარცვლებით დაწერილმა სიტყვამ აფეთქება დაიწყო.

ბატი-ბუტის კონცეფცია თემო ჯავახიშვილს ადრეც ჰქონდა, 2005 წელს არტ კავკასიის ფესტივალზე, სადაც ერთად მოგროვილ სიმინდის მარცვლებს დინამიტის მავთული გამოაბა. ნამუშევარს „პოპ-ტერორი“ ერქვა. ამ სიმბოლოებიდან გამომდინარე, მხატვარი თითქოს პოპ-არტს აპროტესტებს, როგორც იაფფასიან და დაუსრულებლად განმეორებად სა-

ტყუარას. პროტესტი მძაფრია, რადგან ეს ყველაფერი „ტერორად“ არის გაფორმებული.

თბილისელ ახალგაზრდა მხატვარს ანა სოფრომაძეს ყველაზე მეტი ფიზიკური შრომა მოუხდა. მისი დიდი ზომის და მოდელიერების ტუშით შესრულებული ესკიზების სტილში გადაწყვეტილი შავ-თეთრი ინსტალაცია ოქროს ტბის მიმდებარე ტერიტორიის პროპორციული შევსებისთვის იყო გამიზნული. მაგალითად, ამ უნიკალური დაჟანგული ხიდიდან ტბისკენ უნდა ჩამოკიდებულიყო შავი ფერის ფიგურები – კაცის, ქალისა და ძაღლის. სხვაგან, შენობის კედელზე ცოტა მომცრო ზომის დინოზავრი უნდა ყოფილიყო მიმაგრებული. ამ საგნების მომზადებას და კარკასებზე დამონტაჟებას ბევრი დრო და ენერგია დასჭირდა. საბოლოო ჯამში კი ძალისხმევამ გაამართლა - ექსპოზიცია შორიდანაც მკაფიოდ ჩანდა და საკმაოდ შთამბეჭდავიც იყო.

ვორკშოპის დღეებში ასევე მოეწყო პოეზიის საღამო, მხატვარმა ილიკო ზაუტაშვილმა წაიკითხა ლექცია თანამედროვე ხელოვნების ზოგადი არსის ასახსნელად. 8 აგვისტოს ვორკშოპის მონაწილეები ქალაქის თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ რუსეთ-საქართველოს ომისადმი მიძღვნილ აქციას შეუერთდნენ და სახელდახელო სიმბოლური ბანერიც დახატეს ომის თემაზე.

გასართობი დღეები და ივენთებიც კარგად იყო ორგანიზებული: 13 აგვისტოს მალთაყვის შავი ზღვის სანაპიროზე თბილისიდან მოწვეულმა დიჯეი ჟორჟიკამ ღამის ფართი მოაწყო. 14 აგვისტოს საღამოს კი ინგლისურმა ბენდმა „მოკინგბერდსმა“ დაამთავრა ფოთის „ხელოვნების ზღვის“ პროგრამა.

„მოკინბერდსის“ დახურული კონცერტი ჯერ ფოთის იახტ-კლუბში მოეწყო, შემდეგ კი უკვე ფართო, უფასო ჩვენებით ფოთის ცენტრალურ პარკში განმეორდა. უნდა ითქვას, რომ რეპეტიციებზე თითქოს მეტი იყო დრაივი, რაც კონცერტს თითქოს აკლდა. რიტმ-სექცია ჩაწერილი იყო და კომპიუტერიდან იმართებოდა, სცენაზე მხოლოდ 1 გიტარისტი ჩანდა, ზედმეტად ინტენსიური და მონოტონური იყო პირის გარმონიც.

ფოთის ვორკშოპი დოკუმენტის სახით წარმოდგენილი იქნება ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე „არტისტერიუმი“, რომელიც ოქტომბერში გაიმართება თბილისში. აქვე მოეწყობა გელა კინწურაშვილის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის პრემიერა და ორგანიზატორებთან შეხვედრა, სადაც შეიძლება უკვე მომავალი წლის გეგმებიც გაგვაცნონ.

„არტაქტივი“ ხელოვნების რეგიონალური და საერთაშორისო პრიორიტეტების უაღრესად მნიშვნელოვან გადაკვეთებს გვპირდება.



TBC Platinum -

თქვენი ცხოვრების სტილი!

ექსკლუზიური თიბისი ბანკის ვიპ კლიენტებისთვის

თიბისი ბანკი თავის ვიპ კლიენტებს საბანკო მომსახურების სრულიად ახალ, მოხერხებულ და უნიკალურ ფორმას სთავაზობს.

თიბისი პლატინუმი - ასე უწოდება თიბისი ბანკის ახალ, განსაკუთრებული უპირატესობებით აღჭურვილ, უნიკალურ პლასტიკურ ბარათს, რომელიც საგანგებოდ შეიქმნა ვიპ მომსახურების კლიენტებისთვის და ერთ პლასტიკურ ბარათში აქცევს: **რამდენიმე საბანკო პროდუქტს, მაღალ საპროცენტო სარგებელსა და მნიშვნელოვან უპირატესობებს.**

თიბისი ბანკის ვიპ სამსახური

ვიპ მომსახურების სერვისი თიბისი ბანკმა, პირველმა დანერგა საქართველოში და 2005 წლიდან ექსკლუზიურ მომსახურებას სთავაზობს მსხვილი შემოსავლების მქონე ფიზიკურ პირებს. თიბისი ბანკის ყველა ფილიალში ვიპ კლიენტებისთვის საგანგებოდ არის მოწყობილი ოთახი, სადაც პროფესიონალი ექსპერტების დახმარებით, მათ შეუძლიათ მიიღონ კვალიფიციური კონსულტაცია და სრული საბანკო სერვისი. რაც მთავარია, ასეთი კომფორტული გარემო ხელს უწყობს კონფიდენციალურობის მაღალ დონეს და მომსახურების სისწრაფეს.

რა არის თიბისი პლატინუმი?

ეს არის ექსკლუზიური დიზაინის, ჩიპური ვიზა საკრედიტო ბარათი, რომელიც სტანდარტული საკრედიტო ბარათისგან გამოირჩევა უნიკალური თვისებით - ბარათზე არსებულ **დღეებით ნაშთზე ბანკი ყოველთვიურად არიცხავს მაღალ საპროცენტო სარგებელს:** ლარში – 6%, დოლარში – 5%, ევროში – 4%.

ამასთან, პლატინუმ ბარათი **შეიცავს ერთდროულად 3 სხვადასხვა საბანკო პროდუქტს.** ესენია: მაღალი კლასის ვიზა საკრედიტო ბარათი, შემნახველი ანაბარი და მიმდინარე ანგარიში. რაც იმას ნიშნავს, რომ პლატინუმ ბარათის მფლობელი, ამ ბარათის შეძენისთანავე ავტომატურად იღებს ყველა ამ საბანკო მომსახურებას.

თიბისი პლატინუმის უპირატესობები:

პლატინუმ ბარათი ექსკლუზიურად განკუთვნილია მხოლოდ თიბისი ბანკის ვიპ კლიენტებისთვის. მისი მახასიათებლები უზრუნველყოფს ბარათის პრესტიჟულობას და გამოყენების მაღალ ლიმიტებს. ბარათის მფლობელი, მისი მიღებისთანავე ხდება ვიზა პლატინუმ კლუბის წევრი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ისარგებლოს მრავალი ფასდაკლებითა და უპირატესობებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შემდეგ სფეროებში: სასტუმროები და კურორტები, ავია კომპანიები, მოგზაურობა, გამაჯანსაღებელი სპა-სალონები და მრავალი სხვა.

კადრი ფილმიდან „ცხოვრება სიკვდილის შემდეგ"

კადრი ფილმიდან „ხალხის მტრები"

კინოფესტივალი ბათუმში კინოთეატრის გარეშე

ავტორი: ანა ძიაპშიპა
ფოტო: გია გოგატიშვილი

მომწონს კინოფესტივალებზე სხვადასხვა ქალაქში სიარული. მომწონს 1 კვირა, 10, 3, 5 დღე ნაცნობი სახეების ნახვა, ახლების გაცნობა, უინტერესო ფილმებზე ძილი, გრძელ რიგებში დგომა, სახლში და სასტუმროში დაღლილი დაბრუნება, მეორე დღის გეგმის შედგენა, ადგილობრივი ტრანსპორტით მგზავრობა, ფესტივალისლოგოიან ჩანთაში ჩაკარგული ნივთების ძებნა, ახალი და ძველი ფილმების დიდ ეკრანზე ყურება, მომწონს ახალი იდეებით დაბრუნება სახლში და აღარ მომწონს ამ იდეების განუხორციელებლობა ჩემს ქვეყანაში.

მერე რა, რომ იმ კინოფესტივალს, სადაც ბოლოს ვიყავი, არ ჰქონია საფესტივალო ჩანთა, არ მჭირდებოდა ტრანსპორტი, ფილმებს ცუდი ხარისხით ვუყურე და ბევრმა საორგანიზაციო შეფერხებამაც შემაწუხა, მაინც ძალიან მომწონს კინოფესტივალი ბათუმში! საქართველოში „საავტორო" კინოს ჩვენება სულ ორჯერ იმართება: თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელიც წელს მეთერთმეტედ ტარდება და ბათუმის საერთაშორისო საავტორო კინოს ფესტივალზე, რომელიც მეხუთედ გაიმართა ზღვისპირა ქალაქში. ქალაქში, რომელსაც უფრო მეტი მონაცემი აქვს, იქცეს საფესტივალო ქალაქად, ვიდრე – საზღვაო კურორტად. ბათუმში აღარ არის კინოთეატრი, ამიტომ, საერთაშორისო კინოფესტივალი დრამატული თეატრის სცენაზე და სასტუმროს ერთ-ერთ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

ფესტივალი 12 სექტემბერს ბათუმის დრამატულ თეატრში გაიხსნა, თუმცა, ორი საათით უფრო გვიან, ვიდრე პროგრამაში ეწერა. გახსნა იყო მოსაწყენი და, საერთოდ, არაკინემატოგრაფიული. მახსენდება: 2009 წლის ნოემბერი, ქალაქი იჰლავა, ჩეხეთი, East Silver, დოკუმენტური კინოს ფესტივალი, ქალაქი — მისტიკა დევიდ ლინჩის ფილმიდან, ბნელი, ცარიელი ქუჩები, სიცივე, ყველა კვების ობიექტი დაკეტილი „მაკდონალდსის" გარდა, მაგრამ, ქვაფენილზე მთელ ქალაქში დახაზული თეთრი ხაზები, როგორ უნდა მიხვიდე ფესტივალის მთავარ ობიექტებამდე; კუსტარულად, ძალიან იაფად და საინტერესოდ გაკეთებული ფესტივალის პრესცენტრი, ძველი, სოციალისტური კინოდარბაზები, სავსე სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ხალხით და ფესტივალის დახურვის ყველაზე ორიგინალური და საჯილო ცერემონია, რაც კი ოდესმე მინახავს – ყველა გამომსვლელი მწვანე ეკრანის წინ ჩამწკრივდა, გამოსახულებები იცვლებოდა, და ქალაქის მერის გამოსვლისას ფონზე ხან მზესუმზირების მდელო ჩანდა, ხან ოპოზიციური პარტიის ლოგო, ორგანიზატორებმა მერს მადლობაც გადაუხადეს და ეს ყველაფერი ძალიან ბუნებრივი იყო... ყველაზე ადვილი გამოსავალი ოფიციალური გახსნის და დახურვის ცერემონიებია, სადაც ყველამ ვიცით, რომ უნდა ვახსენოთ ყველა სპონსორი, მადლობა გადავუხადოთ სახელმწიფოს ხელშეწყობისთვის, მერე ოფიციალურმა პირებმა უნდა გადასცენ საპატიო პრიზები მათთვის უცნობ, ძალიან ცნობილ რეჟისორებს, წარმოთქვან ოფიციალური, მოსაწყენი სიტყვა და ფესტივალი გახსნილად გამოაცხადონ. ყველგან ასეა, მაგრამ სერიოზულობასაც აქვს საზღვარი.

ფესტივალი აბას ქიაროსთამის ახალი ფილმით „დამოწმებული ასლის" ჩვენებით დაიწყო, ფილმის პრემიერა წელს კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. შესანიშნავია, როდესაც ფესტივალი, ახალი ფილმით იხსნება, თანაც როდესაც ფილმის ჩვენებას რეჟისორიც ესწრება, მაგრამ ბათუმის დრამატული თეატრის სცენაზე დამონტაჟებული, თუ არსებული ეკრანი ისეთი ნაცრისფერი იყო, რომ დივიდიდან გაშვებული, ისედაც დაბალი ხარისხის გამოსახულება თითქმის არ ჩანდა. საფესტივალო ჩვენებების მეორე დღეს, როდესაც ქიაროსთამის სხვა ფილმზე, დათქმულ დროს, 6 საათზე მივედით, 7-მდე არაფერი დაიწყო და არავის მოფიქრებია, თითქმის სავსე დარბაზისთვის მოებოდიშებინა და მიზეზიც ეთქვა – რატომ ველოდით ერთი საათის მანძილზე ფილმის ჩვენებას, რომელიც საბოლოოდ ვერც შედგა და სანაცვლოდ სულ სხვა ფილმი გაუშვეს. ქიაროსთამიმ კი თქვა, რომ ასეთი მომთმენი აუდიტორია არსად უნახავს, და მოხალისეების შეგროვება დაიწყო ეკრანის თეთრად შესაღებად... ქიაროსთამის ვიდეო არტ „გზებში" ძალიან ბევრი თოვლი იყო, ნაცრისფერი თოვლი.

ფესტივალზე დასწრება თავისუფალი იყო, მაგრამ არა მგონია, მარტო ამის დამსახურება ყოფილიყო ის, რომ ადგილები თითქმის არ იყო ჟიურის თავმჯდომარის, ოსკაროსანი რეჟისორის, ზბიგნევ რიბჩინსკის ექსპერიმენტული ფილმე-



კადრი ფილმიდან „არაფერი პირადული"

კადრი ფილმიდან „სხვა ზეცა"

ბის ჩვენებაზე, მეორე დღეს, მასტერ-კლასზე კი პოლონელმა რეჟისორმა, ძირითადად, ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა; მხოლოდ მომავალს აქვს მნიშვნელობა, ჩვენ იქ უნდა ვიცხოვროთ, სადაც აღმოსაჩენი ჯერ კიდევ ბევრია, ყველა თანამედროვე ადამიანმა უნდა იცოდეს კომპიუტერული პროგრამირება, იმისთვის, რომ ოცნებები აისრულოს. რიბჩინსკი კომპანია „ZBIG"-ის დამფუძნებელია, ფილმების გადაღების პარალელურად კი ახალი კომპიუტერული პროგრამების შექმნით არის დაკავებული, ისეთი პროგრამების, რომლის დანაკლისს კინოში მუშაობისას გრძნობდა.

იმის მიუხედავად, რომ ფესტივალის პროგრამა დიდი არ არის, მაინც გიწევს არჩევანის გაკეთება, რადგან მასტერ-კლასები ძირითადად საკონკურსო ფილმებს ემთხვეოდა, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არასოდეს დაწყებულა დანიშნულ დროს, პროგრამა ყოველდღე იცვლებოდა და მოულოდნელობებით იყო სავსე. ფესტივალი წელს საკონკურსო ფილმების გარდა რეტროსპექტივებს, ახალ გერმანულ ფილმებს, აბრეშუმის გზის ქვეყნების სექციას და მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსს მოიცავდა, პროგრამაში იყო ცნობილი რეჟისორების ზბიგნევ რიბჩინსკის, აბას ქიაროსთამის და სიდიკ ბარმაკის მასტერ-კლასებიც.

19 აგვისტოს ფესტივალის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. მთავარი პრიზი დიმიტრი მამულიას სადებიუტო ფილმს „სხვა ზეცა" ერგო. ფილმი, რომლის პრემიერაზე ბათუმში აღარ ვიყავი, მამა-შვილის ისტორიაა, რომლებიც მოსკოვში, ბიჭის დედის საპოვნელად მიდიან. დიდ ქალაქში მათ ბევრი იმედგაცრუება ხვდებათ. „სხვა ზეცა" საერთაშორისო კინოფესტივალებზე არის ნომინირებული, მათ შორის, კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის „სპეციალური აღნიშვნა" აქვს მიღებული. იმედია, რომ ფილმის ნახვის საშუალება დეკემბერში თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში იქნება შესაძლებელი.

საუკეთესო ფილმად ურსულა ანტონიაკის ჰოლანდიურ-ირლანდიური კოპროდუქცია „არაფერი პირადული" დასახელდა. ფილმი, რომლის მოქმედება ირლანდიაში, მთაში ვითარდება, ორი მარტოსული ადამიანის ურთიერთობაზეა. ვიზუალურად ძალიან საინტერესო სურათში აღწერილ ისტორიას დამაჯერებლობა აკლია, მთავარ გმირებს კი მოტივაციები. მთელი ჩვენების განმავლობაში არ მტოვებდა განცდა, რომ ვიზუალზე კონცენტრირებული რეჟისორი მხოლოდ ლამაზი კადრებით ცდილობდა პროტაგონისტების გადაწყვეტილების გამართლებას, ფილმის ბოლო სცენა კი საერთოდაც მისი გადაღების მიზეზი უნდა ყოფილიყო.

პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის ესპანელმა რეჟისორმა აგუსტი ვილამ აიღო ფილმისთვის „კოღოების ბადე", ამავე ფილმში მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა ედუარდ ფერნანდესი. საერთაშორისო პრესა ფილმს პროვოკაციულს, სიურეალისტურ, მოშავო კომედიად მოიხსენიებს. ქალის საუკეთესო როლისთვის კი დასახელდა მონიქ იმესი ფილმიდან „ძვირფასი".

საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის პრიზი რობ ლემკინის „ხალხის მტრებს" გადაეცა. თეთ საბმათი ჟურნალისტია და კამბოჯაში 1970-იანი წლებში „მკვლელობის მინდვრებში" ჩადენილი დანაშაულების მიზეზებს იკვლევს. ფილმი, ძირითადად, ინტერვიუებზეა აგებული, მთავარი ინტერვიუერი კი ათასობით ადამიანის სიკვდილის მიზეზის გარდა, მშობლების მკვლელობის ამბავს იძიებს.

ჟიურის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა ბარტოზ კონოპკას დოკუმენტური ფილმი „კურდღელი ბერლინიდან". დოკუმენტური ფილმი, რომელიც მთლიანად საარქივო მასალაზეა აგებული და ბერლინის კედლის ისტორიას აღწერს, ოღონდ სულ სხვა კუთხით, კედლის აღმოსავლეთით მყოფი კურდღლების ხედვით. სპეციალური აღნიშნვა დაიმსახურა ასევე გია დიასამიძის დოკუმენტურმა ფილმმა „ინსაითი" და ირანელი რეჟისორი ფადრინ საჰიბ ზამანის მხატვრულმა ფილმმა „არის რაღაც, რაც თქვენ არ იცით".

საორგანიზაციო ხარვეზების, მუდმივი დაბნეულობის, უხარისხო ჩვენებების მიუხედავად, კინოფესტივალი მეხუთედ ჩატარდა, ორგანიზატორებმა მოახერხეს თანამედროვე საავტორო კინოს ცნობილი წარმომადგენლების დაინტერესება და ჩამოყვანა, რაც ძალიან დასაფასებელია, მაგრამ, რითი შეიძლება, იყოს გამორჩეული ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი, როდესაც მსოფლიოში ამდენი ფესტივალია, როგორ უნდა დაიმკვიდროს ადგილი საფესტივალო რუკაზე? გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ადგილობრივ კინოინდუსტრიაში არსებული ნიშა ფესტივალის ორგანიზატორებს საინტერესო და თითქმის გამზადებულ კონცეფციებს კარნახობს. ვნახოთ, როგორ გამოიყენებენ ამ საშუალებას ორგანიზატორები ქალაქში, სადაც კინოთეატრი არ არის.

„მოგონებათა სახლები“ თვითგამორკვევის პროცესში

ავტორი: ნათია გულიაშვილი

სკოლის მოსწავლის სტატუსით სავალდებულო ვიზიტის შემდეგ, თბილისის მუზეუმებს, ბოლოს, სავარაუდოდ, რომელიმე წიგნის პრეზენტაციის, ფესტივალის, ან „გარედან შეტანილი“ გამოფენის გამო ესტუმრეთ. ასეთ დროს, მუზეუმში ყოველთვის ხალხმრავლობაა და ნაკლები შანსია, დაფიქრდეთ, რას ინახავს და გთავაზობთ თავად ეს შენობა, და მითუმეტეს, დაინტერესდეთ - ვინ არის მისი მცველი, მოლარე, გიდი, დამლაგებელი ან დირექტორი.

ინგრიდ დეხრავემ კი, ერთხელაც, როგორც ჩანს, სხვა განწყობით და არასაპრეზენტაციო დროს ჩაუარა თბილისურ მუზეუმებს, შეამჩნია, რომ იქ ადამიანები ისევე მუშაობენ, როგორც სხვა საჯარო დაწესებულებებში და დაინტერესდა, თუ როგორ ცხოვრობენ დღეს „მოგონებათა სახლები“. თავად ასე უწოდებს მუზეუმებს. ინტერესის დასაკმაყოფილებლად ჟურნალისტი თამარ ბაბუაძე და ფოტოგრაფი ირინა აბჟანდაძეც აიყოლია და მოგონებათა სახლების ბინადრებს ესტუმრა.

„საბჭოთა კავშირის დაშლა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, გლობალიზაცია, სამოქალაქო ომები, უსახსრობა, და რაც ყველაზე მომაკვდინებელია მუზეუმისთვის, დამთვალიერებლების ნაკლებობა“ – 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს გამოწვევები არამარტო მუზეუმებისთვის, ყველა სხვა საჯარო დაწესებულებისთვისაც ნაცნობია, მაგრამ ავტორებს ამჯერად აინტერესებთ, როგორ გადალახა ცვლილებების ეს გზა თბილისის ოთხმა მუზეუმმა და რა სახით განაგრძობენ ისინი დღეს არსებობას. როგორ ხედავს 14 სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, ინტერესების და გემოვნების რესპონდენტი, მუზეუმის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის ფუნქციას და როგორ ცდილობენ ისინი, მომსვლელს ძველი საგანძური ახალი შეფუთვით შესთავაზონ.

ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რაც ამ 14 ისტორიას გასდევს, თითქმის საკრალური დამოკიდებულებაა საკუთარი სამუშაოს მიმართ. რესპონდენტთა უმრავლესობა მუზეუმებში ათწლეულებია მუშაობს და სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია. პროფესიის და პირადი ცხოვრების ერთ სივრცეში მოქცევა, კოლეგა—მეგობრები, ანაზღაურების ნაკლები მნიშვნელობა და სამუშაო გარემოსთან საკუთარი თავის თითქმის მთლიანად იდენტიფიკაცია, ასევე არა მხოლოდ მუზეუმური, ზოგადი ქართული და საბჭოთა სიმპტომიცაა. ამიტომაც, აუცილებლად გეცნობათ მათი მოყოლილი ამბავი ნომინალურ ხელფასზე, რომელიც დღეში რამდენიმე თეთრს შეადგენდა და მიუხედავად ამისა ვერმიტოვებულ სამსახურზე, 90-იანების ცივ და ბნელ წლებში მეტროდან დანიშნულების ადგილამდე, ტყვიების ზუზუნში ყოველდღიურად სიცოცხლის რისკად გავლილ გზაზე.

კრებულის მთავარი შეკითხვა და შედგენის მიზეზი, რომელზე პასუხსაც ავტორები რესპონდენტებთან ინტერვიუებში ეძებენ, არის, თუ როგორი შეიძლება იყოს თვითგამორკვევის და საკუთარი ფუნქციების გადახედვის რეჟიმში მყოფი, წარსულის შემნახავი სახლების მომავალი. წლების მანძილზე ფასდაუდებელ გამოცდილებამიღებული რესპონდენტები ცვლილებების გარდაუვალობას მშვიდად ხვდებიან, შედარებით ახალი თაობის წარმომადგენლებს კი ახალი იდეები აქვთ – მაგალითად, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ბავშვისთვის მუზეუმში სიარული არ იყოს მხოლოდ სასკოლო დავალება და ძვირფასი საგანძურების და ძველი ნივთების ისტორიას თამაშ-თამაშით გაეცნონ.

მანამ კი, სანამ მოგონებათა სახლებში ფუნქციური რევოლუცია დაწყებულა, კრებული, სახელწოდებით „ცხოვრება მუზეუმში“, გარდამავალ პერიოდში შეჩერების და წარსულის გადახედვის საინტერესო მცდელობაა.

ოთხი დღე ჯაზის მოყვარულთათვის

ჯაზის მოყვარულებს წელს ყველაზე მასშტაბური ჯაზ-ფესტივალი ელით. საღამოები ოთხ დღეს გაგრძელდება. ოთხივე დღეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ორ-ორი ცნობილი ჯაზ-ბენდი დაუკრავს. ფესტივალზე მოწვეულები არიან როგორც ჯაზის კორიფეები, ასევე – ამომავალი ვარსკვლავები. შესაბამისად, ფესტივალის ორგანიზატორები მსმენელს ჰპირდებიან როგორც კლასიკური ჯაზის დაუვიწყარ საღამოებს, ასევე – ამ ჟანრის სრულიად ახალ მუსიკას.

ფესტივალს, რომელიც 27-დან 30 ოქტომბრამდე გასტანს, კრისტიან სკოტი გახსნის, რომელმაც შარშან, მარკუს მილერთან ერთად, სპეციალური სტუმრის რანგში ფილარმონიაში დაუკრა. წელს ის თავის ბენდთან ერთად გვეწვევა.

ჯაზის მოყვარულები ლეგენდარული მაკკოი ტაინერის და მისი კვარტეტის დაუვიწყარ კონცერტსაც დაესწრებიან.

ფესტივალზე ჯო ზავინულის მუსიკაც გაჟღერდება. საღამოს ზავინულის ჯგუფი დაუკრავს და კონცერტს „**Tribute to Joe Zawinul**“ ერქმევა.

წლევანდელი ფესტივალი გამორჩეულია იმით, რომ მის 13 წლიან ისტორიაში ბლუზის შემსრულებლები პირველად ჩამოვლენ. „**Original Blues Brothers Band**“ ფილმ „ძმები ბლუზების“ 30 წლისთავის აღსანიშნავად გვეწვევა. საქართველოს, 1979 წლის მერე, ბლუზმენები პირველად ესტუმრებიან.

ფესტივალში ჯაზის შემსრულებელი ქალები – დაიან რივსი და რეიჩელ ფერერიც – მიიღებენ მონაწილეობას. დაიან რივსი კლასიკურ ჯაზს მღერის და, როგორც საუკეთესო ჯაზ-ვოკალისტს, გრემის ჯილდოც მიღებული აქვს.

წლევანდელ ფესტივალზე „ივენთ-ჰოლში“ ბონუსი იქნება მათთვის ვისაც ჯაზ-ფესტივალის აბონემენტი ექნება. „ივენთ-ჰოლში“ საფესტივალო კლუბი მოეწყობა. ახალგაზრდა მუსიკოსები, კოქტეილები და ჯემ-სეიშენები საღამოს კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდიან. კლუბში პირველ საღამოს სოულის პიონერი, ინგლისელი **Omar** შვიდკაციან ბენდთან ერთად დაუკრავს.

კადრები მიხაელ ჰანეკეს ფილმიდან „მხიარული თამაშები"

გამჭვირვალე სიძულვილის შემოდგომა

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

თუ ცხელი „საკონსტიტუციო აგვისტო" უხიფათოდ დავასრულეთ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შემოდგომა აუცილებლად ქარიშხლიანი გვექნება. თუმცა ეკონომიკური კრიზის, სოციალური გაუცხოებისა და საყოველთაო დეპრესიის გამო, ზომიერი დუღილისა და შიშნარევი შიშინის პროცესი რომ დაწყებულია, ფაქტია. კარგად დასვენებულმა და უფრო კარგად გაშავებულმა რიგითმა N დიასახლისმა ქალაქში დაბრუნების შემდეგ აღმოაჩინა, რომ სექტემბერში ზეთი უკვე ორჯერ ძვირი ღირს, ნიორსა და ხორცს ერთი და იგივე ფასი აქვს, ხოლო ხილსა და ბოსტნეულს ისეთი ფასი ადევს, თითქოს კამჩატკის ნახევარკუნძულზე ვცხოვრობდეთ.

თავი რომ დავანებოთ ამ გასტრონომიულ-ეკონომიკურ განცდებს და მხოლოდ ლტოლვილების, გარემოვაჭრეებისა თუ ბუკინისტების აყრა-გადასახლების (რატომღაც ეს ყველაფერი აგვისტოში მოხდა) ამბები განვაზოგადოდ, გასაგები გახდება, რომ ჩვენს თავს რაღაც „სოციალური ზომბირების" მსგავსი რამ ხდება. ტელევიზიას ამასობაში მხოლოდ ლირიკული ჭორები, გეი-პრაიდი და საზღვაო ტაშ-ფანდური აინტერესებს. მომავალი პრემიერის ტანზე „გამოსაჭრელი" ახალი კონსტიტუციის ლეგალიზაცია და ფოცხოყანაში ორ საათში გადასახლებული, სასოწარკვეთილი ლტოლვილების კადრები ცხადია, ყურადღების მიღმა რჩება ან სადღაც მეორე-მესამე საინფორმაციო ბლოკში გადაიცემა.

აშკარაა, რომ ბოლო დროს საზოგადოებაში სოციალური და ეკონომიკური დიფერენცირება საშიშ ზღვარს აღწევს და ნანატრი „სინგაპურის მოდელის" ნაცვლად სულ უფრო სწრაფი ნაბიჯებით მივდივართ ინდოეთისაკენ – საქართველოში კასტები ყალიბდება და არა საშუალო ფენა. მემარჯვენე ლიბერტარიანების ცინიზმი, რომ სახელწიფო არ უნდა ჩაერიოს ქონებრივ გადანაწილებაში და სოციალური ბალანსის დაცვა მისთვის სავალდებულო არ არის, ისედაც გათამამებულ სადაზღვევო კომპანიებს, სახელმწიფო ჩინოვნიკებს და ზოგადად მმართველ პოლიტიკურ კლასს სრულ თავისუფლებას და მეტიც, დაუსჯელობის განცდას ანიჭებთ.

ამასობაში „მცირე მეგაპოლისად" ქცეული თბილისის გარეუბნები და რაიონები სულ უფრო მეტად ემსგავსება აბსცესს, რომელიც უფრო აკავებს და აჭიანურებს სხვა, გაცილებით საშიშ სოციალურ დაავადებებს. უსასრულო სივრცეები, რომლებიც სამშენებლო კომპანიებმა ათასგვარი მაქინაციებით აითვისეს, სინამდვილეში სიცარიელისათვის არის განწირული, რადგან ის დაუცველი მოქალაქეების ან თუნდაც „მოჩვენებითი საშუალო" კლასისთვის არ აუთვისებიათ. ეს კომპლექსები ისევ გამდიდრებული ბანკირების, ახალი პოლიტიკური კლასის, მათთან დაახლოებული წრის ან ელიტარულ ბიზნესთან დაკავშირებული ხალხის საკუთრებად იქცა. სწორედ ისინი აკონტროლებენ უძრავი ქო-

ნების უდიდეს ნაწილს, რომელსაც ათასგვარი მარჯვენა თუ მარცხენა საცეცებით ფლობენ.

მკვეთრი სოციალური დიფერენცირება არ ემორჩილება ძველი ქალაქისთვის გასაგებ ერთობის ფილოსოფიას და ცხოვრების რიტმს. ამიტომ ძველი სახლებისა და უბნების ნგრევა და იქიდან მოქალაქეების გამოსახლება, სინამდვილეში ქალაქის გარეუბნებში გასახლებას ნიშნავს. მათ ადგილას კი „გამჭვირვალე“ ოფისები, ბანკები, პარფიუმერიული ქსელის მაღაზიები და სასტუმროები შენდება, რომლებიც ან გამოკეტილი იქნება ან ცარიელი მორიგი კლიენტის მოლოდინში. ახალი სახლები თავიანთი სტერილურობით, სიცარიელით და სიცივით სიცოცხლის იმპულსს არ გამოსცემენ. ამ სახლების აივნებზე არ ჰკიდია სარეცხი, არ არის აყუდებული ველოსიპედი, ან ყრია ძველმანები. არც ქოთნებში ჩარგული ყვავილებია, რომელსაც დრო და დრო ვიღაცა მორწყავს...

საკომუნიკაციო საშუალებები, გასართობი მულტიპლექსები და სავაჭრო ცენტრები თითქოს სოციალური ურთიერთობის გაიოლებას უნდა ემსახურებოდეს. მაგრამ ამგვარი „ურბანისტული თერაპია“ ისევ შეძლებულთა ხვედრია, ისევე როგორც საცურაო აუზებით სარგებლობა ან ვახშამი პრესტიჟულ რესტორნებში. სუპერმარკეტები, რომლებიც გერმანიაში (ვთქვათ, „ალდის“ ან „ლიდლის“ ყველაზე იაფიანი ქსელები) მართლაც ყველაზე დაბალ სოციალურ ფენებზეა გათვლილი, ჩვენთან ელიტარული „შოპინგის“ კომიკურ სახეს იღებს.

მაგალითად, ძალიან სასაცილო სანახავია ვერცხლისფერი ურიკებით მოსეირნე გაბღენძილი და მძიმეწონიანი კლიენტურა „გუდვილში“ ან „პოპულის“ ქსელის სუპერმარკეტებში. არადა, გერმანიაში ზუსტად იგივე ხარისხის პროდუქტი სუპერმარკეტებში ორჯერ-სამჯერ იაფია, ვიდრე დაახლოებით 130 ლარიანი საარსებო მინიმუმის მქონე საქართველოში.

ყველა დადებითი სწრაფვა (მათ შორის, თანასწორობისა თუ სოციალურობისაკენ) სახელმწიფო ინსტიტუტების აშკარა გულგრილობის თუ პოლიტიკური დისპოზიციის გამო იოლად ინვერტირდება და გულგრილობად ან უარყოფით ლტოლვად იქცევა. შერჩევითი ინფორმაციის წარმოუდგენელი სიჭრელე და სიჭარბე, პლუს ხელისუფლების ფსევდო-გამჭვირვალობა (ვინ სად დაისვენა, ვინ ვისი საყვარელია, ვის რა აცვია) ქმნის ილუზიას, რომ თქვენც ამ დიდი და საერთო სოციუმის წევრი ხართ (ანუ, თქვენც „ლიბერტი ბანკში“ მუშაობთ!). სინამდვილეში ეს მაცდური თამაშია, ცუდად გაკეთებული „პროფილებისა“ და ტოტალური სიმულაკრების სამყარო, რომელსაც რეალობასთან არავითარი შეხება არა აქვს.

ხილული და ზოგჯერ სიძულვილით აღვსილი ანტაგონიზმი საზოგადოებაში გამქრალი, ძლიერი და პოზიტიურ-პატრიარქალური სურვილების ადგილს იკავებს. საბანკო ლექსიკა სადღეგრძელოს ცვლის, ვიღაცის დასჯის წახალისება – შეწყალების თუნდაც ფარულ სურვილს. აქედან მომდინარეობს ცხოვრებისეული უკურეაქცია ან დაეჭვება ყველაფერზე: პოლიტიკაზე, მორალზე, განათლებაზე, ეკლესიაზე, ფინანსურ სტაბილურობაზე, მედიაზე... და ადამიანს აღარ უჩნდება რაიმეს შეცვლის სურვილი.

უფუნქციო მდგომარეობიდან ან უმოქმედო აპთიიდან (რითაც სიმართლე ვთქვათ, შეპყრობილია საქართველოს მოქალაქეების საკმაოდ დიდი ნაწილი) კონკრეტულ სიძულვილამდე მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი რჩება. ეს უმოქმედობა, პასიურობა მათ თითქოს აკარგვინებთ საკუთარ თავს; განცდას, რომ რაიმე სასარგებლო პროცესში შეიძლება მიიღონ მონაწილეობა. ამიტომ უარყოფითი ელექტრონული ნაწილაკების მსგავსად იწყებენ მოქმედებას – ანუ უარყოფით სტატიკურ ველში განთავსდებიან. ალბათ, აქ უნდა ვეძიოთ „მასების ამბოხის“ მიზეზები, რაზეც დიდი ხნის განმავლობაში მოთქვამდა მეოცე საუკუნის ფილოსოფია.

აშკარაა, რომ ბოლო დროს საზოგადოებაში სოციალური და ეკონომიკური დიფერენცირება საშიშ ზღვარს აღწევს და ნანატრი „სინგაპურის მოდელის“ ნაცვლად სულ უფრო სწრაფი ნაბიჯებით მივდივართ ინდოეთისაკენ – საქართველოში კასტები ყალიბდება და არა საშუალო ფენა.

„არაფერია უფრო ადვილი, ვიდრე უარყოფა“ – ამბობს ფილოსოფოსი ზიმელი და დაასკვნის, რომ ასეთ შემთხვევაში ადამიანს უჩნდება მხოლოდ ნეგატიურის კეთების სურვილი და უყალიბდება ტოტალური უარყოფის მიზანი. მკვეთრი სოციალური ანტაგონიზმი კი მხოლოდ წამახალისებელ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ. და რადგან ასეთ უფუნქციო მდგომარეობაში ბევრი ადამიანია (ისინი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ბუკმეკერების კანტორებსა და ტოტალიზატორების დარბაზებს სტუმრობენ), მათი განლაგება „უარყოფით სტატიკურ ველში“ იოლი წარმოსდგენია. აი, მაშინ წითელი ვარდები და ჩონგურ-სალამურის ჰანგებზე „გაკეთებული“ მშვიდობიანი რევოლუცია არავის გაახსენდება.

რა ცინიკურადაც უნდა ჟღერდეს, ჩვენდა საბედნიეროდ, გამჭვირვალე სიძულვილსა (რის გამოც დაარბია პოლიციამ 2007 ნოემრის აქცია) და აშკარა ძალადობას შორის მკვეთრი განსხვავება არსებობს. ძალადობას გამოკვეთილი მიმართულება და ვექტორი აქვს. იგი უცილობლად მტრის ხატს და მოქმედებას გულისხმობს, ხოლო სიძულვილი უფრო უადრესატო და უშინაარსოა. მაგრამ თუ იგი კოლექტიურ ძალად შეიკრა და „საჭირო ხალხის“ თანხმობით, თანაც შინ და გარეთ, მაშინ?..

ვინ დასთვალოს ახალი კონსტიტუციის ჩასწორებული მუხლები და ან ცაზე ახალი რევოლუციის ვარსკვლავები?“

სიბრძნე სიბრიყვისა

ავტორი: პაატა ქურდაძე

ამონარიდი პაატა ქურდაძის ესეიდან „სიბრძნე სიბრიყვისა“
www.paatakourdadze.blogspot.com

„ნებისმიერი სპექტაკლის საფუძველში ჩადებული სისასტიკის ელემენტის გარეშე, თეატრი შეუძლებელია.
დეგენერაციის იმ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, კანის ფორებიდან უნდა შემოვუშვათ ჩვენს სულებში მეტაფიზიკა.“
სისასტიკის თეატრი. ანტონენ არტო

გასული საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა კაცობრიობისათვის წერა-კითხვის დემოკრატიზაცია და პოპ-კულტურის შექმნა იყო. უამრავი დრო, ენერგია და სახსრები დაიხარჯა იმისათვის, რომ „უბრალო“ სოციალურ ჯგუფს წერა-კითხვა შეესწავლა და საკვირაო წირვის შემდეგ ბაზრის ჯამბაზების წარმოდგენებისაგან ნამდვილი სოციო-კულტურული ფენომენი შეექმნა. რასაც ჯერ პატარა, მერე კი – დიდი ვარსკვლავები მოჰყვნენ. პოპ-კულტურამ, თავის მხრივ, ახალი ტიპის პოპ-მომხმარებელი აღზარდა. ისინი 90-იანი წლებიდან მსოფლიოს მართვის სადავეებთან, ანუ პოლიტიკაშიც გამოჩნდნენ. პრეზიდენტებად ისეთი ადამიანები მოგვევლინნენ, რომლებსაც ახალგაზრდობაში მთლად LSD-სა და „ველვეტ ანდერგრაუნდის“ თუ არა, მსუბუქი პლანისა და „ბითლზის“ გემო გასინჯული ჰქონდათ. ეს თვისობრივად ახალი მოვლენა იყო: როკ-ენ-როლ გენერაცია პოლიტიკაში: რომელიც თავად შეეცადა, გამხდარიყო ყველაზე დიდი ვარსკვლავი – მიკ ჯაგერიც და ჯონ ლენონიც... და გახდა კიდეც.

90-იან წლებში წარმოქმნილი პოლიტ-პოპკულტურა კოსმიური სისწრაფით „განვითარდა“ – დღეს თვით რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინიც კი, რომელსაც ნებისმიერ სხვა ეპოქაში ტირანს და დიქტატორს დაარქმევდნენ, სწორედ პოპ-ვარსკვლავის სტატუსით აღიქმება, როგორც თავის ქვეყანაში, ასევე, დანარჩენ მსოფლიოში. უნდა ითქვას, რომ არიან კარგი და ცუდი პოპ-ვარსკვლავები. პუტინი ცუდების კატეგორიას მიეკუთნება: ასეთებს დასცინიან, როგორც „აბბას“, თუმცა, მათი რეიტინგი მაინც უსწრებს „როლინგებისას.“

2000-იან წლებში პოლიტიკური პოპი ნამდვილ პოლიტ-შოუბიზნესში გადაიზარდა. გარდა მეგავარსკვლავებისა, გაჩნდა უამრავი პატარ-პატარა, ლოკალური ვარსკვლავი, უფრო სწორად – მეტეორი, რომელიც ისე სწრაფად ჩაგიფრენს გვერდით, თვალსაც ვერ შეავლებ წესიერად. ასეთები განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში მომრავლდნენ, როგორიც ჩვენი ბრჭყვიალა დისკო-სამშობლოა.

საქართველოში რეალობასთან სინქრონიზირებული არაფერია – მათ შორის, პირველ რიგში, ხელოვნება.

იშვიათად თუ უჩვენებია ვინმეს ადამიანების გაბოროტების პროცესი ისე კარგად, როგორც ამერიკელ რეჟისორ ბობ ფოსს თავისი „კაბარეს“ ცნობილ სცენაში, სადაც გერმანული სოფლის პასტორალური სინაზე სულ რაღაც ორ წუთში ჯოჯოხეთურ, სვასტიკიან საშინელებაში გადადის (სცენა – „Tomorrow Belongs to Me“ – Cabaret. Bob Fosse. 1972).

„ფეისბუკში“ ჩემი „ფრენდების“ ძალიან დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, ამ ეპიზოდის სრულ იმიტაციას იმეორებს ყოველდღე – დილას ნაზი ხმით იწყებს სიმღერას, ღამე კი გაბოროტებული იძინებს. გესლის გულუხვი ნთხევა იწყება განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე რუსეთს შეეხება, ამ დროს გამუდმებით იგრძნობა საკუთარი უხეში გრძნობების გამოფენის ჯერ კიდევ შემორჩენილი ინსტინქტის სიმძლავრე და ერთსულოვნება, ვირტუალური ეშაფოტებისა და გილიოტინების ელვის სისწრაფით აღმართვის საოცარი ხელოვნება.

მორალური თვალსაზრისით, რუსების ლანძღვა ერთადერთია, რაც არანაირ გადახედვას არ ექვემდებარება. კონკორდატი იმის შესახებ, რომ რუსოფობიას, ქსენოფობიასა და ჰომოფობიას შორის ისეთივე სხვაობაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის, საიმედოდ ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია, ფაქტობრივად, ყველა ანტაგონისტი მხარის მიერ. იქ კი, როგორც ჩანს, წერია, რომ კანის ფერის მიხედვით სიძულვილი არ არის მიღებული, არც სექსუალური ორიენტაციის მიხედვით, სამაგიეროდ, მტრის სიძულვილი ნებადართულია, პრინციპში ამ ნიშის გამოყენება თავისუფლად შეიძლება უფასო პარკინგივით ნებისმიერი „ფობიის“ დროებით დასაყენებლად, „მორალური პოლიციის“ გამჭრიახი თვალის ასახვევად. ეს მეთოდი განსაკუთრებით მოსახერხებელი და კომფორტულია, როდესაც ისეთი უკიდეგანო გეო-

გრაფიისა და უგუნურების მტერი გყავს, როგორიც ჩვენი ყოფილი ბოროტი დედინაცვალი რუსეთია. როგორც ქართველი თამადები იტყვიან ხოლმე: ჩვენს ხვალინდელ დღეს გაუმარჯოს! – ანუ „Tomorrow Belongs to Me!"

მაგალითები ფეისბუქიდან:

– რუსი ერი განაგრძობს წრთობასა და ფორმირებას. დღეს ის შებოლილ ერად ყალიბდება!

– დაკაპჩონებული ერი ჯობია...

– აფიციანტ, ერთი ბალტიკა და ერთი კაპჩონი რუსი თუ შეიძლება! :))))))))))))

ჯარისკაცი Gioergi Magularia შებოლილი ღორი... ჰმ, არ გამისინჯავს, მაგრამ ალბათ კაი რამე იქნება...

– რერო! პოდმოსკოვია გადამწვარა რერო! მთელი რუსეთიანათო რერო.. ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო და ა.შ..

– აფიციანტ, არ გესმის? ერთი ბალტიკა და ერთი კაპჩონი რუსი-მეთქი!

ჩვენი სასჯელი ცვალებადი მგრძნობიარობაა... ლოგიური ფანტასმაგორია... ოღონდ ამაზე ავღანეთის ხრიოკ მთებში გათხრილ ორმოებში ჩამალული წერა-კითხვის უცოდინარი, ოპიუმის წევით ჭკუიდან გადასული თალიბი, ან კავკასიელი თუ კაზაკი ბარბაროსი კი არ ოცნებობს... არამედ ჩვენი, წერა-კითხვის მცოდნე და საზღვარგარეთ სტაჟგამოვლილი „მაშასადამე ევროპელი" ქართველი, რომელსაც მუხლებზე ბაზუკას ნაცვლად ნოუთბუკი უდევს და ანდრე რიუს კრემიანი ავსტრიული ვალსების ფონზე დღითიდღე, თვალსა და ხელს შუა, ისე ბოროტდება, რომ ისტორიაში ცნობილი და უცნობი ყველა სისასტიკე – ტროა, ბართლომეს ღამე, ოსვენციმი, ბესლანი, გაგრა – მასში ჯოჯოხეთის წვეტიან, ბასრ სტალაქტიდებად კრისტალიზდება და სქესის, ასაკის და განათლების მიუხედავად, აღარაფრით განსხვავდება იმ ჩეჩენი მხიარული კაციჭამიასაგან, რომელიც თავის სამწუხაროდ ცნობილ კანიბალურ ვიდეო-კლიპში რუს „დამპყრობელ" ინჟინერს სულ სიცილ-კისკისით აჭრის თავს ხანჯლით...

ისინი მაინც ვერ მიხვდნენ,

მარტივ „სოციალურ ჭეშმარიტებას", რომელიც სულ რამდენიმე სიტყვით შეძლება ჩამოყალიბდეს – სიძულვილი ძალიან არაპრაქტიკული გრძნობაა... და მორჩა. სათავე ამპარტავნებაშია. ამპარტავნების სოციოლოგიურ-მეცნიერული თანამედროვე ტერმინი კი ქსენოფობიაა.

რა თქმა უნდა, აქ ვინ შემოგედავებათ: მტერი გაზის კამერაში უნდა გაგუდო! რა არის ამაზე ლოგიკური? თავისით თუ დაიხრჩობა - მით უკეთესი... ხოლო თუ ღმერთი დაახრჩობს, როგორც ეს ქართველ ზეზვებსა და მზიებს გულწრფელად სჯერათ, ნამდვილი მადლი იქნება... ხოლო საერთო ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური ღირებულებების შესახებ ვაჟა-ფშაველას უკვე დაწერილი აქვს ჩვენს მაგივრად...

ეს არ არის რასიზმი; არც ქსენოფობია, არც ჰომოფობია... სრული სიმართლეა – ეს ალ ქაიდას, ჩეჩენი ვაჰაბისტების, ჰამასის, საერთოდ ტერორისტების პრიმიტიული მგრძნობიარე ცრემლიანი ლოგიკა, მათი თეატრია, სწორედ იმ სისასტიკის მარცვლით, რომელზეც არტომ თავისი თეატრი ააგო: რით არიან თქვენი ბავშვები ჩვენებზე უკეთესნი? მე არ ვიცი, რა სიტყვა იხმარება ასეთ შემთხვევაში – როდესაც შენი მტრის ბავშვების შებრალების უნარს კარგავ..

.... დედა-ბუდიანად ამოჟლეტა... „მშვენიერი" გამოთქმაც კი გვაქვს ქართველებს – დედა, ბუდე, ბუდეში ბარტყები... რა ცისფერი სინაზეა, რა ბიბლიური სისასტიკე. სენტიმეტალური ცინიზმი, გრძნობების პათოლოგიური ფანტასმაგორია... ოღონდ ამაზე ავღანეთის ხრიოკ მთებში გათხრილ ორმოებში ჩამალული წერა-კითხვის უცოდინარი, ოპიუმის წევით ჭკუიდან გადასული თალიბი, ან კავკასიელი თუ კაზაკი ბარბაროსი კი არ ოცნებობს... არამედ ჩვენი, წერა-კითხვის მცოდნე და საზღვარგარეთ სტაჟგამოვლილი „მაშასადამე ევროპელი" ქართველი, რომელსაც მუხლებზე ბაზუკას ნაცვლად ნოუთბუკი უდევს და ანდრე რიუს კრემიანი ავსტრიული ვალსების ფონზე დღითიდღე, თვალსა და ხელს შუა, ისე ბოროტდება, რომ ისტორიაში ცნობილი და უცნობი ყველა სისასტიკე – ტროა, ბართლომეს ღამე, ოსვენციმი, ბესლანი, გაგრა – მასში ჯოჯოხეთის წვეტიან, ბასრ სტალაქტიდებად კრისტალიზდება და სქესის, ასაკის და განათლების მიუხედავად, აღარაფრით განსხვავდება იმ ჩეჩენი მხიარული კაციჭამიასაგან, რომელიც თავის სამწუხაროდ ცნობილ კანიბალურ ვიდეო-კლიპში რუს „დამპყრობელ" ინჟინერს სულ სიცილ-კისკისით აჭრის თავს ხანჯლით...

მე მართლა არ ვიცი, რატომ ითვლება ქართველ ინტელექტუალთა დიდ ნაწილს შორის რუსოფობია ნაკლებ ბოროტებად, ვიდრე, მაგალითად — ჰომოფობია. ინტელექტუალი, რომელიც ნებისმიერი სახის ფობიაზე ამაღლებას წლების განმავლობაში ვერ ახერხებს, მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე იღლიაში სახარებაამოჩრილი მგელია. სხვა არავინ... პედიკურიანი მოვლილი ბრჭყალებით.

ასეთებს რატომღაც ფარად მერაბ მამარდაშვილის ტექსტების ხმარება უყვართ ...

...საბრალო მამარდაშვილი... სწორედ ამ პირში სიგარაგაჩრილმა გაწრთვნილმა სმოკინგიანმა ტიპებმა ამოხადეს სული უმარტივესი ფრაზის გამო. ფრაზის, რომელიც დღეს ასე უსინდისოდ ამოუტრიალეს და ღამის თავად გადააქციეს „ნაციონალისტად". მამარდაშვილის „ჭეშმარიტებას" თითებზე აწეული „ჯუჯებივით" წაეპოტინენ, ჯერ ფრთხილად ჩამოქაჩეს დაბლა, მერე ცოტა უფრო, კიდეები ჩამოძენძეს, ჩამოახიეს, „სამშობლოზე" დაბლა ჩამოაჩოჩეს, ბოლოს ჩამოგლიჯეს და დაფლეთილი საკუთარი სიბრიყვის დროშად ტრანსფორმირებული – „ბორტებჩამოხსნილი გრუზავიკის" ცხვირზე დაამა-

გრეს, რომლითაც 1991 წელს სულ რამდენიმე ახლობელმა დიდი ფილოსოფოსის კუბო საბურთალოს სასაფლაოზე წაახრიგინა...

ქართული თანამედროვე ფობიების კიდევ ერთი უნიკალურობა იმაშია, რომ, მადლობა ღმერთს, ის მხოლოდ ამ „მოყვრისათვის პირში ძრახვით“ გამოიხატება, ჯერჯერობით მოქმედებაზე გადასვლას ვერავინ ბედავს, როგორც ეს, ჩვეულებრივ, სხვა ქვეყნებში ხდებოდა სხვადასხვა ეპოქაში... ამიტომ საშუალო ქართველი „მულტიფობის“ საყვარელი ფრაზაა – ეყარონ თავიანთთვის, ცხვირს ნუ ყოფენ გარეთ, „პოგრომს“ ხომ არ ვუწყობთ...

ისინი მაინც ვერ მიხვდნენ, მარტივ „სოციალურ ჭეშმარიტებას“, რომელიც სულ რამდენიმე სიტყვით შეიძლება ჩამოყალიბდეს – სიძულვილი ძალიან არაპრაქტიკული გრძნობაა... და მორჩა. მეტი არაფერი. მისი სათავე ამპარტავნებაშია, რომელზეც იესოც კი ამდენს გველაპარაკება მოციქულების პირით. ამპარტავნების სოციოლოგიურ-მეცნიერული თანამედროვე ტერმინი კი ქსენოფობიაა – ყოველივე უცხოს შიშიდან გამომდინარე ათასნაირი პატარ-პატარა სიძულვილები – ჰომოსექსუალების, სხვა რასის, უცხო კონფესიის ადამიანების, ათეისტების... ნებისმიერი მათგანი ძალიან დიდ ენერგიას გვართმევს, გვაბრმავებს გვამუნჯებს... ყველაფერი მართლაც ძალიან მარტივია – არასოდეს არ უნდა შეიძულო მტერი იმაზე მეტად, ვიდრე მას სძულხარ, რადგან სიძულვილი აბრმავებს, ამუნჯებს აყრუებს. ხოლო ყრუ-მუნჯისა და ბრმის დამარცხება ბევრად უფრო ადვილია. თუ მაინც ცირკში გიწევს ცხოვრება, ჯობს გაბითურებულ, მაგრამ თავნება მასხარად გამოიყურებოდე, ვიდრე მათრახის ცემით გამძვინვარებულ ხახადაფჩენილ, მაგრამ მორჩილ ლომად, რომელიც მხოლოდ ცირკში მისულ ბავშვებს აშინებს, სხვას – ვერავის.

მასხარა ბრიყვია? შეიძლება, მაგრამ ლომი ბევრად უფრო ბრიყვია, თან ნაცემი და საცოდავი. მე ჯამბაზის სიბრიყვე მირჩევნია. ბავშებს რომ არ ეშინოდეთ, რომ უხაროდეთ ჩემი დანახვა, რადგან ზუსტად ვიცი – მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვმარცხდებოდი მხოლოდ მაშინ, როდესაც სიძულვილში ვაჭარბებდი.

ამ გრძნობების ეკვილიბრის დაცვის ცოდნას, ხან კულტურას უწოდებენ, ხან ცივილურობას... მე სიბრიყვის სიბრძნეს დავარქმევდი – თოკზე მოსიარულე აკრობატის წონასწორობის განცდას – რადგან საკუთარი სურვილით თოკზე სეირნობა არასოდეს მეჩვენებოდა ჭკვიანურ გადაწყვეტილებად. თუმცა ვთვლიდი, რომ თუ მაინც მოგიწია თოკზე გავლა, ყველანაირად უნდა შეეცადო, არ ჩამოვარდე!

განგრენა, განგრევა, განგი

ავტორი: გიგი გულედანი

სოფლის ორი სატელიტის თეფშიდან ერთი სამხრეთს უყურებდა, ერთიც – სამხრეთ-დასავლეთს და ორივე 1500-მდე არხს იჭერდა. მართალია, მათი უმრავლესობა, ამა თუ იმ მიზეზით, უბრალოდ, „არ იყურებოდა“, მაგრამ, რაც მთავარია, მოდიოდა ძირითადი უცხოური საინფორმაციო არხები.

„ევრონიუსის” დამაჩლუნგებელი გამეორებებიდან იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ არხის კოლექტივმა რაღაც აქამდე უპრეცედენტო მაზიანი წააგო. რომ იტყვიან, წაასხა. ჰოდა, იმეორებდა და იმეორებდა ახალ ამბებს აგვისტოს პირველი ორი კვირის მანძილზე: 1. წყალდიდობა პაკისტანში 2. მეწყერი ჩინეთში 3. ხანძრები რუსეთში 4. ნიაღვრები ცენტრალურ ევროპაში 5. გრენლანდიას მოწყვეტილი ნახევარი ევროპისხელა აისბერგი.

თუ აფხაზეთის საზღვართან გამართულ პატრიოტთა ბანაკზე „ბიბისი”-ს მომზადებულ სამარცხვინო სიუჟეტს არ ჩავთვლით, დამამშვიდებელი იყო „ევრონიუსის” ფორსმაჟორულ სიაში ჩვენი არყოფნა. პულტით ხელში ბაბუაჩემის აშენებულ ნახევარმეტრიანი სისქის კედლების სიგრილეში ჯდომისას შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ამჯერად მაინც შეგეძლო, მისალმებოდი მსოფლიოს პულსიდან საქართველოს ამოვარდნას.

მაგრამ მოვლენები, სინამდვილეში, სხვაგვარად ვითარდებოდა:

გაზაფხულზე უეცრად წამოსულმა 15-წუთიანმა აპოკალიპსურმა წვიმამ, წუთებში, ორი მეტრით ასწია სოფლის მდინარე, რომელმაც მოჭრა და სამეგრელოში წაიღო ნაპირები საკარმიდამო მიწებიანად, გზის რამდენიმე მონაკვეთი, ხიდები, ბეტონის ჯებირის ბლოკები და ამ ყველაფერთან ერთად, ათწლეულების წინ მიწაში ჩაყრილი კომუნისტური პლასტმასის მილებიც, რითაც წყალი მარჯვენა სანაპიროს სახლებს მიეწოდებოდა.

ინდივიდუალური ჯანმრთელობის დაზღვევა ყველა ასაკის ადამიანისთვის! თვეში 5,10,20 ან 30 ლარი!

- პირადი ექიმისა და პედიატრის სრული პატრონაჟი
- მინიმალური გამონაკლისები
- სპეციალისტებთან კონსულტაცია, გამოკვლევები, ანალიზები
- გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები, მკურნალობა სტაციონარში
- სტომატოლოგიური მომსახურება
- ოჯახურ პაკეტზე და ჯგუფურ დაზღვევაზე ერცელდება შეღავათები

505 111

სპეციალური შემოთავაზება „იაფი დაზღვევის“ განახლებაზე:

- თუ თქვენ 2009 წელს შეიძინეთ „ჯიპაი პოლდინგის“ იაფი დაზღვევის პოლისი, ისარგებლეთ ექსკლუზიური შეთავაზებით!
- პოლისი „მედის“ პირობებს სპეციალურად თქვენთვის დაემატება გეგმიური ოპერაციების დაფარვა (პოლისის პირობების შესაბამისად)
- გაუმჯობესებული ამბულატორიული მკურნალობა
- სხვა დამატებითი პირობები

www.gpih.ge

აი, ამ ყველაფრის შემდეგ კი დაიწყო მურტალი გვალვა.

რადიაციაში გადასული სიცხე იყო ყველგან, სადაც ზაფხულის მანძილზე მოვხვდი: თბილისში – ფილმ „ღამის მანიაკი 2"-ის კასტინგის დღეს 43 გრადუსი ფიქსირდებოდა, ბორჯომში – ხაშურის გზაზე, ოფლში გაწურულმა, დავინახე, როგორ აქრობდა ვერტმფრენი გადახრუკულ ტყეში გაჩენილ ცეცხლს, ბათუმში – თბილისიდან ოთხსაათიანი სახიფათო ჯირითის შემდეგ, ბულვარის ავტოსადგომზე, მანქანიდან გადმოსვლისთანავე, ცხელი ნესტისგან დავსველდი, რის შემდეგაც, სულ რაღაც ხუთ წუთში, ვისმენდი, როგორ ეკაჩავებოდა ტელეფონში ჩემი მეგობარი „ბათწყალის" ნასოსების განყოფილების უფროსს.

სოფელში, მარჯვენა სანაპიროს, გამგეობა დაჰპირდა მილების თავიდან ჩაყრას, მაგრამ მხოლოდ ძალიან მონდომებულ ოპტიმისტს უნდა დაეჯერებინა ამ საქმის მომავალ არჩევნებამდე მოგვარება. ამიტომ სასმელი წყლისთვის, დროებით (რაც ძალიან აპასნი სიტყვაა) ყველა გადაერთო მთის ტყის პატარა წყაროებზე, რომლებიც ადრინდელი მილების მოცულობის მეათედს თუ უზრუნველყოფდა.

მოგვიანებით, მამაჩემმა, ჩემმა შვილმა და მე ერთი რეიდი, „ინვენტარიზაციისთვის", ჩვენი „დროებითი წყლის" რეზერვუარზეც მოვაწყეთ, რომელიც ტყის პატარა სანიაღვრე ხეობაში სახელდახელოდ მოეხლაფორთებინათ. მამაჩემმა ქვა ასწია. „ესაა ჩვენი რეზერვუარი?!" ვკითხე მე და აიპადისხელა გუბეს დავხედე. ქვემოთ, ხეობაში კი ჩანდა დაკლაკნილი თეთრი მდინარე. უკანა გზაზე, ისევ ვიგრძენით სიმყრალე, მაგრამ მის პირველწყაროს მაინც ვერ მივაგენით. ეჭვი ავიღეთ სკოლის ეზოში მდგარ მიტოვებულ ნაგებობაზე, მაგრამ უკვე ბინდდებოდა და შიგნით აღარ შევსულვართ.

მეორე დღეს წყალი ისევ გაწყდა, რაც, რა თქმა უნდა, არ გაგვკვირვებია. შევუყევით შლანგის ტრაექტორიას, მაგრამ წყვეტა ვერსად აღმოვაჩინეთ. ავედით ბოლომდე და მამაჩემმა რეზერვუარის ქვა ასწია. „ნუ?!" – დავუძახე მე ქვევიდან. „დაშრა! – ჩამომძახა, მერე ქვა ადგილზე დადო და უკან დაეშვა. სკოლის ეზო ყარდა. მიტოვებულ შენობის სარდაფში ვიპოვეთ უზარმაზარი ღორის ღეში, რომელსაც მატლები ესია. გულისამრევი სანახაობისგან გამოწვეული სპაზმები შევიკავეთ და გარეთ გამოვედით. „იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, ღორი განერიდა

მეორე დღეს წყალი ისევ გაწყდა,
რაც, რა თქმა უნდა, არ გაგვკვირვებია. შევუყევით შლანგის ტრაექტორიას, მაგრამ წყვეტა ვერსად აღმოვაჩინეთ. ავედით ბოლომდე და მამაჩემმა რეზერვუარის ქვა ასწია. „ნუ?!" – დავუძახე მე ქვევიდან. –„დაშრა!"

სოფელში ჩასვლის დღისთვის, ჩვენი „დროებითი წყალი" უკვე ვერ იძლეოდა დიდ იმედებს: ნაკადი იყო ნეკა თითის სისქის, რომელიც დღისით +40 გრადუსამდე ცხელდებოდა, რადგან სახელდახელოდ გაყვანილი მილი მიწაში არ იდო. ამის გამო, მას მუდმივად თიშავდნენ ზემოთ, სკოლის ეზოში მოთამაშე ბავშვები. ასევე, ნათლობებზე ეკლესიიდან ამოსული სტიქაროსნები და შესაძლოა, ის თბილისელი გოგოც „ნიჭიერიდან", რომელიც სკოლის შენობაში რეპეტიციობდა (აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო მას იმ სიურრეალისტური ტრანსისთვის, რომელშიც ის აგდებდა სათიბში გასულ სვანებს თავისი სოპრანოს წყალობით).

არაბუნებრივი სიცხის გამო, წყლის ყოველი გაწყვეტა საბოლოო გვეგონა, თუმცა, სკოლის ეზოში ყოველი რეიდისას გვხვდებოდა გახსნილი შლანგი და შეერთების შემდეგ, ცხელი წყლის წვეთები ისევ იწყებდნენ ცვენას ჩვენს ამომშრალ აბაზანაში. ამ ჩართვა-გამორთვებისას სკოლის ეზოში ყოველ ასვლაზე ვგრძნობდით აუტანელ სუნს, რომელიც სადღაც იქვე ხრწნად ლეშზე მიგვანიშნებდა.

ყველას და სპეციალურად განმარტოებით დალია სული," – დაასკვნა მამაჩემმა. მანვე, ნიღაბაფარებულმა, მეორე დილას მავთულით გამოათრია ლეში სკოლის ეზოში, ბენზინი გადაასხა და დაწვა. კრემაციას, ჩვენ გარდა, დაესწრო შემთხვევით სკოლის ეზოში მყოფი რამდენიმე კაცი, რომლებიც იქ, მდინარის პირას ჩრდილში ჩამოსაჯდომად ნარჩენ ფიცრებს ეძებდნენ.

და როცა სახლში დაგროვილი წყალიც გათავდა, ყველა დავირაზმეთ და საუკეთესო ინდური ტრადიციის მიხედვით, წავედით მდინარეზე, ყველა თავ-თავის მისიით, რაც იყო:

დიდებისთვის – კალმახების დაჭერა, ჭურჭლის დარეცხვა, სარეცხის გავლება, დაბანა და სასმელი წყლის სახლში წაღება.

პატარებისთვის – ხის ნაფოტების გაშვება სპეციალურად მოწყობილ არხებში, ჭყუმპალაობა, დიდების ანკესებისთვის ჭიაყელების მოძიება და რაც მთავარია, ვედროში გაშვებულ წითელ და ლურჯწინწკლებიან თევზებთან თამაში.

RESTAURANT THE OVA

მისამართი: ჯინის ხიგი 6
ტელ.: 43 89 50 / 43 89 51

ჩესტოჩანი "ოვალი" გთავაზობთ:

- მაღალი დონის მომსახურებას და ჯომფოჩტელ გახემოს.
- გემრიელ ჯეჩძებს, დესერტს და ღვინის ფანთო ასორტიმენტს.

ჩესტოჩანი "ოვალი" იდეალური ადგილია თქვენთვის და თქვენი სტუმრებისათვის.



„საკუთარი ოთახი“ და საკუთარი სამზარეულო

ავტორი: დიანა ანფიმიადი

ჩემს სამზარეულოში, მაგიდასთან ვზივარ. გაზქურაზე ქვაბით წყალი დუღს, თეთრი ღვინისა და ზეითუნის ზეთის მარინადში ჩაწყობილი ხბოს ხორცი კულინარიული ამბის გაგრძელებას მორჩილად ელოდება. ცოტა დასიცხული, მაგრამ მაინც ხასხასა და სურნელოვანი მწვანილი წყლის ნაკადის ქვეშ სულს ითქვამს და თავს იგრილებს. წითელი, ყვითელი და მწვანე ბულგარული წიწაკა უკვე დაჭრილია და ფაიფურის ჯამებში აწყვია, მაგრამ მე ეს კი არა, თვით პომიდვრის წითელიც ვერ შემაჩერებს – სამზარეულოში ნიშნებს და ფერებს სხვა სემიოტიკა აქვთ.

მაგიდაზე აწყვია წიგნები, ჟურნალები, ინტერნეტიდან ამობეჭდილი ფურცლები: ჩვეული პროცესია – თეორიული შემზადება პრაქტიკული მოქმედების წინ – საკმაოდ მდიდარი კულინარიული ბიბლიოთეკა მაქვს.

რიგრიგობით ვათვალიერებ წიგნებს და ხმამაღლა ვკითხულობ ავტორთა: რუსუდან კაიშაური, ლია სტურუა, მაია სარიშვილი, ეკა ქევანიშვილი, ნატო ინგოროყვა, ლელა სამნიაშვილი... ხო, აქ სალათებისა და კრუშონების რეცეპტები სულაც არ არის, ეს ლექსებია.

ვზივარ სამზარეულოში, ქვაბში წყალი დუღს, ლექსებს ვკითხულობ. ჩემი კულინარიული მოგზაურობაც აქ იწყება, მოგზაურობა პოეტების სამზარეულოებში.

„და არის ყველაზე მთავარი პროცესი, როცა ვინმესთვის ვაკეთებ, არა, ვინმესთვის არა, მისთვის. ეს არის ყველაზე მჩხიბავური რიტუალი.“

. . .

სულ პირველად ეკა ქევანიშვილის სამზარეულოს ვსტუმრობ. წინასწარ ვცდილობ წარმოვიდგინო, რა დამხვდება, რომელი სანელებლის სურნელი შემომეგებება ღია კართან, რა პროდუქტები დამხვდება მაცივარში, რას ამზადებს და როგორ ამზადებს.

ამ შემთხვევაში ჩემი წარმოსახვითი მენიუს როლს ლექსები შეასრულებს, რადგან პოეზიაც და კულინარიაც ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთობა, ერთნაირი ქიმიაა.

ვვარაუდობ, რომ ამ სამზარეულოს დიასახლისს განსაკუთრებით ცხარე და ხორციანი კერძების გაკეთება უყვარს, წიწაკის რამდენიმე სახეობა აქვს კარადაში, იქნებ ჯუჯა ჩილის რამდენიმე ძირსაც ახარებს თიხის ქოთნებში, ნივრის გალები და ზაფრანის ასხმულები უკიდია ფანჯარასთან. არა მგონია, კერძის კეთების დროს წინსაფარი ეკეთოს, ალბათ, არც რეცეპტებს მიყვება ზედმიწევნით და არც კერძებს აფორმებს განსაკუთრებული პედანტურობით. მურაბები, მურაბები უნდა უყვარდეს.

„ყველაფერი დაიწყო ასე:

ერთ საღამოს, სამსახური როცა დამთავრდა,
ბაზრის ბინძური კიბეები ზიგზაგებად დავყავი
და ადვილად რომ ავსულიყავი,
ფრთხილად დავკეცე.
სუნთქვაშეკრული, მოჭერილი ცხვირზე
თითებით
ხის სოკოს და სახაშე ჩლიქებს შორის
გავძვერი,
ერთი – ორჯერ სუნელებთან დავაცემინე,
ცხელი შოთის გამყიდველს ამჯერადაც
მოვუბოდიშე,
რომ პურს დღეს არ ვჭამ, ნუ მთავაზობს
და გარგარის მთასთან გავჩერდი.
იქვე ახლოს მეწამული ჟოლოს მოლი
და წითელი კენკრის ბორცვებიც დამხვდა.
მორჩა, ვყიდულობ.“

(კენკრა, მიყვარხარ.)

კარს ეკა მიღებს, სახლში ბულგარული წიწაკის, ჩაშუშული სტაფილოს, ქინძის, ხახვის სუნია, „რას აკეთებ?“ – ვეკითხები, „საქონლის ჩაშუშულს სტაფილოთი, შეიძლება, გზადაგზა სუპად გადავაკეთო“.

გამორჩეულად შეყვარებული ხორცზე ან ბოსტნეულზე არაა, ყველა თანაბრად უყვარს და აინტერესებს. უყვარს ბაზარი, გაზაფხულის ბაზარზე გიჟდება, სუპერმარკეტები, ძეხვების, კონსერვების, სოუსების და სხვა ამგვარი რამეების თვალიერება, ოღონდ, როცა მარტოა და არავითარ შემთხვევაში – სხვებთან ერთად.

„ვერ ვიტყვი, რომ კერძის ესთეტიკურ მხარზე ძალიან ვზრუნავ, გულის ფორმის სტაფილოები და ვარდად ამოჭრილი ბოლოკით მორთული სალათები არ მიყვარს. არასოდეს ვაფორმებ და სხვაგან როცა ვხედავ, ცოტათი მადასაც მიკარგავს. მხოლოდ ლიმონი მიყვარს, მზესავითაა. ანათებს.“

ვიწყებ მაცივრის დათვალიერებით, მაგარია ჩემნაირი სტუმარი, სამზარეულოში რომ შემოგივარდება და მაცივარს გამოგიღებს: არაჟანი, ხაჭო, რძე, რამდენიმენაირი საწებელი, ხალვა, ბევრი მწვანილი და რა თქმა უნდა, „გენერალი ლიმონი და ლეიტენანტი ბულგარული“.

და რაც შეეხება პროცესს:

„რამდენიმე პროცესია: აუცილებელი საკვების, როცა ნაკლებად კრეატიული ვარ და ვფიქრობ, არაფერი დამაკლდეს და არ ჩამომეძინოს, რადგან ასეთ აუცილებელ კერძებს ღამით ვაკეთებ, როცა ნიცას ვაძინებ.

შემდეგი არის – ექსპერიმენტები. ეს საინტერესოა და რისკიანი, როცა ინტერესიც მეტია, ენთუზიაზმიც, მოკლედ, ორჯერ თუ დამეწვა, მესამედაც დავიწყებ.

და არის ყველაზე მთავარი პროცესი, როცა ვინმესთვის ვაკეთებ, არა, ვინმესთვის არა, მისთვის. ეს არის ყველაზე მჩხიბავური რიტუალი.“

ხომ ვთქვი, მურაბები უყვარს - მეთქი, ხარშვის პროცესი და სუნი – ჟოლო, მოცხარი, მარწყვი, ალუბალი...

რეცეპტი მინდა რამე, რასაც მარტო ეკასთან შევჭამ, ეკას საამაყო კერძი, ის მასწავლის, მე ვიწერ:

„კურდღელი რაჭულად – „ტაბუცუნი“.

გასუფთავებული კურდღელი დავჭრათ ნაწილებად, ჯერ წამოვადუღოთ, ოდნავ თეთრი ფერი რომ აიკრას და შემდეგ ძალიან წვრილად დაჭრილ ხახვსა და ცხიმთან ერთად ვშუშოთ. წვრილად დაჭრილ ხახვში მოვშუშოთ გახეხილი პომიდორი, დავამატოთ კურდღლის ბულიონში გახსნილი ნიგოზი, დაჭყლეტილი ნიორი, ძმარი, მარილი და ეს ყველაფერი ჩავასხათ იქ, სადაც კურდღელი განისვენებს. მწვანილი ამ კერძს არ უნდა, სამაგიეროდ, შუშხუნა ცოლიკაური სჭირდება, დასაყოლებლად“.

ინგრედიენტები და სიტყვები:

„გუშინ ნაყინი ვიყიდე, ერთადერთი მიზეზით, ზედ ეწერა „ვანილის ნაყინი მოცხარით“ და სიტყვა მომეწონა – მოცხარი, მოცხარი, სახლამდე ვიძახე.“

. . .

„იმაზე დავიწყე ფიქრი – რისი კეთება არ შემეძლო. ამ სიაში პირველი საჭმლის მომზადება იყო. ბებიაჩემი და დედაჩემი ისეთი კარგი დიასახლისები იყვნენ, რომ ეს საქმე მათ მივანდე. სულ ცდილობდნენ, ჩემთვის რაიმე კერძის გაკეთება ესწავლებინათ. მეც, შევხედავდი და ვეტყოდი ხოლმე: „დიახ, დიახ, გავიგე“. რეცეპტებს ერთ ყურში კი ვუშვებდი, მაგრამ უმალ მეორედან მისხლტებოდა და მერე ხელს რასაც ვკიდებდი, ისე ვაფუჭებდი, რომ მეორედ აღარავინ მთხოვდა, კიდევ მეცადა“. – ეს სილვია პლათია, ფემინისტების საყვარელი ამერიკელი პოეტი, მე კი მის ქართულ ენაზე მთარგმნელთან, პოეტ ლელა სამნიაშვილთან ვაპირებ სტუმრობას.

წინასწარი მოლოდინი ასეთია: რაღაც ეგზოტიკური და უცნაური მელის, ზღვის პროდუქტები, ეგზოტიკური სამზარეულო, არც ძალიან ცხარე და არც ძალიან ტკბილი, უფრო ისეთი კერძები, რაც საჭიროა და აუცილებელი, თუმცა, ვვარაუდობ, რომ გამონაკლისებიც იქნება. სალათისთვის პროდუქტები ერთნაირი სიზუსტით და სიფრთხილით იქნება დაჭრილი. მგონი, პური უნდა უყვარდეს, პურის სხვადასხვა სახეობები – რუხი, ხორბლის, ჭვავის, ფუნთუშა, სეზამისმარცვალმოყრილი, სანელებებიანი და უბრალოდ, ხმიადი.

უმეტესად ცივი კერძები – ჩრდილოეთ ევროპის სამზარეულო. სასმელი – შინ დამზადებული ლიმონათი და წყალი, ცივი, სუფთა წყალი. სანელებლიდან – მარილი, აუცილებლად, მარილი.

ჩაის მახვედრებს თაფლაკვერებით, მაცივარში - მხოლოდ ყველაზე აუცილებელი პროდუქტები და კიდევ ნახევარფაბრიკატები. სახლში ყველაზე უცებ ელევა – კარტოფილი და შოკოლადი. ყველაზე ხშირად ამზადებს – თევზს მოხარშულ კარტოფილთან ერთად (ესეც ჩრდილოეთ ევროპა).

როცა კულინარიაზე, კერძების მომზადებაზე, გემოებზე და სუნებზე ლაპარაკითა და კითხვებით თავს ვაბეზრებ, თავის ძველ ლექსს მეუბნება:

„დრო მიაქვს – თითო ლექსის სამყოფი
ჯინსის სარეცხს და
შემწვარ კარტოფილს.
დღეს იმსახურებს ლექსისთვის – დაფნას –
ჩემს გაზქურაზე დამწვარი ტაფა“.

თითქოსდა რაღაზე უნდა ელაპარაკო, მაგრამ მაინც ვახერხებ რამდენიმე კულინარიული თავგადასავალი დავტყუო და თითო–ოროლა რეცეპტიც, არც მეტი და არც ნაკლები – მიდიები: “მთელი ღამე უნდა რეცხო, ნიჟარისაგან გაათავისუფლო, ოღონდ ვინმე აუცილებლად უნდა გეხმარებოდეს, მერე ფქვილსა და მარილში ამოავლო და ცხელ ტაფაზე შეწვა, ლიმნის ნაჭრები უხდება.“ – აი, ასე მოკლედ და კონკრეტულად. უფრო სწორად ასე:

„ეს უცნაური და ძვირფასი კულინარია
გულის წასვლამდე გემრიელი –
ჩვენ რომ ვარგუნეთ ერთმანეთს.“

(მიდიები)

. . .

ყველაზე ტკბილი და ვანილისსუნიანი სტუმრობა ნატო ინგოროყვასთან გამომივიდა, არადა სულ პირიქით ველოდი, აქაც მომატყუეს ლექსებმა.

ველოდი მშრალ, უკრემო ნამცხვრებს, ფორმულებამდე დასულ საკვებ წყვილებს – პური – ყველი, ჩაი – ორცხობილა, პომიდორი – კიტრი... ათასგვარ ფხალეულს, მწნილებს, მკვეთრად გამოხატულ, არაგარდამავალ გემოებს, როცა სიცხარე - სიცხარეა, სიტკბო – სიტკბო.

გემრიელი სუნი უკვე ქუჩის დასაწყისში მიღიტინებს ნესტოებში, ჩემი იმერელი ბებია მახსენდება.

მისალმების ჩვეული რიტუალი, ჩემი გამომცხვარი კენკრიანი რულეტი მიმაქვს, მხოლოდ გასინჯვისა და

შეფასების ფუნქცია რომ არ შევითავსო.

სახლში როდინში დანაყული ქინძის და უცხო სუნელის სუნია, ვანილის და შოკოლადის სუნში არეული.

მაცივარში – ყველაფერი ფერადი – ბოსტნეული, ხილი, მწვანილი...

გამოვაღე სამზარეულოს პატარა კარადა – ფერების და ფორმების მიხედვით დაწყობილ – ჩაწიკწიკებული – ხმელი ქინძი, ზაფრანა, უცხო სუნელი, პიტნა, როზმარინი, წითელი წიწაკა, შავი პილპილი, ომბალო, სვა-

ნური მარილი.

რაღაცას აცხობს, ნამცხვრის სუნია – სიურპრიზი ნიგვზითა და კარამელით.

ისეთი სუნია, მშივდება, სულ ასე ვიცი – ეს წინასწარი, სურნელის ყლაპვის რიტუალი ძალიან მიყვარს, თან რა კარგი გამოგონებაა აპეტაიზერი – თან ილუკმები, თან მოსალოდნელი გემრიელი დღესასწაულისთვის ემზადები.

„არასდროს ვაკეთებ საჭმელს იმისთვის, რომ ქვაბში მშიერი ადამიანისთვის რაღაც იყოს. ყველა საჭმელი თავისი განსხვავებული შემადგენლობით სხვადასხვა ისტორიაა. მომზადებისას არასდროს ვსინჯავ კერძის გემოს, სანელებლებს მხოლოდ თვალის ზომით ვყრი და ზუსტად ვიცი, გემრიელი გამოვა.

ვცდილობ, ვიყო არამხოლოდ გულუხვი მასპინძელი, არამედ ცოტა გაპრანჭულიც, მიყვარს, როცა კერძი გემოსა და სურნელთან ერთად ლამაზადაც გამოიყურება.

თუ კერძს, ჩემსავით, თვალის ზომით და გუმანით შეკაზმავ და სიყვარულს ჩაატან, შეუძლებელია, არ გამოვიდეს.“

არადა, როგორი ხმელი და თითქმის სქემატური, გრამატიკის წესებივით ლექსების წერა დაიწყო ამ ბოლო დროს.

„სიტყვებს აქაც ვუნარჩუნებ ტემპერატურას,
თავდახურულ ქვაბს
მოვხდი სახურავს,
და სანელებლებით გაჯერებული ლუკმები
კალმის წვერიდან
ენის წვერზე გადაბარგდება.“

ყველაზე მეტად ქინძი უყვარს და ვანილი, კიდევ ბულგარული წიწაკა – თუმცა მავნე ბოსტნეულია, ყველაფერი თავის ჭკუაზე მიჰყავს.

რისი გაკეთება არ იცის – ათასგვარი ხორცის და თევზის კერძის, რულეტებისა და ღვეზელების, ჯადოსნურად გამომცხვარი კომშის, ფორთოხლისა და შოკოლადის დესერტის, ოთხნაირი კრემით დამტკბარი ნამცხვრის . . .

ნამცხვარს კარამელიან ჩაის ვატანთ და ათას რამეზე ვლაპარაკობთ – რომ არსებობს წვნიანი ლექსები, ხმელი ლექსები, მლაშე ლექსები, ხორციანი ლექსები, მსუყე ლექსები, ზედმეტკრემიანი ლექსები – თურქული ნამცხვარივით ცხიმსა და შაქარში რომ ტივტივებს, წყალ-წყალა ლექსები და ისეთებიც, მადის მიუხედავად, ვერაფრით რომ ვერ მიეკარები. რომ სენტიმენტალური პათეტიკა – ეს იგივე პილპილი და შაქარია ერთად, რომ ყველაზე მეტად ლექსს და ნამცხვრის ბისკვიტს სჭირდება სიზუსტე და ზომიერება, და მოთმინება, რასაკვირველია.

თუმცა ეს ყველაფერი ვისღა ახსოვს, ისეთი გემრიელია ეს ნიგვზიანი რულეტი.

p.s.

მოცემულობა: საქონლის ხორცი, ტარხუნა, მოცარელა, მაიონეზი, ქინძი, წიწაკა, მარილი

რეცეპტი №1

ხორცს ვჭრით თხელ ნაჭრებად, ვბეგვავთ, მარილსა და წიწაკაში ამოვავლებთ, მოვაყრით წვრილად დაჭრილ ტარხუნას და ქინძს, გადავახვევთ, დავამაგრებთ ჩხირებით, დავაწყობთ ტაფაზე და შევწვავთ აირღუმელში. როცა შეიწვება, გამოვიღებთ, მოვუსვამთ მაიონეზს, მოვაყრით გახეხილ ყველს და ორი – სამი წუთით შევდგამთ უკან. ***ნატო ინგოროყვა***

რეცეპტი №2

ხორცს ვჭრით წვრილ ნაჭრებად, ვხარშავთ, ბულიონში გავხსნით მაიონეზს, ტარხუნას, ქინძს, მარილსა და წიწაკას, მოვასხამთ ხორცს, მოვაყრით ყველს და რამდენიმე წუთით შევდგამთ აირღუმელში. ***ლელა სამნიაშვილი***

რეცეპტი №3

ხორცის ნაჭერს დავბეგვავთ, მოვაყრით მარილს, პილპილს და ყველს, შევახვევთ ფოლგაში და აირღუმელში შევწვავთ, მაიონეზში გავხსნით დაჭრილ ტარხუნას, ქინძს, მარილს და წიწაკას, მოვასხამთ შემწვარ ხორცს და მოვაყრით გახეხილ ყველს. ***ეკა ქევანიშვილი***

როგორ დავლიე ლია სტურუასთან ასკილის ჩაი, როგორ გავსინჯე მაია სარიშვილთან ფერად-ფერადი მარმელადები, როგორი ფხლოვანების ცხობა იცის რუსუდან კაიშაურმა და რა გემო აქვს ეთერ თათარაიძესთან „დამბალ ხაჭოს,“ ამაზე სხვა დროს მოვყვები, ეს სხვა კულინარიული თავგადასავალია.

მუსიკის გემო

ავტორი: მიშა მდინარაძე

გამარჯობა! მე მიშა მდინარაძე ვარ, „სამედიცინოდამთავრებული“ მუსიკოსი. ვიცი, განათლების შესახებ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოდგენაში ეს არ ჯდება (აუცილებლად დიპლომირებული უნდა იყო), მაგრამ ასეც ხდება – წითელი დიპლომი უდიპლომო პროფესიამ ძალიან მარტივად დაამარცხა!

მე მიყვარს მუსიკა, ვფიქრობ მის უნივერსალურ მისიაზე და ვოცნებობ მომავალზე, რომელშიც ადამიანები ერთხმიანობიდან მრავალხმიანობაზე გადავლენ. აი, მაგალითად, სიხარული არა ინტონაციის ცვლილებით, არამედ აკორდული ჰარმონიის პერიფრაზით გამოიხატება! საინტერესო იქნება, არა?! შეიძლება – არც.

მოკლედ, ამ სვეტში მე წარმოგიდგენთ თანამედროვე მუსიკალური მიღწევების ნიმუშებს. მარტივად რომ ვთქვათ, თითო ნომერში ჟურნალის ფურცლებიდან მოგასმენინებთ ორი სხვადასხვა ჟანრის ახალ ალბომს.

წინასწარ გამიჭირდება ჟანრების სისტემატიზირება, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რის მოსმენის სურვილი გამიჩნდება სვეტზე მუშაობის მომენტში, თუმცა ვეცდები, აქცენტი არა მეინსტრიმზე, არამედ ინდი მუსიკაზე გავაკეთო. ალბათ, ეს უფრო საინტერესო იქნება.

მუსიკის მოსმენა თავისებური რიტუალია, ის მოითხოვს უამრავ ჟანგბადს და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს. სამწუხაროდ, ჩემს ოთახში არც ერთია და არც – მეორე, რადგან ქალაქში ვცხოვრობ და თანაც მწეველი ვარ. სამაგიეროდ, სხვა ყველა პირობა მაქვს მუსიკასთან პირისპირ დიალოგის გასამართავად, ხშირად პოლემიკის მოსაწყობადაც, რაც გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე ადამიანებთან დაძაბულ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე ცხარე კამათი.

დღეს ძალიან დავიღალე. სარეკლამო რგოლისთვის მუსიკა დავწერე, მერე ცოტა ხნით წამოვწექი, კომპიუტერში აითიუნზი გავხსენი და გადავხედე ონლაინ მაღაზიას, იქ უამრავი მუსიკა იყიდება – კარგიც და ცუდიც, კომერციულიც და საავტოროც, მოკლედ, არჩევანი დიდია! სწორედ არჩევანია მნიშვნელოვანი მუსიკის მოსმენისას, ის ცვლის შენს ხასიათს, შენს დამოკიდებულებას სივრცესთან, ბალანსს შენსა და სამყაროს შორის!

აშკარა იყო დღეს „დალაგებული“ მუსიკის ხასიათზე არ ვიყავი, ამიტომ დავიწყე ექსპერიმენტული მუსიკის განყოფილებაში 2010 წლის ალბომების ძებნა და ერთ ძალიან საინტერესო ალბომს გადავაწყდი! სწორედ ეს პროექტი და მათი ახალი ალბომი იქნება თქვენთან ერთად კოლექტიური მოსმენის პირველი ნიმუში. ალბათ გსმენიათ მარკუს პოპპისა და მისი „ოვალის“ შესახებ, ამ პროექტის დახასიათება რამდენიმე სიტყვით ასე შეიძლება: მუსიკა სადაც საკუთრივ მუსიკის, როგორც ასეთის, ხვედრითი წილი მინიმალურია, მაშინ როდესაც მუსიკის, როგორც სოციალური მოვლენის და თანამედროვე საზოგადოებრივი ქცევის რეფლექსიის კომპონენტისა, განუზომლად დიდი. ცოტა არ იყოს, რთულად გამომივიდა, მოკლედ ყველაფერი სტერეოტიპების ნგრევით დაიწყო. პოპმა პირველმა „დაამახინჯა“ კომპაქტ-დისკის ჟღერადობა. მან დისკის საფარს გადაუსვა ლაზერისთვის მიუწვდომელი ფლომასტერი, რომელმაც დაკვრისას გამოიწვია ლაზერის ბილიკიდან ბილიკზე ხტომა, აქედან მოდის სახელი მხტომარე დისკი. სანამ ოვალზე დავიწყებდი წერას, პოპპთან რამდენიმე ინტერვიუს გავეცანი, სიმართლე გითხრათ, ვერაფერი გავიგე, ისეთი განცდა გამიჩნდა, რომ თავადაც არ ესმის, რას ლაპარაკობს.

ერთი ფაქტია აღსანიშნავი! პოპპმა დაარღვია აქამდე არსებული სტერეოტიპი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ჟღერდეს საკრავში ჩადებული კომპაქტ-დისკი. პირველი ასეთი ცდა გახლდათ ჯაზ-სტანდარტების კრებული, რომელმაც პოპპის ხელში სრულიად ახალი მნიშვნელობა და ჟღერადობა შეიძინა. 1994 წელს გამოსული ალბომი «systemisch» კი წარმოადგენს ჯგუფ Aphex Twin-ის ალბომის «Selected Ambient Works II» პოპისეულ მოდიფიკაციას. რაც შეეხება ალბომს „o" რომლის მოსმენას, ახლაც, წერის დროსაც განვაგრძობ, ძნელია, არ დაარქვა მუსიკალურ-ურბანული ექსპერიმენტი.

ნეტა, როგორ უნდა წაგიმღეროთ ეს ყველაფერი ფურცელზე?! მივხვდი! სულ ცოტა ხნით დადექით ჭავჭავაძის გამზირზე, ან იმ ქალაქის მაგისტრალურ ქუჩაზე, სადაც იმყოფებით და თვალები დახუჭეთ, მხოლოდ სმენით დაინახეთ! თავად პოპპს საკუთარი შემოქმედების განსაზღვრებაზე ძალიან მკაფიო მოსაზრება აქვს. ის ამბობს: ექსპერიმენტი, ეს არის საფარი, რომლის ქვეშაც მალავენ არშემდგარ პროდუქტს, მისთვის მიუღებელია მუსიკა, როგორც ჩარჩო პროდუქტისა, რომელსაც ის ქმნის, ამ მოსაზრებას მეც ვეთანხმები.

ეს ალბომი ალბათ უფრო მათ დაინტერესებს, ვისთვისაც არა მუსიკალური ერთიანობის, როგორც ფორმის სრულყოფილების, აღქმაა მნიშვნელოვანი, არამედ მათ, ვისაც ჩემსავით ყველაფრის ფაქტურებად დაშლა და დეტალიზაცია იზიდავს. ერთი შეხედვით, ალბომი მუსიკალურ სიახლეს არ წარმოადგენს. მისი მოსმენისას კარლჰაინც შტოკჰაუსენის ადრეული ექსპერიმენტები მახსენდება, რომ არა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორი! შტოკჰაუსენის „ელექტრონიკა" გაცილებით უფრო არგუმენტირებულად მეჩვენება, ვიდრე პოპპისა. პოპპის მუსიკალური ანატომიის თეატრი კი მეტწილად გულწრფელად და ინტუიციურად! მოკლედ, ამგვარი მუსიკის მოყვარულებს გირჩევდით ამ ალბომის და ზოგადად პროექტ „ოვალის" ადრეული ნამუშევრების მოსმენას! ჩემ ოთახში ძალიან დაცხა, როცა ფანჯარა გავაღე, მივხვდი, რომ ცოტა დამღალა ოვალმა! ქალაქის ხმაურის უკიდეგანო ეფექტები პრაქტიკულად უფუნქციოს ხდის ახლა ჩემთვის ამ მუსიკას! რას მოვუსმინო შემდეგს? პარკში მინდა, გავისეირნო, თანაც სიგარეტის ბოლმა დამახრჩო, ჩემი აიპოდ ნანო ავიღე, ველოსიპედზე დავჯექი და გავედი, ან უფრო სწორად – გავგორდი პარკისკენ. ნეტა, რა მაქვს აქ ჩაწერილი?! საკუთარ თავს ვეკითხები და თან ვეძებ რაიმე ისეთს, რაც პედლების ტრიალს გაცილებით მსუბუქს გახდის, სწორედ ამ დროს დაიწყო chechere chechere cheee...

უცბად მივხვდი, რომ ირგვლივ მთელმა სამყარომ ფერი იცვალა და ველოსიპედიც საოცრად მსუბუქი გახდა, სპილბერგის et გახსოვთ? და ის ცნობილი კადრი, ბიჭები რომ იტისთან ერთად გაქცევას ცდილობენ, აფრინდებიან და ველოსიპედებით მთვარეს ჩაუფრენენ. chechere chechere cheee... ეს ბობი მაკფერინია. მისი ახალი ალბომის – „ოქებულარის" კომპოზიციას, რომელსაც ვუსმენ baby ჰქვია. ის აფრიკულ „ნანა"-ზეა გაწყობილი და მაკფერინთან ერთად მას 22 სხვადასხვა ჟანრის, ფაქტურის და ეთნიკური წარმომავლობის მომღერალი მღერის. როგორ მინდა, მთელი ადამის მოდგმა ამ ენაზე ლაპარაკობდეს, საოცარი სიმსუბუქე, რაღაც უცნაური მუსიკალური სიო, რომ გიბერავს და გაცოცხლებს. თითქოს სწორედ აი, ეს მრავალხმიანობა, უფრო სწორედ მრავალფაქტურობა აკლდა ამ გენიალურ მუსიკას.

მივქრივარ და ვხვდები: ეს მუსიკა უნდა მოგასმენინოთ. პოპპის პროექტისგან განსხვავებით, ბობის ახალი ალბომი სრულიად ჯდება მუსიკალური ჰარმონიზმის ჩარჩოში. ის ერთდროულად ძალიან რთული და მარტივია. აი, რა მხიბლავს მაკფერინის მუსიკაში, ბავშვური სიმსუბუქე და ფუნქციის, მუსიკის ჭეშმარიტი დანიშნულების ძიება. აუცილებლად მოუსმინეთ ამ ალბომს და თავად დაინახავთ, როგორ ერთხმად ამღერდება მთელი სამყარო თქვენს თვალწინ!

დღეს ამით დავამთავროთ. უკვე მეძინება, მუსიკას ხვალაც უნდა მოვუსმინო, თან – დილით. ამის კეთება ცხელი შოკოლადის თანხლებით მიყვარს. როგორც აღმოჩნდა, გემო მუსიკასაც აქვს და ეს გემო მე ყველაზე მეტად მიყვარს!

ჰუსეინ ჩალაიანი

არქიტექტურა, რომელიც გაცვია

ავტორი: ლენკა ციციშვილი

აგვისტოში სტამბულში, „Istambul Modern"-ში ჰუსეინ ჩალაიანის გამოფენაზე სულ შემთხვევით მოვხვდი. ეს ის გამოფენაა, რომელზე მოხვედრაც ერთი წლის წინ, ლონდონში, მერე ტოკიოშიც ძალიან მინდოდა. ჰუსეინ ჩალაიანი - ჩემი ყველაზე საყვარელი თანამედროვე ხელოვანი და მოდელიორია.

ჩალაიანის შემოქმედებაში ხელოვნების მიმართულებებს შორის საზღვარი თითქოს წაშლილია: ის ერთდროულად აკეთებს – კინოს, მოდას, ინსტალაციებს, ქანდაკებებს, ავეჯს, რომელიც ტანსაცმლად იქცევა და არქიტექტურას, რომელსაც იცვამ... კაბებს, რომლებიც ქრება, ან ქუდებს, რომლებიც კაბებს ისრუტავს. კერავს ტანსაცმელს, რომელსაც თავის ეზოში მარხავს, შემდეგ თხრის და აკვირდება, რა უქნა ტანსაცმელს მიწამ და მინერალებმა. ის, რაც მას შეუქმნია, საოცრად შთამბეჭდავია, უცნაურად ძალიან ლამაზი.

ჩალაიანი თეთრ კაბებს ხან 15 ათასი UD ნათურისგან აწყობს, ხან 200 მოძრავი ლაზერით, რომელიც ანათებს. მისი კაბები მოძრაობენ და იცვლიან ფორმებს.

თვითონ ამბობს, რომ ყველაზე კარგად საკუთარ თავს ფილმებში გამოხატავს – ატმოსფეროთი, ქორეოგრაფიით, იდეებით.

„არტისტს აქვს სამყარო, რომელიც ზოგჯერ ფილმია, ზოგჯერ კოლექცია, ზოგჯერ მისი ოდნავ სევდიანი და უბრალო ღიმილი". ეს ღიმილი გამოფენაზე აღარ ყოფილა; გამოფენამდე იყო, აეროპორტიდან სასტუმროში მისულს გვერდზე ჰუსეინ ჩალაიანი რომ მეჯდა, სწორედ მაშინ. დაუჯერებელია, მაგრამ ასე იყო. ჩემმა მეგობარმა, რომელსაც ჩავჩურჩულე – ეს ჩალაიანია-მეთქი, მითხრა: ახლა დაწყნარდი, ძალიან აჟიტირებული ხარ, არაფერი ჩალაიანი არ არის, ეს ვიღაც ჩვეულებრივი ბიჭიაო.

მეც ვაკვირდებოდი და მართლაც ჩვეულებრივი ბიჭი იყო, მშვიდი, უბრალოდ ჩაცმული, ცოტა სევდიანი და ვიფიქრე, ვინმე თბილისელი ბიჭი ხომ არ არის და ამიტომ ხომ არ მეცნობა-მეთქი.

მაინც ვკითხე და ის აღმოჩნდა. ეგრევე ვუთხარი, თქვენი გამოფენისთვის ჩამოვედი, საქართველოდან ვარ, (უკვე მოეწონა). მერე ვუთხარი, ჩემი ძალიან კარგი მეგობარი, ქეთევანი, თქვენთან მუშაობდა, (ეს კიდევ უფრო მოეწონა) და თვითონაც აღარ სჯეროდა ამდენი დამთხვევების. და როცა ვუთხარი, რომ მის კოლექციებს ჩემს მაღაზიაში ვყიდდი და ჩვენებებზეც ვესწრებოდი, უკვე მეგობრები ვიყავით.

უკვე თვითონაც იცინოდა ამ დამთხვევებზე. მერე მოვუყევი, როგორ ვყიდდი ომის დროს მის ახალ კოლექციას სახლიდან.

თვითონაც ომის შემდგომ 12 წლის ასაკში წავიდა ნიქოზიიდან ლონდონში და იქ დარჩა. ისწავლა St. Mat-ინის სკოლაში და ამბობდა, რომ არც ლონდონელი იყო ბოლომდე და კვიპროსზე ჩასვლის დროსაც ვერ გრძნობდა თავს მთლად აბორიგენად.

მგონია, რომ შენც ასე ხარ, საქართველოსთან ყველაზე ახლო მეგაპოლისი ხომ სტამბულიაო. – არა, არა, ჩემი დედაქალაქი თბილისია და თან მთელი კავკასიის დედაქალაქი- მეთქი, – ვუთხარი, მაგრამ მგონი ვერაფერი გაიგო.

ახალი კოლექციის წარდგენაზე მეპატიჟება. ასე რომ 30 სექტემბერს ჩვენებაზე მივდივარ და ვფიქრობ „ცხელი შოკოლადისთვის" ამ ამბის გაგრძელებაც დავწერო.

დარმწუნებული ვარ, ძალიან საინტერესო გამოვა. ბოლოს და ბოლოს, ეს ჰუსეინ ჩალაიანია, კაცი, რომელიც კერავს კაბებს, რომლებიც ქრება, ან ქუდებს, რომლებიც კაბებს ისრუტავს. კერავს ტანსაცმელს, რომელსაც თავის ეზოში მარხავს და შემდეგ თხრის და ნახულობს, რა დამართა ტანსაცმელს მიწამ და მინერალებმა. და მართალი რომ გითხრათ, ძალიან შთამბეჭდავია ის, რაც შეუქმნია... და ლამაზი, უცნაურად ძალიან ლამაზი.

amos







AQUALIA THERMAL

ინტენსიური დამატენიანებელი კრემი
24 საათიანი მოქმედებით.
შეიცავს უნიკალური მინერალებით
გაჯერებულ VICHY-ს თერმულ SPA წყალს.
ატენიანებს და ამშვიდებს კანს,
შედეგად კანი ხდება გლუვი,
ხავერდოვანი და რბილი,
იძენს ჯანსაღ ფერსა და სიმკვრივეს.

LIFTACTIV CxP

რეკონსტრუქციული საშუალება ნაოჭების
წარმოქმნისა და კანის სიმკვრივის
დაკარგვის საწინააღმდეგოდ. ასტიმულირებს
ელასტინისა და კოლაგენის სინთეზს, ზრდის
ფიბრობლასტების რაოდენობას. შესამჩნევი
შედეგი სახეზეა 4 დღეში – კანი გადასწორდება
და მკვრივდება, კლებულობს ნაოჭების
რაოდეობა.

NORMADERM

დამატენიანებელი და მაკორექტირებელი საშუალება
პრობლემური კანისათვის. მოქმედებს ცხიმიანი
კანის ყველა ტიპის პრობლემის საწინააღმდეგოდ
და ახდენს კანის შესამჩნევ ტრანსფორმაციას.

LIFTACTIV

გია აბულაძე

არქიტექტორი

ავტორი: რატი ამაღლობელი
ფოტო: ლევან ხერხეულიძე, გია აბულაძის პირადი არქივი

ფიტო-თერაპიული ხელდასხმა

დაახლოებით ათი წლის წინ, როგორც იტყვიან ხოლმე, პატარა „ბიოგრაფიული კრიზისი“ მქონდა, ფიზიკურად რომ არაფერი გჭირს და მაინც რომ არ ხარ კარგად, აი ეგეთი. ყველაფრის მიმართ გამძაფრებულად მგრძნობიარე და იოლად მოწყვლადი რომ ხარ. ეს დრო ჩემ ცხოვრებაში ცხადად მახსოვს, ასეთ მგრძნობიარე ეპიზოდებში ხომ კარგად ნაცნობი ადამიანები სრულიად ახლებური კუთხით წარმოჩინდებიან ჩვენს წინაშე, სრულიად განსხვავებულ და აქამდე უცხო დეტალებს ვამჩნევთ მათში, თითქოს შესაძლებლობა გვეძლევა, თავიდან აღმოვჩინოთ ისინი, ანუ საკუთრივ ჩვენს აღქმასთან ერთად თავად ჩვენ ვიცვლებით და არა – აღმოჩენილი ადამიანები. ასეთი ადამიანები ჩვენივე თავის აღმოჩენაში გვეხმარებიან. ჩემთვის ერთ-ერთი ასეთი ადამიანი გია აბულაძეა.

ამგვარი თვითაღმოჩენის ამბავი კი ასე დაიწყო – თბილისში იყო ზაფხული, ცხელი, ისეთი, ხვატისაგან ქუჩები, საავტომობილო გზები, სახურავები და ყველა მოძრავი, თუ უძრავი საგანი მხურველე ორთქლში რომ ირწევა. უჰაერო და ცხელი აგვისტო საუკეთესო დროა ნევროზისთვის, მისწრება.

ამ ნაცრისფერ განწყობებში ვიყავი, როცა გიასთან მოვხვდი ქალაქგარეთ, თავის პატარა ეზოში ბალახს კრეჭდა საკრეჭი მანქანით. სტუმრები ბევრნი ვიყავით და აივანზე გიას მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები გვიმასპინძლდებოდნენ, თვითონ გია კი ეზოში ჯიუტად კრეჭდა ბალახს, ასეთ დროს ირგვლივ ბალახის სუნი დგას, რომელიც შეუძლებელია, ქალაქში ჩვენი პროზაული ცხოვრების გამო არ გენატრებოდეს. რატომღაც დაუოკებელი სურვილი გამიჩნდა ეზოში ჩასვლის და ბალახის გაკრეჭის.

მივხვდი, რომ ეს მჭირდებოდა, ეს მიშველიდა.

თან ისიც გამიხარდა, რომ რაღაც მომინდა, რაღაცის კეთება, თუნდაც ბალახის გაკრეჭა. ვუყურებდი გიას და ვხედავდი ამ კაცის სიმშვიდეს, თავდაჯერებულობას – რომ შეიძლება, უბრალოდ, ბალახს კრეჭდე და იყო მაგრად, ჰარმონიულად, წელში გამართულად, როგორც ჩვენი დიდი წინაპრები იტყოდნენ; „ჯიგრულად,“ „საკაიფოდ.“

არ ვიცი, სახეზე მეწერა ყველაფერი თუ მარტო გია მიხვდა ამას, დამიძახა – „პრივეტ, რატი-ჯან! არ გინდა, ბალახი გაგაკრეჭინო?“ ეგრევე ჩავირბინე ეზოში. „ამ ზოლს გაყევი, მერე მეორე დაიწყე, მთავარია, დენის შნურს არ გადაუარო, შნური არ გაკრიჭო, ხელზე დაიხვიე და ზოლ-ზოლ მიყევი!“ დავალებას ვისმენდი და ვიღებდი მთელი არსებით, მივხვდი, რომ უკეთ ვარ, „რო მორჩები დაჟე მოგარწყევევინებ მერე, ეგეც ფეშქაშად შენ, ბალუს, ძაღლის ნეხვებია აქ ბევრი, კასილკა არ ტკუცო შიგნით. მერე ბალუსაც გაგაცნობ,“ – ეს მითხრა, უფრო სწორად, გამომიწერა რეცეპტივით. ბალახი რომ გავკრიჭე და მოვრწყე, გიამ ლომისხელა კავკასიური ნაგაზი „ბალუ“ გამაცნო, რომელსაც 2-3 კაცის და რამდენიმე თანამოძმის შეჭმა მოესწრო უკვე. ეს ძაღლი დიდ შიშსა და მოწიწებას აღძრავდა მნახველში, როგორც ნამდვილი კავკასიური, მხოლოდ ერთადერთ პატრონს ცნობდა, პატრონი კი გია იყო, მან გალია გამოაღო, ბალუს ყურში რაღაცები ჩასჩურჩულა და მაგ დღიდან მე და ბალუ დავმეგობრდით.

აივანზე სუფრა გაიშალა. მე კი იმ ზაფხულს პირველად ყველაფრით კმაყოფილი – ვფიქრობდი: – „ბალახი გავკრიჭე, მერე მოვრწყე, ბალუ გავიცანი, მაგარი ტიპია, უკან მომყვება, ეტყობა ვევასე“.

თავისუფლების არქიტექტორი

ბოლო დროს ყველანაირ თეორიას გულგრილად ვეკიდები, სქემები, კონსტრუქციები, აბსტრაქციები და საკუთრივ თეორიები ცხოვრების შესახებ სრულიად მეორეხარისხოვნად მეჩვენება. ჩემი ინტერესის საგანი კონკრეტული ადამიანები გახდნენ. ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ამ ეპოქაში ისე, რომ მათი არსებობა ჩვენთვის და, რაც მთავარია, თავად მათთვის არ არის მოსაწყენი.

რამდენად შეუძლია კონკრეტულ ადამიანს ასეთივე კონკრეტულ ყოველდღიურობაში იყოს თავისუფალი, შეძლოს თავისუფლება, შევიდეს თავისუფლებაში, რამხელაა მისი „ეს“ თავისუფლება. როგორია ის და სად იწყება? ვინ შეიძლება ამის გარკვევაში მომეხმაროს? პირველი რატომღაც გია აბულაძე გამახსენდა, არქიტექტორი, კაცი ფრიად დინჯი, მშვიდი და მცირედმეტყველი, რომელსაც, ვფიქრობ, ყოველთვის აქვს სათქმელი, გააზრებული სათქმელი. რატომ გია აბულაძე? ალბათ, იმიტომ, რომ წლების მანძილზე ჩემი გაფანტული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი განცდები თუ აზრები თბილისზე, როგორც ქალაქზე, როგორც ისტორიაზე, როგორც კულტურულ, ისტორიულ, სოციალურ, ურბანულ თუ არქიტექტურულ ქსოვილზე – გია აბულაძემ ამიწყო და ერთმანეთთან დამიკავშირა. თბილისი, რომელიც გიამ დამანახა – თავისუფალია, დინამიურია, მოძრავი. მრავალი პლასტი აქვს, როგორც ისტორიას, როგორც ადამიანს.

ის ხედავს თბილისს, რომელიც მე მომწონს, რომელსაც არ იგონებს, არამედ ხედავს.

პირველად მან ეს 4-5 წლის ასაკში დაინახა:

„ამას წინათ, სადაც ბავშვობა გავატარე, იმ აივანზე ვიდექი და ვიცი,

რომ ძალიან მიყვარს ეს აივანი, შვიდ წლამდე იქ ვიზრდებოდი, იქ პატარა სკამი იყო და ჩამოვჯექი, გავიხედე ჭუჭრუტანაში, აქ კი მივხვდი იმას, თუ სინამდვილეში რა მახსოვს, გამახსენდა, ბაბუაჩემის კისერზე რომ ვიჯექი და რომ იქაურობაც დღემდე ბაბუაჩემის კისრიდან დანახული მახსოვს.“

ბაბუის კისრიდან დანახული სამყარო

გადავწყვიტე, პირველი ინტერვიუ ჩავწერო, იმედი მაქვს, რაკი გიამ ოდესღაც ეზო გამაკრეჭინა, წესით, ინტერვიუზეც არ უნდა მითხრას უარი, გიასთან მოლოდინები მიმართლდება, საუბარს ვიწყებთ.

რ.ა. – „გია, ბაბუის კისრიდან დანახული შენი სამყაროს რეკონსტრუქცია ვცადოთ, იქნებ?“

გ.ა. – „მე ჩრდილები მახსოვს, რაღაც ჩრდილები იყო, რომლისაც მეშინოდა, იყო ისეთი ჩრდილებიც, რომ – პირიქით – ველოდებოდი მათ გაჩენას, აღმოცენებას.

ვცხოვრობდით ერთ პატარა ოთახში, რომელიც მე უშველებელი მეჩვენებოდა, მერე მოდის დრო, როცა ეს ოთახი, ირგვლივ სივრცე, ქუჩები პატარავდება.

ბაბუაჩემი მიშა მახვილაძე მაღალი კაცი იყო, სადმე, რომ წავიდოდით, ან მაღაზიიდან გამოვიდოდით, სულ მეშინოდა – გზა არ აგვბნეოდა, ვფიქრობდი, როგორ ხვდებოდა ბაბუა, საით უნდა წავსულიყავით. ეგ მეხსიერება და ეგ ცოდნა გადადის მერე შვილებთან და უფრო შვილიშვილებთან ურთიერთობაში, ანუ მანდ ბრუნდება. მე ხომ მახსოვს ჩემი დამოკიდებულება ბაბუაჩემთან, ახლა ჩემი შვილიშვილი 5 წლის ხდება და მე ვხედავ ჩემს თავს, როგორც ბაბუაჩემს, იმას ახლა მე ვაბრუნებ და იმედი მაქვს და მინდა, რომ მერე ჩემმა შვილიშვილმა ნიკომაც თავის შვილიშვილს დაუბრუნოს. წარმოგიდგენია ეს როგორი რაღაც არის? ჯაჭვივით არის.

მეათე კლასამდე ვიურთიერთეთ მე და ბაბუამ. მერე გარდაიცვალა. როგორი ინტენსიური ურთიერთობა გვქონდა, იცი? სადაც სამუშაო მაგიდა ედგა, მეორე მაგიდა, მის მოპირდაპირედ ჩემი იყო, იქ ვმეცადინეობდი, ვძერწავდი, ვხატავდი, სრული კომფორტი იყო, მერე აღმოაჩინეს, რომ მე ვიზრდებოდი და ვხდებოდი მეორე ბაბუა, თენგიზმა მოჰკიდა ამ მაგიდას ხელი და გადაიტანა თავისთან. ერთად ვცხოვრობდით, დიდი ოჯახი იყო, ამაშიც მაგარი „პრელესტია“. ბებიაჩემი, თენგიზის სიდედრი – ქეთო თოთიბაძე გურული ქალი იყო, იაკობ ნიკოლაძის მოწაფე და მოქანდაკე, იცოდა ენები. როგორც ყველა გურულს, ჰქონდა გამართული ლოგიკა საოცარი იუმორით გაზავებული. მამაჩემი ძალიან სუსტი იყო ამაში, თენგიზი ემოციების ადამიანი იყო, რაღაცას ნახ-

გია და თორნიკე აბულაძეები

კატარა გია და ბაბუა, მიშა მახვილაძე. თბილისი

გია აბულაძე შვილიშვილთან, ნიკოსთან ერთად, თბილისი

ავდა და მორჩა, მისთვის სხვა არაფერი არ არსებობდა, ამით ცხოვრობდა. თენგიზი და ქეთო ხშირად კამათობდნენ და მამაჩემი ყოველთვის მარცხდებოდა ამ კამათში. ერთხელ მუზეუმში ნიკოლაძის სკულპტურას წავაწყდი, ვუყურებ – ახალგაზრდა ბებიაჩემია, ქეთოა. სახლში მივედი და ქეთოს ვუთხარი – ნიკოლაძის ნახელავი, 17-18 წლის გოგოს სკულპტურა ვნახე, შენ გგავს-მეთქი, ქეთოს გაეღიმა და ჩაილაპარაკა; - „ну, сволоч, შემპირდა - არ გამოვფენო“ ქეთო, სამყაროს ამ სიტყვებში ალაგებდა; - „по сравнению с вечностью все хуйня“

რ.ა. – ვერაფერს იტყვი, იდეალური განმარტებაა.

გ.ა. – ცხოვრების ორი კატეგორიაა. ჩემი ოჯახი, ბებია და ბაბუა დამეხმარა, რომ გამერკვია ცხოვრებაში რა არის, ერთი მხრივ, «вечности»-ის და მეორე მხრივ, «хуйня» -ს კატეგორიიდან.

რ.ა. – თბილისი, თუ იყოფა ამ კატეგორიებით შენთვის?

გ.ა. – თბილისი არის მრავალნაირი, ძალიან გრძელია, დროშია გრძელი, დიდი სიღრმეები აქვს, უფსკრულები, რომელშიც შეგვიძლია, ჩავიდეთ. არის, რაღაც სიღრმეები, რომელიც მე არ მაინტერესებს, მე არც არქეოლოგი ვარ, არც ისტორიკოსი და ხოხბამდე ჩასვლა არ მინდა. ერთი რამ მკაფიოდ, ჩანს, რომ თბილისს საკუთარი კულტურა აქვს, რაღაც უფრო განსხვავებული, ვიდრე – მთლიანი საქართველოსი.

ორივე ძალიან მშობლიურია, მაგრამ ორივე განსხვავებული ერთმანეთისაგან. ის თბილისი, რომლისადმიც ჩვენ ნოსტალგია გვაქვს, რომელიც გვგონია, რომ იკარგება – ფუნქციურად სხვა იყო.

ის თბილისი კავკასიის ცენტრი იყო, ამ ფუნქციით აშენდა და გაშენდა. მანამდეც და მერეც, თბილისი სხვადასხვა კულტურების, რელიგიების, ადამიანების შეხვედრის, თანხვედრის ადგილი იყო და, შესაბამისად, თავისი იერი და ატმოსფერო ჰქონდა, თავისი მეჩეთებით, სინაგოგებით, ეკლესიებით და იტალიური ეზოებით. და სხვათაშორის, სომხების აშენებული იყო, მე ვერაფრით ამოვშლი ჩემი ცნობიერებიდან, რომ ამ ქალაქისთვის ძალიან ბევრი რამ გაუკეთებიათ სომხებს, რომლებიც თბილისელები იყვნენ, არა გეოგრაფიული გაგებით, არამედ შინაარსობრივად ამ ქალაქის ცხოვრებაში იყვნენ ბოლომდე ჩართულები.

მე–19 საუკუნეში ყველა ნიჭიერმა სომეხმა თბილისში მოიყარა თავი, ყოველ შემთხვევაში, ვინც აქ მოვიდა, ყველა ნიჭიერი იყო. დიდ პატივს ვცემ მათ, როგორც თბილისის ამშენებლებს, იმ თბილისის, რომელიც მე მიყვარს.

>>> გაგრძელება გვ. 86

თენგიზ აბულაძის ფილმის „სამკაული სატრფოსათვის“ გადასაღებ მოედანზე, დალესტანი, , 1971

ფოტონური რეაქტორის მოტაცება

ავტორი: პაატა შამუგია
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

„როგორც იქნა, ვეღირსე წერილს" (კოტე ჯანდიერი „საოჯახო ქრონიკა")

როცა ვიაზემსკიმ პუშკინს მისწერა, ბაირონის წერილები დაკარგულაო, პუშკინს უპასუხია: ძალიანაც კარგი, თუ დაიკარგა, ამ წერილებში ბრბო ეძებს დეტალებს, რომ იფიქრონ, აი, ეს მწერალი ჩვენსავით ნაძირალა ყოფილაო.

ასე გამოხატავს კოტე ჯანდიერი თავის დამოკიდებულებას, თვლის, რომ მხატვრული ტექსტი ყველაფერს ამბობს და ავტორთან დაკავშირებული ისტორიები არაფერს ნიშნავს.

საერთოდ, ცოტას საუბრობს, დინჯად, დაგემოვნებით, თითქოს, სანამ სიტყვებს

ფრაზად აქცევს, გემოს უსინჯავს, ფორმას აძლევს და მერე გემრიელად უშვებს. აი, ძველებმა „კოსმოსის" მოწევა რომ იცოდნენ, ისე.

ვცდილონ, შევიყოლიო საუბარში. ამისთვის კი ერთადერთი იარაღი მეგულება ჩემს არსენალში, ეს, რა თქმა უნდა, მწერლობაა.

– ჰენრი ჯეიმსი? – გაისროლა ჩემმა იარაღმა.

– არა. მაინცდამაინც, არა (ფუჭი ტყვიები აღმომაჩნდა)! აქ ორიგინალური ვერ ვიქნები. ჰემინგუეი უფრო მიყვარს. ქვეტექსტის ასეთი ვირტუოზი სხვა არც მეგულება. სელინჯერსა აქვს ეგ თვისება, სხვათაშორის. სულ რამდენიმეა ეგეთი.

ჯერ იყო და, სტუდენტობიდან მესმოდა მისი სახელი, უფრო სწორად, ლიტერატურულ გაზეთებში ვკითხულობდი ხოლმე მის ნაწერებს, ვთქვათ, „საოჯახო ქრონიკას." ოსტატურად ყვებოდა, ზღაპარივით, არამანერულად.

უცნაური კი ისაა, რომ კოტე ჯანდიერი ტელევიზორში საერთოდ არც მენახა. არ ვიცი, მგონი, არც გამოსულა არასოდეს. არ უყვარს ეგეთი რამეები. საერთოდ, ინტერვიუები არ უყვარს. ამიტომ მეგონა, რომ გამიძნელდებოდა მასთან საუბარი. პირიქით კი მოხდა, გადამდები თხრობა აქვს; ისე რომ, შენც იწყებ მასთან ერთად ისტორიების მოყოლას. ყვები და ყვები..... და მერე გახსენდება, რომ მხოლოდ კითხვები უნდა დაგესვა.

არადა, მარწმუნებს, – აბა, როგორ შეიძლება, საინტერესო ისტორიები ჰქონდეს ადამიანს, რომელიც დილიდან საღამომდე სახლში ზის და რაღაცას ჩხაპნის ქაღალდზეო, – მეუბნება, – მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მწერალს ისეთი ბიოგრაფია აქვს, საკუთარ ნაწერებს არ ჩამოუვარდება, ვთქვათ, ბაირონი – რომანივით ბიოგრაფია აქვსო.

კოტე ჯანდიერი წელს პრემია „საბა"-ს ლაურეატი გახდა. მოთხრობების კრებულმა „კონკიას ღამე" წლის საუკეთესო პროზაული კრებულის ნომინაციაში გაიმარჯვა.

მაგრამ პრემიებამდე და აღიარებამდე, ცხადია, დასაწყისი იყო. დასაწყისი, რომელიც განსაზღვრავს ხოლმე მწერლის გზას, კვეთს ორიენტირებს და ჩვენც შანსს გვიჩენს, მწერლის სხვა, მეტ-ნაკლებად უხილავი მხარეებიც დავინახოთ.

მის დროს ახალგაზრდა მწერალთა წრე იყო უნივერსიტეტში, რომელიც უშვებდა ჟურნალს „პირველი სხივი". იყო განხილვები, პრეზენტაციები, განსაკუთრებულ ყურადღებას აუდიტორიასა და რეცენზენტებზე ამახვილებს.

„ახალგაზრდა მწერალთა ნაწერები სამკითხველოში იდებოდა ხოლმე და იქ ეცნობოდა დაინტერესებული ხალხი. მერე ამ ტექსტის ასლები ეგზავნებოდა ორ რეცენზენტს და ინიშნებოდა სხდომის დღე.

მართალია, აუდიტორიის ნახევარს, როგორც წესი, არ ჰქონდა წაკითხული, მათ უბრალოდ, ამბავი აინტერესებდათ. ეგ არაა მთავარი. მანდ იმართებოდა ხოლმე უცნაური პაექრობა ერუდიციაში. ტონს ეს რეცენზენტები აძლევდნენ. მაშინ ეგეთი ეპოქა იდგა, წიგნის მოპოვება მთელ თავგადასავლებთან იყო დაკავშირებული, რთული იყო, ერთი სიტყვით. ბევრი რამე, უბრალოდ, აკრძალული იყო. ქსეროქსზე დაბეჭდილს თუ იშოვიდი ფროიდს, კალკაზე გადაბეჭდილი სამიზდატებიც მოიპოვებოდა. ამ დროს, თუ რეცენზენტს წაკითხული ჰქონდა ფროიდი, იწყებდა განსახილველი ტექსტის ფროიდთან დაკავშირებას. უნდა გამოეჩინა, რითაა, ვთქვათ, რეცენზენტი გატაცებული, ამის დემონსტრირება ხდებოდა ხშირად, ვიდრე ტექსტზე საუბარი. რაკი აუდიტორიის დიდმა ნაწილმა ფროიდი არც კი იცოდა, შესაბამისად, ეს იწვევდა დიდ აღფრთოვანებას, ინტერესს და... გაღიზიანებასაც. იმიტომ, რომ ვიღაცებს ჰქონდათ ექსკლუზივი რაღაცების ცოდნაზე. ჰოდა, ეს დისკუსიები ზოგჯერ ბატალიებში გადადიოდა, რომელიც უნივერსიტეტის ბაღშიც კი გრძელდებოდა ხანდახან. ჩხუბის თემა იყო ლიტერატურა, აზროვნება, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, ინტელექტუალური, კულტურული პროცესები.

და აი, ამ თემების ირგვლივ იმართებოდა ხოლმე ზოგჯერ მუშტი-კრივიც კი.

იყო ამაში კეკლუცობისა და არტისტულობის ელემენტებიც, რასაკვირველია."

გიჩხუბიათ ოდესმე? უფრო სწორად, ლოტმანის გულისთვის თუ გიჩხუბიათ, ან ფროიდის, ან ლევი სტროსის, იუნგის, ჯანდაბას, „დიფ ფარფლის" გულისთვის გიჩხუბიათ? ასეც ვიცოდი.

ჩემს დროსაც გაცილებით ბანალურ თემებზე იმართებოდა ხოლმე მუშტიკრივი, კოტე ჯანდიერის ისტორიებისაგან განსხვავებით. ის კი არა, ჩხუბში ფროიდი რომ გეხსენებინა, შეიძლება, დიდი გაუგებრობა გამოგეწვია.

ცხადია, მხოლოდ ფილოსოფოსების გამო არ პაექრობდა კოტე ჯანდიერი და მისი თაობა. გოგოების გამოც ჩხუბობდნენ. უფრო სწორად, ძირითადად, გოგოების გამო, ან უფრო სამართლიანები რომ ვიყოთ, მხოლოდ გოგოების გამო. საერთოდ, მამაკაცებს შორის ყველა კონფლიქტი ხომ საბოლოოდ გოგოს გამო ხდება. ტროა და ასეთი მასშტაბური რამეები კი არა – ყოველდღიურობაშიც.

ვეუბნები, რომ ჩემი გადმოსახედიდან მისი თაობა ეგზოტიკურ და არტისტულ თაობად მოჩანს – სხვანაირად ცხოვრობდნენ, სხვანაირად კამათობდნენ, სხვანაირად ჩხუბობდნენ, სხვანაირად უყვარდათ.

„– ჰო, აი, ეგ ბოლო პუნქტი საკამათოა, – მაწყვეტინებს, – მგონი, მაშინაც ისე გვიყვარდა, როგორც ახლა გიყვართ. ეგ განცდა მგონი, არ იცვლება."

ალბათ, ასეა. თუმცა, მგონია, რომ გვინდობს, ჩემს თაობას ინდობს, რომელსაც ხშირად ინდიფერენტულობას, უსიყვარულობას, ტექნოფილიას და ჭარბ „მიწიერებას" აბრალებენ ხოლმე.

მიწიერების რა გითხრათ, მაგრამ მიწასთან კი პირდაპირ არის დაკავშირებული კოტე ჯანდიერის პროფესია – გეოგრაფია-გეოლოგია. საინტერესო პროფესია უნდა იყოს მწერლისთვის.

„მაშინ მოდაში იყო ეკონომიკური გეოგრაფია, ახალი შემოსული იყო ეს სპეციალობა. საინტერესო ხალხი ასწავლიდა. საინტერესონი იყვნენ იმითაც, რომ ეს იყო ხალხი, რომელმაც გააღწია კონტროლს მიღმა, საბჭოეთს მიღმა. მაშინ ეს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გახდა დერეფანი იმ სამყაროსთან, რომელიც მხოლოდ წარმოსახვაში გვქონდა, სადღაც ამოკითხულით და ამოგლეჯილით. საინტერესო და მოდური იყო. რაც მთავარია, ერთი პერიოდი, უნივერსიტეტის მწერალთა წრეში მთელი ხელმძღვანელები იყვნენ გეოგრაფ-გეოლოგები."

ცხადია, ამის მერე ბევრი რამე შეიცვალა. დასავლეთი ასეთი მიუწვდომელი აღარ არის, „ბითლზის" კი არა, ელის კუპერისა და მერლინ მენსონის სიმღერებს მოისმენ მანქანებში, „მშრალი კანონიც" არ არსებობს და ეკლესიაში შესვლას არავის უკრძალავენ (ის კი არა, პირიქით, უმეტესად აძალებენ კიდეც). რელიგიაზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი აქვს, თვლის, რომ ეკლესიის – როგორც ინსტიტუციის – უსასრულო გაძლიერებამ რწმენა გაამყიფა.

„რელიგიასთან ჩვენი დამოკიდებულება მაშინ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტით იყო განპირობებული, ეს იყო, ფაქტობრივად, აკრძალული. ეკლესიაში სიარული დაკავშირებული იყო, ვერ ვიტყვი დიდ, მაგრამ მაინც უსიამოვნებასთან, ხელშესახებ უსიამოვნებასთან. კომკავშირული „პროჟექტორები" იდგნენ, ვთქვათ, ლიტანიობის დროს და ა.შ.

ეკლესიაში წასვლა იყო რაღაცა ბიჭობა, გამბედაობის ნიშანი. ერთიცაა, აკრძალვის პერიოდში რწმენა უფრო მყარი იყო, ვიდრე ახლა არის. იმ პერიოდში შემოვიდა აღმოსავლური რელიგიების ძალიან სერიოზული ნაკადი, ლიტერატურის სახით, ცხადია. თან მაშინ საბჭოთა კავშირში ახალი გამოქვეყნებული იყო ჰერმან ჰესე, თავისი ბუდისტურ-სინტოისტურ-ინდუისტური ალუზიებით, „სიდჰარტა" იყო მაშინ მოდაში.

>>> გაგრძელება გვ. 87

„არის პერიოდი, როდესაც გგონია, რომ მთებს გადადგამ, ყველაფერს გადაატრიალებ. გადატრიალებით მგონი გადავატრიალეთ, მაგრამ საითკენ გადავატრიალეთ, ეგა თქვი შენ. მაშინ კომკავშირის წევრი ლამის ყველა იყო, მაგრამ სტრუქტურებში აქტიურობა გარკვეულ წრეებში სირცხვილად ითვლებოდა. კულტურულობა იყო მოდური, კულტურულობად კი არანომენკლატურულობა ითვლებოდა. თუ ტელევიზორში ხშირად ჩანდი, თუ წიგნებს ყოველ წელს გაუთავებლად გიბეჭდავდნენ და ა.შ., ეს ნიშანი იყო, რომ უკვე გაყიდული იყავი.

NEW
NO!

კარლო კაჭარავა, როგორც ჯოკერი

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: გურამ წიბახაშვილი

ქართველი მხატვრის, პოეტის, ესეისტის და არტ-კრიტიკოსის, კარლო კაჭარავას შესახებ ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ დავით ჩიხლაძისა და დავით ბუხრიკიძის ორ ვრცელ სტატიას გთავაზობთ. აქვე წაიკითხავთ კარლო კაჭარავას უბის წიგნაკის აქამდე გამოუქვეყნებელ ჩანაწერებს.



1978 წელი:

*

სავალალო მდგომარეობიდან თავის დაღწევის აუცილებელი პირობა – ბრძოლაა.

*

ადამიანი ნაწილი არის საერთო სიცოცხლის; ის არასოდეს არ კვდება, რადგან თუნდაც სხვის სხეულში ამ ადამიანის სიცოცხლე გრძელდება.

*

ყველას თავისი წილი თანაგრძნობა სჭირდება. ადამიანი ყოველთვის იმყოფება საცოდავ, არა – ეს ცოტა სიტყვაა. შე, შე-თანაგრძნობის, დიახ ასე, მდგომარეობაში.

კარლო კაჭარავა ახალგაზრდა ექსპრესიონისტი მხატვარი იყო, ვისაც, ალბათ, არასოდეს დაუხატავს ბუნების მოწყენილი პეიზაჟი ან ხასიათით დატვირთული პორტრეტი, ან როგორც პოსტმოდერნისტს, არასოდეს უმუშავია სურათის თითქმის ცარიელ და უკიდურეს ზედაპირზე. ის ხალხითა და პერსონაჟებით სავსე ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს ხატავდა. მისი მისწრაფებები თავიდანვე ავანგარდის მიღმიერ მიმდინარეობას – კარნავალურ ტრანსავანგარდს დაუკავშირდა, რომელიც 70-იანი წლებიდან გავრცელდა ევროპაში. ამავე დროს შეიქმნა „მეათე სართულის” თბილისური ჯგუფი, რომელმაც ნეო-ექსპრესიონიზმისა და „ახალი ველურებისთვის” დამახასიათებელი ფიგურატიულობა, ემოციურობა, ნარატიულობა და ზეიმი შემოიტანა ავანგარდისტულ ნახატში – სადაც კარლო კაჭარავა მთავარი ინსპირატორი და მთხრობელი იყო. სწორედ ამ ნიშნებით მოხდა ჯგუფის პირველი სერიოზული დასავლეთ-ევროპული ექსპორტი გერმანიაში, კიოლნის ფრანსუაზა ფრიდრიხის გალერეაში.

კარლო მოსკოველი არტისტების ხშირი სტუმარი იყო. სვეტა ვიკერსს ერთი მომხიბვლელი 16 წლის ქალიშვილი ჰყავდა, კატია, დღეს მოსკოვური ბენდის „ტრიშკა ენდ მინისტრი ოვ საიქოდელიას“ მომღერალია. ჰოდა, კარლოს ეს გოგონა შეუყვარდა. მას ვიღაც მდიდარი არაბი ბიზნესმენი ეარშიყებოდა, ლამის ყოველ საღამოს ფეშენებელურ რესტორნებში ეპატიჟებოდა. კარლო ასეთ დროს ინტელექტუალურ წუწუნს დაიწყებდა ხოლმე, რომ „პროლეტარები“ ყოველთვის ასეთი დაჩაგრულები არიან, რომ ქალები მათ არასოდეს სწყალობენ. მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა: სვეტა ვიკერსს ეცინებოდა – „კატია არაბთან ერთად სადმე რომ მიდის, კარლოც თან მიჰყვება. მოსვენებას არ აძლევს. ჰოდა, წინ არაბი მიდის, უკან კატია, სულ ბოლოს კარლო მისდევს და გაუჩერებლად უყვება მათ მხიარულ და სევდიან ისტორიებსო“. კარლო მაშინ, რატომღაც, კოჭლობდა და ძლივს ეწეოდა ახალგაზრდა გოგონასა და მოულოდნელად ლმობიერ საქმიან არაბს. თვითონაც მოსწონდა ასეთი როლი, თითქოს ხუმრობით ბრაზობდა, მაგრამ მისთვის

წაგებულის ეს გამოგონილი სტატუსი უფრო პოეტური იყო და ისიც იცოდა, რომ ეს ხელობა ნამდვილად მას ეკუთვნოდა – მოეყოლა უსასრულო ისტორიები ყველასთვის, ვისაც ეს დასჭირდებოდა.

სინამდვილეში კი კატია მართლა უყვარდა. მოსწონდა ეს გოგონა, რომელსაც უბრალო თეთრი ლაბადა ეცვა და უსაზღვროდ უხაროდა, თუ სტუმრობისას კარლო მისთვის ერთ ქილა მაწონს წამოაყოლებდა ბაზრიდან. ასეთ მოსკოველ გოგოებს შემორჩენილი აქვთ ძალა, პოეტურები დარჩნენ. მათ სხვა რამე აინტერესებთ – არტისტებისა და პოეტების ბიოგრაფიები შექმნან, ამით ამაყობენ. მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რომ მათი ტრუბადურული რომანი უშედეგო იქნებოდა.



კარლო ტრუბადური იყო და არა მარტო ამ შემთხვევაში. მას თითქოს საყვირი ეჭირა ხელში და ასე გვამცნობდა საქართველოში ახალი ხელოვნების მოახლოებას. მას მხატვრებისთვისაც ჰქონდა მრავალი ისტორია მოსაყოლი – ანსელმ კიფერზე, ზიგმუნდ პოლკეზე, ჯეფ ჯუნსზე, ჯულიან შნაბელზე, პიერ ალეხინსკიზე უყვებოდა, ახალ მიმდინარეობებს აცნობდა – ნეოგეოს, ტრანსავანგარდისა და ღარიბი ხელოვნების შესახებ. მრავალმხრივი იყო მისი საუბრები. მას ახსოვდა ყველა მხატვარი, ვისაც კი ცხოვრებაში თუ წიგნის ფურცლებზე შეხვედროდა, იცოდა ყველას ადგილი და როლი. საინტერესო კი ის იყო, რომ მისი ეს ინტერესი ცალმხრივად მხატვრობით არ შემოიფარგლებოდა, შეეძლო, დაუღლელად ელაპარაკა სხვადასხვა რეჟისორზე – ფასბინდერზე, პოლანსკიზე, კანჩალოვსკიზე, ახსოვდა ყველა ფაბულა, ყველა დასასრული და დასაწყისი.

ის ისტორიკოსი იყო, ანუ ლიტერატურული ხელოვანი. შეიძლება, ამიტომაც მისი ექსპრესიონისტული ნახატები ტექსტებით აღიჭურვა და სიუჟეტურ სურათებად და სერიებად დალაგდა. როგორც ეს კომიქსებში ხდება, კარლო ამ ნახატებში კონდენსირებულ და ფრაგმენტულ შინაარსს ქმნიდა, პოეტური და ლირიკული ხაზგასმით. მის ნამუშევრებს კარნავალური მხიარულება და ინტელიგენტური კომიკურობა ახასიათებდა. ჩვენთვის მითიური, მისთვის კი, როგორც ვიცით, სრულიად რეალური – ჩრდილოელი ქალბატონი – ფრაუ ჰელენაც



1978 წელი:

*

ჯერ კიდევ ბავშვობაში ვფიქრობდი რამოდენიმე შრეზე აზროვნებაში: ერთი თითქოს კარნახობს, მეორე ლაპარაკობს, უნდა არსებობდეს მესამეც, რომელიც მხოლოდ ისმენს.

*

ბავშვი იხსენებდა ბებიას, კედლის საათის მონოტონურ ხმაურს, გაუგონარ ბგერებს. ეს თითქოს ჯაჭვი იყო და თვითონაც (ბავშვი) ერთ-ერთ ბგერად გადაიქცა. ეს ჯაჭვი აერთიანებდა წარსულს, აწმყოსა და მომავალს და ბავშვიც გრძნობდა, რომ ბებიას სუნთქვის თანაზიარია.

სწორედ ამ ლირიკულ-კომიკურ რიგშია და როგორც ფიროსმანის მარგარიტა, ისევ შეგვახსენებს - სიყვარული ბოლომდე არასოდეს იქნება ჩვენი.

კარლო კაჭარავა კომუნისტების დროს, 1987 წელს გავიცანი, როდესაც სასტუმრო „ივერიის“ მიწისქვეშა კომპლექსში ვრცელი გამოფენა მზადდებოდა. ექსპოზიცია ამ მიტოვებულ, მრავალსართულიან მიწისქვეშა ლაბირინთს თანამედროვე ხელოვნების ველური ინსტალაციების შთამბეჭდავ ოაზისად აქცევდა. ამ ნახატების კვალი დღემდე შემორჩენილია ამ ადგილზე, როგორც ოდინდელი არქეოლოგიური ნაკვალევი, სადაც დღეს ხინკლის სახლი და ხინკლის სამყარო განლაგდა.

>>> გაგრძელება გვ. 89

1979 წელი:

*

ჰუმანურობა, სოციალურობა, თანადგომა შეუძლებელია სამშობლოს გარეშე. თვით სიტყვა სამშობლო შეიცავს თავისთავში მცნებებს მეზობლობის, ნდობის.

*

აი, რა ძნელია საყვარელი არსების რაღაც გარემოში, ოთახში. საცხოვრებელში მოთავსება; ამისათვის მთავარია გიყვარდეს ეს მისი გარემო, მისი სივრცე, თვითონ მასზე არაფერს ვამბობ.

1980 წელი:

*

მე სრულუფლებიანი წევრი ვარ საზოგადოებისა, რომელსაც მე არ ვჭირდები.

1982 წელი:

*

თუ ღმერთი გწამთ, ნუ გამიჯნავთ ბავშვებს ადამიანებისაგან! ბავშვები – ეს ადამიანებია და სწორედ მათში ღებულობს სათავეს ზრდასრული ადამიანის ბევრი გრძნობა და ჩვევა. ეს სათავე ჩანასახის სახით გვხვდება მხოლოდ.

*

როგორც ჩანს, მხოლოდ შიშს შეუძლია ადამიანის მოქცევა ჭეშმარიტებისაკენ. შიში კი შედეგია ერთხელ ან იქნებ რამოდენიმეჯერ გადატანილი: ტკივილის, უბედურების თუ შეშფოთების.



ესკიზები ფერმკრთალი პორტრეტისთვის

ავტორი: დავით ბუხრიკიძე
ფოტო: გურამ წიბახაშვილი



1983 წელი:

*

უკვე რამდენიმე წლის წინ ცხადი იყო, რომ „მტაცებლებთან“ მეგობრობა, მათი ნასუფრალით კვება და მათი მხარდაჭერით მოპოვებული სხვა პრივილეგიები ღარიბთა და საშუალო ფენის წარმომადგენელთათვის ძალიან ძვირად ღირებული პრესტიჟი იყო, ეს უკანასკნელნი განწირულნი იყვნენ უხილავი დამთრგუნველი მორჩილებისათვის.

1984 წელი:

*

ცხოვრება ანგელოზთა, მარიონეტთა და ადამიანთა გრძნეული ცეკვაა.

კარლო კაჭარავა უკანასკნელად 1994 წლის ადრეულ გაზაფხულზე, მარტში ვნახე. ზამთარი თითქოს გასული იყო. ძალიან აღარ ციოდა და არც მალე ბნელდებოდა. ყოველ შემთხვევაში, „კომბოსტოსავით“ არ ვიყავით შეფუთულები და სული მოვითქვით. ნაქსოვი ქუდი, რომელსაც ლამის რიტუალურად მოიხდიდა ხოლმე და ჭრელი კაშნე, რომელსაც იშვიათად თუ იშორებდა, ხაზგასმულად არტისტულობის ნიშანს ატარებდა. დღესაც კარგად მახსოვს ნახევრად დათბილული, „დემისეზონური“ მომწვანო-მონაცისფრო ლაბადა, რომელიც წიგნებითა და რაღაც ბლოკნოტებით ჰქონდა გამოტენილი. ყოველთვის რაღაცას ინიშნავდა, იწერდა ან ჩანახატებს აკეთებდა.

მისი გარდაცვალებიდან 16 წლის შემდეგ მეხსიერებაში მთლიანი მისი პორტრეტი კი არ ჩამრჩა, არამედ ცალკეული დეტალები: ხმის ტემბრი, წყვეტილი საუბრები, ირონიული ფრაზები, თითქოს ოდნავ კოჭლობით სიარულის მანერა. თუმცა, დროთა განმავლობაში, ამ ოდნავ გაფერმკრთალებულმა დეტალებმა ჩემთვის უფრო დიდი და გადმწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა.

ახლო მეგობრები არ ვყოფილვართ. მხოლოდ 90-ინი წლების დასაწყისიდან გვქონდა ურთიერთობა, როცა გაზეთ „7 დღეში“ დავიწყე მუშაობა და „მავნე“ კრიტიკოსის იმიჯი მქონდა. ეს მას ძალიან სახალისოდ ეჩვენებოდა და რამდენჯერაც ვხდებოდით, ჩვეული ირონიით რაღაც მოულოდნელს მოაყოლებდა. მაგალითად, ამგვარ ფრაზას: „სერ, თეატრი ძალიან დაგიძველდათ. არაფერი მას აღარ გაამაგრებს, ან უნდა დაანგრიოთ ან შარანტონის გიჟებისა (ალბათ, მხედველობაში ჰქონდა პეტერ ვაისის პიესა „მარატ-სადი“, სადაც მოქმედება შარატონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხდება – დ.ბ.) და ანტონენ არტოს აჩრდილი მოავლინოთ... უკიდურეს შემთხვევაში, რობერტ უილსონი გამოიწეროთ ექსკლუზიურად, მაგრამ ახლა ჰამბურგში დგამს სპექტაკლს, მერე ჩიკაგოში მიდის. ჰოო, მგონი, რიგში უნდა ჩაეწეროთ და თან დაახლოებით მილიონი გაამზადოთ. მისი ჰონორარი საქართველოს ნახევარი წლის ბიუჯეტს უდრის“...

მაშინ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავინ ლაპარაკობდა არც პეტერ ვაისზე, არც ანტონენ არტოზე და არც დიდი თეატრალური რეჟისორი რობერტ უილსონი გაეგო ბევრ ვინმეს. მართალია მხატვარი, ხელოვნების ისტორიკოსი და არტ-კრიტიკოსი იყო, მაგრამ ყოველთვის მაოცებდა სად და როდის ასწრებდა ლიტერატურის, კინოს ან თეატრის შესახებ ამდენი ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას და შემდეგ ნაცნობ-მეგობრებში და არტისტულ წრეებში გავრცელებას.

მახსოვს, ვისაუბრეთ რეჟისორ დავით დოიაშვილის პრემიერაზე. „ცხოვრება იდიოტისა“ მაშინ ახალი დადგმული ჰქონდა კინომსახიობთა თეატრში და თეატრალები და არა მხოლოდ ისინი, მხოლოდ ამ რეჟისორზე და სპექტაკლზე ლაპარაკობდნენ.

1987 წელი:

*

ტრაგედიაა იმის გაგება, რომ ერთი ადამიანის სიკვდილთან ერთად მთელი სამყარო კვდება.

1988 წელი:

*

ჩემი ვადა განსაზღვრულია გარდაუვალი და ჩუმი სიკვდილით!

*

კაცობრიობა მემკვიდრეობად ტოვებს მხოლოდ ტკივილებს.

მომწონდა, რომ 22 წლის რეჟისორმა ასეთი საინტერესო სპექტაკლი დადგა, რომ მიხეილ თუმანიშვილის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მოსწავლეა. მაინც ირონიანაზავი საყვედურით გამაჩერა: „იცი რა, ნიჭს ასაკი არა აქვს და ზედმეტი ავანსის გაცემა ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის ზოგჯერ მავნებელია“.

ეს ყველაფერი მზით ოდნავ გამლღვალ ხვამლის ქუჩაზე ხდებოდა, თამარ მეფის ხიდის გადაღმა, სადაც მაშინ გაზეთ „7 დღის“ რედაქციას მორიგი გადასახლება-გადაბარგება მოუწია. უპირველეს ყოვლისა, თეატრზე ვილაპარაკეთ, მერე „კრიზისსა და გაჭირვებაში გამობრძმედილი ხელოვანის მარტოობის მნიშვნელობაზე.“ რატომღაც კიოლნში, 1990 წელს ფრანსუაზა ფრიდრიხის გალერეაში მოწყობილი და მისთვის მნიშვნელოვანი გამოფენა გაიხსენა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინფორმაციისა თუ ინსპირა-

ციის მთავარ წყაროდ იქცა. შემდეგ მოსკოვიც ახსენა – საბედისწერო ქალაქი, რომელმაც ჯერ სახელოვნებო ოცნებებითა თუ ლირიკული ვნებებით აღავსო და მერე ამ ყველაფერს ნელ-ნელა, მეთოდურად და უხეშად მოუღო ბოლო.

ამ შეხვედრიდან დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, იმავე ხვამლის ქუჩაზე, „7 დღის“ რედაქციაში უკვე მისი ხსოვნისადმი პატარა წერილის თუ ესეს დაწერა მომიწია. ვერც მაშინ მივხვდი და ვერც ახლა ამიხსნია, რატომ კარგავენ სიტყვები მნიშვნელობას, როცა საქმე ჩვენთვის ახლობელი ან მნიშვნელოვანი ადამიანის გარდაცვალებას ეხება? ახლა მეჩვენება, რომ ოდნავ ყალბი და პათეტიკური ტექსტი გამოვიდა. სათაურიც შესაბამისი – „უიღბლო ზავი დროსა და სივრცესთან“. თავად, ალბათ, ძალიან დამცინებდა და მეტყოდა, სულ დაკარგეთ კრიტიკოსებმა ზომიერებისა და იუმორის გრძნობაო.

თუ რიტორიკულ შეკითხვას მაინც დავსვამთ: რატომ დასრულდა მისი ცხოვრება ასე მოულოდნელად, ტრაგიკულად და აბსურდულად? თანაც სწორედ მაშინ, როცა შემოქმედებითი თვითრეფლექსიით, ინფორმაციით სავსე, არტისტული ხილვებითა და დატვირთული განცდებით ცხოვრობდა, შეიძლება ასეთი პასუხი „მოვიგონოთ“:

>>> გაგრძელება გვ. 92

1990 წელი:

*

საქართველოს კანიბალები და მათი ცოლები მართავენ. ამ არაადამიანებმა ყველას თვალწინ გაყიდეს საქართველო და მისგან სამარცხვინო ჯოჯოხეთი შექმნეს.

1991 წელი:

*

პიროვნულობის დათმობის აუცილებლობა მხოლოდ მას არ ესმის, ვისაც რაიმე პიროვნული საერთოდ არ გააჩნია.

1993 წელი:

*

არქაიზმებით გადატვირთული მაღალფარდოვნება მხოლოდ იმის ნიშანია, რომ რეალურად ამ საზოგადოებაში პიროვნება და მისი ელემენტარული უფლებები დიდი-ხანია არაფერს არ ნიშნავს.

მაიქ სთერნი

ძირითადად, მუსიკაზე და ზოგჯერ – სხვა რამეებზეც

ესაუბრა კახა თოლორდავა

მუსიკის შესწავლის პროცესზე

მუსიკა ზუსტად ისე უნდა შეისწავლო, როგორც ახალი უცხო ენა. ამ დროს, როგორც წესი, რაც უფრო თამამი ხარ და რაც უფრო ბევრს ლაპარაკობ ახლად შესწავლილ ენაზე, მით უფრო და უფრო თავისუფლად გრძნობ თავს მასში. მუსიკაშიც ზუსტად ასეა – რაც მეტს ვარჯიშობ, უფრო მეტს უკრავ, რაც მეტს თხზავ, მით უფრო მეტად გახსნილი და გასაგები ხდება შენთვის. ენის შესწავლისას სიტყვებს, ფრაზებს, გრამატიკას და კიდევ ბევრ რამეს სწავლობ. მუსიკაშიც ასეა. სწავლობ ნოტებს, აკორდებს, ჰარმონიას, რიტმს, და ასე შემდეგ, მერე კი ცდილობ ამ ახლად შესწავლილ ენაზე ალაპარაკდე. თავიდან, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ, სამაგიეროდ, რა მაგარია მერე, პირველ წინადადებას რომ იტყვი!

მუსიკა, გული და ტვინი

მუსიკა ზედმიწევნით დახვეწილი ენაა. მას არც დასაწყისი და არც დასასრული არა აქვს. ის უსასრულოა. უსასრულობის სიტყვებით აღწერა კი საკმაოდ ძნელია, არა? ზოგჯერ მუსიკის საშუალებით რაღაც-რაღაცებზე საუბარი ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე – ნებისმიერი სხვა ენის მეშვეობით. შესაბამისად, ის უნდა შეიგრძნო. ხშირად, რაც მეტს უჩხიკინებ და იჭყლეტ ტვინს მუსიკის უკეთ გასაგებად, მით უფრო შორს გაგირბის ის. აქედან ვასკვნი, რომ ყველაფერთან ერთად მუსიკა გულის ენაა. რა თქმა უნდა, მუსიკალური ენის შესწავლისას შენ მუსიკას მის ყველა გამოვლინებაში შეისწავლი, მაგრამ მთავარი არ უნდა დაივიწყო – გული! მუსიკა ადამიანებთან ურთიერთობის საშუალებაა, ხოლო ადამიანებს კი გულიდან წამოსული ბილიკებით უნდა მიუახლოვდე. მაილზ დევისი ამის ნამდვილი ოსტატი იყო. არ ვიცი – როგორ, მაგრამ ის ყოველთვის ახერხებდა გულსა და ტვინს შორის ბალანსის შენარჩუნებას. მან ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი იცოდა მუსიკაზე, მაგრამ დასაკვრელად რომ გადიოდა სცენაზე, ამ ყველაფერს ივიწყებდა და უბრალოდ, უკრავდა. მთელი გულით.

ფოტო: ბორის ბოგატიროვი

სტრავინსკი, გურული სიმღერები და უბრალოება მუსიკაში

აბა, მიდი და შეეცადე სიტყვებით აღწერო ის, თუ რატომ იმოქმედა შენზე ასე ძლიერ რომელიმე მარტივმა და უბრალო ხალხურმა თემამ ან სიმღერამ! ჰო, ამის ასახსნელად შეიძლება, რაღაც მოჩმახო, მაგრამ იმ მელოდიის არსი სიტყვებს მიღმა დაგრჩება. აი, თქვენ მიყვებოდით იმაზე, თუ როგორ იმოქმედა სტრავინსკიზე ქართულმა (გურულმა) სიმღერებმა. დამერწმუნეთ, სტრავინსკი არ შეეცდებოდა იმ სიმღერების დანაწევრებას და მათ ასე აღქმას. ის გულით მიიღებდა ამ სიმღერებს და, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეეცდებოდა თავისებურად მოეხმარა ეს მასალა. ხშირად დიდი და მნიშვნელოვანი შთაგონება, როგორც წესი, უბრალო, ძალიან უბრალო მელოდიიდან მოდის ხოლმე. სტრავინსკი პირველი იქნებოდა, ვინც ამაში დამეთანხმებოდა.

მუსიკა და თანამედროვეობა

რა თქმა უნდა, ინსტრუმენტული მუსიკა ყოველთვის გამოხატავს იმ დროს, რომელშიც ის იქმნებოდა. კლასიკური მუსიკის დიდი ნაწილი ინსტრუმენტულია და მისი სმენისას იმ დროის სურნელი მოგდის. გრძნობ, როგორ ცხოვრობდნენ, როგორ სწამდათ, რამდენად ჰარმონიულად გრძნობდნენ თავს სამყაროში და ასე შემდეგ. ჯაზი სხვადასხვა დროს შექმნილი საუნდის მთელი არქივია, მილიონობით კილოებით და განწყობებებით სავსე მუსიკა და მისი სმენისას ყოველთვის იგრძნობ დროის ფრთების ფრთხიალს. ან, თუნდაც დღევანდელობა ავიღოთ, ახალი ტექნოლოგიები დიდ გავლენას ახდენს მუსიკაზე. სიმართლე რომ გითხრათ, არც კი ვიცი, პირველი რა მოდის – ტექნოლოგია თუ ის მუსიკა, რომელიც ამ ტექნოლოგიას აღწერს, მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, ეს ძალიან მნიშვნელოვანი არაა.

წინაპრები, მათი მუსიკა და ახალი შესაძლებლობები

ვიცი, რომ ამას ხშირად ვიმეორებ ხოლმე, მაგრამ რაც მეტს ვსწავლობ, მით უფრო ნათლად ვხვდები, თუ რა ცოტა ვიცი ჯერ კიდევ. ეს კი ის მდგომარეობაა, რაც კიდევ უფრო მეტის სწავლისკენ გიბიძგებს. ამიტომაცაა დღემდე მოწაფესავით რომ ვუზივარ ჩემი წინაპარი მუსიკოსების, მაილზის, სონი როლინზის, ქოლთრეინის პარტიტურებს და მათ ტრანსკრიფციას ვცდილობ. მოსაწყენი? არა, არა, მოსაწყენი კი არა, ამ დროს სრულიად ახალი სამყარო გეხსნება, იმ დიდი

ბლუზის გარეშე ჯაზი არ არსებობს. იმ მუსიკაშიც კი, სადაც ბლუზი თითქოს არ გესმით, დამიჯერეთ, ის ყოველთვის იქაა, სადღაც მიმალული.

ფოტო: ბერრი ბოგაჩიშვილი

ადამიანების სამყარო! უბრალოდ, ამ დროს მათი ცოდნის ლამის კოსმიურმა მასშტაბმა არ უნდა შეგაშინოს და მათ მონად არ უნდა გაქციოს. პირიქით, მათ მიერ აღმოჩენილმა რაღაცეებმა მომავლისკენ, შენი თავისკენ, საკუთარის აღმოჩენებისაკენ უნდა გიბიძგოს, მათი სოლოების გაშიფვრისას ისეთ რაღაცეებს აწყდები, რაზეც საერთოდ გიფიქრია, მინდა უფრო მეტი ვიცოდე თუნდაც ქართულ პოლიფონიურ მუსიკაზე, რადგანაც ვიცი, ის ახალი შესაძლებლობებისკენ გამიხსნის გზას.

მოცემულ პოტენციალზე და შეზღუდული შესაძლებლობებით მუსიკაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაზე

როდესაც ახალგაზრდებს ვასწავლი და ისინი მეკითხებიან, თუ როგორ უნდა იპოვნო საკუთარი საუნდი და საკუთარი ხმა მუსიკაში, მე ვპასუხობ, რომ მათ დაუღალავად უნდა ისწავლონ. ეს ერთადერთია, რაც მე მათ შემიძლია ვუთხრა, რადგანაც ამის შემდეგ ყველაფერი, რაც მათ შეისწავლეს, მათი უკვე არსებული პოტენციალის, ღმერთის მიერ ნაბოძები მონაცემების მეშვეობით განვითარდება. მეტი გაქვს პოტენცია? მეტი გამოგივა. ნაკლები, გაქვს? ნაკლებს მიიღებ. მაგრამ აი, სწორედ აქაა, სადაც საბედისწერო შეცდომა შეიძლება დაუშვა! რატომ? იმიტომ, რომ ვინ იცის, შენი პოტენციალი რამდენად მძლავრია? ვინ იცის ვის რამდენის უნარი აქვს? არიან მუსიკოსები, ვისაც არც ხმა აქვს და არც ასპროცენტიანი სმენა, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ჯიუტად დგანან თავისაზე, დაუღალავად სწავლობენ და შეუპოვრად მიიწევენ წინ, მათ მთელი მსოფლიო იცნობს. მუსიკოსში ჩადებული პოტენციალი ხშირად განსაზღვრავს არა მარტო იმას, თუ რამდენის გაკეთება შეგიძლია, არამედ იმასაც, თუ რისი გაკეთება არ შეგიძლია და ხშირად ნიჭიერი მუსიკოსები დიდებულად იყენებენ ამ შეზღუდვებს. უფრო მეტიც, ისინი ამ შეზღუდვების მეშვეობით ხდებიან მნიშვნელოვანები. ხშირად შეზღუდვები იმად გაქცევენ, რაც ხარ, ამიტომაც შეზღუდვებმა არ უნდა შეგაშინოს და კიდევ უფრო მიზანდასახული უნდა გაგხადოს. ჩაკეტილ კარზე გამუდმებით თუ აკაკუნე, ადრე თუ გვიან ის კარი აუცილებლად გაიღება. ყველაფერი შენ გზნებაზეა და საქმისადმი ერთგულებაზეა დამოკიდებული. ერთი დიდებული მასწავლებელი მყავდა, ჯონ ლა პორტა, კლარნეტისტი, რომელიც ჩარლი ფარქერთან და დიზი გილესფისთან უკრავდა. მოგვიანებით ის ბერკლიში ასწავლიდა და ღმერთო ჩემო, ის ისეთი გამოცდილების პატრონი იყო, რომ ლაპარაკს რომ იწყებდა მუსიკაზე, სხვა ყველაფერი გავიწყდებოდა. ჰოდა, მან ერთხელ მითხრა: „მაიქ, რამეს თუ მიაღწევ, იმას უკვე ვერავინ წაგართმევს!“ თუ ნამდვილი მუსიკოსი ხარ, მაშინ იცი, რომ მუსიკა იმის ღირსია, ბევრი, ძალიან ბევრი დრო რომ დაახარჯო. როდესაც ის მადლობის სათქმელად მოვა დამიჯერეთ, სრულიად განცვიფრებულს დაგტოვებთ!

მექანიკურობასა და კომფორტულ ზონებზე მუსიკაში

დიახ, ზოგჯერ ასეთი რამეები მემართება ხოლმე, მექანიკურად ვუკრავ და იმ აკუსტიკურ ტერიტორიას არ ვტოვებ, სადაც ვიცი, რომ წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება შეცდომას არ დამაშვებინებს. როგორც წესი ამას ყურადღებას არ ვაქცევ ხოლმე, რადგანაც ასეთი რამ ძირითადად დაღლილობისგან მემართება. ამის ერთადერთი წამალი კიდევ უფრო მეტის სწავლა და მუშაობაა, რადგანაც ვიცი, რომ როდესაც ამ ზონაში ვაბიჯებ, ეს იმის

ბრალია, რომ უფრო მეტი არ ვიმეცადინე დაკვრაში. რა თქმა უნდა, ნასწავლის მნიშვნელოვან პროცენტს სრულად ვერ ვიყენებ ხოლმე, მაგრამ ვიცი, ის მაინც ჩემშია და ერთ მშვენიერ დღეს მესტუმრება. ზოგჯერ რაღაცას დაუკრავ, მერე მოუსმენ და ამბობ; „ფუ, რა სისულელეა!“ მაგრამ მეორედ მოსმენაზე უეცრად აღმოაჩენ, რომ ეს არც მთლად ასეა ყოფილა. აი, დღესაც, აქ, ბათუმში, სასტუმროს ნომერში ახალ მასალაზე ვმუშაობდი დილიდან. ჩემი ეს ძალისხმევა შეიძლება, რაღაცად იქცეს ხვალ, ერთ კვირაში ან სულაც არასდროს, მაგრამ ამის გამო ჩემი გაჩერება არ შეიძლება.

არაცნობიერის მინდობაზე

დაკვრისას არაცნობიერს ისევე ვენდობი როგორც, ლაპარაკის დროს. ლაპარაკისას არ მჭირდება გრამატიკაზე ფიქრი. თუ ენა იცი, ნებისმიერ დროს შეგიძლია შეკითხვის ან ფრაზის პერეფრაზირება, მისი თავისუფლად მოხმარება. მუსიკაშიც ასეა, თუ მუსიკის ენას ფლობ, დაუფიქრებლად მოიხმარ.

ჩასაბერ ინსტრუმენტებზე და გიტარაზე დაკვრის ტექნიკაზე

მიყვარს ჩასაბერი ინსტრუმენტების ხმა და მიუხედავად იმისა, რომ გიტარისტი ვარ, ვცდილობ ჩემი გიტარის საუნდი საყვირის საუნდს გავდეს. გიტარა პერკუსიული ინსტრუმენტია, იმიტომ, რომ შენ სიმებს მედიატორის ცემით ეხები, ხოლო გრიფზე კი თითების დაჭერის მეშვეობით იღებ ბგერას. იმისთვის, რომ გიტარას ეს პერკუსიული თვისება მოვაცილო და ჩემი ბგერა ჩასაბერი ინსტრუმენტის საუნდს მივუახლოვო მსუბუქ მედიატორს ვირჩევ. ფრაზირებისას ვცდილობ, საყვირის შესაძლებლობებს მივუახლოვდე. ამიტომაცაა ასე ბევრს რომ ვმუშაობ მესაყვირეების და საქსოფონისტების პარტიტურებზე. რა ვქნა, მომწონს ინსტრუმენტები, რომელიც ადამიანის ამოსუნთქვით ცოცხლდებიან. რა თქმა უნდა, გიტარაში ვერ ჩაბერავ, მაგრამ ნებისმიერი ინსტრუმენტი გაძლევს იმის საშუალებას რომ შენი ს უ ლ ი ს შთაბერვით გააცოცხლო ისინი.

ახალი მასალა, ახალი ალბომი და ისინი, ვინც ჩემ მუსიკას ყველაზე კარგად დაუკრავენ

ახალი მასალა ნელა შემოდის ჩემში. მის ჩემში შემოდინებას დრო ესაჭიროება. როდესაც ის ღრმად ჩაიბუდებს გულში, ის მისთვის ყურის დაგდების საშუალებასაც მაძლევს. რაწამს ახალი მუსიკა ჩემში აჟღერდება, იმავე წამს ვიწყებ ფიქრს მათზე, თუ ვინ შეასრულებს ამ მუსიკას ისე, როგორც ეს მე მესმის. ზოგჯერ ხდება ისიც, რომ მუსიკოსებს იმპულსურად ვირჩევ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათთან დაკვრა მინდა. ასე იყო, მაგალითად, სთივ ვაის შემთხვევაში. მან ჩემს ბოლო ალბომზე დაუკრა. სთივ ვაი ძალიან შორს დგას ჩემი მუსიკალური ორბიტისაგან; ის როკერია. სხვათა შორის, ისიც ბერქლიში სწავლობდა, თუმცა ჩემზე გვიან. მითხრა, რომ ბოსტონის პატარა კლუბებში მისმენდა ხოლმე და როდესაც ალბომზე სამუშაოდ დავპატიჟე დამთანხმდა. დიდებული ადამიანია და საოცარი მუსიკოსი. გამაოგნებელი დისციპლინის პატრონია! მინდოდა, დაახლოებით ისე დაეკრა, როგორც ნუსრატ ფატეჰ ალი ხანი მღეროდა და მან ეს ბრწყინვალედ მოახერხა. მოკლედ, ყველა ის მუსიკოსი, ვინც ჩემ ახალ ალბომზე უკრავს, ის ადამიანები არიან, ვისთან მუშაობაზეც ვოცნებობდი – ერიქ ჯონსონი, ესპერანცა სფალდინგი, თერი ლი ქერინგთონი, საოცარი დრამერი ქალი. მათზე უკეთესად ვინ შეასრულებდა იმ მუსიკას, რაც მე ალბომზე მუშაობის დაწყებამდე მესმოდა?

პროდუსერებზე

კარგი პროდუსერის გარეშე მუსიკა ის არ იქნება, რაცაა. ჩემი ახალი ალბომის, Big Neighborhood პროდუსერი, ჯიმ ბერდი გენიოსია. ის რომ არა, ამ ალბომს ის საუნდი არ ექნებოდა, რაც მუშაობის დაწყებამდე მქონდა თავში. დიდებულია, როდესაც პროდუსერი მუსიკის კეთების ყველა ეტაპზეა ჩართული მუსიკის კეთებაში და ორმაგად კარგია თუ ყველაფერთან ერთად ის მუსიკოსიცაა. ჯიმი გენიოსი პიანისტია, კლასიკურ მუსიკასაც საოცრად ასრულებს და ამიტომაც, როდესაც სტუდიაში ჯემის დროს ჩემთან და დანარჩენ მუსიკოსებთან ერთად ჯიმიც უკრავდა, საოცარი შეგრძნება მეუფლებოდა.

ფეთ მეთენიზე, ჯორჯ ქოულმენზე, ჯიმი ქობზე და კუმირებთან მუშაობის შესაძლებლობებზე

ერთ-ერთი მუსიკოსი, ვისიც მთელი გულით მშურს, ფეთ მეთენია. მას თავისი ბენდი ყავს, რომელთანაც ის მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს, მაგრამ ამასთან ერთად ის როგორღაც ახერხებს თითქმის ყველა იმ მუსიკოსთან მუშაობას, ვისთანაც სურს – დაწყებული ორნეთ ქოულმენით და ბრედ მელდაუთი დასრულებული. ყველაფერ ამასთან ერთად კი დისკის ჩაწერასაც ასწრებს მექანიკური ინსტრუმენტების მთელ არსენალთან! გასაოცარია! არც კი ვიცი როგორ ახერხებს ამას! ამ ეტაპზე ყველაზე უფრო იმ მუსიკოსებთან მუშაობის სურვილი მაქვს, ვინც უკვე ხანშია შესული და შესაძლებელია დიდ ხნით არ გაჩერდნენ ამ პლანეტაზე. არადა, რა ფორმაში არიან ბებრები! ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა ჯორჯ ქოულმენთან მუშაობა, მაგრამ ბოლო დროს ის სულ უფრო და უფრო ნაკლებს უკრავს. ჯიმი ქობი, მაილზის ლეგენდარული დრამერი, 82 წლისაა და ერთი წამითაც კი არ ჩააგდებს რიტმს! ან ჰერბი ჰენქოქი აიღეთ. აი, ვისთან ვიმუშავებდი დიდი სიამოვნებით! უფრო მეტიც, სიმფონიურ ორკესტრთანაც მინდა მოვსინჯო ჩემი ძალები და იმ მუსიკოსებთანაც, ვინც ე.წ. „თავისუფალ,“ ავანგარდულ მუსიკას უკრავენ, მაგალითად, ჰენრი სრედგილთან. ჩემი და მისი მეუღლე მეგობრები არიან; იქნებ ისინი დამეხმარონ? ჰო, კიდევ ნუსრატ ფატეჰ ალი ხანთან დავუკრავდი. ერთხელ, მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, კინაღამ ამისრულდა ოცნება, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი გამოვიდა. არადა, რა იქნებოდა, ჩემი გიტარის წუილი და მისი არაამქვეყნიური ხმა?!

>>> გაგრძელება გვ. 94

მილიარდერმა ძმებმა ობამას ომი გამოუცხადეს.

ფარული ოპერაციები

ავტორი: ჯეინ მაიერი
ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ

სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიუ-იორკერში“ 2010 წლის 30 აგვისტოს

შესავალი

ჯეინ მეიერის სტატია შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 50 წლის ამერიკული პოლიტიკის მთავარ ტენდენციას – მემარჯვენე პოლიტიკის აღორძინებას აღწერს. ქოუკის ოჯახის ისტორია რადიკალური მემარჯვენე იდეების ჩასახვისა და განვითარების ისტორიაა. საინტერესოა, რომ ამ მოვლენათა თანმიმდევრობაში კარგად ჩანს რადიკალური მემარჯვენეობის იდეის შინაარსი: თავიდან ყველაფერი ანტიკომუნისტური განწყობებით დაიწყო, რომელიც რუზველტის „ახალი კურსით“ უკმაყოფილოთა პროტესტს შეუერთდა. ამგვარად, ნაციონალისტური იდეა კაპიტალისტური ღირებულებების დაცვის სამსახურში ჩადგა. დაახლოებით მსგავს პრობლემას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ვაწყდებით. იმ ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მემარჯვენე ღირებულებებით აპელირებს, ძლიერი ანტისაბჭოთა გრძნობის მატარებელნი არიან. შემდგომში საბჭოეთის მიმართ ზიზღი ნებისმიერი სოციალური იდეის მიმართ ზიზღად გარდაიქმნება და ნებისმიერი იდეა, რომელიც სახელმწიფოს სოციალური როლის გაზრდას შეეხება, კომუნისტურად და ნაციონალურად მიუღებლად ცხადდება. ასეთ დროს ნაციონალიზმი „თავისუფალი ბაზრის“ უტოპიის მხარდასაჭერად მოხმობილი არგუმენტია.

თავად ლიბერტარიანული იდეების სათავეები არა ქოუკების მსგავსი მილიარდერების წრეებში, არამედ ინტელექტუალებსა და ეკონომისტებში უნდა ვეძებოთ. ლიბერტარიანიზმის წინაპარი გახლდათ ბაზრის კლასიკური თეორიები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ბაზრის მინიმალურ რეგულირებას უჭერდნენ მხარს. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ შემდეგ კი მეინსტრიმ ეკონომიკურ თეორიად კეინზიანიზმი იქცა, რომელიც საბაზრო რეგულირების მომხრე იყო.

ქოუკების ოჯახი იყო, ალბათ, ერთ-ერთი პირველი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა დაურეგულირებელი საბაზრო კაპიტალიზმის იდეების აღორძინებაში, რომლის კულმინაციად აშშ-ში რეიგანის არჩევა იქცა. თავად ქოუკების მიერ მხარდაჭერილი ლიბერტარიანული პლატფორმა რეიგანის კონსერვატიულ ლიბერტარიანიზმზე გაცილებით შორს მიდის: იგი უარყოფს არა მხოლოდ ეკონომიკურ რეგულაციებს, არამედ საზოგადოების მიერ დაწესებულ, „კონსერვატორულ“ რეგულაციებსაც (რაშიც გამოიხატება მისი მთავარი განსხვავება რესპუბლიკური კონსერვატიზმისგან). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიბერტარიანელები თვლიან, რომ პროსტიტუცია და მარიხუანა უნდა იყოს ლეგალიზებული (რასაც კონსერვატორები ეწინააღმდეგებიან), ამერიკის მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ იარაღის ტარების უფლება და ა.შ. ამ ნიშნით ლიბერტარიანიზმი ძალიან ჰგავს საქართველოში გავრცელებულ მემარჯვენეობას, რომლის მთავარ აგიტატორად კახა ბენდუქიძე ითვლება და რომელიც ცალსახად არაკონსერვატორია.

ლიბერტარიანული პლატფორმა იმის გამო, რომ დასავლეთში, ძირითადად, მდიდარი ბიზნესმენებით და მარგინალური მეცნიერებით არის წარმოდგენილი, ცდილობს, სოციალური ბაზა მოიპოვოს. ბოლო დროს გამოჩენილი „ჩაის მსმელების მოძრაობა“ სწორედ ამგვარი მცდელობის მაგალითია. სტატიაში კარგად არის აღწერილი, თუ როგორ იწყება ყველაფერი იდეალიზმით – „თავისუფლების იდეისადმი“ ერთგულებით და საბოლოოდ კორპორატიული ინტერესების მხარდაჭერაში გადადის. საქართველოში იგივე საფრთხე შესაძლოა, ახალგაზრდა თაობის ლიბერტარიანული იდეებით ინდოქტრინიზაციამ წარმოშვას. იდეები მართლაც შესანიშნავია - თავისუფალი ბაზარი, თავისუფალი ქმედებები, სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების საქმეებში ჩაურევლობა და ა.შ.

სამწუხაროდ, პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ ამ იდეებს რეალურ საზოგადოებასთან კავშირი არ აქვს, რადგან ის ატომიზირებულ, სოციალური კონტექსტიდან ამოგლეჯილი ინდივიდების კონცეფციას გვთავაზობს. ლიბერტარიანიზმისთვის სოციალური ვალდებულების ცნება არ არსებობს. „ლიბერტარიანელი ინდივიდები“ თვლიან, რომ ერთმანეთზე სოციალურად დამოკიდებულნი არ არიან, შესაბამისად, ვერ ხედავენ ვერც გადასახადების და ვერც სოციალური დახმარებების არსებობის აუცილებლობას.

თანამედროვე ლიბერტარიანიზმი თითქმის სრულყოფილად იყენებს, ერთი მხრივ, ინტელექტუალებისა და, მეორე მხრივ, სამოქალაქო აქტივისტების ძალას. ლიბერტარიანელები აარსებენ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სადაც ცდილობენ მისიონერულად გაავრცელონ „თავისუფლების იდეები“. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი დაწესებულება მიზესის ინსტიტუტია ალაბამას შტატში. საქართველოში კლასიკური მაგალითი „ახალი ეკონომიკური სკოლაა“. პარალელურად, კახა ბენდუქიძეც ცდილობს, წაახალისოს ლიბერტარიანული იდეები და აფინანსებს ჟურნალ „ტაბულას“, რომლის რედაქტორიც პირველი ნომრიდანვე აცხადებს, რომ სწორედ აღნიშნული პოლიტიკური იდეოლოგიის მხარდამჭერია. ე.წ. Think Tank-ების, ანუ არასაუნივერსიტეტო კვლევითი ცენტრების დონეზე, მთავარი ლიბერტარიანული ცენტრი „თავისუფლების ინსტიტუტია“, რომელიც საქართველოში მემარჯვენე პოლიტიკას აქტიურად ლობირებს.

საქართველოში გაჩაღებული ლიბერტარიანული აქტივობების ფონზე, გამორიცხული არ არის რომ მომავლისთვის „ჩაის მსმელების“ მსგავსი მოძრაობის ჩამოყალიბებაც იგეგმებოდეს.

გიორგი ცხადაია

„კოუკები სრულიად განსხვავებულ საფეხურზე იმყოფებიან. სხვას არავის დაუხარჯავს ამდენი ფული. სწორედ დახარჯული თანხის რაოდენობა გამოარჩევს მათ სხვებისაგან. ისინი მიჩვეულნი არიან კანონდარღვევებს, პოლიტიკურ მანიპულაციებსა და თვალში ნაცრის შეყრას. უოტერგეიტის სკანდალის შემდეგ ვაშინგტონში მსგავსი არაფერი მინახავს. მათი კომპანია ჩვენი დროის „სტენდერდ ოილია“

17 მაისს „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ ოფიციალურად მოწვეულმა სტუმრებმა სცენიდან ჩამოსვლისას ტაშით გააცილეს მაღალი მილიარდერი, რომელიც მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდა. ამერიკული ბალეტის თეატრი უკვე მეშვიდედ მართავდა ყოველწლიურ საგაზაფხულო გალა-წარმოდგენას, მისმა სამეურვეო საბჭოს წევრმა, დევიდ კოუკმა კი ჯილდო ჩვეული ხელგაშლილობისთვის დაიმსახურა. ცოტა ხნის წინ მან 2.5 მილიონი დოლარი გაიღო მოახლოებული სეზონის დასაფინანსებლად და მანამდეც მრავალი მილიონი გადაურიცხა თეატრს. დაჯილდოებისას კოუკი გალა-წარმოდგენის ორ მასპინძელს – ატმისფერკაბიან ბლეინ ტრამპსა და ზურმუხტისფერში გამოწყობილ კეროლაინ კენედი შლოსბერგს შორის იდგა. ამ უკანასკნელის დედა, ჟაკლინ კენედი ონასისი ბალეტის თეატრის ერთ-ერთი მეურვე გახლდათ და უცნაური დამთხვევის წყალობით, სწორედ მას ეკუთვნოდა მეხუთე ავენიუზე მდებარე ბინა, რომელიც კოუკმა 1995 წელს იყიდა, 11 წლის შემდეგ კი 32 მილიონ დოლარად გაყიდა, რადგან მეტისმეტად პატარა მოეჩვენა.

გალა-წარმოდგენამ ნათლად წარმოაჩინა იმ კაცის სოციალური აღმასვლა, ვინც 70 წლის ასაკში ნიუ-იორკის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფილანტროპი გახდა. 2008 წელს მან 100 მილიონი დოლარი გაიღო ლინკოლნის ცენტრში მდებარე ნიუ-იორკის თეატრის შენობის მოდერნიზებისთვის, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. დევიდ კოუკმა 12 მილიონი გადაურიცხა ამერიკის ბუნების ისტორიის მუზეუმს, სადაც დინოზავრების განყოფილებას მისი სახელი ეწოდა. გაზაფხულზე, როცა ხელოვნების მუზეუმთან მდებარე შადრევნების სავალალო მდგომარეობა შენიშნა, ის, სულ ცოტა, 10 მილიონი დოლარით მაინც შეეწია მათი განახლების საქმეს. დევიდი ამ მუზეუმის სამეურვეო საბჭოს წევრი გახლავთ, რაც, სოციალური თვალსაზრისით, ალბათ ყველაზე სასურველ წოდებას წარმოადგენს მთელ ქალაქში. ამასთანავე, ის სლოუნ-კეტრინგის კიბოს ცენტრის სამეურვეო საბჭოშიც მოღვაწეობს, რომელსაც 40 მილიონ დოლარზე მეტი გადაურიცხა, რის შემდეგაც მუდმივი შემოსავლით უზრუნველყოფილი კვლევითი ცენტრი მისი სახელობის გახდა.

გალა-წარმოდგენას ერთი ღირსშესანიშნავი პირი აშკარად აკლდა: ღონისძიების მესამე საპატიო მასპინძელი მიშელ ობამა. მის ოფისში განაცხადეს, რომ იგი გადატვირთული დღის განრიგის გამო ვერ დაესწრო წარმოდგენას. სცენაზე პირველ ლედის კოუკის გვერდით თუ ვიხილავდით, ალბათ მეტად უხერხულ სიტუაციას შევესწრებოდით. ვაშინგტონში დევიდ კოუკს ხომ იმ ოჯახის წევრად იცნობენ, რომელიც გამუდმებით აფინანსებს ფედერალური ხელისუფლების, განსაკუთრებით ობამას ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართულ ფარულ თავდასხმებს.

74 წლის ძმასთან, ჩარლზთან ერთად, დევიდ კოუკი, ფაქტობრივად, მთელი „კოუკ ინდესტრიზის“ მფლობელია – იმ სამრეწველო კონგლომერატის, რომლის სათავო ოფისიც უიჩიტაში, კანზასის შტატში მდებარეობს, წლიური შემოსავალი კი 100 მილიარდ დოლარს აღწევს. ის თვალშისაცემად გაიზარდა 1967 წლის შემდეგ, რაც ჩარლზისა და დევიდის მამა, ფრედ კოუკი გარდაიცვალა და ძმებმა მართვის სადავეები საკუთარ ხელში აიღეს. მათ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები აქვთ ალასკაში, ტექსასსა და მინესოტაში, ამასთანავე კოუკების განკარგულებაშია ნავთობსადენის ოთხიათასმილიანი მონაკვეთიც. სხვა მრავალ პროდუქტთან ერთად, „კოუკ ინდესტრიზი“ აწარმოებს „ბრონის“ ქაღალდის ხელსახოცებს, ერთჯერადი მოხმარების ჭიქებს „დიქსი ქაფს“, „ჯორჯია ფესიფიქის“ ქაღალდს, „სთეინმასტერის“ ხალი-



ჩებსა და „ლაიკრას“ პროდუქციას. „ფორბსის“ თანახმად, „კარგილის“ შემდეგ იგი სიდიდით მეორე კერძო კომპანიაა ქვეყანაში, რომლის მუდმივი რენტაბელურობის წყალობითაც დევიდ და ჩარლზ კოუკები – ვინც წლების წინ დანარჩენი ორი ძმისგან შეისყიდეს კომპანიის წილები – უმდიდრეს ამერიკელებს შორის მოხვდნენ. ერთად აღებული მათი ქონება 35 მილიარდ დოლარს აღწევს და მხოლოდ ბილ გეიტსისას და უორენ ბაფიტისას ჩამორჩება.

დიდი ხანია, კოუკები ლიბერტარიანელები არიან და სჯერათ, რომ სიკეთის მომტანია უკიდურესად დაბალი ინდივიდუალური და კორპორატიული გადასახადები, მინიმალური სოციალური მომსახურება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფებისთვის და ბევრად ნაკლები კონტროლი მრეწველობის სფეროში – განსაკუთრებით, გარემოს დაცვის საკითხებში. ეს შეხედულებები ძმების კორპორატიულ ინტერესებს ბოლომდე თანხვდება. გაზაფხულზე მომზადებულ გამოკვლევაში ამერსტის პოლიტიკური ეკონომიკის კვლევით ინსტიტუტთან მდებარე მასაჩუსეტსის უნივერსიტეტმა „კოუკ ინდესტრიზი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში გარემოს დამბინძურებელ კომპანიათა პირველ ათეულში შეიყვანა. ამავე დროს



„გრინფისის“ ანგარიშში იგი იმ კომპანიად არის დასახელებული, რომელიც „წამყვან პოზიციაზე იმყოფება კლიმატოლოგიის, როგორც მეცნიერების, უარმყოფელთა შორის“. ამავე ანგარიშში ნაჩვენებია, რომ 2005-დან 2008 წლამდე კოუკებმა ბევრად გაუსწრეს „ექსონმობილს“ იმ ორგანიზაციების დაფინანსებაში, რომლებიც კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ კანონ-პროექტებს ებრძვიან და აგრეთვე ფინანსური უზრუნველყოფა აღუთქვეს ფონდების, კვლევითი ცენტრებისა და მოწინავე პოლიტიკური ჯგუფების უზარმაზარ ქსელს. რასაკვირველია, ძმებმა დააფინანსეს ობამას ადმინისტრაციის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული მრავალი კამპანიაც, რომელიც, ჯანმრთელობის დაცვის რეფორმით დაწყებული ეკონომიკის წახალისების პროგრამით დამთავრებული, ყველაფერს უპირისპირდებოდა, პოლიტიკურ წრეებში კი მათ იდეოლოგიურ ქსელს „კოუკტოპუსი“ (შდრ. octopus – რვაფეხა) უწოდეს.

„კოუკ ინდესტრიზის“ საპასუხო განცხადებაში ვკითხულობთ: „გრინფისის“ ანგარიში „გარემოს დაცვის საკითხში ჩვენი კომპანიების მონაცემებს ამახინჯებს“. თავად დევიდ კოუკმა, ჟურნალ „ნიუ იორკში“ მის შესახებ ახლახან დაბეჭდილ, მეტად

ანტი-სამთავრობო სიებ-ცხელებით გამორჩეული 2010 წლის არჩევნები კოუკებისთვის პოლიტიკური გამარჯვების ტოლფასია. „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობის აქტივისტების „აღზრდით“, დაფინანსებითა და ორგანიზებით მათ საკუთარ გეგმებსა და ინტერესებს სახალხო მოძრაობის სახე მისცეს.

მაქებარ სტატიაში უკმაყოფილება ვერ დამალა იმ ფაქტის გამო, რომ „რადიკალურმა პრესამ“ მისი ოჯახი „განტევების ვაცად“ აქცია და ძალიან გააზვიადა მისი ზეგავლენა ამერიკის პოლიტიკაზე. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებელი სადამკვირვებლო ჯგუფის – „საზოგადოების ერთიანობის ცენტრის“ დამფუძნებელი ჩარლზ ლუისი ამბობს: „კოუკები სრულიად განსხვავებულ საფეხურზე იმყოფებიან. სხვას არავის დაუხარჯავს ამდენი ფული. სწორედ დახარჯული თანხის რაოდენობა გამოარჩევს მათ სხვებისაგან. ისინი მიჩვეულნი არიან კანონდარღვევებს, პოლიტიკურ მანიპულაციებსა და თვალში ნაცრის შეყრას. უოტერგეიტის სკანდალის შემდეგ ვაშინგტონში მსგავსი არაფერი მინახავს. მათი კომპანია ჩვენი დროის „სტენდერდ ოილია“.

ლინკოლნის ცენტრში გალა-წარმოდგენის გამართვიდან რამდენიმე კვირის თავზე დევიდ კოუკის მიერ 2004 წელს დაარსებული ორგანიზაციის „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ ლობისტთა ჯგუფმა სხვა სახის შეხვედრა მოაწყო. ოსტინში მდებარე სასტუმროს გრილ დარბაზში, 3-4 ივლისის შაბათ-კვირას გაიმართა სამიტი, სახელწოდებით „ტექსასი იცავს ამერიკულ ოცნებას“. მიუხედავად იმისა, რომ კოუკი ყოველთვის ღიად აცხადებდა საკუთარი სარისკო ფილანტროპიული წამოწყებების შესახებ, ის ამ შეხვედრას არ დასწრებია და არც მისი სახელი გაჟღერებულა. ამ შემთხვევაში დამსწრე საზოგადოება საცეკვაო წარმოდგენამ კი არ ააღელვა, არამედ იმ გამომსვლელთა სიტყვებმა, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით ადანაშაულებდნენ პრეზიდენტ ბარაკ ობამას. სამიტის ორგანიზატორმა პეგი ვენეიბლმა ისიც კი განაცხადა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციას „ქვეყნის განვითარების სოციალისტური ხედვა აქვს“.

შეხვედრას 500 მონაწილე ესწრებოდა. ის, ნაწილობრივ, ტრენინგსაც წარმოადგენდა „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობის ტექსასელი აქტივისტებისთვის. სარეკლამო განცხადება იტყობინებოდა, რომ აღნიშნული ღონისძიება დაკანონებული კორპორატიული ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული სახალხო ამბოხი იქნებოდა. „დღეს რიგითი ამერიკელების ხმებს ლობისტები და სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები ახშობენ, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ხმა აიმაღლოთ“, – ეწერა მასში. განცხადებაში ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი ამ ყველაფრის დამფინანსებელ კორპორაციებზე. თეთრმა სახლმა უკმაყოფილება ვერ დამალა იმის გამო, რომ ღონისძიების სპონსორებმა ყოველმხრივ აარიდეს თავი საზოგადოების წინაშე გამოჩენას. ობამას უფროსმა მრჩეველმა დევიდ აქსელროდმა განაცხადა: „ისინი არ ამბობენ, რომ ეს, დიდწილად, იმ უბრალო მოქალაქეების მოძრაობაა, რომლებიც მილიარდერი ნავთობმაგნატების ჯგუფმა მოგაყენათ კარზე“.

2009 წლის აპრილში კომპანიის წარმომადგენელმა მელისა კოულმაიამ უარყო კოუკების პირდაპირი კავშირი „ჩაის მსმელების“ პოლიტიკურ მოძრაობასთან. მისი სიტყვებით, „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და კოუკის კომპანიები ზეგავლენას არ ახდენენ მის საქმიანობაზე“. მოგვიანებით, მან ასეთი რამ განაცხადა: „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობისთვის ფინანსური მხარდაჭერა არასდროს აღმოუჩენიათ კოუკის კომპანიებს, კოუკის ფონდებსა თუ თავად ჩარლზ და დევიდ კოუკებს“. დევიდ კოუკმა კი ჟურნალ „ნიუ იორკს“ განუცხადა: „არასდროს ვყოფილვარ „ჩაის მსმელების“ მოძრაობის ღონისძიებაზე. ამ მოძრაობის არცერთი წარმომადგენელი თვალითაც არ მინახავს“.

>>> გაგრძელება გვ. 95



ომის ქრონიკა

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

წინამდებარე ინტერვიუ ჩაწერილია წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის – GCRT მიერ. ეს არის ერთ-ერთი ზეპირი ისტორია წიგნიდან „მე მქვია...“. წიგნში ასახულია სხვადასხვა ვითარებაში ნაწამები ადამიანების ამბები – დაბადებიდან დღემდე. მკითხველს წარმოდგენა ექმნება არა მარტო მათ ტკივილსა და მწუხარებაზე, არამედ იმ სიძლიერესა და სიმტკიცეზე, რომლითაც ამ ადამიანებმა შეძლეს თავიანთ მძიმე ხვედრთან გამკლავება.

აფხაზეთიდან დევნილი მამაკაცი, რომლის ამბავსაც თქვენ ახლა წაიკითხავთ, წლების მანძილზე ჩვენი ცენტრის კლიენტი და მეგობარია.

ჩვენს გარშემო სავარაუდოდ მრავალი ამგვარი ისტორიის მქონე ადამიანი ცხოვრობს, თუმცა მათ შესახებ საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის. სწორედ მსგავსი ისტორიები ასახავენ ომის ყველაზე რეალისტურ სურათს – მის ტრაგიზმს, დრამატიზმს, სისასტიკეს და არაერთგვაროვნებას. იმედი გვაქვს რომ ეს ამბავი მკითხველს ბევრ რამეზე დააფიქრებს.

GCRT

იძულებით ადგილნაცვალი მამაკაცი აფხაზეთიდან

მე დავიბადე ოჩამჩირის რაიონის სოფელ N-ში. ბავშვობა მქონდა, რასაც ქვია, ჩვეულებრივი. დედა გერმანულის მასწავლებელი მყავდა. მამაჩემი ციხიდან რომ გამოვიდა, მერე უკეთესი ცხოვრება წავიდა – არ მაკლდა არაფერი. ორი ძმა და ერთი და მყავდა, მაგრამ ერთი ძმა ჯერ კიდევ ომამდე დამეღუპა. დავრჩით ორი ძმა და ერთი და... სკოლაში ჩემს სოფელში ვსწავლობდი. 11 კლასი იქ დავამთავრე. სხვათა შორის, მეექვსე კლასამდე წარჩინებით ვსწავლობდი. მერე რაღაც ავადმყოფობა შემეყარა ისეთი, რომ თითქმის ერთი წელი, არ მივლია სკოლაში. მეშვიდე კლასიდან უკვე უფრო დაბალ ნიშნებს ვიღებდი, თანაც სპორტს მივყავი უკვე ხელი – ფეხბურთს.

ჯერ ჩვენი სოფლის გუნდში ვთამაშობდი, მერე – რაიონის ნაკრებში. თასიც კი მიმიღია, მაგრამ ხელშეწყობა არ მქონდა იმდენი, რომ სკოლისთვის დამენებებინა თავი. ბოლოს, სკოლაც დავამთავრე. შეიძლება ითქვას, რომ საშუალო სკოლა საშუალოზე დავამთავრე. საბჭოთა ორწლიან ჯარშიც ვიმსახურე. სასწავლებელში უკრაინაში ჩავაბარე. სწავლის დასრულების შემდეგ კი საქართველოში დავბრუნდი და ორი წელი არსად მიმუშავია. მერე კი ქიმიურ ქარხანაში დავიწყე მუშაობა. სად აღარ მიმუშავია – საზღვაო სანაოსნოში თუ ავტოსერვისში. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდი და მოვიდა 92 წელიც და დაიწყო ის უბედურებები, ყველას რაც დაემართა და რამაც დამმართა ეს სტრესი, რასაც ახლა განვიცდი.

ომი რომ დაიწყო, მე უკვე ცხრა წლის დაოჯახებული ვიყავი. ოჯახი გარიგებით არ შემიქმნია — უფრო სიყვარულით. ნუ, მთლად სიყვარული შეიძლება, არ ეთქმოდა, უკვე ასაკში ვიყავით და აღარ ვუყურებდით ამას. მე ჩემს მეუღლეზე 9 წლით უფროსი ვიყავი. მეუღლე ექიმი იყო, უკვე მერე, ომის დროს ჩვენს ჯარისკაცებს ემსახურებოდა. ახლა ჩემსავით დაკარგა სამსახური და მთელ ყურადღებას ოჯახს უთმობს.

იცით რა, ამ ომის ამბების გახსენება, რაღაცნაირად, აი, როგორ გითხრათ, იმას მაძლევს... თითქოს მეშვება რაღაც. კიდევ რაღაც აჩემებასავითაა, თან მიმძიმს ამის მოყოლა. ომი რომ დაიწყო, მე სოხუმში ვიყავი ჩემს ბინაში, ბავშვები მყავდა სოფელში გაგზავნილი. მაშინვე იმათთან წავედი. ჯერ შემოვიდა ჩვენი მხედრიონი. დადგა „ტურბაზაში“ და იმის იქით არ გვიშვებდნენ. მე კინაღამ მანქანა წამართვეს. უფრო სწორად, წამართვეს და ნაცნობობით, რაღაცით დავიბრუნე უკან. ერთი დღის მერე გაგვიშვეს და ვნახე ცოლ-შვილი. ნორმალურად იყო ყველაფერი და ვიფიქრე სოხუმში ყოფნას, ისევ აქ იყვნენ-მეთქი. უკან სოხუმისკენ გამოვბრუნდი. სოხუმში ახლა უკვე აფხაზებმა აღარ შემიშვეს, მაგრამ როგორც ესეთი შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ, „არ შეიძლებაო,“ – მითხრეს, დავბრუნდი და ისევ მხედრიონელებმა მომინდომეს მანქანის წართმევა. მაგრამ იქ რაღაც ამბავი მოხდა ისეთი, რომ მაგათ უფროსობამდე მივიდა ეგ ამბავი და საბოლოოდ ჩემთვის დადებითად გადაწყდა.

სოხუმში რომ ვერ შევედი, სოფელში დავრჩი და ამის მეორე დღიდან მეც ჩავები ამ ომში. ჩავერთე იმით, რომ დავრჩი სოფელში და ამ ჩვენს სოფელს ვიცავდი, შემდეგ კი ოფიციალურად ჩავირიცხე სოხუმის დივიზიონში. გამამწესეს – ერთი ადგილი იყო – სხორჩა ერქვა და ამ ადგილის დასაცავად 34 კაცი გაგვამწესეს. სხორჩაზე იყო ჩვენი პოზიცია, რომელზეც მორიგეობით ვიდექით. ამ პოზიციაზე თითქმის ერთი წელიწადი გავატარე, მაგრამ მოსვენება აღარ მქონდა, ცოლ-შვილი ძლივს გამოვუშვი თბილისში იმიტომ, რომ ტრანსპორტი ჭირდა. ომის ბოლოსკენ წავიდა სამშვიდობო მოლაპარაკებები და ჩამოგვერთვა იარაღი. ჩვენ იარაღი ჩამოგვართვეს და დაგვაბრუნეს სახლებში. მართალია, იარაღის ნაწილი არ ჩაგვიბარებია და სოფლებში გადავმალეთ, დივიზიონშიც გადაიმალა გარკვეული ნაწილი. ბოლომდე არ ჩავაბარეთ, ესე იგი. დაბრუნდა ჩემი მეუღლე თბილისიდან და ბავშვები ჩამომიყვანა. რად მინდოდა მე იმათი ჩამოსვლა?!

უკან მაინც აღარ გავაბრუნე. სამშვიდობო მოლაპარაკების შემდეგ დადგინდა, რომ სკოლებში სწავლა უნდა გაგრძელებულიყო და მეც ჩემი ოჯახით სოხუმში ჩვენს ბინაში ვაპირებდი დაბრუნებას. 16 სექტემბერს მოულოდნელად შემოგვიტიეს. ჩვენს სოფელს აფხაზი და რუსი მებრძოლები უტევდნენ. სოფელი ამ დროს გავსებული იყო დაბრუნებული ოჯახების ბავშვებით. 17-ში ღამე 5 კაცი გაგვიშვეს დამხმარე ჯარის მოსაყვანად. უნდა გაგვერღვია ალყა და შემოგვეყვანა. ორი კილომეტრი ვიარეთ სიბნელეში და აფხაზურ ქვედანაყოფს გადავაწყდით და ჩვენს შორის გაიმართა ბრძოლა. ჩვენები-

„ბოლოს დედაჩემი მოვიდა, ოღონდ სახე ჰქონდა რაღაცნაირი – არაადამიანური. „ჩაიწვაო!“ – ჩემ დაზე თქვა, – „აფხაზებმა ჩაწვეს ჩვენს სახლშიო.“ გიჟივით იყო. დამშვიდება დავუწყე, მაგრამ როგორ გინდა, რომ დაამშვიდო?
7 დღე-ღამე ვიჯექით ამ ეკლებში, ბავშვებს არც წყალი დაულევიათ, ვეღარც თვალებს ახელდნენ. ტუჩები ჰქონდათ სულ დახეთქილი. უჭირდათ ძალიან. მეშვიდე დღეს გადავწყვიტე, რომ აღარ შემეძლო მაგათი ესე ყურება და წყალი უნდა მომეტანა.“

დან დავიჭერი მარტო მე – მკლავში. მე მანამდეც უკვე ვიყავი დაჭრილი ნამსხვრევებით უკანა მხარეში. ესე იგი, ორჯერ ვარ დაჭრილი. მაგრამ ადრე მსუბუქად დავიჭერი. ეს ჭრილობა კი სერიოზული იყო. ალყის გარღვევა ვერ შევძელით და უკან მოვბრუნდით. მე წამომიყვანეს. სოფელში ჭრილობა გადამიხვიეს. ბრძოლა გაგრძელდა.

23 სექტემბერს სოფლის დაბომბვა გაძლიერდა. შემეშინდა, ჭურვი ბავშვებს არ მოხვედროდათ და სოფლის რუზე გადებულ ბეტონის ხიდის ქვეშ გადავმალე. თავიდან მეგონა, ქართული დამხმარე ჯარი ბომბავდა აფხაზურ პოზიციებს, ასეთი ცნობაც გვქონდა, რომ ქართველები მალე წრეს გაარღვევდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს კოდუას შენაერთი იყო, რომელთან ერთად იყვნენ კაზაკები. ჰქონდათ უამრავი იარაღი, ჰქონდათ ტანკებიც და აიღეს სოფელი. მე და ჩემი მეუღლე რომ სახლიდან გამოვედით, უკვე მთელი სოფელი არეული იყო. ისმოდა კივილი, წივილი, ბავშვების ტირილი. ჩემი შვილები თავშესაფრიდან გამოვიყვანე და ერთ მიტოვებულ, ეკალ-ბარდით დაფარულ ეზოში დავმალე. იქ გადავწყვიტე დამალვა.

წინა დღეების განმავლობაში დაბომბვების და სროლების გამო სახლს ვერ ვტოვებდი და გადასახვევადაც ვეღარ მივდიოდი, ამიტომ მკლავი უკვე კარგა მაგრა მქონდა გასიებული და ძალიან მტკიოდა. მერე ინფექციაც შემეჭრა რამდენჯერმე.

ვიპოვეთ ის მიტოვებული ეზო, რომლიც აღარავის ახსოვდა. მე ეკალ-ბარდში თავშესაფარი გამოვჭერი და იქ დავიმალეთ. აქ ჩვენი პოვნა თითქმის შეუძლებელი იყო. ჩვენს ოჯახთან ერთად ეკლებს მეზობლებიც აფარებდნენ თავს. ერთი დღე და ღამე ამ ეკლებში ვიჯექით და მერე დედაჩემმა და ჩემმა დამ აიჩემეს, ჩვენი სახლი უნდა ვნახოთო. ვერაფრით გადავათქმევინე. მე მათ ვერ გავყევი, რადგან ჩემი ცოლ-შვილის მიტოვება არ მინდოდა. ამას გარდა, ჩემთან იყო ჩემი ორი ძმისშვილი 6 და 7 წლისები. წავიდნენ დედაჩემი და ჩემი და, მეზობლებიც იმათ გაჰყვნენ. დრო გავიდა, სამი საათი მაინც გავიდა. სოფელში დადიოდნენ აფხაზები და იმათი ტანკები, იმათ მე ვხედავდი იქიდან. გავიდა სამი საათი და ბოლოს დედაჩემი მოვიდა, ოღონდ სახე ჰქონდა რაღაცნაირი – არაადამიანური. „ჩაიწვაო!“ – ჩემ დაზე თქვა, – „აფხაზებმა ჩაწვეს ჩვენს სახლშიო.“ გიჟივით იყო. დამშვიდება დავუწყე, მაგრამ როგორ გინდა რომ დაამშვიდო? მე იმან მიშველა, რომ ყურადღება ბავშვებზე მქონდა გადატანილი. 7 დღე-ღამე ვიჯექით ამ ეკლებში, ბავშვებს არც წყალი დაულევიათ, ვეღარც თვალებს ახელდნენ. ტუჩები ჰქონდათ სულ დახეთქილი. უჭირდათ ძალიან. მეშვიდე დღეს გადავწყვიტე, რო აღარ შემეძლო მაგათი ესე ყურება და წყალი უნდა მომეტანა. ვიცოდი სადაც იყო და ღამე გავედი. მეზობლების ბოსტნებიც ვიცოდი. ბადრიჯანი და მწვანილი დავკრიფე, კიდევ რაღაცეები, წყალიც ვიშოვე და დავბრუნდი. ბავშვებმა წყალი დალიეს, უმად ჭამეს ბოსტნეული და მოიხედეს ცოტა თვალებში... ისეთი გადაღლილები იყვნენ, თან ეკალ-ბარდში ნაყარები, თან მშივრები და რომ ჭამეს, ძილი მოუნდათ და იქვე ახლოს რაღაც საქათმე ვიპოვე, დავასუფთავე და იქ გადავიყვანე ოჯახი. ჯერ ჩემი ძმისშვილები შევუშვი, მერე დედაჩემი შევიდა და ჩემი ცოლ-შვილიც. ჩემი ადგილი აღარ იყო და კარებთან დავჯექი. იმ ღამეს მოვიდა საშინელი წვიმა. სულ დავსველდით. დილით გავშრით. დედაჩემი სულ ჩემს დაზე ლაპარაკობდა, კი არ კიოდა, აი, როგორც არანორმალური, გიჟი, გადარეული, ფსიქიურად დაავადებული ადამიანი, ისე ლაპარაკობდა.

სადღაც დილის 11 საათი იქნებოდა, როცა დაბომბვა დაიწყეს. სადაც ვიჯექით იქ ცვიოდა ეს ყუმბარები.

აი, როგორ გითხრათ, ყუმბარები ეცემოდა შახმატურად – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ადგილი არ დარჩენილა დაუბომბავი. ერთმანეთისგან 5-10 სანტიმეტრის დაშორებით ვარდებოდა ყუმბარები. ერთ-ერთი მოხვდა ჩვენს სამყოფელს. მე ხომ გარეთ ვიჯექი. მოვიხედე და კვამლის მეტი ვერაფერი დავინახე. ისმოდა კივილი. დედაჩემის ხმა გავარჩიე. დაბალ ხმაზე კვნესოდა. წუხილი უფრო იყო ეს, ვიდრე კივილი.

ჩემები უცებ გამოვიდნენ. ჩემები ჩანდნენ. მეუღლე და ჩემი ბავშვები ხომ სხვებზე წინ იწვნენ. სხვები არ ჩანდნენ – არც დედაჩემი და არც ჩემი ძმისშვილები. შევვარდი შიგნით და დავინახე დედაჩემი, რომელსაც წაგლეჯილი ჰქონდა მარჯვენა ხელი და ფეხი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ჩემი უფროსი ძმისშვილი სისხლში ცურავდა. უმცროსიც დაჭრილი იყო. ავიყვანე ხელში ეს უმცროსი ბავშვი, ძვლები ჩავუსვი, მოვკეცე და დავაწვინე იქ. შემდგომ დედაჩემი ძლივს გამოვათრიე, ვეღარ ავწიე და ძლივს გამოვათრიე...

შემდეგ ეს საწყალი ბავშვი გამოვიყვანე. მერე დავინახე, რომ პირველი რომ გამოვიყვანე, იმას ქათმები ეხვეოდნენ, მივედი, ავიყვანე ხელში... ერთი სიტყვა თქვა და მერე დალია სული უცბად. ვიცოდი, რომ უკვე გარდაიცვალა. მერე დავასვენე ისევ იმ ადგილას და მივედი დედაჩემთან... ვხედავ, რომ სული უდგას, მაგრამ დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია... აქეთ ეს დაჭრილი ბავშვი ტირის. დედაჩემს ხალათიდან ქამარი მოვხსენი და მინდა, რომ ადგილი მოვძებნო, სად გადავუჭირო, მარა ვეღარ ვნახე ადგილი რა... ყველაფერი წაგლეჯილი ქონდა... დედას ვეუბნებოდი: „გამაგრდი!“ „მიშველე!“ – მეუბნებოდა.

ცოცხალი იყო ჯერ. უფროს ძმისშვილს სისხლი სდიოდა – ხელში და ფეხში იყო ყუმბარის ნამსხვრევებით დაჭრილი. ვეუბნები: „გამაგრდი, აქ დარჩი, მე წავალ, ექიმს მოგიყვან, რომ მოგარჩინოს“-მეთქი, წარმოიდგინეთ, ბავშვი ტკივილისგან გიჟდებოდა უკვე... საშინელება ტრიალებდა, დაბომბვა ისევ გრძელდებოდა.

შემდეგ ავიყვანე ხელში უმცროსი ბავშვი, რომელიც მოკვდა და იქვე მეორე უფრო პატარა საქათმე იყო, იმაში შევიტანე.

>>> გაგრძელება გვ. 109

„შემდეგ ეს საწყალი ბავშვი გამოვიყვანე. მერე დავინახე, რომ პირველი რომ გამოვიყვანე, იმას ქათმები ეხვეოდნენ, მივედი, ავიყვანე ხელში... ერთი სიტყვა თქვა და მერე დალია სული უცბად. ვიცოდი, რომ უკვე გარდაიცვალა. მერე დავასვენე ისევ იმ ადგილას და მივედი დედაჩემთან... ვხედავ, რომ სული უდგას, მაგრამ დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია... აქეთ ეს დაჭრილი ბავშვი ტირის... დედას ვეუბნებოდი: „გამაგრდი!“ „მიშველე!“ – მეუბნებოდა. ცოცხალი იყო ჯერ.“

1968 წლის აგვისტო

ავტორი: ლევან ბერძენიშვილი

Можешь выйти на площадь,
смеешь выйти на площадь
в тот назначенный час?!
А. Галич

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში საბჭოთა კავშირი უძლეველი ქვეყანა იყო, რომელსაც აღარაფერი ემუქრებოდა. იმ დროისათვის ნახევარსაუკუნოვანმა საბჭოთა იმპერიამ ათეულობით მილიონი მოქალაქე გაწირა და „წარმატებით“ გადაიტანა ყოველდღიური და ისტორიაში მანამდე არნახული მასშტაბის წითელი ტერორი, მსოფლიოში პირველი საკონცენტრაციო ბანაკები, გულაგის სისტემა, მეორე მსოფლიო ომი საშინელი და ხშირად სრულიად გაუმართლებელი მსხვერპლით, სტალინის სიკვდილით გამოწვეული შოკი და ხრუშჩოვის ტრაგიკომიკური მმართველობით აღძრული ილუზიებიც, ე.წ. „ოტტეპელის“ პერიოდი და ამ ილუზიების მსხვრევაც. დიახ, სამოციან წლებში საბჭოთა კავშირს უკვე არაფერი ემუქრებოდა, სინამდვილეში, მისთვის არც დასავლეთი წარმოადგენდა საფრთხეს თავისი ცივი ომით, „ამერიკის ხმით“, „ბიბისით“, „დოიჩე ველეთი“ თუ „რადიო თავისუფლებით და თავისუფალი ევროპით“ და არც აღმოსავლეთი ჩინეთის სამხედრო პოტენციალის, ორთოდოქსული კომუნისტური პარტიისა და მისი თავმჯდომარე მაო ძედუნის სახით.

მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ საბჭოთა კავშირი, პრაქტიკულად, უკვდავი იყო და ყველაზე დიდმა კომუნისტურმა ქვეყანამაც ირწმუნა თავისი ისტორიული უძლეველობის ამბავი. სწორედ თავის თავში ღრმად დარწმუნებულმა საბჭოთა კავშირმა მაშინვე აჩვენა მსოფლიოს, თუ რა შეუძლია უსასრულო, უკამათო და ჩრდილმიუყენებელ ძალაუფლებას.

1968 წლის 20-21 აგვისტოს ღამით საბჭოთა კავშირი თავის „მოკავშირეებთან“, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, პოლონეთთან, უნგრეთთან და ბულგარეთთან ერთად რეფორმების მოსურნე ჩეხოსლოვაკიაში „ომის გამოუცხადებლად“ 300 000 ჯარისკაცით და 7 000 ტანკით შეიჭრა (ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე კიდევ ერთმა ქვეყანამ, რუმინეთმა მოძმე ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციაზე უარი განაცხადა, ხოლო ალბანეთი ამ მისთვის მიუღებელი აქციის შემდეგ საერთოდ გავიდა ვარშავის ხელშეკრულებიდან). ოკუპანტების მიზანი ასე ჩამოაყალიბა საბჭოთა ოფიციოზმა, სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ, გაზეთმა „პრავდამ“: ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს „არ შეეძლოთ აბსტრაქტულად გაგებული სუვერენიტეტის სახელით უმოქმედოდ დარჩენილიყვნენ, როდესაც ხედავდნენ, რომ ჩეხოსლოვაკია ანტისოციალისტურ გადაგვარებას ექვემდებარებოდა.“

ასე დააზამთრეს საბჭოთა კავშირმა და მისმა ერთგულმა მოკავშირეებმა სახელგანთქმული „პრაღის გაზაფხული“, რომელსაც კომუნისტური ბლოკის მთელი ნორმალური მოსახლეობა და მთელი დემოკრატიული მსოფლიო იმედის თვალით შეჰყურებდა.

საბჭოთა ოკუპაცია, ოპერაცია „დუნაი“ იყო რუსულ-საბჭოთა სამხედრო ჩექმის უხეში პასუხი ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე რეფორმებზე, რომელთა საბოლოო მიზანიც იყო ე.წ. „სოციალიზმი ადამიანური სახით“.

ყველაფერი დაიწყო 1968 წლის 5 იანვარს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში სლოვაკი ალექსანდრ დუბჩეკის მოსვლით. დუბჩეკი და მისი თანამოაზრეები (ო. შიკი, ი. პელიკანი, ზ. მლინარჟი და სხვ.) ქვეყნისა და საზოგადოების პოლიტიკური და კულტურული ლიბერალიზაციის მიზნით, თანმიმდევრული და გააზრებული რეფორმებით ცდილობდნენ შეექმნათ ახალი სოციალური სისტემა, ე.წ. „სოციალიზმი ადამიანური სახით“. ისინი მოქმედებდნენ ფრთხილად, მთლიანად არ უარყოფდნენ წინა პოლიტიკურ ხაზს, როგორც ეს ხდებოდა უნგრეთში 1956 წელს, მაგრამ საბჭოთა კავშირისა და რიგი სოციალისტური ქვეყნების (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი) ხელმძღვანელები ამ რეფორმებში ხედავდნენ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარტიულ-ადმინისტრაციული სისტემისთვის საფრთხეს, ასევე „საბჭოთა ბლოკის“ მთლიანობისა და უსაფრთხოების საფრთხეს.

რეფორმების დროს არსებითად დასუსტდა ცენზურა, ქვეყანაში გაიმართა საყოველთაო დისკუსიები, დაიწყო მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება. გამოცხადდა, რომ არსებობს მისწრაფება სიტყვის, შეკრებისა და გადაადგილების სრული თავისუფლების მისაღწევად, უშიშროების ორგანოების საქმიანობაზე მკაცრი კონტროლის დასაწესებლად, კერძო საწარმოების ორგანიზაციის გასამარტივებლად და წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის შესამცირებლად. გარდა ამისა, დაიგეგმა სახელმწიფოს ფედერალიზაცია და ჩეხოსლოვაკიის სუბიექტებისთვის ჩეხეთისა და სლოვაკეთისთვის მეტი უფლებამოსილების გადაცემა.

ლიბერალიზაციასთან ერთად ჩეხოსლოვაკიურ საზოგადოებაში ძლიერდებოდა ანტისაბჭოთა განწყობები. როდესაც 1968 წლის 15 თებერვალს საფრანგეთის ქალაქ გრენობლის ზამთრის ოლიმპიადაზე ჩეხოსლოვაკიის ჰოკეის გუნდმა საბჭოთა ნაკრები ანგარიშით 5:4 ბრწყინვალე სტილით დაამარცხა, მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი სსრ კავშირი გახდა, ცენტრალური ევროპის პატარა რესპუბლიკაში ბევრი ადამიანისთვის ამ თითქოსდა მხოლოდ სპორტულმა მოვლენამ ჭეშმარიტი ეროვნული დღესასწაულის სახე შეიძინა, ხოლო ჩეხი და სლოვაკი ჰოკეისტები, განსაკუთრებით, ვარსკვლავები – გოლკიპერი ძურილა, მცველი სუხი, თავდამსხმელები ნედომანსკი და შევჩიკი პრაღას ნამდვილი ეროვნული გმირების სტატუსით დაუბრუნდნენ.

მმართველი პოლიტიკური პარტიის რეტროგრადული და პრომოსკოვური ნაწილი – განსაკუთრებით კომუნისტური პარტიის ისტებლიშმენტის უმაღლესი ეშელონი გამოდიოდა საზოგადოებაზე პარტიული კონტროლის შესუსტების წინააღმდეგ და ამიტომ მიმართავდა საბჭოთა ხელმძღვანელობას ჩეხი და სლოვაკი რეფორმატორების ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად. სსრკ მმართველი წრეების მოსაზრებით, ჩეხოსლოვაკია ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის თავდაცვითი ხაზის ცენტრში

იმყოფებოდა და მისი გასვლა ამ ორგანიზაციიდან დაუშვებელი იყო ცივი ომის დროს. სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში შეზღუდული სახელმწიფო სუვერენიტეტის პოლიტიკამ, რომლის მიხედვითაც სამხედრო ძალის გამოყენება არ გამოირიცხებოდა, დასავლეთში მიიღო „ბრეჟნევის დოქტრინის“ სახელი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სსრკ კომპარტიის გენერალური მდივნის სახელი ამ დოქტრინას შეცდომით მიენიჭა, ვინაიდან იგი სტალინის დოქტრინისგან არაფრით განსხვავდებოდა. შემდგომში, 80-იანი წლებიდან მიხაილ გორბაჩოვის დროს ეს დოქტრინა შეიცვალა სხვა მიდგომით, რომელსაც დასავლელმა ჟურნალისტებმა ხუმრობით „სინატრას დოქტრინა“ უწოდეს (იგულისხმებოდა ფრენკ სინატრას ცნობილი სიმღერა My Way, „ჩემი გზა“).

1968 წლის 23 მარტს მსოფლიო კომუნისტურ პარტიათა გაერთიანებულ ყრილობაზე დრეზდენში გაისმა ჩეხოსლოვაკიური რეფორმების კრიტიკა, 4 მაისს ბრეჟნევმა მიიღო დელეგაცია დუბჩეკის მეთაურობით მოსკოვში და ამ შეხვედრაზე მკვეთრად გააკრიტიკა ჩსსრ მდგომარეობა, 15 ივლისს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა გაუგზავნეს ღია წერილი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, 29 ივლისს დუბჩეკი ჩერნოინად-ტისოუში ისევ შეხვდა ბრეჟნევს, 17 აგვისტოს კომარნოში დუბჩეკი შეხვდა უნგრეთის ხელმძღვანელს, იანოშ კადარს, რომელმაც მიუთითა კოლეგას, რომ სიტუაცია კრიტიკული ხდებოდა. მიუხედავად მრავალგზისი გაფრთხილებისა და აშკარა მუქარისა, ჩეხოსლოვაკიაც და მისი საზოგადოებაც გმირულად აგრძელებდნენ თავის სვლას ნამდვილი დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ.

ჯარების შეყვანის წინა დღეს სსრკ მარშალმა გრეჩკომ ინფორმაცია მიაწოდა ჩსსრ თავდაცვის მინისტრ მარტინ ძურას მოსალოდნელი აქციის შესახებ და გააფრთხილა, ჩეხოსლოვაკიის შეიარაღებულ ძალებს არ გაეწიათ წინააღმდეგობა.

პოლონეთიდან შეყვანილი იქნა საბჭოთა-პოლონური ჯარების კონტინგენტი იაბლონეცის, ოსტრავის, ოლომოუცისა და ჯილინის მიმართულებით.

გდრ-იდან შეყვანილი იქნა ჯარების საბჭოთა-გერმანული კონტინგენტი პრაღის, ხომუტოვის, პლზენისა და კარლოვი ვარის მიმართულებით.

უნგრეთიდან შევიდა საბჭოთა-უნგრულ-ბულგარული დაჯგუფება ბრატისლავის, ტრენჩინის, ბანსკა ბისტრიცის მიმართულებით.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გერმანელები, უნგრელები და პოლონელები მხოლოდ სიმბოლურად იყვნენ წარმოდგენილი: ოკუპანტების ძირითად მასას, ბუნებრივია, საბჭოთა სამხედროები შეადგენდნენ.

ჩეხოსლოვაკიის არმიას წინააღმდეგობა არ გაუწევია. შეჭრა მოხდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ყრილობის წინადღეს; ყრილობაზე მოსალოდნელი იყო რეფორმების საბოლოო მხარდაჭერა. ფორმალურად ეს ღონისძიება მაინც ჩატარდა ერთ-ერთ ადგილობრივ ქარხანაში და მან მართლაც დაუჭირა მხარი რეფორმებს, მაგრამ ამას უკვე არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა დაპყრობილი იყო და ქვეყნის სუვერენიტეტი ფეხქვეშ გათელილი.

მსოფლიო პროტესტს გამოხატავდა, მაგრამ არც ამას ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა. ამასთანავე, პროტესტს მხოლოდ დემოკრატიული ქვეყნების მოსახლეობა გამოხატავდა: შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებს რაიმე სერიოზული პროტესტისთვის არ მიუმართავთ: საბჭოთა კავშირს მშვენივრად ესმოდა, რას აკეთებდა და მისმა იმდროინდელმა ერთ-პიროვნულმა ხელმძღვანელმა, სსრკ კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა შესა-

1968 წლის აგვისტო

პირველად საბჭოთა კავშირი მოკვდა 42 წლის წინ, 1968 წლის 25 აგვისტოს. და ამ დღის შემდეგ იგი ყოველდღე კვდებოდა. უფრო სწორად, იგი უკვე მკვდარი იყო, მაგრამ ადამიანთა პირველმა ჯგუფმა ეს ინფორმაცია 25 აგვისტოს მიიღო, დანარჩენებისთვის კი ეს პროცესი წლების მანძილზე გაიწელა.

ნიშნავად იცოდა, რომ მისი აღვირახსნილი სამხედრო მოქმედება ევროპის ცენტრში შეუმჩნეველი არა, მაგრამ დაუსჯელი კი დარჩებოდა.

საბჭოთა შეჭრამ ჩეხოსლოვაკიაში გამოიწვია არნახული მასშტაბის საემიგრაციო ტალღა, ცენტრალური ევროპის მარგალიტად ცნობილი ამ პატარა ქვეყნიდან უკანმოუხედავად გაიქცა 300 000 ადამიანი. დაიღუპა ჩეხოსლოვაკიის 72 მოქალაქე, ასობით ადამიანი დაიჭრა. ერთი წლის შემდეგ, 1969 წელს პრაღაში სტუდენტებმა იან პალახმა და იან ზაიცმა ერთი თვის ინტერვალით თავი დაიწვეს საბჭოთა ოკუპაციისადმი პროტესტის ნიშნად.

საბჭოთა კავშირს არაფერი ადარდებდა: მან თავისი ძალის დემონსტრირება მოახდინა, ნათელი იყო, რომ კომუნიზმის დემონტაჟის კი არა, კომუნიზმის იმიჯის ოდნავი გაუმჯობესების მოკრძალებული მცდელობასაც კი ტანკებით დაუნდობლად გასრესდა ყველგან, სახლშიც და გარეთაც, თუნდაც შუა ევროპაში.

და მაინც, ლეონიდ ბრეჟნევმა ოპერაცია „დუნაის“ დაწყებას რომ ხელი მოაწერა, თავისდა უნებურად კომუნისტური ბლოკისა და საბჭოთა კავშირის მომავალ გარდაუვალ აღსასრულსაც მოაწერა ხელი.

ოფიციალურად საბჭოთა კავშირი 1991 წლის 26 დეკემბერს გარდაიცვალა, მაგრამ სინამდვილეში 1968 წლის აგვისტოს შემდეგ ეს ქვეყანა ცოცხალი ლეში იყო 23 წლის განმავლობაში. 1968 წლის შემდეგ უკვე აღარავის ჰქონდა ფუფუნება, გულწრფელად გაეზიარებინა კომუნისტური იდეალები, ჩეხოსლოვაკიის ამბებმა ამ ილუზიებს ბოლო მოუღო.

პირველად საბჭოთა კავშირი მოკვდა 42 წლის წინ, 1968 წლის 25 აგვისტოს. და ამ დღის შემდეგ იგი ყოველდღე კვდებოდა. უფრო სწორად, იგი უკვე მკვდარი იყო, მაგრამ ადამიანთა პირველმა ჯგუფმა ეს ინფორმაცია 25 აგვისტოს მიიღო, დანარჩენებისთვის კი ეს სასიკვდილო-საინფორმაციო პროცესი წლების მანძილზე გაიწელა.

მაინც რა მოხდა ასეთი 1968 წლის 25 აგვისტოს?

ოკუპაციის პირველსავე დღეს ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთის სახელგანთქმულმა პოეტმა და ბარდმა ალექსანდრე გალიჩმა (ფსევდონიმია, ნამდვილი გვარია გინზბურგი, ფსევდონიმი შეიქმნა გვარის, სახელისა და მამის სახელისა თავისებური აბრევიაციით: გ-ინზბურგ ალ-ექსანდრ არკადიევ-იჩ) დაწერა შემდეგი სტრიქონები: „Можешь выйти на площадь, смеешь выйти на площадь в тот назначенный час?!“ (შეძლებ, გამოხვიდე მოედანზე, გაბედავ, გამოხვიდე მოედანზე იმ დათქმულ დროს?!)

და საბჭოთა კავშირში მოიძებნა შვიდი ადამიანი (არა სამი, არა ხუთი, არამედ სწორედ შვიდი), რომელმაც შეძლო, რომელმაც გაბედა, რომელიც გამოვიდა მოედანზე დათქმულ დროს. შვიდი ადამიანი გამოვიდა საბჭოთა ქვეყნის მთავარ წერტილში, ბოროტების იმპერიის ცენტრში, წითელ მოედანზე, მის გოლგოთაზე, ე.წ. თხემის ადგილზე (лобное место).

„თხემის ადგილი“, лобное место, ძველი რუსული არქიტექტურის ძეგლი მოსკოვში, წითელ მოედანზე, წარმოადგენს ტრიბუნას, რომელსაც გარს ერტყმის ქვის დაბალი გალავანი. დასახელების თაობაზე განსხვავებული ვერსიები არსებობს. ერთი ასეთი ვერსიის მიხედვით, თხემის ადგილის სახელი ამ ადგილმა იმიტომ შეიძინა, რომ ამ ადგილას თხემს ანუ თავს კვეთდნენ. სხვა წყაროების მიხედვით, лобное место არის ბერძნული „კრანიონის ადგილის“ ან ებრაული „გოლგოთის“ სლავური თარგმანი. ასეთი დასახელება გოლგოთის ბორცვმა მიიღო იმიტომ, რომ მისი ზედა ნაწილი წარმოადგენდა შიშველ კლდეს, რომელიც შორეულად მოგვაგონებდა ადამიანის თავის ქალას. ვასილის დაღმართი, რომლის დასაწყისში დგას თხემის ადგილი, შუა საუკუნეებში იწოდებოდა „თხემად“ (საერთოდ, „თხემი“ მდინარისკენ ციცაბო დაღ-

მართის გავრცელებული დასახელება იყო შუასაუკუნეების რუსეთში).

თხემის ადგილმა ახალი დიდება შეიძინა 1968 წლის აგვისტოში. ეს იყო „პატარა“ აქცია, რომელმაც საბოლოო ჯამში საბჭოთა იმპერია დააქცია: დემონსტრანტებს ჰქონდათ ლოზუნგები: „Atʹ zije svobodne a nezavisle Ceskoslovensko!“ (გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ ჩეხოსლოვაკიას!), „სირცხვილი ოკუპანტებს!“, „ხელები შორს ჩსსრ-საგან!“, „თქვენი და ჩვენი თავისუფლებისთვის!“, „თავისუფლება დუბჩეკს!“ დემონსტრანტები აფრიალებდნენ ჩეხოსლოვაკიის თვითნაკეთ სახელმწიფო დროშებს და პლაკატებს. საჯარო პროტესტი გრძელდებოდა მხოლოდ რამდენიმე წუთს, დემონსტრანტებს გარს შემოერტყნენ არა მხოლოდ გაოგნებული და ამგვარი აქციებისადმი სრულიად მოუმზადებელი საბჭოთა ადამიანები, არამედ უშიშროების მარად ფხიზელი და შესანიშნავად მომზადებული საიდუმლო თანამშრომლებიც.

ოფიციალურად ცნობილია, რომ 25 აგვისტოს დემონსტრაციაში მონაწილეობდა შვიდი ადამიანი – ლინგვისტი კონსტანტინე ბაბიცკი, ფილოლოგი ლარისა ბოგორაზი, პოეტი ვადიმ დელონე, მუშა ვლადიმირ დრემლიუგა, ფიზიკოსი პაველ ლიტვინოვი, ხელოვნებათმცოდნე ვიქტორ ფაინბერგი და პოეტი ნატალია გორბანევსკაია. სინამდვილეში თხემის ადგილზე გამოვიდა მერვე მეპროტესტეც, ოცი წლის სტუდენტი ტატიანა ბაევა, მაგრამ დაკავების შემდეგ მეგობრებმა იგი დაარწმუნეს, მილიციისა და კაგებესთვის ეთქვა, რომ შემთხვევით აღმოჩნდა მოედანზე. დაკითხვის შემდეგ ბაევა გაუშვეს.

ნატალია გორბანევსკაია (ლეგენდარული დისიდენტური თვითგამოცემის ჟურნალის, „Хроника текущих событий“– „მიმდინარე მოვლენათა ქრონიკის“ პირველი რედაქტორი) იგონებს: „1968 წლის 25 აგვისტოს ზუსტად დღის თორმეტ საათზე ჩამოვჯექით თხემის ადგილის პარაპეტზე და გავშალეთ ლოზუნგები... თითქმის იმავდროულად გაისმა სტვენა და მოედნის ყველა მხრიდან მოვარდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კაგებეს თანამშრომლები: ისინი კრემლიდან ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის გამოსვლის მოლოდინში მორიგეობდნენ წითელ მოედანზე. მორბოდნენ ჩვენსკენ და ყვიროდნენ: „Это все жиды! Бей антисоветчиков!“ (ესენი ყველანი ებრაელები არიან! ურტყი ანტისაბჭოთებს!)“ ჩვენ მშვიდად ვისხედით, წინააღმდეგობა არ გაგვიწევია. ხელიდან გამოგვგლიჯეს ლოზუნგები. ვიქტორ ფაინბერგს სახე გაუსისხლიანეს და კბილები ჩაულეწეს, პაველ ლიტვინოვს სახეში მძიმე ჩანთას ურტყამდნენ, მე გამომგლიჯეს და გამიტეხეს ჩეხოსლოვაკიის დროშა. რამდენიმე წუთში გამოჩნდნენ მანქანები და ყველანი ჩემს გარდა ჩატენეს მანქანებში. მე სამი თვის შვილთან ერთად ვიყავი და თითქოს მომერიდნენ: ათი წუთი კიდევ ვიჯექი თხემის ადგილთან. ბოლოს მეც მანქანაში შემაგდეს. იქ მცემდნენ. ჩვენთან ერთად დააპატიმრეს რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც ჩვენს მიმართ თანაგრძნობა გამოხატეს – ისინი გვიან საღამოს გაუშვეს. ჩხრეკის შემდეგ გამათავისუფლეს მეც, ალბათ იმიტომ, რომ ორი მცირეწლოვანი ბავშვი მყავდა“.

დემონსტრაციის მონაწილეებს ბრალად დაედოთ „ჯგუფური მოქმედებების განხორციელება, რომლებიც უხეშად არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს“ და „განზრახ ცრუ მონაჭორის გავრცელება, რომლებიც ზიანს აყენებს საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობას“. თითოეული ეს სტატია გულისხმობდა მაქსიმალურ სასჯელს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთას საერთო და არა პოლიტიკურ ბანაკებში.

სასამართლომ ძალიან სწრაფად ჩაიარა, დაიწყო 1968 წლის 9 ოქტომბერს და მესამე დღეს, 11 ოქტომბერს უკვე განაჩენი გამოიტანა. ვადიმ დელონეს და პაველ ლიტვინოვს საუკეთესო ადვოკატები სოფი კალისტრატოვა და დინა კამინსკაია იცავდნენ. ლარისა ბოგორაზი თავს თვითონ იცავდა. პროცესი „ღია“ იყო, მაგრამ ერთი-ორი ნათესავის გარდა სასამართლოში შეუშვეს კომკავშირული ოპერჯგუფები და სუკის სამოქალაქოში გამოწყობილი თანამშრომლები (1984 წელს ჩვენს „ღია“ სასამართლო პროცესზე საქართველოშიც ანალოგიური მდგომარეობა იყო, დარბაზი სავსე იყო აქტივისტი კომკავშირლებით და ჩეკისტებით, რომელთა ნაწილს, შესაძლოა, დღეს მაინცდამაინც არ სიამოვნებს ამის გახსენება).

საქმეში მოწმეებად გამოდიოდნენ ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის სამხედროები, რომლებიც იმ დღეს წითელ მოედანზე „სეირნობდნენ“ და დემონსტრანტების დაკავებაში კომპეტენტურ ორგანოებს სათანადო დახმარება გაუწიეს. დაკავების კიდევ ერთი მონაწილე, მორდოვეთის ბანაკების მუშაკი დავიდოვიჩი ასევე გასაოცრად „შემთხვევით“ გამოვიდა გუმიდან. ადვოკატების არგუმენტი, რომ მოწმე ტყუის (ქვეყნის მთავარი მაღაზია იმ დღეს არ მუშაობდა, რადგან კვირადღე იყო) სასამართლომ არ გაითვალისწინა, როგორც არაარსებითი. ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ არ ცნეს. მიუხედავად ამისა, ვლადიმირ დრემლიუგას მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, ვადიმ დელონეს ორი წელი და 10 თვე. პაველ ლიტვინოვმა, ლარისა ბოგორაზმა და კონსტანტინე ბაბიცკიმ „დაიმსახურეს“ მხოლოდ გადასახლება, შესაბამისად, 5, 4 და 3 წელი (არც ერთი მათგანი მანამდე ნასამართლევი არ იყო და მათ კმაყოფაზე იყვნენ არასრულწლოვანი ბავშვები). კიდევ ორი – ვიქტორ ფაინბერგი და ნატალია გორბანევსკაია ცნეს „შეურაცხადებად“ (აქ სერიოზულად „იმუშავა“ დანიილ ლუნცმა, სახელგანთქმულმა პროფესორ-სადისტმა სერბსკის სახელობის სასამართლო ფსიქიატრიის ინსტიტუტიდან).

ყველა საკასაციო საჩივარი დარჩა განხილვის გარეშე, ანალოგიური ბედი ეწია იმ წერილსაც, რომელიც დაწერეს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა (მსახიობმა იგორ კვაშამ, მწერალმა ვიქტორ ნეკრასოვმა, 1937 წელს დახვრეტილი კომანდარმის, იონა იაკირის ვაჟმა, ისტორიკოსმა პიოტრ იაკირმა) და გაუგზავნეს სსრკ და რსფსრ უზენაესი საბჭოების დეპუტატებს. ოთხმოცდათხუთმეტ-

1968 წლის აგვისტო

საჯარო პროტესტი გრძელდებოდა მხოლოდ რამდენიმე წუთს, დემონსტრანტებს გარს შემოერტყნენ არა მხოლოდ გაოგნებული და ამგვარი აქციებისადმი სრულიად მოუმზადებელი საბჭოთა ადამიანები, არამედ უშიშროების მარად ფხიზელი და შესანიშნავად მომზადებული საიდუმლო თანამშრომლებიც.



მა ხელისმომწერმა ხელისუფლების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სამართალდამცველების საბრალდებო განაჩენმა „დაარღვია ძირითადი სამოქალაქო თავისუფლებები“. პასუხი ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა.

ისე მოხდა, რომ „მჯდომარე დემონსტრაციის“ შვიდი მონაწილიდან ხუთს მოუხდა სამშობლოს დატოვება: ვადიმ დელონე, ვიქტორ ფაინბერგი და ნატალია გორბანევსკაია ბანაკებიდან და სპეციალური ფსიქიატრიული საავადმყოფოებიდან გათავისუფლების შემდეგ საფრანგეთში წავიდნენ ემიგრაციაში. ვადიმი გარდაიცვალა 1983 წელს პარიზში, ვიქტორი აგრძელებს უფლებადაცვით საქმიანობას (ჩავიდა კიდეც ჩეჩნეთში პირველ რუსულ-ჩეჩნური ომის დროს), ნატალია მუშაობს ყოველკვირეულ „რუსულ აზრში“, თარგმნის პოლონელ და უკრაინელ პოეტებს. მათმა მეგობრებმა, ვლადიმირ დრემლიუგამ და პაველ ლიტვინოვმა საემიგრაციოდ აირჩიეს შეერთებული შტატები. კონსტანტინე ბაბიცკის დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო აუკრძალეს თავისი პროფესიით მუშაობა (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის რუსული ენის ინსტიტუტში), მაგრამ მისი არჩევანი იყო ეცხოვრა და გარდაცვლილიყო (1993 წ.) მოსკოვში.

>>> **გაგრძელება გვ. 111**

როგორი ქალები მოსწონთ ქართველ მწერლებს

ავტორი: სოფიო შამანიდი

ძვირფასო ქალებო!

თუკი ქართველი მწერლების გულის დაპყრობა გაქვთ განზრახული, ნუ ეცდებით აწ უკვე გაცვეთილ „90-60-90“ სტანდარტთან მიახლოებას – ეს სტანდარტი, ძირითადად, ფეხბურთელებზე მოქმედებს. არც მკერდის გაზრდაზე იფიქროთ იმიტომ, რომ როგორც აღმოჩნდა, ქართველი მწერლების უმეტესობა პატარა მკერდს ანიჭებს უპირატესობას. ნურც ძვირადღირებულ „ბრენდებზე“ დაიხარჯებით, რადგანმათ, მწერლებს, ერთეული გამონაკლისის გარდა, მაღალი მოდის არაფერი გაეგებათ.

მაშ, როგორი ქალები მოსწონთ ქართველმწერლებს?

ამის გასარკვევად რამდენიმე მწერლის ნაწარმოებებს გადავავლე თვალი – იმ მწერლებისა, რომელთაც პირადად ვიცნობ, რადგან ასე უფრო გამიადვილდება იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება მათი გმირების გემოვნება თავად მწერლების გემოვნებას.

„კვლევისას“ გამოიკვეთა ქალის სამი ტიპი: 1. ორმოცწელს მიღწეული, კარგად შემონახული, შევსებული ქალი დიდი ბიუსტითა და მომრგვალებული ფორმებით – ზაზა ბურჭულაძის განსაზღვრება რომ ვიხმაროთ, „მონიკა-ბელუჩისებური“; 2. გამხდარი, მკვრივი მკერდით და აუცილებლად მრგვალი საჯდომით და 3. არაქართული (ხშირად სლავური) გარეგნობისა, შესაბამისად, კარგად აწყობილი ქალი, აპრეხილი ცხვირით და ცისფერი თვალებით.

პირველი კატეგორიის ქალს უპირატესობას აკა მორჩილაძე ანიჭებს. მისი ქალები მამაკაცების ყურადღებას შევსებული მკერდით და განიერი თეძოებით იპყრობენ. თანაც, საგანგებოდ ვიწრო ტანსაცმელს იცვამენ, რათა საკუთარი სხეულის სისავსეს გაუსვან ხაზი. („ქალი 38 წლისა იყოდა მთვარის შუქზე კრთებოდა მისიტანის სავსე და მადიანი მოხაზულობა“ („სხვა“), „ქალს რომ უწოდებენ, სწორედ ისეთი. მანქანის სალონში ბნელა, ამიტომ მისი თეძოები უფრო მახსოვს, ვიდრე იერი... მკერდიც ზღაპრულად ედგა. თითქოს ყველაფერი საგანგებოდ ვიწრო ეცვა და მზად იყო“ („სხვა“), „ეშხიანი ქალი იყო, მკერდი ჰქონდა, რომ შეივსებიან და ძალიან რომ უხდებათ კორსეტი...“ („სხვა“), „იგი ორმოცს იმიტომ თუ გადასცდენოდა, რომ უფრო მიმზიდველი და ეშხიანი გამხდარიყო... მაღალი და სავსე... ხავერდის შემოტკეცილი კაბა და, ალბათ, ვარდისფერი, საგაზაფხულო პალტო ეცვა“ („სხვა“), „...ერთი მუხლისთავი [საჭის] აქეთ, მეორე – იქეთ, შუაში რული, შიშველი მხარი, სარკე, სათვალე, ცეცხლისფერი თმა, შეღებილი, რა თქმა უნდა, მკრთალი ნაოჭი ტუჩის კიდესთან, სქელი ტუჩები, დაბალი გადასართველი, ზედხელი, ხელზე – სქელი ბეჭედი, ნეკზე, არათითზე, შუათითზე ვერცხლი, ფრჩხილები – სწორადწაჭრილი, თითები, არცთუ გადასარევი, ორმოცდახუთი წლის ქალის თითები... ტაქსისტმა ეგეთ ქალს „ტოტა“ უნდა დაუძახოს...“ („აგვისტოს პასეანსი“).

აკა მორჩილაძისთვის ქალის ეროტიკულობა პირდაპირ კავშირშია მის გარეგნობასთან. ეს არ არის ბალზაკის ან ფლობერის ნირწამხდარი, ფერმკრთალი ქალი. ეს არის აღმოსავლურ პოეზიაში განდიდებული ქალი ვიწრო წელით, მრგვალი თეძოებით, მსხვილი მკლავებით, ჯანმრთელი ბარძაყებით, მოკლედ რომ ვთქვათ, დაახლოებით იმ ფორმებისა, მედიტერანულ კულტურებში ნაყოფიერების ქალღმერთებს რომ აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ აკა მორ-

ჩილაძეს ტიპური სამხრეთელი კაცის გემოვნება აქვს – მისთვის სექსუალური ქალი ისეთი ქალია, რომელსაც გარკვეული ასაკის მამაკაცები – „ჯანმრთელი ქალიაო“ – ასე მოიხსენიებენ.

ასეთი ქალი სძულს ზაზაბურჭულაძეს. ასეთ ქალზე იგი ხაზგასმით ირონიულად წერს „ადიბასში“: „დროდადრო საიდანღაც ისეთი დამპლის სუნი მოდის, რომ ლუდის მწკლარტე სურნელსაც კი ფარავს. რაზეც ჩემი მეზობელი და ჩემი პირველი სიყვარული მახსენდება. მაცაცო. ჩემზე ორაღარ მახსოვს, რა მკითხა. მაშინვე რაღაც ჩამწყდა. პირში დამპლის სუნი ქონდა...“.

ზაზა ბურჭულაძე უპირატესობას მეორე კატეგორიის ქალებს ანიჭებს. მისი ქალი გამხდარი, მკვრივი მკერდის და აზნექილი უკანალის პატრონია („თაკოს ყურში პატარა ნაუშნიკი გაურჭვია. ხელში აიპოდი უჭირავს, რომლის თეთრი კაბელი მისი ზაგრის ფონზე იმაზე თეთრად მოჩანს, ვიდრე არის. როგორც შოკოლადზე რძის ზოლი... თავისი მუსიკის რიტმს მსხლის სუნი უდიოდა“ („კარიკატურისტი“), „მახსენდება მისი თეთრი კაბა, თეთრი კბილები, გატეხილი ლოყები, შავი გუგები და კისრის მალებზე, მუქ გულის ფიცარზე გადმოკიდებული ვერცხლისფრად მბზინავი ძეწკვი“ („ლიტერატურული ექსპრესი“), „...თავისი მუქი კანით, ლაპლაპა და დახაზული ფეხებით, შავი თვალებით, შინდისფერი ტუჩებით, ოდნავ გატეხილი ლოყით, თხელი თეთრი შარვლით და თეთრი მაისურით...“ („ლიტერატურული ექსპრესი“), „იყო მაღალ-მაღალი... ჰქონდა

ლაშა ბუღაძის დაკვირვებით,

ბერძენ ქალებს საოცრად დიდი საჯდომი აქვთ. ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესის“ გმირი, მამით ბერძენი ჰელენა მის ქართველ ნაცნობს ეუბნება, რომ დედაც რომ ბერძენი ჰყოლოდა და არა გერმანელი, „სქელი ტრაკი ექნებოდა“.

ჯერ უფროსი იყო [სავარაუდოდ, აკა მორჩილაძის ქალის ასაკისა - ს.შ.]... ჩემი ოცნების ქალი იყო. მისი სხეულის ყოველი კვადრატული მილიმეტრი მიყვარდა... კარგი აღნაგობა, დიდი ძუძუები და ოდნავ შევსებული ტანი ჰქონდა, მონიკაბელუჩისებური. ...მუხლზევით კაბა ეცვა. ტანზე მიკრული თეთრი პერანგიდან მკაფიოდ მოუჩანდა ხორცისფერი ლიფის ორნამენტიანი კონტური. ...შეღებილი თმა, პომადიანი ტუჩები, აკურატულად კორექტირებული წარბები და ორნამენტი ან ლიფში შეფუთული ძუძუები... აყოლილი შემართულ კობრასავით მსუბუქად ირხევა... თვითონაც ეს უნდა. რომ უყურონ და აუდგეთ... მე თვითონ მიდგება, როცა ვუყურებ მის მკვრივ ძუძუებს, მაღალ ტრაკს, ბიჭივით ოდნავ განიერ მხრებს...“ („ადიბასი“).ეჭვი მეპარება ასეთი გარეგნობის ქალისთვის ყურადღება მიექცია აკა მორჩილაძის რომელიმე გმირს.

სამაგიეროდ, ზაზას გემოვნებას ლაშა ბუღაძის გემოვნება ემთხვევა. ლაშას სუსტი წერტილი მუქი (ალბათ, გარუჯული) კანი და მრგვალი საჯდომია: „შოკას თხელ სხეულს და მუქ კანს ზეცისკენ ატყორცნილი გავა და გრძელი კანჭები“ („ბოლო ზარი“), „პირველი, რასაც თვალი მოკრა, ამ ხუჭუჭთმიანი გოგოს მოშიშვლებული წელი, უფრო სწორად, ზურგის ნაწილი იყო, მოკლე ჟაკეტი რომ ვერ უფარავდა. მერე უაღრესად მრგვალ, ვაშლისმაგვარ ტაკოებსაც შეავლო თვალი...“ („ოქროს ხანა“), „ხელები უკან, ჯინსებში ჩავუძვრინე და მის არანორმალურად მკვრივ, ცხელ, ქვასავით მაგარ ტრაკს მოვეჭიდე“ („ლიტერატურული ექსპრესი“).

>>> გაგრძელება გვ. 113

დისკუსია

უნივერსიტეტის ფიქტიური ავტონომია

ავტორი: ნინო ბექიშვილი

ფოტო: თემო ბარძიმაშვილი

მონაწილეები:

მარინე ჩიტაშვილი
ფსიქოლოგი, თსუ პროფესორი

დავით პაიჭაძე
ჟურნალისტი, ილიაუნის ასისტენტ–პროფესორი

მამუკა ჯიბლაძე
ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

მალხაზ ბაკურაძე
მათემატიკოსი, თსუ–ს ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელისუფლებამ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი მიავლინა – ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი სანდრო კვიტაშვილი, რომელიც საარაუდოდ, დეკემბერში უკვე არჩეული რექტორი გახდება. მის დასანიშნად ხელისუფლებას კანონის შეცვლა დასჭირდა: რექტორის თანამდებობის დასაკავებლად აღარ არის საჭირო აკადემიური ხარისხი.
რა პრობლემებია თსუ–ში და სხვა უნივერსიტეტებში? ერევა თუ არა სახელმწიფო დამოუკიდებელი უნივერსიტეტების შიდა საქმიანობაში? არის თუ არა ფიქცია უმაღლესი სასწავლებლების ავტონომია? როგორ ვითარდება უმაღლესი განათლების სისტემა ჩვენთან? ამ საკითხების განხილვას დისკუსიაზე შევეცადეთ.

რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

მარინე ჩიტაშვილი: თსუ არ წარმოადგენს გამონაკლისს – დღეს უმაღლესი სასწავლებლებისთვის მთავარი პრობლემა უნიფიცირებული ორგანიზაციული მოდელების დანერგვის მცდელობა და იმ მრავალფეროვნების იგნორირებაა, რაზეც, ზოგადად უნივერსიტეტი დგას. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: მინისტრი 2009 წლის სექტემბერში წერს ბრძანებას, რომლის საფუძველზეც, თურმე, შეფასება უნდა განხორციელდეს სტანდარტული ფორმით და საბოლოო შეფასება არც ერთ საგანში არ უნდა იყოს 40 ქულაზე ნაკლები. თუკი აიღებთ ამ ბრძანებას და გვერდით დაუდებთ ლაბორატორიულ კურსს, სადაც ფინალური გამოცდა არ ტარდება და მიმდინარე შეფასებები აკუმულირდება, გამოდის, რომ ასეთი კურსი საერთოდ არ უნდა გქონდეთ. ბრძანებას თუ დაარღვევთ, პასუხს აკრედიტაციის სამსახური მოგთხოვთ. ჩვენთან დღეს ცდილობენ, უნივერსიტეტი მართონ იმ მოდელით, რომელსაც ორგანიზაციულ თეორიაში მენეჯერიალიზმი ჰქვია. ეს მოდელი გასული საუკუნის 70–იან წლებამდე ძალიან პოპულარული იყო. ის მოარგეს ყველა ორგანიზაციულ სტრუქტურას, მათ შორის უნივერსიტეტებსაც, მაგრამ მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. 1977 წლიდან იწყება ორგანიზაციულ თეორიაში ახალი მოდელის შემუშავება სწორედ უნივერსიტეტების მაგალითიდან გამომდინარე და მას ქაოსური ორგანიზაციის მოდელად იცნობენ – მრავალფეროვნების გათვალისწინებით იქმნება უზოგადესი ჩარჩო, რომლის კვალობაზედაც შეიძლება, აიწყოს ორგანიზაცია/უნივერსიტეტი. ჩვენთან ცდილობენ, ყველა უნივერსიტეტი ერთ თარგზე მოჭრან. დღეს ბაკალავრიატს, მაგისტრატურასა და დოქტურანტურას შორის პრინციპული სხვაობა არ ჩანს. არის მცდელობა უნივერსიტეტები არა კვლევით ორგანიზაციებად, არამედ – მხოლოდ სასწავლო დაწესებულებებად აქციონ.

უნივერიტეტი, ერთ–ერთი ყველაზე ძველი ორგანიზაციული ინსტიტუტი, ცვლილებებს სამი ძირითადი პრინციპის დაცვით უძლებს. პირველი, ესაა თავისუფალი სააზროვნო სივრცე, უნივერისტეტი მარტო ამისთვის იქმნება, მეორე – სწავლება და მესამე – კვლევა. სწავლებაც და კვლევაც ემსახურება იმას, რომ შეიქმნას სივრცე სადაც კრიტიკული აზროვნება არსებობს. როდესაც ცდილობთ, მენეჯერიალიზმის პრინციპით მართოთ უნივერსიტეტი, გამოდის, რომ ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ქარხანასა და უნივერსიტეტს შორის არანაირი განსხვავება არ არის. არადა, უნივერსიტეტი, ძირითადად, ერთ ფუნქციას ასრულებს: ვინც შემოვიდა, ის ცოტათი უკეთესი უნდა გავიდეს.

დათო, შენ რამდენიმე წელი მუშაობდი თსუ–ში. შემდეგ ილიაუნი–ში გადახვედი. რა მოხდა? რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდი?

დავით პაიჭაძე – მე არ შემიხედავს ჩემი წამოსვლის მიზეზებისთვის მთელი თსუ-ს პრობლემების ჭრილში. ლოკალური პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი, რაც ჩემ წამოსვლას ეყო. მიმაჩნდა, რომ ჟურნალისტიკის მიმართულება უნდა განვითარებულიყო რაღაც გზით, რაც არ გაიზიარა ჩემი კოლეგებს დიდმა ნაწილმა, რომლებიც თვლიდნენ, რომ ყველაფერი ძველებურად უნდა დარჩენილიყო. რექტორმა, ვისგანაც მხარდაჭერა მჭირდებოდა, ცალსახად ჩემი ოპონენტების მხარე დაიჭირა. ჩავთვალე, რომ იქ არაფერი მესაქმებოდა და წამოვედი. აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ ჩვენი ხედვა განსხვავდებოდა, არამედ, იყო ღირებულებითი შეუთავსებლობაც.

ბატონო მალხაზ, რა მდგომარეობაა კონკრეტულად მათემატიკის ფაკულტეტზე?

მალხაზ ბაკურაძე: უნივერსიტეტში ერთი წელია ვასწავლი. მანამდე მათემატიკის ინსტიტუტში ვმუშაობდი. მოხდა ისე, რომ სამეცნიერო ინსტიტუტებს აუკრძალეს ასპირანტების მიღება. ბოლო ასპირანტი რვა წლის წინ მყავდა. მინდოდა, მონაწილეობა მიმეღო სწავლების პროცესში და ამიტომ მივედი უნივერსიტეტში. სიმართლე გითხრათ, თავიდან შოკირებული ვიყავი სტუდენტების ცოდნის დონით. მე როცა ვსწავლობდი, ასეთ სტუდენტებს უნივერსიტეტში უბრალოდ არ ვაჩერებდით. ნამუშევარს რომ გადავშლიდი, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს სტუდენტის ნაწერია, ბავშვის ნათამაშებს ჰგავდა. მერე, ნელ-ნელა გამოჩნდნენ კარგი სტუდენტებიც. ახლა ვფიქრობ, რომ მაინც ღირდა უნივერსიტეტში მისვლა. იქ სწორედ იმიტომ მივედი, რომ ვთვლი, საჭიროა მეტი კავშირი იყოს მოქმედ მეცნიერებსა და სტუდენტობას შორის.

როგორ ფიქრობთ, რატომ ხვდებიან უნივერსიტეტში ასეთი დაბალი დონის მქონე აბიტურიენტები? რა უწყობს ამას

მალხაზ ბაკურაძე

უნივერსიტეტი სულ ცარიელი რომ არ დარჩეს, იძულებული ხარ, თამასა დაბლა დასწიო. ბავშვები ამბობენ, სულ არ მინდოდა მათემატიკოსობა, ბოლო ადგილას მეწერა და მოვხვდიო. ამ დაბალ დონეს თუ მივყევით, ბოლოს უნივერსიტეტი კი აღარ გვექნება, საბჭოთა დროს რომ პროფტექნიკური სასწავლებლები იყო, იმ დონეზე დავალთ.

ხელს? იქნებ, ეროვნული გამოცდების სისტემაა არასწორი?

მალხაზ ბაკურაძე: აქ ბევრი პრობლემაა – უპირველესად, სკოლა. უნივერსიტეტი სულ ცარიელი რომ არ დარჩეს, იძულებული ხარ, თამასა დაბლა დასწიო. ბავშვები ამბობენ, სულ არ მინდოდა მათემატიკოსობა, ბოლო ადგილას მეწერა და მოვხვდიო. ამ დაბალ დონეს თუ მივყევით, ბოლოს უნივერსიტეტი კი აღარ გვექნება, საბჭოთა დროს რომ პროფტექნიკური სასწავლებლები იყო, იმ დონეზე დავალთ. ხელობას ჩვენ ვერ ვასწავლით და თეორიაში კიდევ, რა უნდა ასწავლო ადამიანს, რომელმაც ანბანი არ იცის?

ასეთივე მდგომარეობაა ფსიქოლოგიის ფაკულტეტზეც?

მარინე ჩიტაშვილი: დიდი ხნის ინტერვალის შემდეგ, 2005 წელს შევედი ბაკალავრებთან. ეს პირველი ეროვნული გამოცდებით მიღებული ნაკადი იყო, როცა აბიტურიენტები ოთხ საგანს, მათ შორის მათემატიკას, აბარებდნენ და უნარებით კი არ ხდებოდა დაფინანსება, არამედ ყველა გამოცდის ჯამით. სტუდენტების ეს ნაკადი გამორჩეული იყო ბოლო 5 წლის განმავლობაში ცოდნის დონით და მოტივაციით. მე ვიყავი ერთ-ერთი ინიციატორი იმისა, რომ მისაღებზე მეოთხე საგანი მათემატიკა ყოფილიყო - ვინც მათემატიკა იცის, მას აბსტრაქტული აზროვნება გარანტირებულად შეუძლია. ფსიქოლოგიურზე ყოველთვის ბარდებოდა მათემატიკა, მხოლოდ 90–იან წლებში ამოიღეს. შედეგად, სტუდენტებმა პროცენტის გამოთვლა არ იცოდნენ და მიიჩნევდენენ, რომ ფსიქოლოგია ჰუმანიტარული მეცნიერებაა (რაც სრული ნონსენსია). როდესაც გადავიდა დაფინანსება მხოლოდ უნარებზე, ამის შემდეგ დაიწყო სტუდენტების საერთო დონის ვარდნა. ზოგადად ,სტუდენტების ცოდნის დაბალი დონე საერთო პრობლემაა თანამედროვე უმაღლესი განათლებისათვის. ძირითადი პრობლემა მაინც ჩვენი სკოლების დაბალი ხარისხი გახლავთ. წელს უკანასკნელად ვკითხულობ ქცევის ახსნის ფსიქო-დინამიკურ მოდელებს, რადგან კურსის უფრო მეტად გამარტივება ვეღარ წარმომიდგენია. არაფერი გამოდის, ტყუილად ვტანჯავ სტუდენტებს და ტყუილად ვიტანჯავ თავს. იმასთან შედარებით, რასაც სკოლაში ვასწავლით, კიდევ კარგი ხალხი მოდის. მაშინ, როდესაც სასერტიფიკაციო გამოცდებზე მათემატიკის მასწავლებელთა მხოლოდ 24%–მა გადალახა კომპეტენციის ზღვარი, გასაგებია, ბავშვებმა მათემატიკა რატომ არ იციან.

მამუკა ჯიბლაძე

> ვფიქრობ, რომ ინსტიტუტების შეერთებით გარკვეულწილად დისპროპორციულ ვითარებას მივიღებთ. მაგალითად, მათემატიკოსები თავს მოიყრიან ერთ უნივერსიტეტში, მაშინ, როცა რეალურად სხვებსაც სჭირდებათ მათემატიკოსები.

ახალმა რექტორმა წარმოადგინა უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა?

მარინე ჩიტაშვილი: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას ჯერ არაფერი წარმოუდგენია. რაც არც არის გასაკვირი, ის ჯერ მხოლოდ მოვალეობის შემსრულებელია. რექტორის არჩევნებისთვის, ყველა კანდიდატმა უნდა წარადგინოს თავისი სტრატეგიული გეგმა, რომელიც უნდა განიხილოს აკადემიურმა საბჭომ. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რა ტიპის ცვლილებებს განახორციელებს არჩეული რექტორი. მე შემიძლია გითხრათ, რომ მარტივი რამეა გასაკეთებელი: უნდა განვსაზღვროთ, რა ტიპის უნივერსიტეტს ვაშენებთ, უნდა მოხდეს დეცენტრალიზაცია ფაკულტეტების დონეზე და გასაყოფია რექტორის ფუნქცია. მე მომხრე ვარ ანგლო-ამერიკული მოდელისა, სადაც რექტორის/პრეზიდენტის ფუნქცია ფონდების მოძიება და წარმომადგენლობითი საქმიანობაა. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს/კანცლერს ევალება უზრუნველყოს ადმინისტრაციის ეფექტური მუშაობა, რათა აკადემიური საქმიანობა – სწავლება და კვლევა იყოს უზრუნველყოფილი. უნდა დაინიშნოს პროვოსტი, რომელიც გააერთიანებს სწავლებასა და კვლევას ერთი სტრატეგიის ქვეშ. თუკი ეს მოხდება, ვთვლი, რომ ახლა, როდესაც აკადემიის ინსტიტუტების შემოერთებაზეა საუბარი, ამ სისტემის, უნივერსიტეტის ამუშავება შესაძლებელია.

მამუკა ჯიბლაძე: როგორც ჩანს, არ არის მარტივი გადასაწყვეტი სამეცნიერო ინსტიტუტების შეერთების საკითხი. სამი წლის წინ ტასისის პროექტის ფარგლებში გარკვეული მოსაზრებები შემუშავდა მეცნიერების განვითარების შესახებ, სადაც ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლებიც ვმონაწილეობდით. სამწუხაროდ, ეს პროექტი თითქოს არც არსებულა, იქიდან არაფერი გაუთვალისწინებიათ. ჯერჯერობით ჩემთვის ცნობილი არ არის, რა კრიტერიუმებით მოხდება ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან მიერთება. აკადემიის სისტემა ნამდვილად მახინჯი იყო. არ ვიცი, საბჭოთა სისტემაზე როგორ იყო მორგებული, მაგრამ დღეს აშკარა ანაქრონიზმია ის, რომ მეცნიერები ორ ნაწილად არიან დაყოფილნი. მეცნიერთა საუკეთესო ნაწილი უნივერსიტეტს გარეთაა დარჩენილი და სასწავლო პროცესში ვერ მონაწილეობს. ეს ყველაფერი დროშიც ძალიან გაიწელა. უნივერსიტეტები, ალბათ, დაინტერესებულნი არიან, საუკეთესო მეცნიერები მათთან წავიდნენ. არსებობს იმის საშიშროებაც, რომ ინსტიტუტები დაშალონ. სანამ არაოფიციალურ დონეზე იყო მოლა-

დავით პაიჭაძე

მიაქციეთ ყურადღება, რა დროს ხდებოდა ეს. ხუბუა 2006 წელს დაინიშნა. იმ დროს ხელისუფლებას მოსახლეობის მხარდაჭერა ჰქონდა, მაშინ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მთლიანად მოიგო ადგილობრივი არჩევნები. მაგრამ 2007- ში, ცნობილი მოვლენების შემდეგ, ხელისუფლება რაღაც დათმობებზე წავიდა. ამ პერიოდში ხუბუამ ისარგებლა პოლიტიკური სიტუაციით და უნივერსიტეტის მმართველობაში საგრძნობი რეგრესი დაიწყო. ომის მერე ხელისუფლება ძალიან დიდხანს თითქმის ვერაფერს ვერ ბედავდა და უცდიდა იმ ელდის განელებას, რაც ომმა მოიტანა. ამ პერიოდში თსუ-სთვის არავის ეცალა.

პარაკებები, ხუბუა უცხადებდა ჩვენს ინსტიტუტს, ორი წელი რაც ხართ, იმ სახით შეგინახავთ, მერე აღარ ვიცი, რა იქნებაო. დღეს სამინისტრო გვეუბნება, დაწერეთ წესდება და გიშუამდგომლებთ, რომ უნივერსიტეტმა ამ სახით მიგიღოთო. ასეც რომ მოხდეს, უნივერსიტეტში, ვეკუას სახლეობის მათემატიკის ინსტიტუტში 30 კაცი მუშაობს. ჩვენს ინსტიტუტში 70–მდე მათემატიკოსია. რაში სჭირდება უნივერსიტეტს ამდენი კადრი? გამორიცხულია, უნივერსიტეტმა ამდენი მეცნიერ-თანამშრომელი არჩინოს. ცხადია, მე რომ ვიყო ფაკულტეტის დეკანი, აქედან მხოლოდ 30 საუკეთესოს დავტოვებდი. სხვა ინსტიტუტებზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ ჩვენთან მეცნიერები უკვე ათწლეულებია ერთად მუშაობენ, შექმნილია სკოლები, რომელთა დაშლაც მარტივი საქმე არ არის. ეს უკვე ერთი ორგანიზმია. შეიძლება, ახალი ორგანიზმი შევქნათ, მაგრამ ხომ შეიძლება, ის სკოლა, რომელიც არსებობს, რაღაცნარად შევინარჩუნოთ.

მარინე ჩიტიშვილი: ცალკე თუ დარჩა ინსიტიტუტი, სავარაუდოდ, მას 15 წლის შემდეგ სიკვდილი ემუქრება – ახალი თაობა არ მოვა. უნივერსიტეტთან ერთად, თქვენ ახალი კადრების გაზრდის საშუალება გეძლევათ. ჩვენ მათემატიკაში ფანტასტიკური პოტენციალი გვაქვს, ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების რაოდენობა თქვენს ინსტიტუტზე სწორედ ამას ადასტურებს. თუკი უნივერსიტეტი თქვენ შემოგიერთებთ, ფული უნდა ჩადოს, რომ თქვენ, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან ერთად საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები გააკეთოთ. მოსული სტუდენტი სრულად აანაზღაურებს თქვენს შრომას. ნუ ვუყურებთ მხოლოდ ევროპას, აზიის ქვეყნებიდან ბევრი მსურველი გამოჩნდება. ბევრად უფრო დაბალი დონის უნივერსიტეტები ახერხებენ ამას. ეს რეალური დასაქმება იქნება. მათემატიკას ძალიან ცოტა დანახარჯი სჭირდება. სამწუხაროდ, ამ მხრივ ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას და მედიცინას ძალიან შეზღუდული არეალი აქვთ. უნივერსიტეტთან მათემატიკის ინსტიტუტის შემოერთებას მაშინ ექნება აზრი, თუკი თქვენი რესურსი ეფექტურად ამუშავდება.

მამუკა ჯიბლაძე: ვფიქრობ, რომ ინსტიტუტების შეერთებით გარკვეულწილად დისპროპორციულ ვითარებას მივიღებთ. მაგალითად, მათემატიკოსები თავს მოიყრიან ერთ უნივერსიტეტში, მაშინ, როცა რეალურად სხვებსაც სჭირდებათ მათემატიკოსები.

მარინე ჩიტაშვილი: ერთ სკოლაში გაერთიანებული მეცნიერების დაშლა, რომელთა შიდა ჯგუფური მიჯაჭვულობა მაღალია, მარტივი რამ არ არის, ეს მტკივნეული პროცესია. თუ თსუ აიღებს ორიენტაციას მათემატიკაზე, მაშინ ყველა ბავშვს, ვისაც მათემატიკა აინტერესებს, ეცოდინება, სადაც უნდა წავიდეს. მე აქ პრობლემას ვერ ვხედავ. კანონში წერია, რომ შეიძლება ფაკულტეტთან გაერთიანებული იყოს ინსტიტუტი. ილიაუნიში ასე მოხდა, ცალკეა ბაკალავრიატი და ინსტიტუტების დონეზე მიდის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. თუკი იგივე შეიქმნება, მაშინ მარტივად გადაწყდება ამ ადამიანების დასაქმების საკითხი. უნივერსიტეტის ავტონომია იმასაც გულიხმობს, რომ სახელმწიფო დაფინანსების გარდა, უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს იმის საშულება, რომ სწავლებითა და კვლევით მოახერხოს თანხების გენერირება. დღეს ამის უფლება უნივერსიტეტებს არა აქვთ. მათ მინისტრის ბრძანებით თავისუფალი მსმენელის ყოლაც კი ეკრძალებათ.

მას შემდეგ, რაც რეფორმა დაიწყო, ხელისუფლებას თითქოს მივიწყებული ჰქონდა თსუ და მხოლოდ ახლაღა გაახსენდათ, რომ ამხელა ისტორიის მქონე უნივერსიტეტი გვაქვს...

დავით პაიჭაძე: მიაქციეთ ყურადღება, რა დროს ხდებოდა ეს. ხუბუა 2006 წელს დაინიშნა. იმ დროს ხელისუფლებას მოსახლეობის მხარდაჭერა ჰქონდა, მაშინ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მთლიანად მოიგო ადგილობრივი არჩევნები. მაგრამ 2007- ში, ცნობილი მოვლენების შემდეგ ხელისუფლება რაღაც დათმობებზე წავიდა. ამ პერიოდში ხუბუამ ისარგებლა პოლიტიკური სიტუაციით და უნივერსიტეტის მმართველობაში საგრძნობი რეგრესი დაიწყო. ომის მერე ხელისუფლება ძალიან დიდხანს თითქმის ვერაფერს ვერ ბედავდა და უცდიდა იმ ელდის განელებას, რაც ომმა მოიტანა. ამ პერიოდში თსუ-სთვის არავის ეცალა.

მარინე ჩიტაშვილი: 2004 წლიდან ჩვენ გვაქვს კლასიკური მაგალითი იმისა, როგორ ცდილობს სახელმწიფო, მარ-

თოს თავისუფალი უმაღლესი სასწავლებლები. უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით ჯერ უნდა ყოფილიყო ე.წ. გარდამავალი პერიოდი, ამ დროს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავდა პრეზიდენტი. კანონიდან მაშინვე ამოვარდა მუხლი, რომლის მიხედვითაც რექტორის მოვალეობის შემსრულებელს აღარ შეეძლო რექტორის არჩევნებში მონაწილეობის მიღება და მთელი საქართველოს მასშტაბით ყველა პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოვალეობის შემსრულებელი ავტომატურად გახდა რექტორი. არჩევნები ყველგან ფორმალურად ჩატარდა. ეს სახელმწიფოს მიერ უმაღლესი სასწავლებლების სრულ კონტროლირებას ნიშნავდა. ახლაც, ხუბუასთან ერთად ქუთაისის, ბათუმის, თელავის, გორის უნივერსიტეტების რექტორებმაც ყოველგვარი ხმაურის გარეშე დაწერეს განცხადებები და წავიდნენ. კანონში შევიდა ცვლილება, რომლის

მარინე ჩიტაშვილი

> სახელმწიფო არ ზრუნავს უნივერსიტეტის იდეის განვითარებაზე, რაც გულისხმობს სივრცეს კრიტიკული აზრის განვითარებისთვის, სწავლებას და კვლევას. სანამ უნივერსიტეტი თავად არ აირჩევს რექტორს, სანამ ის არ გახდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნაცვლად არაკომერციული, არამომგებიანი ორგანიზაცია, სანამ მას არ ექნება აბსოლუტურად გამჭვირვალე ბიუჯეტი, მანამდე სახელმწფოს მანიპულირების და კონტროლის საშუალება ექნება.

მიხედვითაც უნივერსიტეტის რექტორს აკადემიური ხარისხი აღარ სჭირდება. სახელმწიფო კვლავ ცდილობს, უმაღლესი სასწავლებლების სრული კონტროლი განახორციელოს. მეორე მხრივ, როცა სისტემა დახურულია და იქ არ არსებობს გამჭვირვალე ბიუჯეტი, შეგიძლიათ ყველა უნივერსიტეტში ამოიღოთ ისეთი დარღვევები, რის გამოც რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. რაც შეეხება აკადემიურ საბჭოს, 2005 წელს იყო მითითება, რომ ადმინისტრაცია უნდა შემცირებულიყო, მაგრამ დღეს ის საგრძნობლადაა გაზრდილი. არ მომხდარა ფაკულტეტების დეცენტრალიზაცია, ბოლო მომენტამდე ყველაფერს რექტორი განაგებდა. ხუბუა რატომ გახდა ამ ეტაპზე მიუღებელი კანდიდატურა, მე ნამდვილად არ ვიცი. მაგრამ ვფიქრობ, რომ რექტორების ცვლილება გამოწვეულია მარტივი რამით – „მავრმა შეასრულა თავისი საქმე, მავრი უნდა წავიდეს“. რეალურად, ყველაზე მძიმე გასატარებელი იყო ის პირველი ორი წელი, როცა უნდა შეგვექმნა ახალი უნივერსიტეტი.

შეიქმნა ახალი უნივერსიტეტი?

მარინე ჩიტაშვილი: არა!

დათოს მინდა ვკითხო, როგორ ფიქრობ, ასევე ერევა სახელმწიფო ილიაუნის შიდა საქმეებში?

დავით პაიჭაძე: არა. მაგრამ მე ფაკულტეტის დონეზე ამ ჩარევას თსუ-შიც არ ვგრძნობდი. ალბათ, რექტორსაც გააჩნია, რამდენად მისცემს სახელმწიფოს ჩარევის უფლებას. ერთ ფაქტს გავიხსენებ: თსუ-ში პირველი სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე, გიორგი ავალიანი, დღეს შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილეა. ის მაშინაც პარტიული აქტივისტი იყო. მე არ ვამბობ, რომ ეს ქვეყნის დაქცევაა, მაგრამ ილიაუნიში გიგი თევზაძემ მოახერხა ის, რომ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები პარტიის და სხვა სახელმწიფო ორგანოების დაინტერესებისგან დაიცვა. შეიძლება, მთლად ეფექტურად იქაც ვერ იმუშავა სტუდენტურმა თვითმმართველობამ, მაგრამ არჩევნები ნამდვილად თავისუფალი იყო.

ილიაუნის პროფესურა ღიად უჭერს მხარს ხელისუფლებას. როგორ ფიქრობთ, ამის გამო აქვს ილიაუნის რაიმე პრივილეგია? თუნდაც ის, რომ ხელისუფლება ნაკლებად ერევა მის შიდა საქმეებში?

დავით პაიჭაძე: არანაირი პრივილეგია ილიაუნის არა აქვს, ბიუჯეტი დგება, მიდის, მტკიცდება და ა. შ

მარინე ჩიტაშვილი: თუკი მე, ილიაუნი, მხარს ვუჭერ ხელისუფლებას, მაშინ, თავად ვაკონტროლებ სიტუაციას და დამატებითი ღონისძიებები ნამდვილად არ არის საჭირო. ახლა საქართველოში სულ სხვა პრობლემა დგას, რომელიც ერთ უნივერსიტეტს სცილდება. სახელმწიფო არ ზრუნავს უნივერსიტეტის იდეის განვითარებაზე, რაც გულისხმობს სივრცეს კრიტიკული აზრის განვითარებისთვის, სწავლებას და კვლევას. თსუ-ში, ცხადია, არიან კრიტიკულად განწყობილნი ადამიანები, მაგრამ არ არის ამ ადამიანების საკმარისი რაოდენობა იმისთვის, რომ შეიქმნას კრიტიკული მასა. სანამ უნივერსიტეტი თავად არ აირჩევს რექტორს, სანამ ის არ გახდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნაცვლად არაკომერციული, არამომგებიანი ორგანიზაცია, სანამ მას არ ექნება აბსოლუტურად გამჭვირვალე ბიუჯეტი, მანამდე სახელმწფოს მანიპულირების და კონტროლის საშუალება ექნება.

ორშ-პარ

მისმინე

08:00-11:00

101.9 FM

დილა რადიოქალაქში ბექა ონიანთან და ნინი ბუკიასთან ერთად

101.9 FM

არქიტექტორი

<<< დასაწყისი გვ. 36

მე-20 საუკუნეში, გასაბჭოების მერე თბილისმა თითქოს დაკარგა რუსეთის იმპერიაში მოპოვებული კავკასიის იმპერიული ცენტრის სტატუსი და უფრო მეტად გასაქართველოვდა, უფრო მონოკულტურული გახდა და შესაბამისად, გაღარიბდა. არ მიყვარს, როცა ისტორია იშლება, ცალმხრივად იკითხება, თბილისისთვის სომხებმა ბევრი მნიშვნელოვანი რამე გააკეთეს და რატომ უნდა დავივიწყოთ ეს. შეიძლება, ამის გამო ჩამქოლონ ვიღაცებმა, მაგრამ ეს უნდა ვთქვათ.

რ.ა. – გეთანხმები, ისეთი რეალობა და კონიუნქტურაა დღეს, რომ მსგავსი სიმართლეების თქმას, რბილად რომ ვთქვათ, „ერთი ადგილი“ სჭირდება.

ჩვენ მარადიულობა და რაღაც ვახსენეთ კიდევ, მისი ანტიპოდი, როგორ ახერხებ ამ ბაზისური ღირებულების განხორციელებას შენს პროფესიაში, სადაც დამკვეთი ერთ–ერთ მთავარ როლს თამაშობს თავისი აუარება „хуйня“-თი?

გ.ა. – როდესაც მოდიან და მეუბნებიან; - „მე მინდა ეს, ამდენი კვადრატული მეტრი, ამდენი ის მინდა, ამდენი ეს მინდა, აქ და იქ მინდა“ მართალი გითხრა, ნაკლებად მაინტერესებს. როცა მოდიან და მეუბნებიან, რომ: – „მე არ ვიცი, რა მინდა“, ეს უფრო საინტერესოა. აი, გუშინ მე ეს დამესიზმრა, ან ის გახსოვს, იმ კინოში რომ არის რაღაც კადრი, ან განათება, მოდი, იქნებ, ეგეთი რამე ვქნათო, ჩემთვის ეს უფრო ხელმოსაჭიდია. ანუ როცა მათ ატმოსფეროებს და დამოკიდებულებებს ვეხები. ბოლო, ჩემთვის ეგეთი განწყობის სახლი, ბათუმში გავაკეთეთ. მგონია, რომ ბათუმში ჩვენი შენობა დავამთავრეთ, და ვხვდები, რომ ადრეა, ყველას ძალიან მოსწონს ვინც ნახა, მაგრამ არ არის მზად, რომ აქ იცხოვროს. კორპუსების სადარბაზოებიდან გადმოსულ ტიპის გაუჭირდება იქ ცხოვრება. მაგრამ ასეთ სახლში გაზრდილი ბავშვი უკვე სხვა ტიპი იქნება, საიდანღაც უნდა დავიწყოთ, იტალიური ეზოს განახლებული დიალოგი და ატმოსფერო ჩვენ ბათუმში გავაგრძელეთ.

ახლა მე და შენ ვსაუბრობთ, არქიტექტურაც მსგავსი დიალოგია. მომენტალურად ეძებ შენს თანამოსაუბრეებს, სადღაც რომ შედიხარ, ან, მოსაუბრეები, ან ძველი სახლია, ან გარემოა, ან ტყეა, ან ადამიანია და კიდევ სხვა მრავალი კომპონენტი შეიძლება, ჩამოვთვალოთ.

საუბარი ყველანაირია; ისეთი, მე და შენ რომ ვსაუბრობთ ახლა, ცოტა სლენგი, ცოტა უცენზურო სიტყვები, არის იუმორი, ეს ყველაფერი იქაც არის, არქიტექტურაში. შატილი მაგალითად; იქ რასთან არის დიალოგში შესული არქიტექტურა? კლიმატთან, კლდესთან, მთასთან, ჰაერთან, წყალთან, თოვლთან, ცხვართან, თოფთან, არქიტექტურული ენის ამ დიალოგში გაჩნდა შატილი.

რ.ა. – მაგარია! რამდენი კრიზისი და უბედურება გამოიარეთ, შენ და შენმა კომპანიამ წინა საუკუნის 80-იანი წლებიდან... უამრავი... რა გაჩვენეს ამ გამოწვევებმა?

გ.ა. – ძალიან მარტივია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ეს ყველაფერი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ათ იმდენს გავაკეთებდი, მაგრამ რადგან ეს ყველაფერი მოხდა, გავაკეთე ათჯერ ნაკლები.

რ.ა. – თანამოაზრეები გყავს?

გ.ა. – რა თქმა უნდა. შემიძლია ვთქვა, რომ ირაკლი მასხარაშვილი ერთ–ერთი მათგანია. ბევრი მასწავლიდა, მაგრამ ის, რომ არაფრიდან რაღაცა შემიძლია გავაკეთო, ირაკლის დამსახურებაა თავიდან ბოლომდე. თანამოაზრეები არის, თან ბევრი.

რ.ა. – მამაშენი თენგიზ აბულაძე მნიშვნელოვანი ადამიანი და ხელოვანი იყო. საქართველოში შვილები ხშირად იმეორებდნენ აღიარებული მამის პროფესიას, უკვე გაკვალული გზის კომფორტულობა არ გიზიდავდა?

გ.ა – არა. მამამ თავისუფლება მომცა, დამეხმარა, გვიან მივხვდი, რომ ესე იყო. დავამთავრე ინსტიტუტი და გავხდი არქიტექტორი, ამ დროს გაიხსნა კინოინსტიტუტი საქართველოში, რეზო ჩხეიძემ და თენგიზმა ჩამოაყალიბეს.

ვმუშაობდი შოთა ყავლაშვილთან. ეს ისტორია მან მომიყვა მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ. თენგიზი მოსულა შოთასთან, მასთან თავიდან რთული იყო მუშაობა, ხშირი კონფლიქტები გვქონდა. წარმოიდგინე, შოთა უკვე გამოცდილი, ნიჭიერი კაცი იყო და მე – სტუდენტი. მისულა თენგიზი და უთხოვია, რაღაც ისეთი გააკეთეთ, რომ წამოვიდესო მაქედან. კინოში გავუკვალავ გზასო, შოთას უარი უთქვამს. თენგიზი არ იყო ასეთ რამეს მიჩვეული და შემცბარა – როგორო, ჩემი შვილიაო! მერე რა, რომ შენი შვილია, კარგადა ვარ განწყობილი, კარგად მუშაობს და იყოსო. მერე თენგიზს ასეთი რამე უთქვამს, შენ შენსას მიაწექი და მე ჩემსას გავაკეთებო, დანაძლევებულან. შოთამ მითხრა მერე, მე მოვიგეო.

* * *

რამდენიმე წლის წინ გიას იდეა გაუჩნდა იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისური ბოჰემა“ გამოცემულიყო. ახალი გამოცემები აღარ არსებობდა და მისი აზრით ქალაქის სწორი ცოდნისა და აღქმისთვის აუცილებელი იყო ამ უმნიშვნელოვანესი წიგნისთვის ახალი სიცოცხლე და ახალი ტირაჟი. უფრო სწორად არა იმდენად წიგნისთვის, რამდენადაც თანამედროვე მკითხველისთვის, რომელიც მოკლებული იყო გრიშაშვილის ხსენებული შედევრის წაკითხვის შესაძლებლობას. წიგნი მალევე გამოვიდა და დარწმუნებული ვარ თბილისის ცოცხალი მეხსიერების შენარჩუნებაში მრავალ ადამიანს მოეხმარება. როდე-

საც არქიტექტორი წიგნების ბედზე ზრუნავს, მე ეს უბრალოდ მიხარია, ეს წიგნი შემთხვევით არ ვახსენე, ვისაც „ძველი თბილისის ბოჰემა“ წაუკითხავს ან ოდესმე წაიკითხავს – მიხვდება, გაიგებს, დაინახავს გიას დანახულ თბილისს, ისიც ავა რომელიმე წინაპრის კისერზე და ამ ადამიანური სიმაღლიდან შეხედავას სამყაროს.

* * *

კიდევ უამრავი რამის დაწერა მინდა, მაგრამ ყველაფერს ერთ ტექსტში ვერ ჩაატევ.

გიასთან ურთიერთობისას კიდევ ერთხელ იაზრებ, რომ მთავარია ნდობა, გაოცების, გაოგნების, სამყაროში რაიმე დახვეწილით აღფრთოვანების უნარი, მას ეს შეუძლია, მას ეს გამოსდის, მიუხედავად ცინიზმითა და სკეპსისით გაპენტილი ეპოქისა, ამიტომაც ის ყოველთვის იმსახურებდა და იმსახურებს პროფესიონალების, უბრალოდ, ადამიანების ნდობას, მისი ხედვა და შემოქმედება კი – გაოცებასა და მასში თანამონაწილეობის სურვილს. გიას სამყარო გახსნილია, იქ თავისუფლებაა, შეგიძლიათ გადაადგილდეთ მშვიდად და ამავე დროს, მრავლად იხილოთ ისტორია, ამბები, ადამიანები, თავგადასავლები, აქ მთელი ქალაქებია, ქუჩებია, ეზოები, სახლები დახვეული კიბეებით, განათება ბუნებრივი, სექტემბრის მიწურულს, კარგ ამინდში, საღამოობით რომ შემოდის ოთახებში თავისი ჩრდილებით და მსუბუქი ხმებით, ადამიანების იქნება ეს, ხეების თუ ჩიტების.

ეს გია აბულაძეა, თავისუფლების არქიტექტორი, რომლის სამყაროშიც მოკრეჭილი ბალახის სუნი და „вечность»-ია.

ფოტონური რეაქტორის მოტაცება

<<< დასაწყისი გვ. 42

ჩემთვის და ჩემი თაობისთვის, რელიგია, პირველ რიგში აღიქმებოდა, როგორც კულტურული ფაქტორი, გენერატორი.

მაშინ ეკლესია, როგორც ინსტიტუცია, სუსტი იყო. ეს იყო კარგი ფაქტი. რაც უფრო სუსტია ეკლესია, როგორც ინსტიტუტი, რელიგიური გრძნობა უფრო ძლიერი, ნაყოფიერი და აზროვნების აღმძრავია. როგორც კი ინსტიტუცია მოძლიერდა, როგორც კი რიტუალი უფრო მთავარი გახდა, ვიდრე არსი, მაშინ დასუსტდა კიდეც.”

მუსიკაც თავისებური რელიგია იყო მისთვის და მისი თაობისთვის, რელიგია, რომელიც საშუალებას იძლეოდა, მოსაწყენი, ტაბუირებული რეალობიდან ახალ, ჯანსაღ და სიცოცხლისუნარიან სინამდვილეში გადაგებიჯებინა. მუსიკალური ლეგენდების მთელი არმია იყო იმ დროს. და რაც მთავარია, მაშინ, როდესაც კოტე ჯანდიერი სერიოზული მუსიკით დაინტერესდა, აღარ იყო მუსიკალური ცენზურა. სხვა ცენზურები, იცოცხლე, მაგრამ მუსიკას აღარ თვლიდა საბჭოთა ხელისუფლება ასე საშიშად. რატომღაც.

„ჩემს დროს უკვე აღარ იყო აკრძალული არც „ბითლზი”, არც „დიფ ფარფლი”, არც „ლედ ზეპელინი”. მაშინ პოპულარული იყო მათი „პჰყსიცალ გრაფფიტი”, დისკებიც იშოვებოდა. ბევრი კარგი მუსიკა იყო მაშინ, ჩემი აზრით. სხვათა შორის, ზემოთ ჩხუბებზე ვთქვით, ჰოდა, ამ დისკების გამოც ხდებოდა ასეთი რამეები.”

ჰო, ჩხუბებზე ზემოთ მეც ვთქვი ორი სიტყვა. წავიწუწუნე კიდეც, რომ არ მოვსწრებივარ „ინტელექტუალურ ჩხუბებს” – კაფკას და სტროსის თემაზე რომ მიდის მუშტი-კრივი, იუნგის კონკრეტული თეზის გამო ერთმანეთზე რომ იწევენ და ფროიდისეული „წამოცდენის თეორიის” მიხედვით რომ „აიასნებენ” ბაზარს.

როგორც აღმოჩნდა, ეროტიკული თვითგანათლების მხრივაც საწუწუნო მქონია. ბატონმა კოტემ ისეთი ავტორები დაასახელა ეროტიკულ მეგზურებად, რომ ცოტათი შემრცხვა კიდეც – გაზეთი „ძინ-ძინი” როგორ მეხსენებინა მორავიას, აპულეუსისა და ბოკაჩოს გვერდით.

„მაშინ, როცა ბავშვი იწყებს სექსუალური თემებით დაინტერესებას, ანუ ძირითადად, სკოლის პერიოდში, ამ საკითხებით დაინტერესებულ ყმაწვილებს გვქონდა სტანდარტული „საჭირო” წიგნების ჩამონათვალი და უნდა გითხრათ, რომ ეს იყო მაღალი ლიტერატურა: ბოკაჩოს „დეკამერონი”, აპულეუსის „ოქროს ვირი”, მორავიას „ჩოჩარა” და რაც უნდა გაგიკვირდეთ, „ათას ერთი ღამე”. ასე რომ, ეროსთან ჩვენი ურთიერთობა ასეთი მედიუმების საშუალებით ჩამოყალიბდა.

ვიდეო-კასეტები რომ გამოჩნდა, უმაღლესი უკვე დამთავრებული მქონდა, პირველი ეროტიკული ფილმი, მგონი, „ემანუელა” იყო, საკმაოდ უწყინარი ეროტიკა.”

პირველ ინტერვიუს აქ ვასრულებთ. „ცხელი შოკოლადის” რედაქციიდან გამოვდივართ, მე კმაყოფილი ვარ, რომ ინტერვიუ შედგა. ის კმაყოფილ-

ია, რომ ინტერვიუ დამთავრდა.

წინ მეორე ნაწილი გველის, რომელიც უკვე მის სახლში ჩაიწერება.

დღე მეორე – დღე უკანასკნელი „მთვრალი პროტესტი“

ოთახი ძველებურადაა გაწყობილი. მდიდრულს ნამდვილად ვერ იტყვი, მაგრამ ლამაზადაა გაფორმებული. ხის ფაქტურა ჭარბობს.

– ცოტა რბილია, მაგრამ მაინც დაილევაო, – სასმელს მთავაზობს. ვწრუპავთ ნება-ნება და ისტორიებიც თავს იყრის, ფერებს იცვლის, იშლება. ჰოდა, პირველი კითხვაც სასმელზე იქნება – თემატურია.

„ახალგაზრდობაში იყო ისეთი პერიოდი, როცა „მთვრალ პროტესტს" ვუცხადებდით საბჭოთა წყობილებას. საერთოდ, მთვრალი, ან ნასვამი ადამიანი საბჭოთა კავშირში ეს, თავისებურად, კარგი ტონი იყო. „მშრალი კანონის" დროს საერთოდ, მგონი, არც გამოვფხიზლებულვარ, პროტესტი იყო ესეც. გააკეთო ის, რასაც შენთვის მიუთღებელი სისტემა გიბრძანებს – იყო ამაში რაღაც სასიამოვნო და მოსაწონი.

სხვათაშორის, „მშრალი" კანონის მიღების დროს რომ სოლიდარობა იყო სოციალურ ჯგუფებს შორის, ასეთი არსად მინახავს. ყველა: გლეხობა, ინტელიგენცია, ბოჰემა... ყველა იყო ერთიანი.

თქვენი თაობა იმდენს არა სვამს, და ეგ მომწონს, სხვათა შორის."

სხვაობის გარდა, ჩვენს თაობებს შორის ბევრი მსგავსებაც აღმოჩნდა. პატრიოტთა ბანაკები მაშინაც იყო, თანაც დაახლოებით იმავე არსებითი დატვირთვის მქონე. მართალია, პირდაპირ „ბუჩქებში წასვლისკენ" არ იყო მოწოდება, მაგრამ ახალგაზრდები, ცხადია, ამას მოწოდების გარეშეც იოლად ახერხებდნენ.

სპირტბოზიუმი

„არის პერიოდი, როდესაც გგონია, რომ მთებს გადადგამ, ყველაფერს გადაატრიალებ. გადატრიალებით მგონი გადავატრიალეთ, მაგრამ საითკენ გადავატრიალეთ, ეგა თქვი შენ.

მაშინ კომკავშირის წევრი ლამის ყველა იყო, მაგრამ სტრუქტურებში აქტიურობა გარკვეულ წრეებში სირცხვილად ითვლებოდა. კულტურულობა იყო მოდური, კულტურულობად კი არანომენკლატურულობა ითვლებოდა. თუ ტელევიზორში ხშირად ჩანდი, თუ წიგნებს ყოველ წელს გაუთავებლად გიბეჭდავდნენ და ა.შ., ეს ნიშანი იყო, რომ უკვე გაყიდული იყავი.

ახლა ეს კომკავშირი და ცეკა რას აკეთებდნენ: იხდიდნენ ფულს ახალგაზრდობასთან მუშაობაში. ასე ერქვა. რა უნდა ემუშავათ ახლა, არქმევდნენ სიმპოზიუმს ან რამე მსგავსს. ჩვენს ენაზე, რა თქმა უნდა, ამას ეგრევე „სპირტბოზიუმი" დავარქვით. ძირითადად, ეგრეც იყო: სასმელი, ფლირტი...

ერთხელ ცეკას მდივანი იყო ჩამოსული და დაგვაღვიძეს „პახმელიაზე" მყოფი ბავშვები. უნდა წაეკითხათ მოხსენება „ბაკურიანი განვითარების პერსპექტივა". „პახმელიაზე" როგორი მოსასმენია! ერთი საათის განმავლობაში ლაპარაკობდა, ზოგს იქვე ეძინა, ზოგი – აპირებდა, ზოგს გული ერეოდა..."

ერთი სიტყვით, ასე იყო: კომკავშირლობა უკვე სირცხვილად ითვლებოდა, სისტემა მორყეული იყო და ბოლო წამებს ითვლიდა. მოდური იყო ნაკითხობა, ინტელექტუალური დისპუტები. მოდაში იყო „სამი მუშკეტერი".

სამი მუშკეტერი

„ჩემს კლასში იყო გოგა კუპეევი, არავინ ჰყავდა, ერთი ხანდაზმული და ავადმყოფი დეიდის გარდა. ეს ქუჩაში იყო გაზრდილი. რაღაცა ინტელექტუალურ საუბარში მოინდომა ჩარევა და აღმოჩნდა, რომ „სამი მუშკეტერი" წაკითხული ჰქონდა. კუპეევსაც კი. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ასე იყო: რაღაცა მაინც უნდა გქონოდა წაკითხული. კუპეევსაც კი, რომელსაც მთელი ცხოვრება ქუჩაში გაატარა, რაღაცა წაეკითხა. მერე და მერე დრაიზერის „და კერიც" წაიკითხა, ოღონდ ნახევრად.

სხვანაირად არ ხდებოდა, გოგონები მთლად სალახანას არ მიაქცევდნენ ყურადღებას."

„თუ ჩემს დროს წიგნი ან ფილმზე საუბარი იყო მოდური, მერე უკვე ქურდულმა დაიკავა ეს სეგმენტიო, – ამბობს ერთგვარი დანანებით.

ერთხელ ამერიკაში

„ხშირად მსმენია, რომ ქურდული სისტემის რომანტიზირება მწერლებს ბრალდებათ.

მე საერთოდ, არა მგონია, რომ ლიტერატურა ახდენდეს ასეთ დიდ გავლენას, მით უმეტეს, მეოცე საუკუნეში. ზვიად გამსახურდიას ჰქონდა თეორია, რომ ქურდული მენტალიტეტი შექმნა (ან გააძლიერა) დუმბაძის ერთმა ნაწარმოებმა („თეთრი ბაირაღები"). კი, მაგრამ ათი სხვა აქვს და იმან რატომ არ შექმნა ის სხვა მენტალობა? მწერლობა მხოლოდ ბიძგის მიმცემი შეიძლება, იყოს. მაგრამ საზოგადოების შექმნა, მას ალბათ არ შეუძლია. 90-იანების ტრაგედია ლამის სერჯო ლეონეს დაბრალდა (ფილმის „ერთხელ ამერიკაში" გამო) უბრალოდ, რაღაცა რაღაცასთან მოვიდა უნისონში. რეალურად კი 90-იანების ტრაგედია ჩვენმა უტვინობამ შექმნა."

ფოტონური რეაქტორის მოტაცება

აკაკი წერეთელი ამტკიცებს, რომ საქართველოში თამაშის ყველაზე მეტი სახეობაა. ბავშვური, გასართობი თამაშები იგულისხმება, ცხადია და არა – აზარტულები. არ ვიცი, ეს რამდენად აკაკი მართალია, მაგრამ ყველა თაობას აქვს საყვარელი გასართობები. დღეს ვირტუალური თამაშებით ერთობიან, კოტე ჯანდიერის პირველი შემოქმედებითი იმპულსები, როგორც აღმოჩნდა, თამაშებს უკავშირდება.

„ჩვენს ეზოში მახსოვს კინო სტუდია ჩამოვაყალიბეთ. ერთ ერთს ვიღაცამ აჩუქა 8 მილიმეტრიანი კინო-კამერა „კვარცი". დავიწყეთ სცენარების დაწერა, გადაღება, გადავიღეთ ერთი ვესტერნი, რომელსაც ერქვა „მძვინვარე ვეფხვი", თან ფანტასტიკა და და ამავდროულად, დეტექტივი, ნაზა-

ვი იყო, ერთი სიტყვით. იყო ასევე „ფოტონური რეაქტორის მოტაცება", მართალია, ამ ფოტონური რეაქტორის შინაარსი მთლად კარგად არ ვიცოდით, მაგრამ მაინც... ასე ვერთობოდით. ვინც შავგვრემანი იყო, ინდიელის როლზე ვამტკიცებდით.

ახლა სადღაც არის ეგ ფირები, ნახავდა კაცი!"

მერე უკვე, დიდ ასაკშიც, წერა საბავშვო თამაშად კი არა, ცხოვრების წესად იქცია. საქართველოს ფეხით მოვლის მერე, ევროპაც მოიარა და გულწრფელი აღფრთოვანებაც არ დაუმალავს მოწესრიგებული, კოხტა ქალაქების ნახვისას. უშუალო კონტაქტისას კი ზუსტი წარმოდგენები შეიქმნა იმაზე, რასაც ჩვენ ევროპას და ზოგადად, დასავლეთს ვუწოდებთ.

ევროპა აქ და ახლა

„ჩვენ გვქონდა ძალიან არასწორი წარმოდგენები სამყაროზე, დასავლეთზე. ქართველი კაცის წარმოდგენები ევროპასთან დაკავშირებით იყო აბსოლუტურად მცდარი. გვეგონა, რომ თუ რაიკომი გაუქმდებოდა, აპრიორი ევროპელები ვიქნებოდით.

ერთხელ მე და ნუგზარ შატაიძე კაპიტალისტურ ევროპაში ერთად მოვხვდით, მე ერთ-ორჯერ ვიყავი ნამყოფი, ნუგზარი – არა, თვითმფრინავი ეშვება უკვე და გამოჩნდა ეს დავარცხნილი ქვეყანა, გეომეტრიული სიზუსტით დამუშავებული მიწები, ვენახები, ხეები, შემოღობილი ტყეები. უყურებს ნუგზარ შატაიძე ამას გაშტერებული.

ბოლოს, ემოცია ვერ შეიკავა და დაცხო ტაში – აი, ხალხი, აი ქვეყანაო! როგორც წესი, ტაშს თვითმფრინავის დაჯდომისას უკრავენ, პილოტის პატივსაცემად. დაბნეულობის გამო მთელმა სალონმა გადაწყვიტა, რომ მათაც უნდა დაუკრან. გამოვარდა ბორტ-გამცილებელი, ადრეა, ადრე, ჯერ არ დავფრენილვართო.

ჩვენ, ცხადია, ვიცოდით, რომ შატაიძის ტაში ევროპას ეკუთვნოდა. ნამდვილ ევროპას. ასეთი ტაში, ანუ ტაში იმისთვის, რასაც მართლა, არსებითად, სიღრმისეულად ნიშნავს ევროპა, სამწუხაროდ, ცოტაა."

სიმბოლურია, საუბარი საბჭოთა კავშირით დავიწყეთ და ევროპით დავამთავრეთ, ევროპით, რომლის შესახებ ჩვენი მიმართებები ჯერ კიდევ ბუნდოვანი და არაადეკვატურია.

დამშვიდობებისას კარამდე მაცილებს. ხელს მაგრად მართმევს. მიხარია, რომ გავიცანი კოტე ჯანდიერი. მიხარია, რომ კარგ მწერალს კარგი ისტორიებიც აღმოაჩნდა. მიხარია, რომ პუშკინის ვარაუდი არ გამართლდა, მიხარია, რომ „როგორც იქნა ვეღირსე წერილს."

კარლო კაჭარავა, როგორც ჯოკერი

<<< დასაწყისი გვ. 46

კარლო კაჭარავა მხატვართა ჯგუფ „მეათე სართულის" ფრონტზე არასოდეს ჩანდა, თუმცა კი ყოველთვის მის თეორისტად და იდეოლოგად მიიჩნეოდა. თავიდან კარლო კაჭარავა სულაც არ ჩანდა, როგორც მწერალი, ის უფრო ლაპარაკობდა, ხოლო თუ წერდა, თავიდან ამას მხოლოდ უორჰოლის, რაუშენბერგის ან სხვა დასავლელი ვარსკვლავის კატეგორიის მხატვრების გაცნობის განზრახვით აკეთებდა. მას „მეათე სართულის" მანიფესტი არ დაუწერია, ივენტებზე შესავალ ლექციებს არასდროს კითხულობდა, პრესაში კრიტიკული სტატიების წერა სისტემური ხასიათის არ ყოფილა, მისი კონცეფციით გამოფენები არ

გაკეთებულა - მაგრამ თანამედროვე ხელოვნების წრეებში მის აზრს ითვალისწინებდნენ, რადგან კარლო კაჭარავა კარგი ისტორიკოსი იყო და მას უაღრესად სწორი და საქმიანი შენიშვნების გაკეთება შეეძლო.

მხატვართა ჯგუფი „მეათე სართული“, რომელთანაც კარლო მჭიდროდ იყო დაკავშირებული და რომელიც კარლო კაჭარავასა და მამუკა ცეცხლაძის ადრინდელი ჯგუფის „არქივარიუსის” (მამუკა ცეცხლაძე, კარლო კაჭარავა, გია ლორია, გოგა მაღლაკელიძე) იდეების წიაღიდან დაიბადა, სულ 5 მხატვარს აერთიანებდა და მასში კარლო, რატომღაც, ოფიციალურად არ შედიოდა. ეს ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საინტერესო მხატვართან თანამშრომლობდა და მეგობრობდა, საზღვარგარეთ ოფიციალურად მხოლოდ ხუთი არტისტის შემადგენლობით წარდგებოდა ხოლმე. შესაბამისად, მათ არც კარლო წაუყვანიათ ტურნეებზე. არადა, „მეათე სართულის” მთელი სუბკულტურული ტერმინოლოგია და, შესაბამისად აზროვნების ფორმალური მოდელი კარლოს შექმნილი იყო.

ყველაფერს, ცხადია, თავისი მიზეზი გააჩნია. „მეათე სართულის” მხატვრები 1988-89 წლებში იწყებენ საზოგადოებაში ფართოდ გამოჩენას და ეს ის პერიოდია, როდესაც კარლოს მთავარი წერილები იწერება ქართული ავანგარდის შესახებ. ერთი ჰიპოთეზით, კარლო კაჭარავა სწორედ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ შეეძლო, როგორც მათ „საკუთარ” ხელოვნებათმცოდნეს, ყოფილიყო „მეათე სართულის” ვექილი. მას სტრატეგიული ფუნქცია ჰქონდა, ხელი შეეწყო, როგორც ზოგადად ხელოვნების ავანგარდისტული კრიტერიუმების დამკვიდრებისთვის, ასევე, კონკრეტულად, „მეათე სართულის” ჯგუფისთვის. ამ დროს, ის რომ კარლო მხატვარი იყო, შეიძლება, ბევრს გამორჩენოდა კიდეც, რადგან მას კრიტიკოსის ან თეორისტის იმიჯი ჰქონდა, როგორც მიუკერძოებელ, განყენებულ ხელოვნებათმცოდნეს და არა რომელიმე ჯგუფთან დაკავშირებულ ხელოვანს. ამ ყველაფერმა, გარკვეულწილად, გამოიწვია მისი ეტაპობრივი ტრანსგრესია კრიტიკოსად, მწერლად და ბოლოს – პოეტად. სინამდვილეში ის იყო ხელოვნების ისტორიკოსი და იყო მხატვარი. ის შესანიშნავად წერდა ლექსებს და ჰქონდა მაღალი ლიტერატურული გემოვნება და სტილი, მაგრამ მას უმთავრესი ამბიცია სწორედ მხატვრისა ჰქონდა.

კარლო კაჭარავას პერფორმანსები არ გაუკეთებია, არც აქციები. ეს იყო მხატვარი ან არტისტი ძველებური, მოდერნისტული მგრძნობელობით – ის ბევრს ხატავდა, წერდა სტატიებს, ლექსებს, დასცინოდა საკუთარ თავს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ფეხი იტკინა, კოჭლობდა და დანიის ხელმოცარული ემიგრანტი მუშა ვარო, – ამბობდა. არასოდეს გაჰკარებია თეატრს, საერთოდ სძულდა მანერულობა, მე კი მგონია, მისი ეს სიყვარული ნარატივის ახალი მოდელებისადმი ალბათ ერთადერთი იქნებოდა, რაც ჩვენს თეატრს გამოაცოცხლებდა.

ის სიცოცხლის ბოლო პერიოდში გენერლის პიჯაკით დადიოდა მოსკოვში, ცელოფნის პარკში ლექსების ბლოკნოტი და რაიმე ალკოჰოლური სასმელის ბოთლი ედო - ნუთუ ეს არ არის თეატრი ან პერფორმანსი? სწორედ გენერლის ამ პიჯაკში გამოწყობილს ჩაარტყეს მას უცნობებმა თავში რაღაც, ღამით, მოსკოვის სადარბაზოში, რაც მისთვის რამდენიმე თვეში საბედისწერო აღმოჩნდა. მანამდე ცოტა ხნით ადრე, 1994 წელი რომ იწყებოდა, კარლომ ტელეფონით მითხრა, ეს წელი კარგი არ უნდა იყოს ჩემთვის, ახალი ბლოკნოტი, რომ გადავშალე, ძალიან ავისმომასწავებლად გატკაცუნდაო. მოულოდნელი იყო ასეთი მისი მხრიდან მისტიკურობა, ადამიანისგან, ვინც პროლეტარ ფერიაზე და ფოთის ელევატორზე წერდა ლექსებს, მემარცხენე და ნეომარქსისტი არტისტისგან საკუთარი ესთეტიკური ღირებულებებით. ის ხომ ასე წერდა სინამდვილეში:

„როცა მოსკოვში გატარებულ 1993-1994 წლების დეკემბერ-იანვარს ვიხსენებ, თითქმის ყოველთვის ტკივილების, შეურაცხყოფათა და უსუსურობის გამო დავარდნილ ადამიანებს ვხედავ: საწოლზე მოკრუნჩხულ, სასწრაფო დახმარების მანქანის მოლოდინში მოწრიალე ზურაბ გიკაშვილს, საკუთარი ბინის სამზარეულოში სახით დაცემულ მსახიობ ჟენკა შმაროვს წინ გაწვდილი ხელებით, ავტობუსის გაჩერებაზე წაქცეულ ნატაშა ბრისლინგს და, რასაკვირველია, საკუთარ თავს, საკუთარი სისხლის გუბეში გამოფხიზლებულს სადღაც პუშკინსკაიაზე, რომელიღაც სახლის სადარბაზოში. ყველა ამ ხატს თან სდევს მოყინულ ტროტუარებზე წონასწორობის შესანარჩუნებლად, სასაცილოდ და მოუქნელად „მოცეკვავე” ადამიანთა ერთბაშად გულისამაჩუყებელი და გამაღიზიანებელი გარემოცვა ან თანადგომა”.

1992 წელს თბილისის ხელოვნებისა და პოლიტიკის უტოპიური ჯგუფის დაარსება გადავწყვიტეთ. გამოცხადებულ შეკრებაზე ლიტერატორთა რესპუბლიკურ ცენტრში მხოლოდ ოთხნი მივედით, კარლო, მე, გურამ წიბახაშვილი და შოთა იათაშვილი. და როდესაც მემარცხენეობაზე ბევრი ვისაუბრეთ, კარლომ პირდაპირ განაცხადა, იმედი უნდა გაგიცრუოთ, მაღალ ხელოვნებას ხშირად მემარჯვენეები აკეთებენ, ხოლო მემარცხენეები, ლოზუნგების გარდა, ხშირად არაფერს ტოვებენო. მისთვის მთავარი იყო ხელოვნება, როგორც საგანი და ამიტომაც დარჩება ის ბოლო, ყველაზე საინტერესო მოდერნისტად საქართველოში.

როგორც ადრინდელი ქართველი მოდერნისტი კოტე მარჯანიშვილი იტყოდა: „ხელოვნების მიზანი უბრალოა, მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა”. გარდაცვალების მერე ადამიანი ისე წარმოჩნდება ხოლმე, თითქოს ადამიანი კი არა ძეგლი ყოფილიყოს. ყოველთვის და მხოლოდ რაღაცის კულტივირებისთვის ცხოვრობდა. მგონია, რომ ასეთ დროს არავინ გაიხსენებს კარლოს აკვიატებას,

საღეჭი რეზინისგან გაკეთებული პატარა ზომის ფალოსებით გამოფენა რომ მოაწყო. გარდაცვალების მერე მისმა ძველმა მეგობარმა ამერიკელმა გალერისტმა ირინა პოპიაშვილმა პერსონალური გამოფენა გაუკეთა ნიუ იორკში, მაგრამ იქ ასეთი არაფერი ყოფილა, ისევ ის ნახატები იყო, რითაც ჩვენ კარლო დაგვამახსოვრდა, თითქოს ჩვეულებრივი, დაგვიანებული მოდერნისტის ნახატები, რომლებიც ქალის, კაცისა და ბავშვის ისტორიებს გვიყვება. კარლო ცხოვრობდა პოეტურად, ხატავდა მოდერნისტულად, სტატიებს წერდა აკადემიურად. მიუხედავად ბოჰემური ცხოვრების წესისა, ის მაინც აკადემიური ხასიათის ხელოვანი იყო, შეიძლება ითქვას, კონსერვატორიც.

მისთვის ბიოგრაფია იყო მთავარი, ადამიანის ცხოვრება, თუნდაც საკუთარი საბურთალოს ბინიდან დანახული, სადაც 90-იანების რამდენიმე სასტიკი ზამთარი გაატარა წერასა და ხატვაში, საკუთარ დედასთან ცხოვრობდა, დედასთან და დასთან, ლიკასთან ერთად, რომელმაც მის შემოქმედებას უპატრონა, წერილები და დღიურები გამოსცა, გამოფენები მოუწყო.

კარლო წერდა ქართულ ავანგარდზე, თანამედროვე მხატვრებზე. 80-იანი წლების ბოლოდან ის იყო პავილიონების ერთ-ერთი ავტორი მამუკა ცეცხლაძესთან ერთად.

„მეათე სართულის" ყველა თბილისური გამოფენა პავილიონი იყო, ხოლო უცხოეთში ექსპორტირების დროს ეს პრინციპი აღარ იყო ხოლმე შენარჩუნებული, რაც ორმაგი მორალის პრეცედენტს აჩენდა – ალბათ, მაინც უფრო ფინანსური პირობებიდან გამომდინარე. თვით ამ კარნავალური იდეის ავტორი, კარლო კაჭარავა, როგორც აღვნიშნეთ, არასოდეს წაჰყოლია ჯგუფს უცხოეთის ტურნეებზე, თუ არ ჩავთვლით ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გასვლებს ნარვასა და ლენინგრადში.

პავილიონების მოდელი, ერთი მხრივ, ეკლექტურობას მატებდა გამოფენებს, მაგრამ, მეორე მხრივ, არღვევდა იმ იზოლაციას, რაც ნებისმიერ შემთხვევაში აფერხებს ხელოვნების განვითარებას. გამოფენები ჰეპენინგების ხასიათს იძენდა. ამიტომაც, ალბათ ხშირი იყო კოსტუმირება ამ მხატვრებს შორის, მათს შემოქმედებას უკვე ისედაც ჰქონდა პერფორმანსის ხარისხი. თუნდაც საახალწლო საბავშვო ავანგარდისტული კარნავალი მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო სახელოსნოში პერფორმანსის იდეას უსაზღვროდ აფართოვებდა. პირველი პავილიონი 1988 წელს მოეწყო „ქარვასლაში", სადაც 20 მხატვარი იყო წარმოდგენილი, 1989 წელს ეს გამოფენა ლენინგრადის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამოიფინა და მას პირდაპირ „ქართული ავანგარდი, 80-იანი წლები" ერქვა. „ქარვასლაში" მოგვიანებით ისევ გამეორდა გამოფენა, სადაც ახალი მხატვრები შეუერთდნენ ექსპოზიციას. კარლო კაჭარავამ მაშინ სტატიაც დაწერა, სადაც აღწერდა, თუ რა მონაცემებით და შესაძლებლობებით გამოდის დღეს სცენაზე ქართული ავანგარდისტული მხატვრობის ტრადიცია კომუნისტური პერიოდის პაუზის შემდეგ.

კარლო კაჭარავამ, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა 80-იანების ბოლოდან ქართული ავანგარდის კვლევა დაიწყო. გაივლის სულ რამდენიმე წელი და უკვე 90-იანების დასაწყისში კარლო დაწერს სტატიებს „რატომ არ არის საქართველო" და „რა არის ავანგარდი და რა უნდათ მისგან თანამედროვე ქართველებს", სადაც უკვე ცოტა უიმედოდ იხატება საქართველოში ავანგარდისა და თანამედროვე ხელოვნების პროფანიზების სურათი..

1992 წლიდან, როდესაც ლიტერატორთა რესპუბლიკურ ცენტრში დაიწყე მუშაობა კარლომ ჩვენთან ლექსების გამოქვეყნება დაიწყო. მანამდეც, პირველი პუბლიკაცია მე და პოეტმა ბადრი გუგუშვილმა გავუკეთეთ ჩვენ მიერ გამოცემულ სამიზდატის ჟურნალში „იახსარი". სწორედ აქ დაიბეჭდა პირველად მისი „პროლეტარი ფერია ლენინგრადიდან". ზოგჯერ ერთადაც ვწერდით, მაგალითად გაზეთ „რუბიკონის" ამერიკული ლიტერატურისადმი მიძღვნილ ნომერში ჩვენს ორ სხვადასხვა სტატიას საერთო სათაური ჰქონდა „რას გვაძლევს ამერიკული ლიტერატურა". ამავე პერიოდში თუ ცოტა ადრე, მოსკოვში ყოფნის დროს ჩვენ საერთო რომანის დაწერა გადავწყვიტეთ. მან წერა მალევე შეწყვიტა და დარჩენილ ფრაგმენტს „აზანოვა" დაარქვა, რომელიც ვერსად დავბეჭდეთ და მერე ეს ფრაგმენტი დაიკარგა. მე კი ჩემი პირველი ვერსია დავწვი და ყველაფერი ახლიდან დავიწყე, გადავწყვიტე რომანის გამოქვეყნება წერის პერიოდიდან დაწყებულიყო და ეს პუბლიკაციები უბრალოდ პერიოდიკაში ყოფილიყო გაფანტული. კარლომ რეცენზია დაწერა პირველ თავზე, ეს რეცენზია რომანში მეორე თავად შევიტანე. მერე კარლო გარდაიცვალა, უკვე მე ვწერდი მასზე ძალზე სამწუხარო ჩანახატს გაზეთ „7 დღისთვის."

ასე უახლოვდებოდა დასასრულს ჩვენი ურთიერთობა დედამიწაზე. ჩვენი ბოლო შეხვედრა მის საბურთალოს სახლში შედგა. მან მთხოვა, წასაკითხად მეთხოვებინა ნორმან მეილერის რომანი „შიშველნი და მკვდარნი". წიგნი მივუტანე და როდესაც სალაპარაკოდ დავსხედით, მაგიდაზე რუსულად გამოცემული ანტონენ არტოს წიგნი „თეატრი და მისი ორეული" შევნიშნე. გადავწყვიტეთ, წიგნები გაგვეცვალა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო მეილერი, ხოლო მისთვის, როგორც აღმოჩნდა, არტო. ესეც მორიგი და ბოლო სიურპრიზი იყო კარლოსგან – მას გიჟი მოსწონდა და მისი წარმოსახული სიცოცხლის ზღვართან მისული თეატრი, კაცს, რომელიც, მეგონა, რომ აკადემიკოსი გახდებოდა.

ესკიზები ფერმკრთალი პორტრეტისთვის

<<< დასაწყისი გვ. 50

საოცარი მოცულობის ინფორმაცია თანამდროვე ხელოვნების შესახებ, დაახლოებით 32 სამეცნიერო ნაშრომი, 40-ზე მეტი საერთაშორისო თუ ეროვნული გამოფენა, სხვადასხვა მხატვართა ჯგუფებთან ურთიერთობა, ახალგაზრდა კრიტიკოსთა გამგეობაში აქტიური მოღვაწეობა, 1500 პოეტური ნაწარმოები და ლექსი, დაახლოებით 900 ფერწერული და 1500 გრაფიკული ნამუშევარი, დაუმთავრებელი და უდიდესი მნიშვნელობის წიგნი „თანამედროვე ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი“ ბუნებისგან გამეტებული 29 წლის ნაცვლად, დაახლოებით სამჯერ მეტს მაინც საჭიროებს...

ასე, რომ ახალგაზრდა ხელოვანმა კარლო კაჭარავამ სინამდვილეში ღვაწლმოსილი მხატვრისა თუ მოხუცი პროფესორის შემოქმედებითი ინტენსივობით იცხოვრა, თუმცა ბევრი რამ მის შესახებ ჯერ კიდევ აღმოსაჩენია.

დიმიტრი თუმანიშვილი, ხელოვნებათმცოდნე: „მისი გარდაცვალებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მაგრამ მისი ნამუშევრები, ლექსები, ესეები მნიშვნელობას და აქტუალობას არ კარგავს. პირიქით, რასაც ქმნიდა, ხატავდა, წერდა და აქვეყნებდა, დღეს უკვე სხვა დატვირთვას იძენს. ძნელი სათქმელია, ცოცხალი რომ ყოფილიყო, რა გზას აირჩევდა ხელოვნებაში, ან საით წავიდოდა. თუმცა გარკეული პირობითობით შეიძლება ითქვას, რომ ის მაინც თანამედროვე დასავლური ლიტერატურითა და ხელოვნებით, გერმანული კულტურით, განსაკუთრებით ექსპრესიონიზმის ხატებითა და შთაბეჭდილებებით იკვებებოდა. კარლო საკუთარი პოეტური წარმოსახვისა და პერსონაჟების ოდნავ ტრაგიკულ, ხშირად ირონიულად გამძაფრებულ სამყაროში ცხოვრობდა და იქ იყო ბოლომდე თავისუფალი. ფერების და ფორმის სამყარო მისთვის უფრო „მეორადი“ იყო, ვიდრე პოეტური ტექსტი ან ლიტერატურულ-მხატვრული სახეები. მგონია, რომ მისი ფერწერა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ის ძიების პროცესში იმყოფებოდა და სვლას განაგრძობდა ამ გზაზე. ვერც გეტყვით, რა უფრო მნიშვნელოვანია მასში – პოეტი, მწერალი თუ მხატვარი. მისი მხატვრული სამყარო ოდნავ დასრულებული, მაგრამ ძალიან მრავალწახნაგოვანი და მრავალფეროვანია.”

შოთა იათაშვილი, პოეტი: „კარლო კაჭარავას პოეზიაში და ზოგადად, მის ტექსტებში ბუნებრივად თანაარსებობს ძველი, ახალი და იმდენად ახალი, რომ ქართულ რეალობას მის შესახებ ჯერ წარმოდგენაც კი არა აქვს. თანაარსებობს ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებული კულტურული სივრცეები: ქართული (მემკვიდრეობითი მეხსიერებით), რუსული (საბჭოური ესთეტიკით და მასთან დაპირისპირებული ანდერგრაუნდით) და დასავლური (უფრო ხშირად გერმანული, რადგან ხშირად ჰქონდა შეხება გერმანულ ფერწერასა და ლიტერატურასთან, რამაც დიდი გავლენა იქონია მასზე). ეს კულტურები ხშირად „ატრაქციონების მონტაჟის“ სისხარტით ენაცვლებიან ერთმანეთს და ურთიერთზონდირებას ახდენენ. უფრო მეტად გამოკვეთენ თითოეული ამ კულტურის ეგზისტენციურ ნიშნებს. ეს ჯერ კიდევ არაა ის პოსტმოდერნული „დიდი სოფელი“, რომელიც მარშალ მაკლუენმა იწინასწარმეტყველა. ეს უბრალოდ „დიდი სოფელია“, რომელიც 28-29 წლის დაბრძენებული ბიჭის, კარლო კაჭარავას ცნობიერებაში არსებობდა იმდენად შთამბეჭდავი სახით, რომ მომავალი თაობისთვის იგი ეპოქის დოკუმენტად დაიდო.“

ლევან ჭოღოშვილი, მხატვარი: „მთელი ახალგაზრდული ენერგია, არაორდინარული ნიჭი და მიზანსწრაფვა არა მარტო საკუთარ შემოქმედებას მოახმარა, არამედ თანამედროვე დასავლური ხელოვნების პროპაგანდას, ამ სიტყვის კარგი გაგებით. იმდროინდელ საქართველოში ერთგვარი კულტურტრეგერი გახდა, რომლის როლი მხოლოდ საბჭოთა სისტემის მიმართ პროტესტით ან კულტურის ოპოზიციური გაგებით არ შემოიფარგლებოდა. მისი შემოქმედება ბევრად უფრო ღრმა შრეებს უკავშირდება, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება, მოგეჩვენოთ. ერთი მხრივ, ჩრდილო-ევროპული კულტურისა და „ცივი ვნებების“ ნათება, ასკეტური გამომსახველობითი სამყარო და გერმანული ექპრესიონიზმის ნაკადი და მეორეს მხრივ, მეოცე საუკუნის

70-იანი წლების ამერიკული ლიტერატურა და დასავლური სახვითი ხელოვნება, განსაკუთრებით ტრანსავანგარდული მიმდინარეობა, აყალიბებდა მის მხატვრულ ნააზრევს და შეხედულებებს.

ბოისი, კუნსი, რაუშენბერგი, კირხნერი, უორჰოლი... ეს მხატვრები მასში ყველაზე დიდ ინტერესს აღძრავდნენ და წერდა კიდეც მათ შესახებ. ასე, რომ სრულიად განსაკუთრებულია მისი როლი 80-90-იანი წლების კრიზისულ საქართველოში თანამედროვე დასავლური მხატვრობის გაცნობაში."

90-იან წლებში, დროის სწრაფ ცვლილებასთან ერთად, კარლო კაჭარავა ახლებურად იაზრებს თანამედროვე ფერწერის მნიშვნელობას. ეფემერულ, ფერმკრთალ, რომატიკული პერსონაჟებს სოციალურ ფონს უქმნის და დრამატულ ირონიას ამატებს. მისი კოლორიტი მძაფრი და პირქუში ხდება; ხაზები – ნაკლებად გამოკვეთილი, ბუნდოვანი, მაგრამ აშკარად მისტიკური; გრძნობები – უფრო დრამატულად ინტენსიური, მაგრამ, რატომღაც, ავტორის საიდუმლოში გამოკეტილი და მიუწვდომელი.

Fur Helene – „ელენესათვის", ასე ეწოდება თითქმის ორმეტრიან, კონცეფტუალურ ნამუშევარს, სადაც ყეყეჩი, მაგრამ ძლიერი და მამაკაცური ძალის მქონე გენერალია გამოსახული. როგორც ყველაფრის შთანმთქმელი, უხეში ძალის დემონსტრაცია. Fur Helene – ეს უკვე ჩრდილოელი, მშვენიერი ქალების კრებითი ეროტიკული ხატია, როგორც პირველი ნახატის ერთგვარი კონტრაპუნქტი. ავტორმა ეს ნამუშევარი ფოტოხელოვან გურამ წიბახაშვილს აჩუქა. ერთი მხრივ, ფაქიზი შეგრძნებებით აღბეჭდილი, ეროტიკული ქალბატონი და მეორე მხრივ, განსაკუთრებით ძლიერი და მასკულინური საწყისის გენერალი. ეს მიუღწეველი რომანტიზმისა და რეალობის უხეში ანტირითმაა, რომელიც მის ნამუშევრებში ყოველთვის იგრძნობა.

გრძნობისმიერი საწყისისა და რომანტიკული სიყვარულის დამარცხება გარდუვალად მიაჩნდა, მაგრამ მარცხი სიბრძნისეულ განზომილებასა და გროტესკში გადაიტანა. თითქოს ძველი ჩინური ანდაზის ტრასფორმაციას შეგნებულად მიმართა: „სიფაქიზე ყველაფერია, ძალა არარაობაა."

ნანა ყიფიანი, ხელოვნებათმცოდნე: „თითქოს პარადოქსია, რომ მის ნამუშევრებში 20-იანი წლების ევროპული მხატვრობა და ექსპრესიონიზმის მოტივები 60-იანი წლების პოპ-არტს, 70-იანი წლების ტრანსავანგარდსა და თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის დისკურსს უკავშირდება, მაგრამ ეს ლოგიკური გადაბმაა. ჩვენ ხომ თითქმის ყველაფერი გამოვტოვეთ. უბრალოდ, ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობები მან სხვა დროსა და სხვა სივრცეში, კერძოდ, 80-90-იანი წლების საქართველოში შეაერთა."

გურამ წიბახაშვილი, ფოტოხელოვანი: „კარლოს სხვა მხატვრებისგან პირველ რიგში ის განასხვავებს, რომ მისი ნამუშევრები თითქოს „ნახევრად დაწერილია"; ანუ ტექსტს თავისუფლად იყენებს ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევარში და მასში ახალი განზომილება და სიღრმე შემოაქვს. მისი ხელოვნება იმთავითვე ორმაგ დატვირთვას ატარებს – ფერწერულს და ლიტერატურულს. როცა დღეს სხვადასხვა გამოფენაზე მის ნამუშევრებს ვაკვირდები, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად გაუსწრო დროს. გარდა ამისა, არის უდიდესი ინფორმაციის და ენერგიის მატარებელი ნოვატორი, ხელოვანი, რომლის ნამუშევრებიც კიდევ არაერთხელ გაგვაოცებს მომავალში."

სერიოზულ კვლევას საჭიროებს კარლო კაჭარავას ნაშრომები, ესეები, სტატიები, ჩანაწერები, დღიურები..... და ცხადია, პოეზია, რომელიც ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და გამოქვეყნებული. თუმცა, რაც გამოიცა, დაიბეჭდა თუ გამოიფინა (ისევე როგორც – სხვა საორგანიზაციო საქმეებში) მნიშვნელოვანია კარლოს დის, ლიკა კაჭარავას როლი, რომლის ძალისხმევითაც 2006 წელს გამოიცა ლექსებისა და სტატიების ორტომეული. მიუხედავად რამდენიმე საინტერესო ესესა თუ პუბლიკაციისა (განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შოთა იათაშვილის და დავით ჩიხლაძის სტატიები და შეფასებები), სათანადოდ არ არის შეფასებული და გააზრებული კარლო კაჭარავას პოეზია, ასევე, ახალ დარბაზებს და ახალ შეფასებას ელის მისი დიდი რაოდენობის გამოუფენელი ნამუშევრები.

მისი ლექსები დატვირთულია მოულოდნელი სოციალური და ფსიქოლოგიური სიმძიმითა და შრეებით, წაკითხული თუ მოსმენილი ფრაზების არითმიით და აღრევით. ირონიულ და ოდნავ სევდიან ლიტერატურულ ციტატებს „ღარიბი სიზმრების" ციკლი, „პროლეტარი ფერიების" მეტაფიზიკა და „პურის რიგში მდგომთა" სასოწარკვეთა ცვლის. ამ ერთი შეხედვით სასტიკი პროზაულობის თუ დოკუმენტურობის მიღმა რაღაც მშვიდი და პოეტური უსასრულობა თვლემს, რომლის მიღწევა თუ გადალახვა მან ვერ შეძლო...

„ინგლისი დიდია, სერ, ალისა იქ ცხოვრობს." – ჩემთვის ეს ფრაზა კარლო კაჭარავას ფხიზელი ირონიითა და ნამდვილი თანაგრძნობით გამოდნობილი გასაღებია, რომლის დახმარებითაც პოეზიის „კარები მხოლოდ ხმაურით იღება" და ხმაურით იხურება.

ასეთივე სიფხიზლით აღიქვამს იგი ახალი დროის ორ უდიდეს ხელოვანს – იოზეფ ბოისსა და ენდი უორჰოლს: „როცა ბოისსა და უორჰოლზე ვმსჯელობ, ეს ზუსტად დაცემაა. ორივენი წმინდანები, ანგელოზები არიან: ერთი – თეთრი და მეორე – შავი. მე მაინტერესებს ყველა წმინდანი რომის იმპერიის დასასრულიდან, ეგვიპტის უდაბნოში, აღთქმული მიწისაკენ. მე ვფიქრობ, რომ ხელოვანნი დღეს ცოტათი ასეთივენი არიან და სწორედ ამის გამო ოცდაოთხი საათი დღეღამეში მხოლოდ იმით არიან დაკავებულნი, რომ ყნოსვით, ინტუიციით გაიგნონ გზა. ისინი თითქოს მთლიანად სახელგანთქმულნი არიან და პუბლიკაც ჰყავთ; ადამიანები, რომლებიც გზას აგრძელებენ თავიანთ კოლონათა მახლობლად წმინდანთა შორის ხედავენ ნამდვილ შეჯიბრს. უეჭველია, ის რაც გვჭირდება რელიქვიებია!"

ძირითადად, მუსიკაზე და ზოგჯერ – სხვა რამეებზეც

<<< დასაწყისი გვ. 54

ბლუზი

ბლუზის გარეშე ჯაზი არ არსებობს. იმ მუსიკაშიც კი, სადაც ბლუზი თითქოს არ გესმით, დამიჯერეთ, ის ყოველთვის იქაა, სადღაც მიმალული.

ახალზე მუსიკაში

ყოველთვის ახალია ის, რაშიც სულს და გულს დებ. ჯონ ლა პორტა მიყვებოდა: „ვუდი ჰერმანთან რომ ვუკრავდი, კონცერტის პირველ ნაწილს ჩვენ ვუკრავდით, მეორეს კი ჯეიმზ ბრაუნი და მისი ბენდი. ყოველ საღამოს მიწევდა მისი მოსმენა, მისი მუსიკა ყოველ საღამოს ერთი და იგივე იყო, მაგრამ ვფიცავ ყველაფერს, ის მუსიკა ამავე დროს ყოველ საღამოს განსხვავებული იყო!“ აი, ესაა ყველაფერი! შეიძლება ყოველ დღე ერთი და იმავეს უკრავდე, მაგრამ იმდენი სული და გული ჩადო ამაში, რომ ის ყოველ საღამოს ახლებურად ჟღერდეს მათთვისაც კი, ვინც ამ მუსიკას პირველად არ უსმენს. ბი-ბი კინგიც ასეთი მუსიკოსია. ჰო, ბლუზს უკრავს, მაგრამ მისი ძველი ბლუზი ყოველთვის ახალია!

ჩვენ და ახალი თაობის მუსიკოსები

ღრმერთმა უწყის, რას ვუტოვებთ ჩვენ შემდეგი თაობის მუსიკოსებს. ამაზე არ ვფიქრობ მაშინაც კი, როდესაც ახალგაზრდა მუსიკოსები მეუბნებიან, თუ რა დიდი გავლენა იქონია ჩემმა მუსიკამ მათზე. იმდენად გახარებული ვარ ამ დროს, რომ იმაზე ფიქრიც კი არ მინდა, თუ რაა ის, რაც მათ ასე მოსწონთ ჩემ მუსიკაში და შესრულებაში.

ერთგულებაზე

უკვე ლამის 30 წელია, ამის დრო თუ მაქვს, ნიუ-იორკის ერთ-ერთ პატარა ბარში ვუკრავ ხოლმე. 50 კაცამდე ეტევა და როგორც წესი 50 დოლარს მიხდიან ხოლმე, სიმბოლურ თანხას. მეტის გადახდა არ შეუძლიათ, მაგრამ ისე მიყვარს იქ დაკვრა, რომ თვეში ორჯერ მაინც ვახერხებ ამას. რატომ? არავინ ვიყავი, იქ დაკვრა რომ დავიწყე, დღეს კი ვიღაც ვარ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, რადგანაც მე ის მუსიკოსი ვარ, ვისაც დაკვრა უყვარს და თუ ამ დროს ვინმე შემომიერთდება და ერთად რამე გამოგვივა, დიდებული იქნება.

როგორი უნდა იყოს ნამდვილი ფანი

მე ჯონ სქოფილდის დიდ ფანი ვარ. ჩვენ ერთად ვიყავით ბერქლიში, მერე მაილზთანაც ვუკრავდით და რაც თავი მახსოვს, მის მუსიკაზე ვგიჟდებოდი, თუმცა არასდროს მიცდია მისი საუნდის კოპირება და მიბაძვა. როგორც უკვე გითხარით, ვცდილობ, სხვა ინსტრუმენტალისტებს მივბაძო და არა გიტარისტებს. ჯონიც ზუსტად ასევეა. მის დაკრულში ჯაზის მთელი ისტორიაა, მაგრამ უსმენ და იმავე წამს ხვდები, რომ ასე დაკვრა მხოლოდ სქოფილდს შეუძლია. .

მსუბუქ ნოსტალგიაზე

ბევრი კარგი რამ იკარგება. ადრე ცოცხალი მუსიკის მოსასმენად რომ მიდიოდი, შეგეძლო საღამოს განმავლობაში ჯერ ვუდი ჰერმანი მოგესმინა, მერე კი ჯეიმზ ბრაუნი; ან, შეგეძლო, ჯერ კომიკოს რიჩარდ ფრაიორზე გეცინა, მერე კი მაილზის მუსიკით დამტკბარიყავი. აი, ასე უდგებოდნენ ფრომოუთერები თავის საქმეს. დღეს ეს ეკლექტიკა დაკარგულია. მადლობა ღმერთს იმისთვის, რომ დამოუკიდებელი სატელიტური რადიოები არსებობენ! მათ მეპატრონეებს ფეხებზე კიდიათ კატეგორიები და ყველაფერს ერთ ქვაბში ხარშავენ. ძალიან ეკლექტურ მუსიკას უკრავენ და ეს ასეც უნდა იყოს. მუსიკის ჟანრულ ნაწილებად დაყოფა უბრალოდ სისულელეა.

ნარკოტიკებზე და ალკოჰოლზე

უკვე 25 წელია არაფერს გავკარებივარ. საერთოდ არაფერს. ერთი ჭიქა ღვინოც კი არ შემისვამს.

ფარული ოპერაციები

<<< დასაწყისი გვ. 60

მიუხედავად ამისა, ოსტინში, ტრიბუნასთან მდგარი ვენეიბლი – გამოცდილი პოლიტიკოსი, რომელსაც „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ უხდის ხელფასს და რომელიც კოუკის მიერ დაფინანსებულ პოლიტიკურ ჯგუფებში 1994 წლიდან მოღვაწეობს – საუბრისას ასეთ სიფრთხილეს არ იჩენდა. „ჩვენ მოგვწონს, რასაც „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობა აკეთებს, რადგან სწორედ ასე დავიბრუნებთ ამერიკას!“ – განაცხადა მან და შეხვედრის მონაწილეებიც ტაშით შეეგებნენ ამ განცხადებას. მოგვიანებით, ერთ-ერთ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ მოძრაობის ერთ-ერთი პირველი წევრი იყო და იხუმრა კიდეც: „ჩაის მსმელების“ მოძრაობაში იმაზე ადრე გავწევრიანდი, სანამ ასეთი მაგარი და პოპულარული გახდებოდა!“ ვენეიბლმა ისიც განმარტა, რომ „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ ეხმარებოდა „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობის აქტივისტებს, მათ „აღზრდას“, პოლიტიკურ დეტალებში გათვითცნობიერებას უწყობდა ხელს, ამასთანავე, შეკრებების შემდეგ „მომდევნო საფეხურის ტრენინგებს“ უტარებდა, რათა მათი პოლიტიკური ენერგია „უფრო ეფექტურად“, უფრო სწორი მიმართულებით დახარჯულიყო. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობის აქტივისტებს არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსული იმ პირების სიებითაც ამარაგებდა, რომლებიც მათი სამიზნეები უნდა გამხდარიყვნენ. კოუკების შესახებ ვენეიბლმა განაცხადა: „რა თქმა უნდა, ისინი ჩვენი ხალხია. დევიდი ჩვენი კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. ორივეს ვიცნობ და მეტად ვაფასებ იმას, რასაც ისინი აკეთებენ“.

სამიტზე ვენეიბლმა „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობის რამდენიმე „ლიდერ მოქალაქეს“ გამორჩეული პატივი მიაგო. მისი ორგანიზაციის ტექსასის ფილიალმა „წლის ბლოგერის“ ტიტული ახალგაზრდა ქალს, სიბილ უესტს მიაკუთვნა. 14 ივნისს თავის ვებგვერდზე უესტმა ობამას „მთავარი კოკაინისტი“ უწოდა, ონლაინ-დისკუსიის დროს კი ივარაუდა, რომ პრეზიდენტი „დემონური ძალების ტყვეობაში იმყოფებოდა“ და შესაბამისი სიმპტომებიც აღენიშნებოდა (ასევე შიზოფრენიის სიმპტომები და ა.შ). შეხვედრას რამდენიმე საგანგებოდ დაქირავებული გამომსვლელიც ესწრებოდა, რომელთა შორის იყო მსახიობი ჯენინ ტერნერი, რომელსაც მაყურებელი უმთავრესად სატელევიზიო სერიალ „ჩრდილოეთის მხარეში“ შესრულებული როლით

იცნობს. მან განაცხადა: „მათ არ სურთ, რომ ჩვენმა შვილებმა საკუთარი უფლებები იცოდნენ. მათ არ სურთ, რომ ჩვენმა შვილებმა ღმერთის არსებობის შესახებ იცოდნენ!“

ლანჩის დროს ვენეიბლმა დამსწრე საზოგადოებას ტედ კრუზი წარუდგინა – ტექსასის ყოფილი მთავარი პროკურორი, რომელმაც შეკრებილებს უთხრა, რომ ობამა იყო „ყველაზე რადიკალი პრეზიდენტი მათ შორის, ვისაც კი ოვალური კაბინეტი დაუკავებია“. მისი სიტყვებით, ობამამ ამომრჩევლებს საიდუმლო გეგმა არ გაანდო: „მთავრობა გვართმევს ეკონომიკას, გვართმევს სიცოცხლეს“. კრუზმა აგრეთვე განაცხადა: ობამასთან შერკინება ჩვენი თაობის უდიდესი ბრძოლაა. როცა ხალხი ფეხზე წამოდგა და გამომსვლელი ტაშით დააჯილდოვა, მან ალამოს ბრძოლის დროს წარმოთქმული რიგითი ტექსასელის გამომწვევი სიტყვები გაიმეორა: „გამარჯვება ან სიკვდილი!“

„ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ მჭიდროდ თანამშრომლობს „ჩაის მსმელების“ პოლიტიკურ მოძრაობასთან ამ უკანასკნელის დაფუძნების დღიდან მოყოლებული. 2009 წლის აპრილამდე რამდენიმე კვირით ადრე, სანამ გადასახადების წინააღმდეგ პროტესტის პირველი ტალღა აგორდებოდა, მან ვებ-გვერდი მოამზადა, სადაც მხარდამჭერებს „ჩაის მსმელების“ მოძრაობის არგუმენტები“ გააცნო. არიზონას ფილიალმა ხალხს მოუწოდა, ჩაის პაკეტები გაეგზავნათ ობამასთვის, მისურის ფილიალმა კი თავის წევრებს „გადამხდელთა „ჩაის მსმელების“ მოძრაობაში გაწევრიანება ურჩია. ის შესაბამის დირექტივებსაც აძლევდა მათ პროტესტის თითოეული ტალღის აგორებისას. აღნიშნული ჯგუფი დღესაც აგრძელებს ხალხში უკმაყოფილების გაღვივებას. ჩრდილოეთ კაროლინას ფილიალმა ახლახანს „ჩაის მსმელების“ მოძრაობის წევრების მძებნელი“ ვებ-გვერდი მოამზადა, რომლის სარეკლამო წარწერაც გვამცნობს: „თავმოყრის ადგილი „ჩაის მსმელების“ მოძრაობის ყველა მიმართულებისთვის ჩრდილოეთ კაროლინაში“.

ანტი-სამთავრობო ციებ-ცხელებით გამორჩეული 2010 წლის არჩევნები კოუკებისთვის პოლიტიკური გამარჯვების ტოლფასია. „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობის აქტივისტების „აღზრდით“, დაფინანსებითა და ორგანიზებით მათ საკუთარ გეგმებსა და ინტერესებს სახალხო მოძრაობის სახე მისცეს. კონსერვატორმა ეკონომისტმა და ისტორიკოსმა ბრუს ბარტლეტმა, რომელიც ერთ დროს დალასში დაფუძნებულ და კოუკების მიერ დაფინანსებულ კვლევით დაწესებულებაში – ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის ეროვნულ ცენტრში მუშაობდა, განაცხადა: „მთელი ლიბერტარიანული მოძრაობის პრობლემა ის არის, რომ ყველანი ბელადები არიან და უბრალო ინდიელი არავინაა. მათ არ ჰყავთ ნამდვილი ხალხი, ნამდვილი ამომრჩევლები, რომლებისთვისაც მათი წარმატება სულ ერთი არ იქნება. ეს არის კოუკების პრობლემა და ამიტომ ცდილობენ ისინი მოძრაობის შექმნა“. როგორც კი „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობა დაფუძნდა, მან თქვა: „უცებ ყველამ დაინახა, რომ მათ ირგვლივ ინდიელებიც არიან – ხალხი, რომელიც ნამდვილ იდეოლოგიურ ძალას წარმოადგენს“. მისი სიტყვებით, კოუკები „ცდილობენ, სახალხო მღელვარებას ისეთი ფორმა და მიმართულება მისცენ, იმგვარად გააკონტროლონ ის, რომ ყველაფერი მათ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მიზნებს ბოლომდე თანხვდებოდეს“.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი კონსულტანტი საარჩევნო საკითხებში, რომელმაც ჩარლზ და დევიდ კოუკების სურვილით სპეციალური გამოკვლევა ჩაატარა, „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობის შესახებ ამბობს: „მის დასაფუძნებლად საჭირო თანხა ძმებმა კოუკებმა გაიღეს. თითქოს მიწას მცენარის თესლი მიმოაბნიეს. მერე თავსხმა წვიმა მოვიდა და ტალახიდან ბაყაყები ამოხტნენ – აი, ისინი არიან ჩვენი კანდიდატები!“

კოუკებმა და პოლიტიკის საკითხებში მათმა მრჩევლებმა თუ თანაშემწეებმა ინტერვიუზე უარი განაცხადეს. ძმებთან დაახლოებულმა გამოჩენილმა ნიუ-იორკელმა პიარტექნოლოგმა მათ ნაცვლად ორი მეგობრის კანდიდატურა წამოაყენა: ნიუ-იორკის შტატის ყოფილი გუბერნატორის, ჯორჯ პატაკის და გამომცემლისა და უძრავი ქონების მაგნატის, მორტიმერ ცუკერმანის. რესპუბლიკელმა პატაკიმ, რომლის საარჩევნო კამპანიასაც დევიდ კოუკი აფინანსებდა, მას უწოდა „პატრიოტი, რომელსაც გულის სიღრმემდე აღელვებს ქვეყნის ბედ-იღბალი“. ცუკერმანმა კი ხოტბა შეასხა დევიდს „ღირსეული ნაბიჯებისა“ და „საზოგადოებრივი ინტერესების ფართო დიაპაზონისთვის“.

რესპუბლიკური პარტიის კონსულტანტმა საარჩევნო საკითხებში ამ ოჯახის პოლიტიკური საქმიანობის შესახებ განაცხადა: „პროჟექტორების შუქზე მათი გამოხმობა იმას ნიშნავს, რომ სიტუაციას სათანადოდ ვერ აფასებთ. ისინი მუდამ იატაქვეშ საქმიანობენ!“ კოუკის კიდევ ერთმა მრჩეველმა კი განმარტა: „ისინი გონებამახვილები არიან. მთელი ეს მემარჯვენე ხეპრეები ხომ მათთვის მუშაობენ. აი, ეს გზა აირჩიეს, რათა თავისას ისე მიაღწიონ, რომ ნებისმიერი საქმიდან ყოველთვის სუფთად გამოვიდნენ“. დემოკრატიული პარტიის პოლიტტექნოლოგმა რობ სტეინმა, ვინც კარგად შეისწავლა კონსერვატიული მოძრაობის დაფინანსების წყაროები, განაცხადა, რომ კოუკები „იმ მოძრაობის ეპიცენტრში იმყოფებიან, რომელიც ობამას ყოველმხრივ უპირისპირდება. თუმცა საქმე მხოლოდ ობამას არ ეხება. ისინი ასევე დაუპირისპირდებოდნენ ჰილარი კლინტონს. თავის დროზე სწორედ ასე უპირისპირდებოდნენ ბილ კლინტონს. მათ პროგრესის ხელყოფა, რეფორმების ჩაშლა სურთ“.

როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ამ თვალშისაცემად კაპიტალისტურმა ოჯახმა ქონების ნაწილი სტალინის წყალობით დააგროვა. ფრედ კოუკი ტექსასში დასახლებული იმ ჰო-

ლანდიელი ემიგრანტის ვაჟი იყო, რომელიც ყოველკვირეულ გაზეთს გამოსცემდა. ფრედმა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტი დაამთავრა და შესაბამისი ხარისხიც მიიღო ქიმიურ ტექნოლოგიებში. 1927 წელს მან ნავთობიდან ბენზინის გამოხდის ბევრად უფრო ეფექტიან გზას მიაგნო, მაგრამ, როგორც კოუკების ოჯახში ირწმუნებიან, უმთავრესმა ამერიკულმა ნავთობკომპანიებმა ფრედი საფრთხედ მიიჩნიეს და მას ნავთობმრეწველობის სფეროში შეღწევის საშუალება არ მისცეს. მართალია, სამშობლოში წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ კოუკმა სამუშაო საბჭოთა კავშირში მაინც იშოვა. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მისმა კომპანიამ საკუთარ თავზე აიღო ბოლშევიკი ინჟინრების მომზადება და სტალინის რეჟიმის დახმარება 15 ახალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის საქმეში. გავიდა დრო და სტალინი სასტიკად გაუსწორდა კოუკის ზოგიერთ საბჭოთა კოლეგას, რამაც იმდენად აღაშფოთა ამერიკელი, რომ მან აღნიშნულ რეჟიმთან თანამშრომლობა მწარედ ინანა. ის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა. თავისი კომპანიის, „როკ აილენდ ოილ ენდ რიფაინინგის“ სათავო ოფისში, უიჩიტაში, ფრედი ბოლომდე ინახავდა იმის დამამტკიცებელ ფოტომასალას, რომ საბჭოთა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებიდან ზოგიერთი მეორე მსოფლიო ომის დროს განადგურდა. ჩარლზ კოუკის ყოფილი მეგობარი გუს დი ზერიგა იხსენებს: „როცა საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება გაიზარდა, ფრედს ერთგვარი დანაშაულის განცდა გაუჩნდა იმის გამო, რომ თავის დროზე ამ ქვეყნის წინსვლას შეუწყო ხელი. ჩემი აზრით, ეს განცდა მას მოსვენებას არ აძლევდა“.

1958 წელს ფრედ კოუკი ერთ-ერთი პირველი გაწევრიანდა ჯონ ბერჩის საზოგადოებაში – ზე-კონსერვატიულ ჯგუფში, რომელიც უმთავრესად იმით გახდა ცნობილი, რომ ხელისუფლებისადმი უკიდურესად სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდა და მოსალოდნელი კომუნისტური გადატრიალების შესახებ ხმებს ავრცელებდა. მის წევრებს მიაჩნდათ, რომ პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი კომუნისტებთან ფარულად თანამშრომლობდა. საკუთარი ხარჯით გამოცემულ გაზეთში კოუკი აცხადებდა: „კომუნისტებმა ორივე პარტიაში შეაღწიეს: ისინი დემოკრატებშიც არიან და რესპუბლიკელებშიც“. ის აღფრთოვანებას ვერ მალავდა იტალიაში ბენიტო მუსოლინის მიერ კომუნისტების ყოველმხრივ შევიწროვების გამო, ამავე დროს მწარედ დასცინოდა სამოქალაქო უფლებების ამერიკელ დამცველთა საქმიანობას. „ამერიკის სათავეში მოსვლის კომუნისტურ გეგმაში ფერადკანიან ადამიანს დიდი ადგილი ეთმობა“, – აფრთხილებდა იგი მკითხველს. სოციალური კეთილდღეობა კი, მისი აზრით, მხოლოდ ვერაგული სატყუარა იყო, რომელიც სოფლად მცხოვრებ შავკანიან მოსახლეობას დიდ ქალაქებში მოიზიდავდა და „რასებს შორის საშინელი ომი“ გაჩაღდებოდა. 1963 წელს წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობის მიერ არაერთხელ ნახსენებ ფარულ სოციალისტურ შეთქმულებას გვახსენებს, კოუკი წინასწარმეტყველებდა: კომუნისტები „ამერიკის მთავრობის კაბინეტებში შეაღწევენ, სანამ კომუნისტი პრეზიდენტი გვყავს – ასე, ყველასგან ფარულად“.

ფრედ კოუკმა მისურის შტატში მცხოვრები ექიმის ქალიშვილი მერი რობინსონი შეირთო ცოლად. მათ ოთხი ვაჟი შეეძინათ: ფრედი, ჩარლზი და ტყუპები – დევიდი და უილიამი. „მომავლის ინდუსტრიული ასოციაციის“ პრეზიდენტი ჯონ დემგარდი დევიდის თანაკლასელი და ახლო მეგობარი იყო. ის იხსენებს, რომ ფრედი „ნაღდად ჯონ უეინის ტიპს წარმოადგენდა“. უფროსი კოუკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ შრომას: შვილები დიდ ცხოველებზე სანადიროდ აფრიკაში დაჰყავდა და საკუთარ რანჩოში მათ ყოველგვარი სასოფლო საქმის შესრულებას სთხოვდა. კოუკები ქვით ნაგებ დიდ სახლში ცხოვრობდნენ ზუსტად უიჩიტას დასასვენებელი კლუბის პირდაპირ. ზაფხულობით ბიჭებს ესმოდათ, თუ როგორ ხტებოდნენ აუზში მათი მეგობრები, მაგრამ თანატოლებთან ერთად გართობის უფლება არ ჰქონდათ. „მამაჩემის მხრიდან დიდი სიკეთე იყო, შრომის ეთიკას რომ მაზიარა, თუმცა მაშინ ეს სიკეთედ სულაც არ მეჩვენებოდა. რვა წლის რომ გავხდი, მან ყველაფერი იღონა, რათა თავისუფალი დროის უდიდესი ნაწილი შრომაში გამეტარებინა“, – წერდა ჩარლზი. დევიდ კოუკი კი იხსენებს, რომ მამა ვაჟიშვილების პოლიტიკურ გათვითცნობიერებაზეც ზრუნავდა. „ის გამუდმებით გვესაუბრებოდა ჩვენ, ბავშვებს, იმის შესახებ, თუ რა შეცდომებს უშვებდა მთავრობა“, – უთხრა მან ბრაიენ დოერტის, ლიბერტარიანულ ჟურნალ „რიზენის“ რედაქტორსა და ლიბერტარიანული მოძრაობის უახლესი ისტორიის შესახებ დაწერილი წიგნის „რადიკალები კაპიტალიზმისთვის“ ავტორს, – „აი, ამ ფუნდამენტური ხედვით გავიზარდე, რომ დიდი მთავრობა ცუდი იყო და მის მიერ თავსმოხვეული კონტროლი ჩვენს ცხოვრებასა თუ ეკონომიკურ სარგებელზე სულაც არ იყო სასიკეთო“.

დევიდმა მასაჩუსეტსში, დირფილდის აკადემიაში განაგრძო სწავლა, ჩარლზმა სამხედრო აკადემიას მიაშურა. ჩარლზმა, დევიდმა და უილიამმა ინჟინრის ხარისხი მოიპოვეს მამის „ალმა მატერში“ – მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტში, მოგვიანებით კი ოჯახურ კომპანიაში დაიწყეს მუშაობა. დროთა განმავლობაში მართვის სადავეები ჩარლზმა საკუთარ ხელში აიღო, ხოლო დევიდი მისი მოადგილე გახდა. უილიამის კარიერა კომპანიაში ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. ფრედი ჰარვარდში გაემგზავრა და იელის დრამის სკოლაში დრამატურგია შეისწავლა. ამბობენ, რომ მამამ მას გადაწყვეტილება არ მოუწონა და დასჯის მიზნით, ფინანსურ დახმარებაზე უარი უთხრა (თავად ფრედიმ, პრეს-მდივნის საშუალებით, ეს

ფაქტი საერთოდ უარყო).

1967 წელს ფრედ კოუკი გულის შეტევით გარდაიცვალა და ჩარლზმა, მამის საპატივსაცემოდ, კომპანიას „კოუკ ინდესტრიზი“ უწოდა. უფროსი კოუკის ანდერძმა წარმოუდგენლად გაამდიდრა ვაჟები. 2003 წელს, დირფილდის აკადემიის კურსდამთავრებულების წინაშე გამოსვლისას, დევიდმა იხუმრა კიდეც ასეთი იღბლის თაობაზე. ამ სასწავლებელს მან 25 მილიონი დოლარი გადაურიცხა, რის შემდეგაც „სიცოცხლის ბოლომდე ერთადერთი მეურვე“ გახდა. მან თქვა: „ალბათ იკითხავთ: როგორ გამდიდრდა დევიდ კოუკი, როცა ასეთი ხელგაშლილია? კარგი, მოგიყვებით. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა პატარა ბიჭი ვიყავი. ერთ დღეს მამაჩემმა ვაშლი მომცა. ის ხუთ დოლარად გავყიდე, ამ ფულით ორი ვაშლი ვიყიდე და ათი დოლარი ვიშოვე. მერე ოთხი ვაშლი ვიყიდე და ოც დოლარად გავყიდე. ასე ვშრომობდი დღითი დღე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე, სანამ მამაჩემი არ გარდაიცვალა და სამი მილიონი არ დამიტოვა!“

დევიდმა და ჩარლზმა მამის კონსერვატიული შეხედულებები გაითავისეს, თუმცა მის ყველა მოსაზრებას მაინც არ იზიარებდნენ. ასე ფიქრობს დი ზერიგა, რომელიც ჩარლზს 60-იანი წლების შუაში დაუმეგობრდა, როცა უიჩიტაში, ჯონ ბერჩის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში წიგნების თვალიერებისას გაიცნო. ბოლოს ის ერთ-ერთ არაფორმალურ პოლიტიკურ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად კოუკების დიდ სახლში მიიწვიეს. „ცხადი იყო, რომ ბერჩის საზოგადოების ზოგიერთი საქმიანობა ჩარლზს სრულიად აბსურდულად მიაჩნდა“, – იხსენებს დი ზერიგა.

დი ზერიგამ ჩარლზთან ურთიერთობა გაწყვიტა, დროთა განმავლობაში მემარჯვენე შეხედულებებზეც უარი თქვა და პოლიტოლოგიის დარგში პროფესორი გახდა. ის ყოფილ მეგობარს უმადლის პოლიტიკური ფილოსოფიით დაინტერესებას და აკადემიური კარიერის არჩევას. ჩარლზი ერთ-ერთია იმ სამი ადამიანიდან, ვისაც დი ზერიგამ პირველი წიგნი მიუძღვნა. მიუხედავად ამისა, პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ ძმებმა კოუკებმა ინტელექტუალური განვითარების არასწორი გზა აირჩიეს, უარი არ თქვეს საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმის მიმართ მამისეულ პარანოიდულ შიშზე და ის ამერიკის მთავრობის მიმართ სრულ უნდობლობაში გადაზარდეს. „ახალი კურსის“ – რუზველტის მიერ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პერიოდიდან მოყოლებული, ისინი ყველგან იმ საფრთხეს ხედავდნენ, რომელიც თავისუფლებას ემუქრებოდა. beliefnet.com-ზე გამოქვეყნებულ ესეში დი ზერიგა წერს: „როცა სახელმწიფო დონეზე სოციალიზმმა კრახი განიცადა... მრავალი ორგანიზაციის სამიზნედ უკვე ნებისმიერი სახის წესრიგი იქცა. „სოციალიზმის“ განსაზღვრება უფრო და უფრო დავიწროვდა“.

ჯონ ბერჩის საზოგადოების წევრები ავსტრიელი ეკონომისტების თეორიებით, ე.წ. „ავსტრიული სკოლით“ დაინტერესდნენ, რომელიც წინა პლანზე თავისუფალი ბაზრის იდეალებს წამოსწევდა. ჩარლზ და დევიდ კოუკებზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის ნაშრომებმა, რომელიც ავტორია წიგნისა „გზა ბატონ-ყმობისკენ“ (1944). ის ამტკიცებდა, რომ მთავრობის მიერ ეკონომიკის ცენტრალიზებულ დაგეგმვას ქვეყანა განუხრელად მიჰყავდა ტოტალიტარიზმისკენ. ჰაიეკს ურყევად სწამდა შეუზღუდავი კაპიტალიზმის შესაძლებლობებისა, რაც მრავალი კონსერვატორისა თუ საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული დისიდენტის შთაგონების წყაროდ იქცა, მოგვიანებით კი მისი ნაშრომები „ჩაის მსმელების“ პოლიტიკურმა მოძრაობამაც აიტაცა. ივნისში, რადიო-შოუს წამყვანმა, გლენ ბეკმა, რომელმაც „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობის მიერ აგორებულ საპროტესტო ტალღას დაუჭირა მხარი, თავის შოუში ჰაიეკის წიგნი „გზა ბატონ-ყმობისკენ“ განიხილა და ის უმალვე №1 ბესტსელერი გახდა amazon.com-ზე (როგორც ჩანს, ბეკი კოუკების ფანია; ახლახან ელ გორის ერთ-ერთ სატელევიზიო პაროდიაში ბეკმა განმარტების გარეშე აღნიშნა, ინფორმაციის მოწოდებისთვის მადლობას ჩარლზ კოუკს ვუხდიო. ამ ურთიერთობაზე მას მეტი არაფერი უთქვამს).

ჩარლზი და დევიდი კიდევ უფრო რადიკალურად მოაზროვნე რობერტ ლეფევრის თაყვანისმცემლებიც გახდნენ, რომელსაც სახელმწიფოს ლიკვიდაცია კი სურდა, მაგრამ არ მოსწონდა, როცა ანარქისტად მოიხსენიებდნენ. იგი საკუთარ თავს „ავტარკს“ უწოდებდა (ავტარკია – ეკონომიკური რეჟიმი, რომლის დროსაც იმპორტი შეზღუდულია, ხოლო ექსპორტი ვითარდება). ლეფევრი ხშირად აღნიშნავდა: „მთავრობა სწორედ ის სენია, რომელიც თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს ამ სენის სამკურნალო წამალი იყოს“. 1956 წელს კოლორადო სპრინგსში მან „თავისუფლების სკოლა“ გახსნა. როგორც „რიზენის“ რედაქტორმა, ბრაიენ დოერტიმ მითხრა, „ლეფევრი ის ანარქისტი იყო, რომელმაც ჩარლზის გული მოიგო“, ეს სკოლა კი გახლდათ „იმ ხალხის პაწია სამყარო, ვისაც რუზველტის „ახალი კურსი“ საშინელ შეცდომად მიაჩნდა“. დი ზერიგას თანახმად, სკოლას ჩარლზი აფინანსებდა და მასაც კი უხდიდა ფულს იმისთვის, რომ იქ ლექციები ჩაეტარებინა.

70-იან წლებში ჩარლზი და დევიდი „კოუკ ინდესტრიზის“ გაფართოებას განაგრძობდნენ. 1980 წელს უილიამმა, უფროსი ძმის, ფრედის დახმარებით, კომპანიის ხელში ჩაგდება სცადა. ისინი თვლიდნენ, რომ ჩარლზი მას ერთპიროვნულად მართავდა. კომპანიის დირექტორთა საბჭომ, ჩარლზის მოთხოვნის საპასუხოდ, უილიამი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა („ჩარლზი რკინის ხელით მართავს ყველაფერს“, – მითხრა ეკონომისტმა ბრიუს ბარტლეტმა). დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელზეც ერთ მხარეს

უილიამი და ფრედი წარმოადგენდნენ, ხოლო მეორეს – ჩარლზი და დევიდი. 1983 წელს მათ უილიამისა და ფრედისგან კომპანიის წილები დაახლოებით მილიარდ დოლარად შეისყიდეს. მიუხედავად ამისა, ძმებს შორის მტრობა არ განელებულა, სასამართლო პროცესი კი კიდევ 17 წელს გაგრძელდა. ამ დროის მანძილზე მათ არაერთი კერძო დეტექტივი დაიქირავეს კონკურენტი ფირმებიდან, ხოლო 1990 წელს, დედის დაკრძალვაზე, ერთმანეთის მიმართ მეტად მკვახე გამონათქვამებიც არ დაიშურეს. საბოლოოდ ფრედი მონაკოში გადასახლდა, სადაც საშემოსავლო გადასახადი საერთოდ არ არსებობს. მან შეიძინა ისტორიული მნიშვნელობის მქონე სახლები საფრანგეთში, ავსტრიაში და სად აღარ, აავსო ისინი ხელოვნების ნიმუშებით, ანტიკვარული ნივთებით, ოპერის პარტიტურებითა თუ ლიტერატურული ხელნაწერებით. უილიამმა ენერგოკომპანია „ოქსბოუ“ დააარსა და ამასთანავე აფროსნობას მიჰყო ხელი. მან დაახლოებით 65 მილიონი დოლარი დახარჯა იმისთვის, რომ ამერიკის თასი მოეპოვებინა 1992 წელს.

ჩარლზის – კომპანიის პრეზიდენტისა და უდავო მმართველის ხელში „კოუკ ინდესტრიზი“ სწრაფად გაიზარდა. როგორც საინვესტიციო ბანკის, „ევერკორის“ მმართველმა როჯერ ოლტმენმა მითხრა, კომპანიის წარმატება „უკვე ყველა ზღვარს გადასცდა“. ჩარლზი უიჩიტაში დარჩა მეუღლესა და ორ შვილთან ერთად და პირად ცხოვრებას ცნობისმოყვარეთა თვალისგან იცავს, თან საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა. დევიდი საცხოვრებლად ნიუ იორკში გადავიდა. ახლა ის კომპანიის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი და ქიმიური ტექნოლოგიების ჯგუფის გენერალური დირექტორია. ერთ-ერთმა ექსპერტ-ფინანსისტმა, რომელიც კარგად იცნობს „კოუკ ინდესტრიზს“, გამიმხილა: „ჩარლზი კომპანიის სული და გულია. კომპანიას ის ამუშავებს და ასულდგმულებს“. დევიდი, ვისაც კოლეგები გულთბილ და „ცოტა მოუქნელ“ კაცად ახასიათებენ, წლების მანძილზე მდიდარი მარტოხელას ცხოვრებით ტკბებოდა. სამხრეთ საფრანგეთში მან იახტა იქირავა და საუთჰემპტონში, პორტის პირას შეიძინა სახლი, სადაც ისეთ წვეულებებს აწყობდა, რომლებიც newyorksocialdiary.com-ზე „ჰიუ ჰეფნერის დიდებულ მიღებებს“ შეადარეს. 1996 წელს მან ცოლად შეირთო დიზაინერის თანაშემწე ჯულია ფლეშერი. ისინი პარკ ავენიუზე, №740-ში, 9000 კვადრატულ-ფუტიან დუპლექსში ცხოვრობენ სამ შვილთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ დევიდს, ჩარლზთან შედარებით, უფრო კოსმოპოლიტური შეხედულებები აქვს და ამასთანავე უფრო ხალისიანი, გულკეთილი კაციცაა, ბრაიენ დოერტი, რომელმაც ორივე ძმისგან აიღო ინტერვიუ, ვერ იხსენებს ერთ საკითხსაც კი, რომელშიც ისინი ვერ თანხმდებიან.

ძმების ქონება თანდათან გაიზარდა, ამასობაში კი ჩარლზ და დევიდ კოუკები ამერიკაში უკომპრომისო ლიბერტარიანული პოლიტიკის უმთავრეს მხარდამჭერებად და ფინანსურ გარანტორებად მოგვევლინნენ. დოერტის სიტყვებით, ჩარლზის მიზანი „მთავრობის ერთიანად მოთხრა“ იყო. ძმებმა საზოგადოებრივ ასპარეზზე პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 1979 წელს გადადგეს, როცა ჩარლზმა იმხანად 39 წლის დევიდი დაარწმუნა, საკუთარი კანდიდატურა წამოეყენებინა სახელმწიფო პოსტზე. ისინი ლიბერტარიანული პარტიის მხარდამჭერები იყვნენ და საპრეზიდენტო არჩევნებში მის კანდიდატს, ედ კლარკს უმაგრებდნენ ზურგს, რომლის კონკურენტიც მემარჯვენეთა მხრიდან რონალდ რეიგანი გახლდათ. საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისას კანონმდებლობით გათვალისწინებულმა შეზღუდვამ კოუკები გააღიზიანა, ჰოდა, მათაც ეშმაკური ხერხი მოიგონეს: ლიბერტარიანელებმა დევიდი საარჩევნო სიაში შეიყვანეს და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს. ახლა მას უკვე შეეძლო იმდენი ფული ეფანტა საარჩევნო კამპანიის დროს, რამდენსაც ისურვებდა. მათ ასეთი სლოგანი ჰქონდათ: „ლიბერტარიანულ პარტიას მხოლოდ ერთი დამფინანსებელი ჰყავს: თქვენ“. სინამდვილეში კი მისი უმთავრესი დამფინანსებელი დევიდ კოუკი ბრძანდებოდა, რომელმაც ამ საქმეს ორ მილიონ დოლარზე მეტი მოახმარა.

1980 წლის კამპანიის დროს გაჟღერებულ იდეებში „ჩაის მსმელების“ პოლიტიკური მოძრაობის მკრთალი ჩანასახი გამოჩნდა. ედ კლარკმა ჟურნალ „ნეიშენს“ განუცხადა, რომ ლიბერტარიანელები „დიდი ჩაის სმის მოსაწყობად“ ემზადებოდნენ, რადგან გადასახადებმა ხალხს „პირდაპირ სული ამოხადა“. ლიბერტარიანული პარტიის პლატფორმა გულისხმობდა გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გაუქმებას, აგრეთვე, ისეთი ფედერალური მარეგულირებელი ორგანიზაციების დახურვას, როგორიცაა ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია – სამთავრობო მარეგულირებელი სააგენტო და ენერგეტიკის დეპარტამენტი. პარტიას სურდა, ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო სოციალური უზრუნველყოფის სისტემისთვის, სახელფასო მინიმუმის განმსაზღვრელი კანონებსთვის, იარაღის კონტროლისთვის და ყოველგვარი ინდივიდუალური თუ კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის. მის პროგრამაში, აგრეთვე, შედიოდა პროსტიტუციისა და მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაცია. მთავრობას ერთადერთი ფუნქცია რჩებოდა: ადამიანის უფლებების დაცვა. გაცილებით ტრადიციულმა კონსერვატორმა, უილიამ ბაკლიმ ამ მოძრაობას „ანარქო-ტოტალიტარიზმი“ უწოდა.

იმავე წლის ნოემბერში ლიბერტარიანულმა პარტიამ ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 1% მიიღო. ძმები მიხვდნენ, რომ საარჩევნო ყუთთან მათ პოლიტიკურ ბრენდზე დიდი მოთხოვნა არ ყოფილა. ჩარლზ კოუკი უკვე ღიად დასცინოდა ტრადიციულ პოლიტიკას. „ის ამაზრზენ, ბინძურ საქმედ იქცა, მე კი ლიბერტარიანულ

იდეებს ვავრცელებ“, – განუცხადა მან იმხანად ერთ-ერთ რეპორტიორს. დოერტის წიგნის თანახმად, კოუკი არჩევნებში გამარჯვებულ პოლიტიკოსებს მიიჩნევდა „იმ მსახიობებად, რომლებიც სცენარით განსაზღვრულ როლებს თამაშობდნენ“. ამ დროს ძმების ერთმა ძველმა მეგობარმა დოერტის გაუმხილა, რომ კოუკებს სურდათ, „თემები თუ ფრაზები თავად შეერჩიათ ამ სცენარებისთვის“. ამერიკის პოლიტიკური კურსის შესაცვლელად მათ გადაწყვიტეს „გავლენა მოეხდინათ ისეთი სივრცეებზე, სადაც პოლიტიკური იდეები მწიფდებოდა: აკადემიური წრეებსა და კვლევით ცენტრებზე“.

1980 წლის არჩევნების შემდეგ ჩარლზ და დევიდ კოუკებმა საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე უარი თქვეს. მიუხედავად ამისა, მათ 100 მილიონ დოლარზე მეტი გადაურიცხეს, ერთი შეხედვით, დამოუკიდებლ ათობით ორგანიზაციას. საგადასახადო დოკუმენტაცია მოწმობს, რომ 2008 წელს კოუკების სამმა მთავარმა ფონდმა 34 პოლიტიკური ორგანიზაცია და კვლევითი ცენტრი დააფინანსა. აქედან სამი მათივე დაარსებულია, რამდენიმეს კი თავად მართავენ. კოუკებმა და მათმა კომპანიებმა დამატებით არაერთი მილიონი გაიღეს პოლიტიკური კამპანიებისთვის, სახალხო მოძრაობებისა თუ ლობისტებისთვის. ამ ოჯახის ფარულმა ფინანსურმა ზეგავლენამ უკვე მემარცხენეებიც დააეჭვა. ლიბერალურ ბლოგ thinkprogress-ზე ლი ფენგმა კოუკებს „სიძულვილს ამოფარებული მილიარდერები“ უწოდა.

მხოლოდ კოუკებმა იციან, ზუსტად რა თანხა დახარჯეს პოლიტიკის სფეროში. საგადასახადო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 1998–2008 წლებში ჩარლზ კოუკის საქველმოქმედო ფონდმა 48 მილიონ დოლარზე მეტი გადაურიცხა სხვადასხვა ორგანიზაციას. კლოდ ლემის სახელობის საქველმოქმედო ფონდმა, რომელსაც თავად ჩარლზ კოუკი და მისი მეუღლე მართავენ, კომპანიის ორ თანამშრომელთან ერთად, მთლიანობაში 28 მილიონ დოლარზე მეტი გაიღო. დევიდ კოუკის საქველმოქმედო ფონდმა 120 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა. გარდა ამისა, 1998 წლიდან მოყოლებული „კოუკ ინდესტრიზმა“ ლობისტებს 50 მილიონ დოლარზე მეტი გადაუხადა. თავის მხრივ, კომპანიის პოლიტიკური საქმიანობის კომიტეტმა – KochPAC-მა 8 მილიონი დოლარი დახარჯა პოლიტიკური კამპანიების დროს, საიდანაც რესპუბლიკელებს 8%-ზე ცოტა მეტი ერგოთ. 2006 წლიდან დღემდე „კოუკ ინდესტრიზი“ ყველა კომპანიას უსწრებს პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის გადარიცხული თანხის სიდიდის მხრივ. ამასთანავე, ბოლო 12 წლის მანძილზე ძმებმა კოუკებმა და ოჯახის სხვა წევრებმა პირადად 2 მილიონ დოლარზე მეტი გაიღეს პოლიტიკური შემოწირულობის სახით. 2010 წლის მეორე კვარტალში დევიდ კოუკი კერძო სპონსორთა შორის პირველი იყო, ვინც რესპუბლიკელ გუბერნატორთა ასოციაციას მილიონი დოლარი გადაურიცხა. კოუკების გულმოწყალების სხვა ნიმუშებს კი, ალბათ, თვალს ვერც მივადევნებთ. ფედერალური საგადასახადო კანონი ხომ კერძო პირებს იმის უფლებას აძლევს, რომ მათ ანონიმურად შესწირონ თანხა პოლიტიკურად აქტიურ არაკომერციულ ჯგუფებს.

ბოლო ათწლეულებში სამრეწველო დინასტიების ზოგიერთმა წარმომადგენელმა ქონების ნაწილი მართლაც კონსერვატორთა გეგმების განხორციელებას მოახმარა. გასული საუკუნის 80-იან წლებში ოლინების ოჯახი, რომელიც სამრეწველო ქიმიური ნივთიერებების მწარმოებელი კონგლომერატის მფლობელია, საუნივერსიტეტო სივრცეში, განსაკუთრებით იურიდიულ ფაკულტეტებზე მოღვაწე მემარჯვენე ინტელექტუალების დაფინანსებით გახდა ცნობილი. 90-იან წლებში ენდრიუ მელონის შთამომავალმა, რიჩარდ მელონ სკაიფმა მილიონები დახარჯა ბილ კლინტონის დისკრედიტაციის მცდელობაში. როგორც არი რაბინ ჰავთმა დემოკრატიული მიმართულების მქონე ვებ-გვერდ mediamatters.org-ზე აღნიშნა, ინდივიდუალური თუ კორპორატიული კაპიტალის განკარგვის თვალსაზრისით კოუკების თავგამოდება მართლაც უჩვეულოა: „ფინანსური უზრუნველყოფის მხრივ, მათი როლი განსაცვიფრებელია“.

რა თქმა უნდა, ფულს დემოკრატებიც ხარჯავენ. მათ ყველაზე გამოჩენილ დონორს, ბიზნესმენ ჯორჯ სოროსს საკუთარი ფონდი აქვს – „ღია საზოგადოების ინსტიტუტი“, რომელიც ამერიკაში ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს ხარჯავს. თავად სოროსი, კერძო შემოწირულობების სახით, ხელგაშლილად აფინანსებს დემოკრატების სხვადასხვა კამპანიას, რომელთა შორის ობამას საარჩევნო კამპანიაც უნდა ვახსენოთ. თუმცა მისი პრეს-მდივანი მიშელ ვაშონი ამტკიცებს, რომ სოროსის მიერ გაღებული თანხის რაოდენობა და დანიშნულება სრულიად გამჭვირვალეა და „ქველმოქმედის არცერთი შემოწირულობა მის ეკონომიკურ ინტერესებს არ ემსახურება“. კოუკებმა კი მილიონობით დოლარი გადაუხადეს იმ არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომლებიც გარემოსდაცვით კანონმდებლობას აკრიტიკებენ და მრეწველობის სფეროში გადასახადების შემცირებას უჭერენ მხარს. როგორც გუს დი ზერიგა ვარაუდობს, ძმების ახალგაზრდული გატაცებები და ლიბერატარიანიზმის იდეალისტური ხედვა ინტერესების რაციონალურ გააზრებაში, ერთგვარ კორპორატიულ ეგოიზმში გადაიზარდა. ჩარლზის შესახებ მან ასეთი რამეც კი თქვა: „ალბათ მას თავისუფლება ფულის კეთებაში აერია“.

ზოგიერთი კრიტიკოსი ფიქრობს, რომ კოუკების მიდგომამ გადასახადებისგან თავისუფალ შემოწირულობებს აზრი დაუკარგა. კანონმდებლობით, საქველმოქმედო ორგანიზაციები მხოლოდ არაკომერციულ საქმიანობას უნდა ეწეოდნენ საზოგადოების საკეთილდღეოდ. 2004 წელს „ფილანტროპიის ეროვნული კომიტეტის“ მიერ მომზადებულ ანგარიშში კი დამკვირვებელთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ კოუკის

ფონდები მათი დამფუძნებლების ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება. დასკვნაში ვკითხულობთ: „ეს ფონდები ფულს ურიცხავს იმ არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომლებიც ისეთ საკითხებს იკვლევენ და აქტიურად ახმოვანებენ, რომლებიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს „კოუკ ინდესტრიზის“ შემოსავლის ოდენობაზე“.

კოუკები მაინც ბევრად გასცდნენ პირად ინტერესებს, როცა ის ორგანიზაციები დააფინანსეს, რომელთა მიზანიც ქვეყნის ლიბერტარიანულ რელსებზე გადაყვანაა. ამ ორგანიზაციებს შორისაა სამართლიანობის ინსტიტუტი, რომელმაც სასამართლოში არაერთი სარჩელი შეიტანა საშტატო თუ ფედერალური კანონების წინააღმდეგ; ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტი, რომელიც ლიბერტარიანული განათლების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს; და, აგრეთვე, „უფლებათა ბილის“ ინსტიტუტი, რომელიც კონსტიტუციის თაობაზე კონსერვატიულ შეხედულებებს უწევს პროპაგანდას. კოუკების მიერ დაფინანსებულ მრავალ ორგანიზაციაში სწორედ ის სპეციალისტები მუშაობენ, რომელთა მოხსენებებსა თუ რეკომენდაციებს მოგვიანებით პოლიტიკოსები და ექსპერტები იმოწმებენ ხოლმე. დევიდ კოუკი კარგად აცნობიერებს, რომ მისი ოჯახი მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ზეგავლენას ახორციელებს საზოგადოებაზე. „სანამ ბევრ ფულს გავიღებთ, მანამდე იმაშიც ვრწმუნდებით, რომ ის ჩვენი ჩანაფიქრის შესაბამისად დაიხარჯება. თუ რომელიმე ორგანიზაცია გზიდან გადაუხვევს და ისეთ საქმიანობას შეუდგება, რაც ჩვენთვის მიუღებელია, მას აღარ დავაფინანსებთ“, – განუცხადა მან დოერტის.

კოუკების მიერ პრო-კორპორატიული მოძრაობის სუბსიდირება მრავალმხრივ თანხვდება 1971 წელს ვირჯინიელი ადვოკატის ლუის პაუელის მიერ ფედერალურ სასამართლოში დანიშვნამდე ორი თვით ადრე შედგენილ საიდუმლო მემორანდუმში გადმოცემულ ხედვას. იმხანად ანტისაომარმა მოძრაობამ რისხვა ისეთ სამხედრო კონტრაქტორებს დაატეხა თავს, როგორიც „დოუ ქემიკალი“ იყო, რალფ ნეიდერი კი ამ კორპორაციების წინააღმდეგ საერთო-სახალხო კამპანიას უძღვებოდა. პაუელი, რომელიც ამერიკის სავაჭრო პალატისთვის წერდა მოხსენებას, ამერიკულ კომპანიებს ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ის მათ აფრთხილებდა, რომ კერძო მეწარმეობისთვის უდიდეს საფრთხეს კომუნიზმი ან „ახალი მემარცხენეები“ კი არ წარმოადგენდნენ, არამედ „საზოგადოების პატივსაცემი ნაწილი“ – ინტელექტუალები, ჟურნალისტები და მეცნიერები. მათ დასამარცხებლად საჭირო იყო, წამყვან ბიზნესმენებს ხანგრძლივი, ერთობლივი კამპანია ეწარმოებინათ და საზოგადოებრივი აზრი შეეცვალათ.

ბიზნესსა თუ პოლიტიკაში ჩარლზ კოუკი ინჟინრის სიფრთხილესა და წინდახედულებას ამჟღავნებდა. მან დოერტის განუცხადა: „სოციალური ცვლილებების განხორციელება ისეთ სტრატეგიას ითხოვს, რომელიც ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ინტეგრირებული იქნება და ყველაფერს მოიცავს იდეის ჩასახვიდან პოლიტიკის განსაზღვრამდე: განათლებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ლობისტურ ჯგუფებს, სასამართლო პროცესებს, პოლიტიკურ საქმიანობას“. მან აღიარა, ეს უკიდურესად ამბიციური პროექტიაო. „ჩვენ რადიკალური ფილოსოფია გვაქვს“, – განაცხადა ჩარლზმა.

1977 წელს, კოუკების ფინანსური მხარდაჭერით, დაარსდა ქვეყნის პირველი ლიბერტარიანული კვლევითი ცენტრი – კატონის ინსტიტუტი. საზოგადოების ერთიანობის ცენტრის თანახმად, 1986 – 1993 წლებში კოუკებმა 11 მილიონი დოლარი გადაურიცხეს ამ ინსტიტუტს. დღეს მას ასზე მეტი თანამშრომელი ჰყავს, მის ექსპერტებსა და სტრატეგიულ კვლევებს კი დიდ ყურადღებას უთმობს და ხშირად იმოწმებს მეინსტრიმული მედია. კატონის ინსტიტუტი პოლიტიკური ზეგავლენისგან დამოუკიდებელ ორგანიზაციად წარმოგვიდგება, რომლის მკვლევარებიც დრო და დრო ორივე პარტიას აკრიტიკებენ. მიუხედავად ამისა, ის გამუდმებით უწევს პროპაგანდას კორპორატიული გადასახადების შემცირებას, სოციალური უზრუნველყოფის შეზღუდვასა და ისეთ გარემოსდაცვით პოლიტიკას, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორის საქმიანობის ნაკლებ კონტროლს გულისხმობს.

2008 წელს ობამამ ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ მეცნიერთა დასკვნები გლობალური დათბობის თაობაზე „ეჭვმიუტანელია“, კატონის ინსტიტუტმა კი უმალვე „ტაიმის“ მთელს გვერდზე განათავსა განცხადება, რომელშიც პრეზიდენტს ეწინააღმდეგებოდა. აღნიშნული ინსტუტუტის სტიპენდიანტი მკვლევარები დღესაც დაუნდობლად აკრიტიკებენ გლობალური დათბობის შესაჩერებლად მიმართულ პოლიტიკურ ნაბიჯებს, როგორც ძვირადღირებულ, უშედეგო მცდელობებს. კატონის ინსტიტუტის დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა, ედ კრეინმა კი მითხრა: „გლობალური დათბობის თეორიები მთავრობას ეკონომიკის უფრო მეტად გაკონტროლების საშუალებას აძლევს“.

კატონის ინსტიტუტის მკვლევარები აქტიურად გამოეხმაურნენ კლაიმეტგეიტის სკანდალს. შარშან, ინგლისში, აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტში მომუშავე კლიმატოლოგების პირადი ელექტრონული წერილები აუხსნელი გზით გახმაურდა. მეცნიერთა მიმოწერაში თითქოს ერთგვარი მზადყოფნა ჩანდა იმ მონაცემების გასაყალბებლად, რომლებიც გლობალური დათბობის რეალურობის იდეას გაამყარებდა. წერილების საჯაროდ გამოქვეყნებიდან ორ კვირაში კატონის ინსტიტუტის ერთ-ერთმა მკვლევარმა 20-ზე მეტი ინტერვიუ მისცა სხვადასხვა მედია-საშუალებას და ამ საეჭვო სკანდალის ამბავი მთელ ქვეყანას მოსდო. მას შემდეგ ხუთი დამოუკიდებელი გამოძიება ჩატარდა, რომელთა შედეგად მეცნიერები გაა-

მართლეს, მათ წერილებში კი ისეთი ვერაფერი ნახეს, რაც გლობალური დათბობის თაობაზე მიღწეულ სამეცნიერო კონსენსუსს ეჭვქვეშ დააყენებდა.

მიუხედავად ამისა, პოლემიკამ დიდად შეუწყო ხელი გლობალური დათბობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების გავრცელებას. საოკეანო და ატმოსფერული კვლევების ეროვნული სამმართველოს მიერ ახლახან მომზადებულ ანგარიშში, დასკვნის სახით, ნათქვამია, რომ გლობალური დათბობის ფაქტი უდავოა. მიუხედავად ამისა, 1997 წლის შემდეგ დღეს ყველაზე მეტ ამერიკელს სჯერა, რომ მეცნიერები გლობალური დათბობის საფრთხეს აზვიადებენ. კოუკებმა ეს სტატისტიკური მონაცემები კომპანიის ვებ-გვერდზე გამოფინეს, სადაც ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმ როლზე, რომელიც მათმა დაფინანსებამ ითამაშა ასეთი ეჭვის დათესვის საქმეში.

2002 წლის მოხსენებაში რესპუბლიკელების პოლიტიკური მრჩეველი ფრენკ ლანცი წერდა: რამდენადაც „ამომრჩევლებს სჯერათ, თითქოს სამეცნიერო წრეებში არ არსებობს კონსენსუსი გლობალური დათბობის თაობაზე“, სტატუს-კვო არ შეიცვლებაო. მისი აზრით, გარემოს დაცვის სფეროში გასატარებელი რეფორმების მოწინააღმდეგეთა პოზიციის ამოსავალი წერტილი ის იყო, რომ ისინი თავად მეცნიერებას აყენებდნენ ეჭვქვეშ – სწორედ ამგვარ პიარ-სტრატეგიას წლების მანძილზე წარმატებით იყენებდნენ თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები კანონით დადგენილი აკრძალვების გასაბათილებლად. კოუკებმა მრავალი ორგანიზაცია დააფინანსეს, რომელთა საქმიანობამაც გარემოს დაცვისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების ჩამოყალიბება განაპირობა. მათ შორისაა სტრატეგიული კვლევითი ინსტიტუტი „ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი“, რომელიც ამტკიცებს: „ბოლო 10 წლის მანძილზე მოპოვებული სამეცნიერო მონაცემები არ შეესაბამება გარემოზე ადამიანის ზემოქმედებით განპირობებული კატასტროფული დათბობის იდეას“. ძმებმა კიდევ უფრო გაურკვეველი ჯგუფებიც დააფინანსეს, მაგალითად, ქალთა დამოუკიდებელი ფორუმი, რომელიც ამერიკის საჯარო სკოლებში გლობალური დათბობის სამეცნიერო ფაქტად წარმოდგენას ეწინააღმდეგება. 2008 წლამდე ამ ჯგუფის სათავეში ნენსი პფოტენჰოიერი – „კოუკს ინდესტრიზის“ ყოფილი ლობისტი იდგა. მერი ბეტ ჯარვისი კი, ვინც მისი შვილობილი კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ, აღნიშნული ჯგუფის ერთ-ერთი მმართველია.

ნაომი ორესკესი კალიფორნიის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების ისტორიას ასწავლის და თანაავტორია წიგნისა „ეჭვით მოვაჭრენი“. ამ ახალ წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რა გზებს მიმართავდნენ ამერიკული სამრეწველო კომპანიები იმისათვის, რომ მეცნიერების შესახებ საზოგადოებრივი აზრი სასურველი მიმართულებით წარემართათ. ავტორის შენიშვნით, „ნავთობგადამამუშავებელი კომპანიების სათავეში მყოფ კოუკებს დასაკარგი მართლაც ბევრი აქვთ“. იგი ამატებს: „თუ გადაწყდება, რომ საწვავი წიაღისეულის მოხმარება თანდათან უნდა შემცირდეს, მაშინ ფულს სულ სხვა ხალხი იშოვის. ასე რომ, ამ კომპანიების გააფთრებული ბრძოლა არ უნდა გაგვიკვირდეს“.

დევიდ კოუკმა ჟურნალ „ნიუ იორკს“ განუცხადა, რომ არ სჯერდა, თითქოს ადამიანის საქმიანობას გლობალური დათბობის გამოწვევა შეეძლო. ასეც რომ იყოს, ჩვენს პლანეტაზე სითბოს მომატება ხომ სასიკეთო იქნება, რადგან ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მოსავლის მოსაყვანად უფრო მეტი დრო გვექნებაო, – თქვა მან. მასვე ეკუთვნის ეს სიტყვებიც: „დედამიწა წარმოუდგენლად ბევრი ადამიანის გამოკვებას შეძლებს, იმიტომ რომ გაცილებით დიდი ტერიტორია გამოთავისუფლდება საკვების პროდუქტების მოსაყვანად“.

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუაში კოუკებმა მილიონობით დოლარი გადაურიცხეს ვირჯინიის შტატში, არლინგტონში მდებარე ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტს კიდევ ერთი კვლევითი ცენტრის გასახსნელად. დღეს იგი მერკატუსის ცენტრის სახელით არის ცნობილი და წარმოგვიდგება, როგორც „ბაზარზე ორიენტირებული იდეების პირველი საუნივერსიტეტო კვლევითი დაწესებულება მსოფლიოში, რომლის მიზანიცაა აკადემიურ იდეებსა და რეალურ პრობლემებს შორის არსებული უფსკრულის ამოვსება“. საგადასახადო ჩანაწერები გვიჩვენებს, რომ კოუკების ფონდებმა 30 მილიონ დოლარზე მეტით დააფინანსეს აღნიშნული უნივერსიტეტი, ამ თანხის დიდი ნაწილი კი დასახელებულ არაკომერციულ ორგანიზაციას, მერკატუსის ცენტრს მოხმარდა. „ეს ერთგვარი „გრაუნდ ზეროა“ დერეგულაციის პოლიტიკისთვის ვაშინგტონში“, – ამბობს რობ სტეინი, დემოკრატიული პარტიის სტრატეგი. დიახ, ეს მართლაც უჩვეულო რამ გახლავთ. „ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტია და სახელმწიფო სახსრებით ფინანსდება. ისე გამოვიდა, რომ ვირჯინიაში მდებარე ამ საგანმანათლებლო დაწესებულებამ ის ორგანიზაცია შეიკედლა, რომელსაც, ფაქტობრივად, კოუკები აკონტროლებენ“, – შენიშნავს სტეინი.

მერკატუსის ცენტრის დამფუძნებელი ყოფილი ეკონომისტი რიჩარდ ფინკი გახლავთ. სწორედ ის ხელმძღვანელობს ლობისტურ ჯგუფს, რომელიც „კოუკს ინდესტრიზის“ ინტერესებს იცავს ვაშინგტონში. გარდა ამისა, რიჩარდ ფინკი არის ჩარლზ კოუკის საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი, კლოდ ლემის სახელობის საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი, ფრედ და მერი კოუკების ფონდის დირექტორი და ამავე დროს დირექტორი და თანადამფუძნებელი (დევიდ კოუკთან ერთად) ორგანიზაციისა „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“.

ფინკი, თავისი მრავალი წოდებით, „კოუკტოპუსის“ ცენტრალურ ნერვულ სისტემად იქცა. როგორც

ჩანს, სწორედ მან ჩაანაცვლა კატონის ინსტიტუტის დამფუძნებელი და პრეზიდენტი ედ კრეინი ძმების მთავარი პოლიტიკური მრჩეველისა და თანაშემწის პოსტზე. დევიდი ისევ ამ ინსტიტუტის დირექტორთა საბჭოს წევრია, თუმცა ჩარლზმა ის კრეინთან ერთად დატოვა. როგორც ინსტიტუტის თანამშრომლებმა მითხრეს, კრეინი სათანადოდ არ აფასებდა ჩარლზის მენეჯმენტის ფილოსოფიას, რომლის არსიც ამ უკანასკნელმა მკაფიოდ გადმოსცა წიგნში „წარმატების მეცნიერება". სხვათა შორის, ავტორმა მას ბაზარზე დაფუძნებული მენეჯმენტი უწოდა. წიგნში ჩარლზი კომპანიებს ურჩევს, კორპორატიული კულტურა საბაზრო კონკურენტუნარიანობასთან ერთად განივითარონ. კოუკი ბაზარზე დაფუძნებულ მენეჯმენტს იმ „გლობალურ სისტემად" წარმოგვიდგენს, რომელიც მოიცავს „ხუთ ასპექტს: განჭვრეტის უნარს, სიტუაციაში გარკვევის უნარს, ცოდნის მიღების პროცესს, გადაწყვეტილების მიღების უფლებასა და მოტივაციას". კატონის ინსტიტუტის ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა მითხრა: „ჩარლზი ფიქრობს, რომ გენიოსია. ის იმპერატორია და თავიც ასე მოაქვს". ფინკი კი, პირიქით, უმთავრესად ჩარლზის იდეებს იზიარებს და ახმოვანებს (აღსანიშნავია, რომ კოუკების მსგავსად, მანაც უარი განაცხადა ინტერვიუზე).

1995 წელს გამართულ ფილანტროპთა კონფერენციაზე ფინკმა ბიზნესის ენას მიმართა, როცა მერკატუსის ცენტრის მიზნები განმარტა. მან თქვა, სპონსორებმა კვლევითი ცენტრები და პოლიტიკურად აქტიური ჯგუფები უნდა გამოიყენონ, რათა ინტელექტუალური ნედლეული პოლიტიკურ „პროდუქტად" გარდაიქმნასო.

„უოლ სტრიტ ჯერნელმა" მერკატუსის ცენტრს უწოდა „ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევითი ცენტრი, რომლის შესახებაც არასდროს გსმენიათ". ამავე გამოცემამ შენიშნა, რომ იმ 23 ნორმატიული დოკუმენტიდან, რომელიც პრეზიდენტმა ბუშმა „შავ სიაში" შეიტანა, 14-ის გადახედვა პირველად ამ ცენტრის მკვლევარებმა ურჩიეს. ფინკმა ჟურნალისტს განუმარტა, კოუკებს „ბრძოლის მოგების სხვა საშუალებები აქვთ" და მერკატუსის ცენტრი მათი კომპანიის ინტერესების წარმოჩენას არ ემსახურებაო. თუმცა ტექსასის უნივერსიტეტის პროფესორმა, იურისტმა თომას მაკგარიტიმ, რომლის სპეციალიზაციის სფეროც გარემოს დაბინძურების პრობლემებია, ასეთი რამ მითხრა: „კოუკს ერთავად უთანხმოება ჰქონდა გარემოს დაცვის საგენტოსთან, მერკატუსის ცენტრი კი გამუდმებით უტევდა ამ საგენტოს". გარემოს დაცვის სფეროში მოღვაწე ერთ-ერთმა იურისტმა, რომელიც მერკატუსის ცენტრს დაუპირისპირდა, მას „ეკონომიკური მიზნების განხორციელების მზაკვრული საშუალება" უწოდა. მან დაპირისპირებული მხარის სტრატეგიაც ახსნა: „იღებთ კორპორატიულ ფულს და აძლევთ მას, ერთი შეხედვით, ნეიტრალურ კვლევით ცენტრს, რომელიც თანამშრომლებად იყვანს სხვადასხვა სამეცნიერო ხარისხის მქონე ექსპერტებს. ისინი, ერთი შეხედვით, დამაჯერებელ გამოკვლევებსა და ნაშრომებს წერენ. ეს ყველაფერი კი იდეალურად თანხვდება დამფინანსებლების ეკონომიკურ ინტერესებს".

1997 წელს გარემოს დაცვის საგენტომ ტროპოსფერული ოზონის შესამცირებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა. ცნობილია, რომ დაბინძურების ამ ფორმას ნაწილობრივ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების სამრეწველო ნარჩენებიც იწვევს. ეკონომისტმა სიუზენ დადლიმ, რომელსაც მაღალი თანამდებობა აქვს მერკატუსის ცენტრში, შემოთავაზებული ნორმა მკაცრად გააკრიტიკა. მისი მტკიცებით, გარემოს დაცვის საგენტომ არ გაითვალისწინა, რომ სმოგისგან თავისუფალი ცა კანის კიბოს შემთხვევების მატებას გამოიწვევდა. დადლის პროგნოზი ასეთი იყო: თუ დაბინძურების კონტროლი განხორციელდებოდა, ყოველწლიურად კანის კიბოთი დაავადებულ ადამიანთა რიცხვი 11 000-ით მოიმატებდა.

1999 წელს კოლუმბიის საოლქო სასამართლომ სიუზენ დადლის სარჩელი და ე.წ. „სმოგის არგუმენტი" განიხილა. გარემოს დაცვის საგენტოს მიერ შემუშავებული ნორმის შეფასებისას სასამართლომ აღმოაჩინა, რომ საგენტომ „აშკარად უგულებელყო" „ოზონის შესაძლო სასიკეთო ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე". დასკვნის სხვა ნაწილში კი ნათქვამი იყო, რომ აღნიშნულმა საგენტომ უფლებამოსილების ზღვარს გადააბიჯა, როცა სამრეწველო ნარჩენებში ოზონის ნორმატიული მაჩვენებელი განსაზღვრა. როგორც კონსტიტუციური პასუხისმგებლობის ცენტრმა – კიდევ ერთმა კვლევითმა ორგანიზაციამ გამოამჟღავნა, ამ მოსამართლეების უმრავლესობა მანამდე დასასვენებლად იმყოფებოდა მონტანას შტატში მდებარე ერთ-ერთ რანჩოზე, შეხვედრისა და წვეულების ორგანიზატორი კი გახლდათ ეკონომიკისა და გარემოს კვლევის ფონდი – ორგანიზაცია, რომელსაც კოუკების ფონდები აფინანსებენ. მოგვიანებით მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ ამ ფაქტს ზეგავლენა არ მოუხდენია სასამართლო განაჩენზე.

„იდეები თავისით არ ჩნდება. იდეებს მფლობელები და მფარველები სჭირდებათ – ყოველთვის ასე იყო," – მითხრა მეტ კიბმა, „ჩაის მსმელების" პოლიტიკური მოძრაობის ინტერესების დამცველი ლობისტური ჯგუფის, „ფრიდემუეკსის" პრეზიდენტმა. ძმებმა კოუკებმა კატონის ინსტიტუტისა და მერკატუსის ცენტრის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანის შემდეგ დაასკვნეს, რომ ცვლილებების განსახორციელებლად კვლევითი ცენტრები საკმარისი არ იყო. მათ ეფექტური მექანიზმი სჭირდებოდათ, რათა ეს იდეები ხალხის ყურამდე მიეტანათ და საზოგადოების მხარდაჭერა მოეპოვებინათ. 1984 წელს დევიდ კოუკმა და რიჩარდ ფინკმა კიდევ ერთი ორგანიზაცია შექმნეს. მათ კიბიც შეუერთდა. „მოქალაქეები ჯანსაღი

ეკონომიკისთვის“ საზოგადოებრივ მოძრაობას ჰგავდა, მაგრამ, საზოგადოების ერთიანობის ცენტრის თანახმად, ძირითადად კოუკების მიერ ფინანსდებოდა. 1986–1993 წლებში ძმებმა ამ ორგანიზაციას 7.9 მილიონი დოლარი გადაურიცხეს. კიბის სიტყვებით, მისი მისია იყო, „რთული იდეები აეღო და უბრალო ამერიკელებისთვის გასაგებ ენაზე ეთარგმნა“. ის ამბობს: „ჩვენც ის ლიტერატურა წავიკითხეთ მშვიდობიან რევოლუციებზე, რაც ობამამ: საულ ალინსკი, განდი, მარტინ ლუთერ კინგი. გავაანალიზეთ „ბოსტონური ჩაის სმის“ იდეა, როგორც არაძალადობრივი სოციალური ცვლილების მაგალითი. ვისწავლეთ, რომ მიწაზე მყარად უნდა ვმდგარიყავით, რათა იდეები გაგვეყიდა და არა კანდიდატები“. რამდენიმე წელში ამ ორგანიზაციამ 50 თანამშრომელი გაგზავნა 26 შტატში სამუშაოდ (შესაბამისი ანაზღაურებით), რათა მათ ამომრჩევლები კოუკების სურვილისამებრ დაერაზმათ. ერთ-ერთი მათგანის სიტყვებით, დევიდი და ჩარლზი „ყველაფერს აკონტროლებდნენ, თავიდან ბოლომდე ამოწმებდნენ. მათთან ერთად ორგანიზაციის შექმნა წარმოუდგენელია. ისინი მართვას არავის დააცდიან“.

თითქმის იმავე დროს ძმები პოლიტიკურ კრიზისში აღმოჩნდნენ. 1989 წელს ინდოეთის საკითხების შემსწავლელმა სენატის სპეციალურმა კომისიამ მათი ბიზნეს-საქმიანობა გამოიკვლია და უკიდურესად კრიტიკული მოხსენება მოამზადა. მან ბრალი დასდო „კოუკს ოილს“ იმაში, რომ ის „დახვეწილ მაქინაციებს მიმართავდა – მოტყუებითა და არასწორი გაზომვის გზით ინდოელებსა და სხვა ხალხებს ნედლ ნავთობს ჰპარავდა“. კოუკებმა აღიარეს, რომ მათ მართლაც უსამართლოდ მიითვისეს 31 მილიონი დოლარის ღირებულების მქონე ნედლი ნავთობი, მაგრამ იქვე განაცხადეს, ეს შემთხვევით მოხდაო. ჩარლზ კოუკმა კი კომისიის წევრებს განუმარტა, ნავთობის გაზომვის ხელოვნება სიზუსტეს არ გულისხმობსო.

საკუთარი რეპუტაციის დასაცავად „კოუკ ინდესტრიზმა“ რობერტ სტრაუსი დაიქირავა, რომელიც იმ დროს პირველი ლობისტი იყო ვაშინგტონში. მალევე ამ ქალაქში კომპანიის ოფისი გაიხსნა. ნაფიცი მსაჯულები ყველა მხარის ჩვენებების შესასწავლად შეიკრიბნენ, თუმცა ბოლოს საქმე ისე დახურა, რომ კომპანიის ბრალეულობა არ დადგენილა. სენატის მოხსენების თანახმად, კოუკის მიერ დაქირავებული დეტექტივები კომისიის სხდომების შემდეგ მისი წევრების პირად ცხოვრებაში იქექებოდნენ, მათ ერთ-ერთის ყოფილი ცოლიც კი დაუკითხავთ. კომპანიის საქმიანობის მკვლევარები მეტად გაანაწყენა კოუკის ამგვარმა ტაქტიკამ. სენატის კომისიის იურისტმა კენეტ ბელენმა განაცხადა: „ამ ხალხმა მართლაც წარმოუდგენელი ძალაუფლება მოიპოვა!“

1993 წელს, როცა ბილ კლინტონი გახდა ქვეყნის პრეზიდენტი, „მოქალაქეები ჯანსაღი ეკონომიკისთვის“ მისაბაძ მაგალითად იქცა კორპორატიული მხარდაჭერის მქონე ისეთი ოპოზიციური კამპანიებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით ობამას პრეზიდენტობის დროს მომრავლდა და გაძლიერდა. ამ ჯგუფმა წარმატებული თავდასხმა განახორციელა კლინტონის მიერ შემოთავაზებულ ე.წ. BTU-გადასახადზე, რაც საწვავის სითბოტევადობის დაბეგვრას გულისხმობდა – რეკლამების საშუალებით, მედიისთვის გამიზნული ღონისძიებებითა და ოპონენტების მიზანში ამოღებით. მანვე შეკრიბა ამ გადასახადის დაწესების მოწინააღმდეგეები კაპიტოლიუმის შენობასთან. საზოგადოებრივი რადიოს გადმოცემით, შეკრებილებს „შიში უნდა ჩაენერგათ მერყევ დემოკრატთა გულებში“. ყოფილი დემოკრატი კონგრესმენი უიჩიტადან დენ გლიკმანი, რომელიც მხარს უჭერდა BTU-გადასახადის შემოღებას, იხსენებს: „კონგრესში 18 წელი ვიყავი. კოუკები მართლაც დამიპირისპირდნენ და ჩემი ოპონენტი დააფინანსეს. უამრავი ფული დახარჯეს, საკუთარი კომპანიის თანამშრომლებიც კი ჩართეს ამ საქმეში“. გლიკმანი მოულოდნელად დამარცხდა. „ვერ დავამტკიცებ, მაგრამ ვფიქრობ, მათი მსხვერპლი უნდა ვიყო“, – ამბობს ის.

კოუკები ფულის ფანტვას განაგრძობდნენ, ქმნიდნენ გაურკვეველი დანიშნულების მქონე ორგანიზაციებს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სახელწოდებებით – ამიტომაც გართულდა ვაშინგტონზე მათი გავლენის მასშტაბის განსაზღვრა. 1990 წელს ორგანიზაციამ „მოქალაქეები ჯანსაღი ეკონომიკისთვის“ თავის წიაღში ახალი ჯგუფი შექმნა – „მოქალაქეები გარემოს დაცვისთვის“, რომელმაც მჟავურ წვიმებსა და სხვა მსგავს პრობლემებს მითები უწოდა. როდესაც პიტსბურგში გამომავალმა „პოსტ-გეზეტმა“ ეს საკითხი გამოიკვლია, აღმოაჩინა, რომ ამ ჯგუფს „რიგითი მოქალაქეების სახით, წევრები საერთოდ არ ჰყავდა“.

1997 წელს სენატში კიდევ ერთი მოკვლევა დაიწყო იმის თაობაზე, რასაც უმცირესობის მოხსენებაში ეწოდებოდა „მთელი ქვეყნის მასშტაბით, რესპუბლიკელთა საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად, მილიონობით დოლარის გადარიცხვის ორიგინალური სქემა დაფინანსების წყაროს გაცხადების გარეშე“. ბუნებრივია, ამ სქემის მიზანი იმ კანონებისთვის თავის არიდება იყო, რომლებიც საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესებს განსაზღვრავდნენ. სხვადასხვა არჩევნების დროს ფიქტიურმა კორპორაციამ „ტრაიედ მენეჯმენტმა“ სამ მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა კრიტიკული პათოსით გამორჩეულ მოკლე სარეკლამო ფილმებში. რეკლამებზე დახარჯული ფულის ნახევარზე მეტი გაურკვეველი დანიშნულების მქონე არაკომერციულმა ორგანიზაციამ – „ეკენომიკ ედიუქეიშენ ტრასტმა“ გაიღო. სენატის კომისიის მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ „სავარაუდოდ, ამ ორგანიზაციას მთლიანად ან ნაწილობრივ აფინანსებდნენ კანზასის შტატში, უიჩიტაში მცხოვრები ჩარლზ და დევიდ კოუკები“. გაჩნდა ეჭვი, რომ ძმები ფარულად იხდიდ-

ნენ ფულს მოკლე სარეკლამო ფილმებისთვის, რომელთა უმრავლესობაც იმ შტატებში გაუშვეს, სადაც „კოუკ ინდესტრიზი“ საქმიანობდა. კანზასში, სადაც „ტრაიედ მენეჯმენტი“ გამორჩეულად აქტიურობდა, მათმა დაფინანსებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ექვსიდან ოთხ არჩევნებში. როდესაც რეპორტიორებმა კოუკებს ჰკითხეს, ეს თანხა თქვენ გადარიცხეთ თუ არაო, მათ კომენტარზე უარი თქვეს. 1998 წელს კი „უოლ სტრიტ ჯერნელმა“ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი კონსულტანტი, რომელიც კოუკებთან მუშაობდა და ხელფასსაც იღებდა, ამ სქემაში იყო ჩართული. საზოგადოების ერთიანობის ცენტრის დამფუძნებელი ჩარლზ ლუისი სკანდალს ისტორიულს უწოდებს: „კორპორაციებს შორის „ტრაიედ მენეჯმენტმა“ პირველმა მიმართა შენიღბვას – მან ერთგვარი „ფასადი შექმნა“, რაც უკვე საფრთხეს წარმოადგენდა. „კოუკ ინდესტრიზის“ სახელის მიღმა ყოველგვარ საზღვარს გადასული, გაუკონტროლებელი კომპანია იმალებოდა“.

ხელისუფლების სათავეში კლინტონის ყოფნის დროს ენერგოკომპანიებს გაზრდილი კონტროლი და მკაცრად განსაზღვრული წესები დაუპირისპირეს. 90-იანი წლების შუაში იუსტიციის დეპარტამენტმა ორი სასამართლო პროცესი წამოიწყო „კოუკ ინდესტრიზის“ წინააღმდეგ. ის ამტკიცებდა, რომ სწორედ ეს კორპორაცია იყო პასუხისმგებელი წყალში ნავთობის ჩაღვრის 300-ზე მეტ შემთხვევაზე, რომლის შედეგადაც, სავარაუდოდ, სამი მილიონი გალონი ნავთობი ჩაიღვარა ტბებსა თუ მდინარეებში. ჯარიმის სახით, მას 214 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა. გარიგების შედეგად კი „კოუკ ინდესტრიზმა“ 30 მილიონ დოლარიანი ჯარიმა გადაიხადა და დათანხმდა, რომ 5 მილიონ დოლარს გარემოს დაცვას მოახმარებდა.

1999 წელს სასამართლომ დამნაშავედ სცნო „კოუკ ინდესტრიზი“ უყურადღებობასა და არაკეთილსინდისიერებაში, რის შედეგადაც ორი ტექსასელი მოზარდი დაიღუპა იმ აფეთქების დროს, რომელიც მიწისქვეშ მოთავსებული ბუტანის მილსადენიდან ორგანული ნაერთის გაჟონვამ გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ 2001 წელს კომპანიამ, ჯარიმის სახით, უცნობი თანხა გადაიხადა. კლინტონის პრეზიდენტობის ბოლო თვეებში იუსტიციის დეპარტამენტმა კომპანიის წინააღმდეგ 97-პუნქტიანი საბრალდებო აქტი შეადგინა. „კოუკ ინდესტრიზს“ ბრალად ედებოდა ტექსასში, კორპუს-კრისტიში მდებარე მისი კუთვნილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან კანცეროგენის – 91 ტონა ბენზოლის გაჟონვის დაფარვა. კომპანიას, ჯარიმის სახით, 350 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევდა, მის ოთხ თანამშრომელს კი 35 წლამდე პატიმრობა ელოდა. საბოლოოდ „კოუკ პეტროულიემ გრუპმა“ თავი ბრალდებულად სცნო გარემოს დაბინძურების დაფარვის ერთ ეპიზოდში, აგრეთვე, დოკუმენტების გაყალბებაში, ჯარიმად კი 20 მილიონი დოლარი გადაიხადა. პროკურორმა დევიდ ულმანმა, რომელიც იმხანად იუსტიციის დეპარტამენტში გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული დანაშაულების განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ამ პროცესს უწოდა „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი, რომელიც „სუფთა ჰაერის აქტის“ ფარგლებში განხორციელდა“. მან დაამატა: „გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული დანაშაულები თითქმის ყოველთვის ეკონომიკური სარგებლის ნახვის სურვილითა და სამყაროს მიმართ ქედმაღლური დამოკიდებულებით არის განპირობებული. კოუკების შემთხვევაში კი ერთიც და მეორეც დიდი დოზით იყო წარმოდგენილი“.

2000 წლის საარჩევნო კამპანიის დროს „კოუკ ინდესტრიზმა“ სულ რაღაც 900 000 დოლარი დახარჯა ჯორჯ ბუშისა და სხვა რესპუბლიკელების კანდიდატურების მხარდასაჭერად. ბუშის პრეზიდენტობის წლებში აღნიშნული კომპანია და წიაღისეულის გადამამუშავებელი სხვა კომპანიები ერთი-ორად აყვავდნენ. 2005 წელს მომზადებული ენერგეტიკული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელსაც ჰილარი კლინტონმა დიკ ჩეინის ენერგეტიკული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი უწოდა, ენერგოკომპანიებს უზარმაზარ სუბსიდიებსა და საგადასახადო შეღავათებს სთავაზობდა. კოუკები ფედერალური ბიუჯეტის შევსების თავგადაკლულ დამცველებად წარმოგვიდგნენ, მაგრამ mediamatters.org-ის გამოკვლევის თანახმად, 2000 წლიდან დღემდე მათმა კომპანიებმა დაახლოებით 100 მილიონი დოლარის სარგებელი ნახეს სამთავრობო შეთანხმებების წყალობით.

2004 წელს „მოქალაქეები ჯანსაღი ეკონომიკისთვის“ იმაში დაადანაშაულეს, რომ ის უკანონოდ უწყობდა ხელს ამერიკის პრეზიდენტად ჯორჯ ბუშის ხელახლა არჩევას. ამ ორგანიზაციის ორეგონის ფილიალი არაპირდაპირ საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატ რალფ ნეიდერს დაეხმარა, რათა დემოკრატების კანდიდატ ჯონ კერის პოზიცია შეესუსტებინა. კრიტიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ გადასახადებისგან თავისუფალი, არაკომერციული ორგანიზაციის მხრიდან პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად მიმართული საქმიანობა უკანონო იყო (მათ საჩივარიც შეიტანეს ფედერალურ საარჩევნო კომისიაში, თუმცა მის საფუძველზე საქმე არ აღძრულა).

იმავე წელს, ორგანიზაციაში მომხდარი განხეთქილების გამო, „მოქალაქეები ჯანსაღი ეკონომიკისთვის“ დაიშალა. დევიდ კოუკმა და რიჩარდ ფინკმა ახალი ჯგუფი შექმნეს – „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“, რომლის სამართავადაც ტიმ ფილიპსი აიყვანეს. ის გამოცდილი პოლიტტექნოლოგი გახლავთ, რომელიც ერთ დროს ევანგელისტ ლიდერსა და რესპუბლიკელ აქტივისტთან, რალფ რიდთან მუშაობდა. ფილიპსმა მასთან ერთადვე დააფუძნა საკონსულტაციო ფირმა „სენჩრი სტრეტეჯიზი“, რომლის ფუნქციაც საარჩევნო საკითხებში კონსულტაციის გაწევა

უნდა ყოფილიყო, მაგრამ მან რეპუტაცია სახელგატეხილ ლობისტთან, ჯეკ აბრამოვთან კავშირით შეილახა. ფილიპსის ონლაინ-ბიოგრაფია მას „ფართო მასების პოლიტიკურად დარაზმვის“ ექსპერტად წარმოგვიდგენს. თავად ის ფაქტი, რომ კოუკებმა ფილიპსი აირჩიეს, მის მეტ სიხისტეზე მიანიშნებს. კონსერვატორმა გროვერ ნორკვისტმა, რომელიც პოლიტიკაში „ყელის გამომჭრელთა“ საქმიანობას მიესალმება, იგი ასე დაახასიათა: „ადამიანი, რომელსაც ყველაფერი გამოსდის“.

გასულ წელს ფილიპსმა „ფაინენშელ ტაიმსს“ განუცხადა, რომ ორგანიზაციას „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ მხოლოდ 8 ათასი რეგისტრირებული წევრი ჰყავდა. დღეს კი ორგანიზაციის ვებ-გვერდი ირწმუნება, რომ მას მილიონ ორასი ათასი აქტივისტი ჰყავს. რამდენიც უნდა იყოს მათი რაოდენობა, ერთი რამ ცხადია: კოუკები მეტად აქტიურად არიან ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. კატონის ინსტიტუტის ყოფილმა თანამშრომელმა მითხრა, რომ ძმები ყველა დეტალს თავად აკონტროლებენ ორგანიზაციაში „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“; და ისინი, ალბათ, დიდ სარგებელსაც ნახულობენ ამგვარი კაპიტალდაბანდებით: ოჯახის სხვა ორგანიზაციებთან ერთად „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ ეფექტური იარაღია ობამას პოლიტიკის გასანადგურებლად.

2008 წლის იანვარში ჩარლზ კოუკმა კომპანიის საინფორმაციო ბიულეტენში ჩაწერა, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ შეიძლებოდა ამერიკა პირველად აღმოჩენილიყო „უდიდესი დანაკარგის წინაშე თავისუფლებისა და ეკონომიკური აღმავლობის გზაზე“. იმავე წლის ოქტომბერში კი ორგანიზაციამ „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ კონსერვატორ აქტივისტთა შეკრება მოაწყო ვაშინგტონის შემოგარენში მდებარე სასტუმრო „მარიოტში“. კონსერვატიული ბლოგის, RedState.com-ის მთავარი რედაქტორი ერიკ ერიკსონი ტრიბუნასთან მივიდა. მან დევიდ კოუკს მადლობა გადაუხადა და ფიცი დადო, რომ ისინი „გაერთიანდებოდნენ და შეებრძოლებოდნენ... მემარცხენეთა არმიას!“ მალევე მას შემდეგ, რაც ობამამ პრეზიდენტის სავარძელი დაიკავა, ორგანიზაციამ „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ გამოსვლები მოაწყო მისი ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მეწარმეებს „ყოველგვარ სტიმულს უკარგავდა“. შემდეგ მერკატუსის ცენტრში მომზადა მოხსენება, რომლის ავტორიც ამტკიცებდა, რომ ბიზნესექტორის წასახალისებლად განსაზღვრული თანხა არათანაბრად ნაწილდებოდა და მისი დიდი ნაწილი დემოკრატიულ ოლქებში მიედინებოდა. ბოლოს ის აიძულეს, მოხსენება ჩაესწორებინა, მაგრამ მანამდე რაშ ლიმბომ უკვე მოასწრო მისი ციტირება და ობამას პროგრამას „პარტიის სარეზერვო დაფინანსების“ იარლიყი მიაწება, „ფოქს ნიუსმა“ და სხვა კონსერვატიულმა მედიასაშუალებებმა კი საყოველთაოდ გაახმოვანეს ეს აზრი (ფილ კერპენი, რომელიც ვიცე-პრეზიდენტია ორგანიზაციისა „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“, „ფოქს ნიუსის„ ვებ-გვერდის სპონსორიცაა. ამ ორგანიზაციის კიდევ ერთი მაღალი თანამდებობის პირი უოლტერ უილიამსი კი ხშირად სტუმრობს ლიმბოს გადაცემას).

აღნიშნულმა ორგანიზაციამ მოამზადა პროექტი და ვებ-გვერდი patientsunitednow.com, რომელმაც, ფილიპსის ვარაუდით, სამასზე მეტი ადამიანი გამოიყვანა ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის წინააღმდეგ. ერთ შეკრებაზე მათ დემოკრატი კონგრესმენის პორტრეტი დაწვეს, მეორეზე კი ტრანსპარანტი გაშალეს დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეების გვამების გამოსახულებით. ამ ჯგუფის დახმარებით განხორციელდა აგრეთვე საპროტესტო გამოსვლები მარტში, კაპიტოლიუმის წინ. როგორც ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის დემოკრატი მხარდამჭერები აცხადებდნენ, კაპიტოლიუმთან შეკრებილები მათ აფურთხებდნენ და ლანძღავდნენ, ფილიპსი კი მათი დიდი ორატორი იყო.

ორგანიზაციამ „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ 80 ღონისძიება მაინც მოაწყო იმ გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და კანონმდებლობის წინააღმდეგ, რომლის მიზანიცაა: კომპანიებმა გადაიხადონ ჰაერის დაბინძურებისთვის, რაც მათი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. ორატორები გაზვიადებას არ ერიდებოდნენ და ამტკიცებდნენ, მალე ეზოში დადგმულ ბარბეკიუს და სამზარეულოს ღუმელებსაც დაგვიბეგრავენო. ეს ჯგუფი თავს ესხმოდა ობამას „მწვანე სამუშაოების“ მთავარ კოორდინატორს, ვენ ჯონსს და ყოველმხრივ ილაშქრებდა კლიმატის თემაზე გამართული საერთაშორისო მოლაპარაკებების წინააღმდეგ. ფილიპსი, რომელიც თავის ჯგუფს იმ რიგითი მშრომელების ინტერესების დამცველად მიიჩნევს, ვისაც გარემოსდამცველების საქმიანობა დაეზარალებს, შარშან კოპენჰაგენში ჩავიდა და საპროტესტო გამოსვლა მოაწყო იმ შენობასთან, სადაც კლიმატის ცვლილების თემაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული კონფერენცია იმართებოდა. მან განაცხადა: „ჩვენი ორგანიზაციის წევრები უბრალო ადამიანები არიან... ვფიქრობ, მეტად სამწუხაროა, როცა მდიდარი მშობლების მდიდარ შვილებს... სურთ, რომ უმუშევრობის დონე 20%-მდე გაიზარდოს შეერთებულ შტატებში“.

გროვერ ნორკვისტმა, ვინც კონსერვატორი ლიდერების, მათ შორის ზემოთ ნახსენები ორგანიზაციის წარმომადგენლების ყოველკვირეულ შეხვედრებს მართავს ვაშინგტონში, მითხრა, რომ ზაფხულში ორგანიზებულ ხმაურიან გამოსვლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ობამას გეგმების ჩაშლის საქმეში. მისი სიტყვებით, რესპუბლიკელი ლიდერები კონგრესში „ამის განხორციელებას ვერ შეძლებდნენ, რომ არა

აგვისტოში ქუჩებში გამოსული ხალხი. გამოსვლებმა თავდაჯერება წაართვა გარიგებაზე წამსვლელებს“ – იმ რესპუბლიკელებს, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, კონსტრუქციულად ითანამშრომლებდნენ ობამასთან. გარდა ამისა, ობამას წინააღმდეგ მზარდი საპროტესტო ტალღის აგორებამ დიდი გავლენა მოახდინა კეი-სტრიტის კორპორატიულ დონორებზე. „კეი-სტრიტი სამმილიარდდოლარიანი ფლუგერია“, – თქვა ნორკვისტმა, – „როცა ობამა ძლიერი იყო, სავაჭრო პალატამ განაცხადა: „ჩვენ ობამას ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა შეგვიძლია“. თუმცა მისი პოზიცია მაშინვე შეიცვალა, როგორც კი ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში და კონგრესმენები „დააშინა“. ის გასულმა აგვისტომ შეცვალა. ახლა, როცა ობამა სუსტია, ხალხი სულ უფრო ძლიერდება“.

ობამას პრეზიდენტად არჩევის წლისთავი ახლოვდებოდა, როცა დევიდ კოუკი ვაშინგტონის შემოგარენში გაემგზავრა ორგანიზაციის „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ მიერ მოწყობილ საზეიმო შეკრებაზე. ობამას რეიტინგი სწრაფად ეცემოდა. მისი ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ ჯანმრთელობის დაცვის რეფორმას ერთი რესპუბლიკელი სენატორიც კი არ უჭერდა მხარს. ექსპერტები ობამას პოლიტიკურ სიბეცეზე წერდნენ, ხოლო „ჩაის სმის“ პოლიტიკური მოძრაობა პრეზიდენტს „სახელმწიფო გადატრიალების“ დაწყებაში ადანაშაულებდა. თავის გამოსვლაში კოუკმა განაცხადა: „დღევანდელმა დღემ რეალობად აქცია დირექტორთა საბჭოს წევრების ის ხედვა, რომელიც ხუთი წლის წინ წინ, ამ ორგანიზაციის დაფუძნებისას გვქონდა. ჩვენ ისეთ სახალხო მოძრაობას წარმოვიდგენდით, რომელიც ძალას ცალკეულ შტატებში მოიკრებდა, მაგრამ მთელი ქვეყნის მასშტაბით იმოქმედებდა: ყველა პროფესიის წარმომადგენელი, ასობით ათასი ამერიკელი მოქალაქე ხმას აიმაღლებდა და იმ ეკონომიკური თავისუფლებისთვის იბრძოლებდა, რამაც ჩვენს ერს ყველაზე დიდი წარმატება და კეთილდღეობა მოუტანა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე... ღვთის წყალობით, ხალხის მღელვარებამ და გამოსვლებმა კალიფორნიიდან ვირჯინიამდე, ტექსასიდან მიჩიგანამდე ნათლად გვიჩვენა, რომ სულ უფრო მეტი ჩვენი თანამემამულე ხედავს იმ ჭეშმარიტებას, რასაც ჩვენ ვხედავთ“.

იმ დღეს დევიდ კოუკმა „ჩაის სმის“ პოლიტიკურ მოძრაობაზე ღიად არ ისაუბრა, თუმცა ცოტა ხნის წინ მისი მისამართით ქება არ დაიშურა, რადგან ის „თავგანწირვით შეებრძოლა სახელმწიფოში მთავრობის ძალაუფლების მნიშვნელოვნად გაზრდას, სოციალისტური პრინციპების დამკვიდრების მრავალრიცხოვან მცდელობებს“. ჩარლ კოუკმა მისი კომპანიების 70 000 თანამშრომლისთვის დარიგებულ საინფორმაციო ბიულეტენში ობამას მმართველობა ვენესუელის დიქტატორის, უგო ჩავესის რეჟიმს შეადარა. ძმების მიერ საფრთხის მოახლოების ასეთი მოლოდინი, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. ამერიკაში შემოსავლების უთანასწორობის მაჩვენებელი დღეს ყველაზე მაღალია გასული საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ, 70-იანი წლებიდან კი უმდიდრესი ამერიკელების გადასახადების რაოდენობა უფრო მკვეთრად შემცირდა, ვიდრე საშუალო კლასისა. მიუხედავად ამისა, კოუკების მთავარმა გზავნილმა აშკარად ჰპოვა გამოხმაურება ამომრჩეველთა შორის: როგორც ახლახან ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, ამერიკელების 55% ეთანხმება იმ აზრს, რომ ობამა სოციალისტია.

ამასობაში ორგანიზაციამ „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“ გამოაცხადა, რომ დამატებით 45 მილიონ დოლარს დახარჯავს ნოემბერში გასამართ შუალედურ არჩევნებამდე. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატების უშუალო მხარდაჭერა კანონით ეკრძალება, ის მაინც აპირებს, გარკვეული ფსონები დადოს თეთრ სახლსა თუ სენატში, მოაწყოს გამოსვლები, ჩაატაროს აგიტაცია კარდაკარ სიარულის პრინციპით და გაუშვას მოკლე სარეკლამო ფილმები, რომლების მიზანიც იქნება, „აცნობოს ამომრჩევლებს, თუ სად დგანან კანდიდატები“.

კოუკებმა ობამას მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენეს, მაგრამ უფრო დიდი პოლიტიკური ბრძოლის მოგებისგან ისინი საკმაოდ შორს არიან. გაზაფხულზე FrumForum.com-ზე განთავსებულ ინტერვიუში რიჩარდ ფინკმა თქვა: „თუ დავაკვირდებით, საით წავედით 2000 წლის შემდეგ, სამთავრობო ხარჯების ზრდითა და საგარეო ვალებით, რომლებიც მთელ ქვეყანას გაკოტრებით ემუქრება, თვალწინ კარგი სურათი არ გადაგვეშლება. როგორც ჩანს, აქამდე ნაშენებმა და ნაფერებმა ინფრასტრუქტურამ წარმატება არ მოგვიტანა“. მისი აზრით, კოუკებს სურთ „უფრო მეტად ჩართვა მთავრობის პრაქტიკულ, ყოველდღიურ საქმიანობაში“.

1991 წელს დევიდ კოუკი მძიმედ დაშავდა ლოს ანჯელესში მომხდარი ავიაკატასტროფის დროს. პირველი კლასის მგზავრებიდან მხოლოდ ის გადარჩა. გამოჯანმრთელების პროცესში ჩატარებულმა რიგითმა სამედიცინო გამოკვლევამ კი მას პროსტატის კიბო დაუდგინა. კოუკმა იმკურნალა, ცოლი მოიყვანა და ცხოვრებას ახალი თვალით შეხედა. მან Portfolio.com-ს განუცხადა: „როცა ერთადერთი ხარ, ვინც თვითმფრინავის წინა ნაწილში გადარჩა, შენს გარდა კი ყველა დაიღუპა, აი, ასე ფიქრობ: „მოწყალე უფალმა დამიფარა, რაღაც დიდი მიზნისთვის დამზოგა“. საქმე ის გახლავთ, რომ მას შემდეგ მუხლჩაუხრელად ვშრომობ, ძალ-ღონეს არ ვიშურებ იმ კეთილი საქმეებისთვის, რაც კი თავში მომდის. ჰოდა, ალბათ ღმერთიც მენდობა“.

დევიდ კოუკმა წარმოუდგენლად დიდი თანხის გაღება დაიწყო ხელოვანთა და მეცნიერთა დასაფინანსებლად. მისი პატრონაჟით ხორციელდება პროსტატის კიბოს კვლევაც. გარდა იმისა, რომ სლოუნ-კეტრინგის კიბოს ცენტრს ფინანსურად არაერთხელ დაეხმარა, მან 15 მილიონი დოლარი გადაური-

ცხა ნიუ იორკის პრესვიტერიანულ კლინიკას, 125 მილიონი – მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტს კიბოს კვლევებისთვის, 20 მილიონი – ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტსა და 25 მილიონი – ანდერსონის კიბოს ცენტრს ჰიუსტონში. ხელგაშლილობის საპასუხოდ, სლოუნ-კეტრინგის კიბოს ცენტრმა დევიდ კოუკს გადასცა „ჯილდო გამორჩეული კორპორატიული ლიდერობისთვის“, 2004 წელს კი პრეზიდენტმა ბუშმა იგი იმ ეროვნულ საკონსულტაციო საბჭოში შეიყვანა, რომელიც კიბოს ეროვნულ ინსტიტუტს ხელმძღვანელობს.

და მაინც, სავსებით შესაძლებელია, რომ კოუკის კორპორატიულმა და პოლიტიკურმა როლებმა ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს. მაგალითად, იმ დროს, როცა დევიდი კიბოს წინააღმდეგ თავგადაკლულ მებრძოლად წარმოგვიდგება, „კოუკ ინდესტრიზი“ ცდილობს, გავლენა მოახდინოს კონგრესმენებზე, რათა მათ ხელი შეუშალონ გარემოს დაცვის სააგენტოს ფორმალდეჰიდის კანცეროგენად აღიარებაში. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე ამ აირს კომპანია დიდი რაოდენობით აწარმოებს.

მეცნიერებმა დიდი ხანია, იციან, რომ ფორმალდეჰიდი ვირთხებში კიბოს იწვევს. რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევის შედეგად კი დადგინდა: ის ადამიანების კიბოთი დაავადებასაც განაპირობებს. გასულ წელს გამოქვეყნებული ერთ-ერთი გამოკვლევა სწორედ კიბოს ეროვნულ ინსტიტუტში მომზადდა, რომლის საკონსულტაციო საბჭოს წევრიც დევიდ კოუკი გახლავთ. მკვლევარები 25 000 ადამიანს დაახლოებით 40 წლის მანძილზე ადევნებდნენ თვალს. ისინი, ვის ორგანიზმშიც ფორმალდეჰიდის მოხვედრის მეტი ალბათობა იყო, ლეიკემიით უფრო ხშირად ავადდებოდნენ. ამ შედეგებმა ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ინსტიტუტის ექსპერტები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ფორმალდეჰიდი კანცეროგენად უნდა ჩათვლილიყო და მისი წარმოება მთავრობას მკაცრად უნდა გაეკონტროლებინა. კორპორაციები ათწლეულების მანძილზე ეწინააღმდეგებოდნენ ფორმალდეჰიდზე კონტროლის შემოღებას, „კოუკ ინდესტრიზი“ კი უხვად აფინანსებდა იმ კონგრესმენებს, რომლებიც წინ ეღობებოდნენ გარემოს დაცვის საგენტოს და სთხოვდნენ, რომ ახალი წესების შემოღება სხვა გამოკვლევების დასრულებამდე გადაედო.

„კოუკ ინდესტრიზი“ ამ ნივთიერების უმთავრესი მომწოდებელი გახდა 2005 წელს, როცა ქაღალდისა და ხის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ჯორჯია–პესიფიკი“ 21 მილიარდ დოლარად შეიძინა. ფორმალდეჰიდს „ჯორჯია–პესიფიკის“ ქიმიურ განყოფილებაში აწარმოებენ და მას ისეთი პროდუქტების დასამზადებლად იყენებენ, როგორიცაა ფანერები და ლამინატის ფიცრები. ყოველწლიურად კომპანიაში 2.2 მილიარდ ფუნტ ფორმალდეჰიდს აწარმოებენ. გასული წლის დეკემბერში ტრეილორ ჩემპიენმა, რომელიც „ჯორჯია–პესიფიკის“ ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ გარემოს დაცვის საკითხებში, ოფიციალური საპროტესტო წერილი გაუგზავნა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოღვაწე მაღალჩინოსნებს. ის წერდა, რომ კომპანია არ ეთანხმება ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის ექსპერტთა დასკვნას იმის თაობაზე, რომ ფორმალდეჰიდი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ კანცეროგენად უნდა ჩაითვალოს. დევიდ კოუკს უარი არ უთქვამს კიბოს ეროვნული საკონსულტაციო საბჭოს წევრობაზე და არც კომპანიის აქციები დაუთმია იმ დროს, როცა მისი კომპანია დაუფარავად ცდილობდა მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენას, რათა ფორმალდეჰიდი ბაზარზე შეენარჩუნებინა (როგორც ორგანიზაციის პრეს-მდივანმა განაცხადა, ფორმალდეჰიდის საკითხი საკონსულტაციო საბჭოს წევრებს არ განუხილავთ).

ჯეიმს ჰაფმა, რომელიც გარემოსდაცვითი და ჯანდაცვითი მეცნიერებების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას ასრულებს, მითხრა, ამაზრზენია, კოუკი რომ კიბოს ეროვნული საკონსულტაციო საბჭოს წევრიაო: „ეს სულაც არ არის კარგი საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის. საბჭოს წევრი არ უნდა იყოს ის, ვისაც კორპორატიული ინტერესები აქვს. ზოგადად, საბჭო ძალიან მნიშვნელოვანია. მას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია იმაზე, გამოიკვლევს თუ არა კიბოს ეროვნული ინსტიტუტი ფორმალდეჰიდის საკითხს. ამ შემთხვევაში საქმე მილიარდობით დოლარს ეხება“.

კიბოს ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი ჰაროლდ ვარმუსი დევიდ კოუკს სლოუნ კეტრინგის კიბოს ცენტრიდან იცნობს, რომელსაც ერთხანს თავად ხელმძღვანელობდა. მან მითხრა: სლოუნ-კეტრინგში „ბევრი, ვინც ჩვენ ფულს გვაძლევდა, საკუთარი ბიზნეს-ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. ერთადერთი, რასაც ჩვენი საბჭოს წევრები არ უნდა გაჰკარებოდნენ, თამბაქოს მრეწველობა იყო“. როდესაც ფორმალდეჰიდის საკითხზე „კოუკ ინდესტრიზის“ პოზიცია შეიტყო, ვარმუსმა არ დამალა, რომ გაოგნებული იყო.

დევიდ კოუკის სახელობის ადამიანის წარმოშობის დარბაზი, სმითსონის ბუნებისმეტყველების ეროვნულ მუზეუმში, მულტი-მედია საშუალებებით გვაცნობს იმ თეორიას, რომ ადამიანთა მოდგმა კლიმატის ცვლილების შედეგად განვითარდა. მთავარ შესასვლელთან ვეება სქემა გვხვდება, სადაც ბოლო 10 მილიონი წლის მანძილზე დედამიწაზე არსებული ტემპერატურაა ასახული. ის გვიჩვენებს, რომ ახლა გაცილებით გრილა, ვიდრე 10 000 წლის წინ. ზემოთ წარწერაა: „ადამიანთა მოდგმა მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების შედეგად განვითარდა“. მთავარი გზავნილი, რომელსაც გამოფენის ვებ-გვერდზე დაწვრილებით განმარტავენ, ის არის, რომ „ადამიანს ადაპტაციის უნარი ცვალებადი გარემოს საპასუხოდ განუვითარდა“. მხოლოდ გამოფენის ბოლოს ვხვდებით წარწერას: „ჩვენი გადარჩენის რთული ამოცანა“, რომლის ქვემო-

თაც აღნიშნულია, რომ ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დონე ახლა უფრო მაღალია, ვიდრე ოდესმე ყოფილა, მომდევნო საუკუნეში კი ის, სავარაუდოდ, მკვეთრად მოიმატებს. ერთი მიზეზიც არ არის დასახელებული, რომელმაც ნახშირორჟანგის მატება გამოიწვია, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი საწვავი წიაღისეულის მიერ შესრულებულ როლზე. გამოფენა ამ მოვლენას ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ბუნებრივი განვითარების ნაწილი იყოს. წარწერის ქვეშ ვკითხულობთ: „იმ პერიოდის განმავლობაში, როცა ადამიანთა მოდგმა განვითარდა, დედამიწაზე ტემპერატურა და ნახშირორჟანგის დონე მუდმივად იცვლებოდა“. გამოფენაზე ერთ-ერთი ინტერაქტიური თამაში გვარწმუნებს, რომ ადამიანები კლიმატის ცვლილებასთან შეგუებას მომავალშიც გააგრძელებენ. მათ შეიძლება „მიწისქვეშა ქალაქები ააშენონ“, შეიძლება „სხეულები დაუპატარავდეთ“ ან „ხერხემლები მოეღუნოთ“, რათა „მცირე სივრცეებში იოლად იმოძრაონ“.

ასეთი იდეები კოუკის ზემოთ ნახსენებ გზავნილს უცნაურად ეხმიანება. მაგალითად, კომპანიის თანამშრომლებისთვის იანვარში დარიგებული საინფორმაციო ბროშურა ირწმუნება, რომ „დედამიწის კლიმატის მკვეთრი ცვალებადობა ადამიანთა მოდგმამ უკან მოიტოვა“. მასში ასეთი მოწოდებაცაა: „რადგან დედა ბუნებას ვერ ვაკონტროლებთ, მოდი, დავფიქრდეთ და მივხვდეთ, როგორ გავართვათ თავი ამ ცვლილებებს“. ფიზიკოსი ჯოზეფ რომი, რომელიც ვებ-გვერდ ClimateProgress.org-ს უძღვება, აღშფოთებას ვერ მალავს სმითსონის ექსპოზიციის გამო. „მთელი გამოფენა კლიმატის ცვლილების პრობლემის შესანიღბადაა მოწყობილი“, – ამბობს ის, – „ჩემი აზრით, კოუკებს სურდათ, კეთილი საქმეებით გამორჩეული კომპანიის სახელი ჰქონოდათ და ქვეყნის უდიდეს საბუნებისმეტყველო მუზეუმთან ყოფილიყვნენ ასოცირებული. თუმცა სიმართლე ის არის, რომ ამ გამოფენას უდიდესი დამბინძურებლები აწყობენ, რომლებიც ფარულად აფინანსებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანიც კაცობრიობის წინაშე არსებული საფრთხის დაძლევისკენ მიმართული მცდელობების შეჩერებაა. ვფიქრობ, სმითსონის მუზეუმს მათთვის ამის უფლება არ უნდა მიეცა“.

მუზეუმის დირექტორმა, კრისტიან სამპერმა აღნიშნა, რომ გამოფენა კლიმატის ცვლილებას არ ეძღვნება, კოუკის შესახებ კი განაცხადა: „ის ერთ-ერთი საუკეთესო დონორია მათ შორის, ვინც ამ თანამდებობაზე ჩემი ყოფნის დროს გვყოლია: ძალიან აინტერესებს შინაარსობრივი მხარე, მაგრამ საერთოდ არაფერში ერევა“. სამპერმა დაამატა: „არ ვიცი ყველა დეტალი იმის შესახებ, რამდენად ერევა ის სხვა საკითხებში“.

კოუკები ძალიან დიდხანს იყვნენ იმაზე დამოკიდებულები, რომ საზოგადოებამ მათი საქმიანობის ყველა დეტალი არ იცოდა. ისინი ახლაც კმაყოფილები არიან იმის ფლობითა და მართვით, რასაც დევიდ კოუკმა უწოდა „უდიდესი კომპანია, რომლის შესახებაც არასდროს გსმენიათ“. თუმცა „ჩაის სმის“ პოლიტიკური მოძრაობის მზარდი პოპულარობისა და ამ მოძრაობასთან მათი კავშირის სულ უფრო მეტად გაცხადების ფონზე ძმებს ჩრდილში დარჩენა გაუჭირდებათ. ცოტა ხნის წინ კოუკების პოლიტიკური ქსელი პრეზიდენტ ობამას სამიზნედ იქცა. ოსტინში, დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, რომლის მიზანიც თანხის შეგროვება გახლდათ, პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა. ობამამ მხარდამჭერები გააფრთხილა, რომ ფედერალური სასამართლოს ახალმა დადგენილებამ „გაერთიანებული მოქალაქეების“ საქმეზე – რომელმაც გააბათილა კორპორაციების მიერ საარჩევნო კამპანიების პირდაპირი დაფინანსების ამკრძალავი კანონები – უფრო გაუადვილა დიდ კომპანიებს „ერთი შეხედვით, ისეთი უწყინარი სახელების მქონე ჯგუფების უკან ამოფარება, როგორიცაა „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“. ობამამ დაამატა: „ისინი არ არიან ვალდებულნი, თქვან, თუ ზუსტად ვინ არიან „ამერიკელები ეკონომიკური აღმავლობისთვის“. ვერ მიხვდებით, ეს უცხოური კორპორაციაა, თუ სულაც დიდი ნავთობკომპანია“.

<<< დასაწყისი გვ. 66

შიგნით დავაწვინე და დავკეტე კარი გარედან, იქ რომ არ შეეჭამათ, რომ არ შესულიყვნენ ღორები შიგ... დედა ვერ ავწიე... ვერ ვუშველიდი, მე ვხედავდი, რომ... იმ საღამოს მე შემეძლო დარჩენა და შემეძლო მიწისთვის მიმებარებინა დედაჩემიც და ჩემი ძმისშვილიც, მაგრამ ისინი რომ მიმებარებინა, ეს ბავშვი დამეღუპებოდა...

ჩემი ბავშვები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, ვერ ლაპარაკობდნენ საერთოდ. მეუღლეც შოკურ მდგომარეობაში იყო. მაშინ გადავწყვიტე წამოვსულიყავით და დაუმარხავი მიმეტოვებინა ესენი... დედა კიდევ ცოცხალი იყო მაგრამ... და ეს 15 წელიწადია, ჩემზე მოქმედებს ის, რომ დედა დაუმარხავი დავტოვე.

წამოვედით და ვნახე, რომ ღორები ჭამდნენ გარდაცვლილებს. გზაზე ეყარნენ პირდაპირ და მათ გარშემო ღორების ჯოგი იდგა. ესე იგი, ისეთი საშინელება ტრიალებდა, რომ მეუღლეს პირდაპირ ვუთხარი: „უნდა გავიდეთ როგორმე!“-მეთქი. წარმოვიდგინე, რაღაცა რომ მომხდარიყო, ჩვენც იგივე გველოდა. ერთი კვირით ადრე საკუთარი სახლიდან რომ გამოვრბოდით, მანქანის ღია საბარგულში მკვნეტავი დავინახე და მექანიკურად ჩავიდე ჯიბეში. ეტყობა, ღვთის ნება იყო ეგეც იმიტომ, რომ იქ სადაც ჩვენ უნდა გავსულიყავით, ახალი დასახლება იყო და ნაკვეთები ყველას მავთულბადეებით ჰქონდა შემოღობილი და ის მკვნეტავი რომ არ მქონოდა, ვერაფრით გავაღწევდით. ასე ვმოქმედებდი: მივდიოდი წინ, ვჭრიდი რომელიმე ღობეს, ვძვრებოდი, ვზვერავდი იქაურობას. მერე უკან ვბრუნდებოდი და გადამალული ცოლ-შვილი და დაჭრილი ბავშვი მომყავდა. მერე ისევ წინ მივდიოდი ახალი ღობის გასაჭრელად.

შემდეგ შეგვამჩნიეს. არ ვიცი, აფხაზები იყვნენ თუ რუსები, მაგრამ დაგვიწყეს სროლა. ჩავწექი ბალახებში, მაგრამ ჩემი უმცროსი ბავშვი ისე იყო შეშინებული, რომ გაშეშდა და მარტო „მამიკო, მამიკოს!“ იძახდა. ცოტა სიმაღლეზე რომ მდგარიყო, მოკლავდნენ აუცილებლად, მაგრამ მოვასწარი და წავაქციე ეს ბავშვი. მივედით რკინიგზამდე. მაშინ რაღაც მოხდა, რაღაც დიდი აფეთქდა, მგონი, ტანკი. შეშინდნენ ეს აფხაზები და გაიქცნენ. დავრჩით ჩვენ. ამან გადაგვარჩინა. გადავედით ამ რკინიგზას და მერე ეკალ-ბარდებში ფრთხილად გავედით. ამ დროს შემოგვხვდა ერთი ჩვენი სოფლელი ბიჭი – შემოგვხვდა კი არა, ის გარბოდა, გავაჩერე და: სადაა ხალხიმეთქი? – მაგრამ ისეთი შეშინებული გარბოდა, თან ეტყობა, ეგონა, რომ ჩვენ მხედრიონი ვიქნებოდით და დავიჭერდით. – დამანებეთ თავიო, – დაიძახა და ვერაფრით მოვაბრუნეთ. გაიქცა.

მე მინდოდა გავსულიყავით მეზობელ დასახლებაში, სადაც ჩემი ძმა ცხოვრობდა და სადაც მასთან ნავი ჰქონდა დატოვებული თავის ძმაკაცს. იქ ერთი მეთევზე ცხოვრობდა, რომელიც ზღვას იცნობდა საუკეთესოდ.

ძალიან ძლიერი იყო მაგაში. ჩემს მეუღლეს თან გამოყვა ბრილიანტის ბეჭედი და საყურე, მინდოდა, მიგვეცა იმ მეთევზისთვის და სანაცვლოდ ფოთში გადავეყვანეთ.

ჩვენდა საბედნიეროდ აღმოჩნდა, რომ დასახლებაში აფხაზები ჯერ არ იყვნენ შესულები, იქ ნაცნობები დაგვხვდნენ, ბავშვები გამომართვეს. თურმე დასახლებაში იყო ჩემი რძალი და ძმაც, რომელმაც თურმე რამდენჯერმე სცადა ჩვენამდე მოღწევა, რომ ჩვენ დაგვხმარებოდა. და რომ შევხვდით ერთმანეთს და რომ ვუთხარი, მისი შვილი რომ დაიღუპა, წარმოიდგინეთ, იქ როგორი სიტუაცია იქნებოდა. გახსენებაც მიჭირს, რა დაემართა...

დასახლებაში ჩვენთვის დიდად არ ეცალა არავის. ყველა გაქცევაზე ფიქრობდა – არც არიან გასამტყუნებლები.

გამოჩნდა ქართული ტანკი, უფრო სწორედ „ბეტეერი“ და მაშინ მითხრეს: ახლა თუ არ გავყევით ამ „ბეტეერს“, მერე ვეღარ მოვახერხებთ გადასვლასო. ჩაგვაჯინეს ამ „ბეტეერში“ და ჩაგვიყვანეს იმით კინდღამდე. კინდღში ჩვენი მებრძოლები ეკითხებოდნენ ჩემს ბავშვებს: რა გქვიათო და საკუთარი სახელები არ ახსოვდათ ბავშვებს. იმ მებრძოლებმა ბავშვებს ცოტა პური მიაწოდეს, მერე ოჩამჩირეში გადაგვიყვანეს, ოღონდ გზად კიდევ ერთი შეტაკება მოუხდათ აფხაზებთან – დავძლიეთ, გადავედით, გაგვიყვანეს ოჩამჩირეში და იქ ამდენი ხნის მერე პირველი გადახვევა გამიკეთეს. მერე მატარებელზე დავჯექით და სამტრედიის მახლობლად სოფელ მარანში ჩავედით. აქ ჩემი მეუღლის დედა ცხოვრობდა...

თითქოს სამშვიდობოს ვიყავით უკვე – აფხაზეთიდან შორს და ახლა მარანში დაიწყო შეტაკებები ზვიადისტებს და შევარდნაძის ხალხს შორის. ატყდა სროლები და დაბომბვები. ამიტომ მარანიდან სოფელ ქოლოღანიაში გავიხიზნეთ, იქიდან ქუთაისში ჩავედით და მერე ბაღდადში ჩემს მეგობრებთან. იქ ძალიან კარგად მიგვიღეს, რაც შეეძლოთ გაგვიკეთეს, მორალურადაც დამეხმარნენ და ფინანსურადაც. აღარც მიშვებდნენ, მაგრამ მე თბილისში გადავწყვიტე წამოსვლა.

თბილისში ჩემი სამსახურის ფილიალმა დაგვიქირავა დიდი ბინა. იქ სამი თვე ვიცხოვრეთ. თავიდან მეგონა, რომ ძალიან მალე უნდა დავბრუნებულიყავით უკან სოხუმში, ამიტომ სხვა ლტოლვილებივით საბავშვო ბაღში არ გადავდიოდი – არ ვურიგდებოდი ბედს. ბოლოს ამომეწურა ყველა იმედი და გადავბარგდით მე-14 საბავშვო ბაღში. ახლახან 140-ე საბავშვო ბაღში გადაგვიყვანეს და ვცხოვრობთ ასე...

თბილისში გატარებული პირველი ექვსი თვის მანძილზე საშინელი დეპრესია მქონდა. სულ ფანჯრიდან გადახტომაზე ვფიქრობდი. თავის მოკვლაზე არა, აი, გადახტომა მინდოდა მხოლოდ... და თან აუცილებლად საღამოს და არა დილით. ნაქირავებში რომ ვიყავით, იქ მეოთხე სართულზე ვცხოვრობდით და ფანჯრიდან გადახტომის სურვილი იქაც მქონდა. მთელ ღამეებს ამაზე ფიქრში ვატარებდი. გონებით ვიცოდი, რომ არ უნდა გამეკეთებინა, მაგრამ თავიდან ვერ ვიცილებდი ამ ფიქრებს.

ექვსი თვის თავზე დავიწყე პოლიკლინიკაში მკურნალობა. წამლების დასახელება აღარ მახსოვს, მაგრამ გადამატანინა როგორღაც... ექვსი თვის შემდეგ, როგორც კი ამ დეპრესიას დავაღწიე თავი, მაშინვე რუსეთში წავედი. ჩემი მეუღლის სამკაულები 3000 დოლარად გაიყიდა და ამ ფულით მინდოდა საქმის დაწყება,

მაგრამ რომ იტყვიან: „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“, ისე გამოვიდა ჩემი საქმე. ფულიც დავკარგე და ვალებიც დავიდე. დავბრუნდი ისევ თბილისში. მერე მოსკოვში წავედი. იქ როგორღაც ავაწყე ბიზნესი და ვალებიც გავისტუმრე. მერე უკრაინაში წავედი. იქიდან ვინახავდი ოჯახს, ბევრი არაფერი მრჩებოდა, მაგრამ მაგ საქმიდანაც კარგი არაფერი გამოვიდა. შემხვდა დიდი პრობლემა და დიდი სანერვიულო, რომელზეც არ მინდა ახლა ლაპარაკი.

მაგრამ უზარმაზარი, ძალიან დიდი ნერვიულობა გადავიტანე და ამის ნიადაგზე ინსულტი დამემართა. ეს უკრაინაში მოხდა. ერთი თვე კიევში ფასიან კლინიკაში ვმკურნალობდი, მერე აქაც დიდხანს ვიწექი – რამდენიმე თვე. ახლა ხელ-ფეხი, მოძრაოებები შებოჭილი მაქვს. მეტყველება კი დამიბრუნდა, მაგრამ მეხსიერების საქმე ვერ მაქვს მაინცდამაინც კარგად. მკურნალობის გარდა ფიზიკურადაც ბევრს ვვარჯიშობდი, რომ ისევ ნორმალურად მეცხოვრა. შემდეგ თქვენს ორგანიზაციაში მოვხვდი, გავიარე მკურნალობა და მეხსიერებაც მიუმჯობესდება ნელ-ნელა. საერთოდაც უკეთ ვგრძნობ თავს... ბევრი რამ ისე არ აეწყო ჩემს ცხოვრებაში, როგორც მინდოდა და როგორც ვგეგმავდი. ვერც შვილებს დავუტოვე სამომავლო საქმე და ვერც ის განათლება მივეცი, რომელიც მინდოდა. ჩემმა შვილებმა დიდი ტრავმა მარტო აფხაზეთში კი არ მიიღეს, იმის ყურებაში გაიზარდნენ, რომ მათი თანატოლები უკეთესს იცვამდნენ და უკეთესს ჭამდნენ. ეს ძალიან მოქმედებს ბავშვებზე. თავიანთი არც სახლი აქვთ და არც ეზო... დღეს ჩემი ცხოვრება ერთი იმითაა კარგი, რომ კარგი შვილები მყავს – ქურდი არ გამოსულა არც ერთი. ხულიგნები არ არიან და თავაზიანები არიან, მაგრამ ეს ხელმოკლეობა მაინც ძალიან დამთრგუნველია. ჩემი მეუღლე იძულებული გახდა, რომ თურქეთში წასულიყო სამუშაოდ. ახლაც იქ არის და მომვლელად მუშაობს. იქიდან გვეხმარება. ის ამდენს აკეთებს და მე კი არაფერი შემიძლია ჩემი ავადმყოფობის გამო. ეს ხელმეორე შოკია – ხელახალი ტრავმა. სტუმრის რომ შეგეშინდება ქართველ კაცს. აი, სხვებთან რომ დადიან სტუმრად და მინდა ჩემთანაც მოვიდნენ, მაგრამ იმის საშუალება არ მაქვს, ისე დავხვდე, მე რომ მინდა...

რამდენს ვიცნობ, ვინც ჩვენსავით წამოვიდა აფხაზეთიდან და ბედნიერი კაცი ჯერ არ მინახავს. ყველას თავის უბედურება აქვს. რაც იქ მოხდა, ტელევიზიით და მასმედიით გაშუქდა მხოლოდ ნაწილობრივ და დამახინჯებულად. მე არ მინდა ახლა, რომ რაღაც მოწოდებასავით გამომივიდეს იმიტომ, რომ იმ აფხაზებსაც დღეს ისევე უჭირთ, როგორც ჩვენ. იმათაც შვილები და ახლობლები დაკარგეს. მე უბრალოდ მინდა, რომ ადამიანური ურთიერთკავშირი არ დავკარგოთ, მთავარია, ის საფლავები არ დავკარგოთ, იქ რომ დაგვრჩა. თურმე, მიწის და სახლის დაკარგვაზე საშინელი საყვარელი საფლავების დაკარგვა ყოფილა. ამას ვამბობ და დედაჩემი და ჩემი პატარა ძმისშვილი მახსენდება, დაუმარხავი რომ დავტოვე იქ... აი, დააკვირდით შვილებს, მშობლებს, ხალხს, ყველას, თავის ახლობლები რომ დაკარგეს და კიდევ როგორ არსებობენ. ორგანიზმში, ყოველ მოყოლაზე ორგანიზმში ვგრძნობ ამ შვებას. ახლაც მოგიყევით, გამიჭირდა ემოციურად, მაგრამ გავალ აქედან და ვიცი, გულში რაღაცნაირი თავისუფლების გრძნობა მექნება...

1968 წლის აგვისტო

<<< დასაწყისი გვ. 72

ლარისა ბოგორაზი სიკვდილის დღემდე (2004 წლის 6 აპრილი) რჩებოდა რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ უფლებადამცველად. მისი ორივე მეუღლე, ლიტერატორი იული დანიელი და ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული დისიდენტი, ანატოლი მარჩენკო, გულაგმა შეიწირა. საბჭოთა პოლიტიკური ჯოჯოხეთის დასასრულს ვერც ერთი ვერ მოესწრო. ლარისა ბოგორაზის მეორე მეუღლე, სახელგანთქმული უფლებადამცველი ანატოლი მარჩენკო უკანასკნელი საბჭოთა პოლიტპატიმარი იყო, რომელიც ციხეში ან პოლიტიკურ ბანაკში გარდაიცვალა: მარჩენკომ სსრკ პოლიტპატიმრების უპირობო განთავისუფლების მოთხოვნით 1986

წლის 4 აგვისტოდან შიმშილობდა და ხანგრძლივი შიმშილობისა და მხეცური მეთოდებით იძულებითი კვებით მისი სხეული ისე დასუსტდა, რომ 1986 წლის 8 დეკემბერს მარჩენკო გარდაიცვალა. ეს იყო ბოლო წვეთი, რომელმაც აავსო ისტორიის მოთმინების ფიალა და სკკპ გენერალურმა მდივანმა, მიხაილ გორბაჩოვმა გადაწყვეტილება მიიღო, აკადემიკოსი სახაროვი ქალაქ გორკიში გადასახლებიდან (ფაქტობრივად, პატიმრობიდან) გაეთავისუფლებინა, ხოლო ანატოლი მარჩენკოს მოთხოვნა მისი სიკვდილის შემდეგ მაინც დაკმაყოფილებულიყო: გმირი დისიდენტის გარდაცვალებიდან თვენახევრის შემდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ბანაკები პოლიტპატიმრებისგან დაიცალა, ისინი სსრკ უზენაესი საბჭოს დადგენილებით გაათავისუფლეს. ლარისა ბოგორაზის ვაჟი პირველი ქორწინებიდან, ალექსანდრე დანიელი მოსკოვის „მემორიალის“ თავმჯდომარეა.

1968 წლის მოვლენებმა წარუშლელი კვალი დატოვეს მსოფლიო ისტორიაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციამ ფაქტობრივად საფუძველი გამოაცალა კომუნისტურ იდეოლოგიას და მანამდე მომძლავრებულ სხვადასხვა ტიპის კომუნისტურ პარტიებს. პრაღის გაზაფხული და მისი ფეხქვეშ გათელვა აისახა მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მაღალმა ხელოვნებამ ეს პერიოდი ლიტერატურის ღვიძლ ნაწილად აქცია: 1982 წელს ჩეხმა მწერალმა, მილან კუნდერამ დაწერა და 1984 წელს საფრანგეთში გამოაქვეყნა ცნობილი რომანი „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“ (ჩეხურად Nesnesitelná lehkost bytí). კუნდერას მიხედვით, ყოფიერება სავსეა აუტანელი სიმსუბუქით, რადგან თითოეული ჩვენგანი ცოცხლობს მხოლოდ ერთხელ: Einmal is Keinmal (გერმ. „ერთხელ იგივეა, რაც არასოდეს“, ანუ „რაც ერთხელ მოხდა, შესაძლოა, სულ არ მომხდარიყო“, „ერთი არ ითვლება“). შესაბამისად, თითოეული სიცოცხლე თავის თავში ატარებს საიდუმლო შემთხვევითობას, ჩვენი ვერც ერთი მოქმედება სრულად ვერ განსაზღვრავს ჩვენს მომავალს. არც ერთი არჩევანი არ არის შედეგებით დამძიმებული და ამიტომ უმნიშვნელოა. ამავე დროს ჩვენი მოქმედებები ხდება აუტანელი, თუკი მათ შედეგებზე მუდმივად ვიფიქრებთ, ამდენად, ცხოვრება შეიძლება დახასიათდეს როგორც „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“.

1988 წელს ამერიკელმა კინორეჟისორმა ფილიპ კაუფმანმა გადაიღო ფილმი ამ რომანის მიხედვით.

ბოლო ხანებში გახშირდა პუბლიკაციები პრაღის გაზაფხულის თემაზე, ხალხი იხსენებს ტრაგიკულ დღეებს. „დილაადრიან 21 აგვისტოს გამაღვიძა თვითმფრინავების ხმაურმა და მივხვდი, რომ ოკუპაცია დაიწყო, იხსენებს 1968 წლის მოვლენებს სენატორი იარომირ შტეტინა. – ჩემთვის ეს საშინელი დარტყმა იყო. მთელი კვირა არ გამოვჩენილვარ სამსახურში, პრაღის ქუჩებში დავდიოდი. რუსმა ჯარისკაცებმა არც კი იცოდნენ, სად იმყოფებოდნენ. ისინი გაკვირვებული იყვნენ, რომ წინააღმდეგობას გადააწყდნენ. პოლიტხელები არწმუნებდნენ მათ, რომ ჩეხი ხალხი მათ მიესალმებოდა, რადგან ისინი მოვიდნენ იმ ბოროტი გერმანული იმპერიალიზმისაგან დასაცავად, რომლის მიზანიც იყო ჩეხების დამორჩილება.“ ოკუპაციის დასაწყისში იზრდებოდა მსხვერპლის რიცხვი. „მე შევესწარი სროლას სანაპიროზე სარკინიგზო ხიდსა და პალაცკის ხიდს შორის, – აგრძელებს თავის მოგონებას შტეტინა. – მე ვნახე, როგორ გაუხსნეს ჯარისკაცებმა ხალხს ცეცხლი. ისროდნენ სტრესის მდგომარეობაში, დაღლილები და შეშინებულები, დარწმუნებული, რომ ყველა ხის უკან ვიღაც იმალებოდა და სროლას უპირებდა. დაჭრილები სატვირთო მანქანით წაიყვანეს პადოლის საბაჟოდან კარლის მოედნამდე.“ შტეტინა იხსენებს, როგორ უწევდნენ ადამიანები წინააღმდეგობას ოკუპანტებს. „შემოჭრა ყველასთვის დარტყმა იყო, მე არავინ შემხვედრია, ვინც ამას მხარს უჭერდა.“

1968 წლის აგვისტოს იხსენებს სოციოლოგი და მწერალი ფედორ გალი, რომელიც იმ დროს სლოვაკეთში ცხოვრობდა. „შემოჭრის შესახებ პირველი შეტყობინება რადიოთი გავიგონე. შემდეგ ბრატისლავაში შემოვიდნენ ჯარისკაცები და ტანკები. ჩემი სამი თვის შვილი ფანჯარასთან პატარა ლოგინში იწვა, როცა ქუჩაში სროლა დაიწყეს. იმ დროს ცვლის ოსტატად ვმუშაობდი გიორგი დიმიტროვის სახელობის ქიმიურ ქარხანაში და სამსახურში დავდიოდი რუსულ ენაზე დაწერილი საშვით. თავიდან ფაბრიკაში დაიწყო გაფიცვა, იქ ერთი პერიოდი სლოვაკეთის რადიოს აპარატურასაც ვმალავდით. მთელ დღეებს ქუჩაში ვატარებდი. ბრატისლავის იან ამოს კომენსკის სახელობის უნივერსიტეტის წინ, შაფარიკის მოედანზე სროლაში მოვყევი: ტანკებიდან ხალხს საბრძოლო ჭურვებს ესროდნენ. ჩემს ცხოვრებაში მაშინ პირველად დავინახე მკვდრები. დაღუპულთა სახელები ახლაც მახსოვს: კაპიტანი გოლიკი და დანკა კოშანოვა. იმ დღეებში არ მტოვებდა ჩვენი ერთობისა და ვაჟკაცობის შეგრძნება. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. შემდეგ უმეტესობა თავის თავში ჩაიკეტა, წლების მანძილზე ენა ჩაიკმიდა და სახლიდან თავი არ გამოუყვია.“

ოკუპანტებისადმი წინააღმდეგობა მხოლოდ რამდენიმე დღეს გაგრძელდა, მაგრამ სამუდამოდ ჩარჩა გულში იარომირ შტეტინას. „როდესაც გამწარებული ვფიქრობ, ჩვენ რა ხალხი ვართ-მეთქი, მახსენდება ოკუპაციის პირველი კვირა და ის სიმტკიცე, რომლითაც აღსავსე იყო ხალხი. ეს გახდა ისტორიის ის მომენტი, რომელსაც შეუძლია ჩეხური პასიურობის გამოსყიდვა, – თვლის შტეტინა. – მაგრამ შემდეგ მოსკოვიდან დაბრუნდა სამთავრობო დელეგაცია, რომელმაც იქ ხელი მოაწერა ჩვენთან რუსული ჯარების დროებით განლაგებას და მე მივხვდი, რომ ეს დასასრული იყო. ხელშეკრულების ხელმოწერა იყო საშინელი სირცხვილი. მიუხედავად ამისა, მე ვერ ვუწოდებ დუბჩეკს მოღალატეს, რადგან მე თვითონ მოგვიანებით ვმუშაობდი რუსეთში და მაქვს წარმოდგენა მათ მეთოდებზე. მით უფრო დიდ პატივისცემას იმსახურებს ჩემგან მაშინდელი კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ფრანტიშეკ

კრიგელის სიმამაცე, რომელიც ოდესღაც ფრანკოს დიქტატურას ებრძოდა ესპანეთში და რომელმაც ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.“ შტეტინა აღიარებს, რომ არ იცის, რა მოხდებოდა, ჩეხ პოლიტიკოსებს რომ ამ ხელშეკრულებისთვის ხელი არ მოეწერათ. პოლიტიკური სივრცე მაშინ ძალიან ვიწრო იყო, ხოლო დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერას მხოლოდ ვერბალური ხასიათი ჰქონდა. წინააღმდეგობა უზარმაზარ სისხლისღვრას გამოიწვევდა. ქვეყანაში ხომ ასეულობით ათასი ოკუპანტი შემოიჭრა.

შტეტინა იხსენებს იმ უძლურებისა და ამაოების შეგრძნებას, რომელიც მაშინ დაეუფლა. „ეს იყო გამომათაყვანებელი და დამამცირებელი მდგომარეობა და მე უკვე შევეგუე იმას, რომ იგი გაგრძელდება ჩემს სიკვდილამდე. მოგვიანებით მივხვდი, რომ შემოჭრა იყო არა მხოლოდ ინტერნაციონალური მოვალეობისა და სოლიდარობის საკითხი, როგორც ამას კომუნისტები ამტკიცებდნენ; ეს იყო რუსული იმპერიალიზმის გამოხატულება.“ შემდგომში შტეტინა რუს ოკუპანტებს გადააწყდა 1994 წელს როგორც სამხედრო კორესპონდენტი კავკასიაში, როდესაც რუსეთის არმია შეიჭრა ჩეჩნეთში. „ოღონდ ჩეჩნები ჩეხები არ არიან. მათ იარაღი აიღეს ხელში და ამისთვის დაისაჯნენ. ვხედავდი, როგორ მეორდებოდა ისტორია. დასავლეთმა ხელი დაიბანა და გაწირა ეს მცირე ხალხი ისევე, როგორც ჩვენ გაგვწირა 1968 წელს. ჩეჩნეთში მიმდინარე ამბები რუსეთის შიდა საქმედ ითვლება, როგორც „პრაღის გაზაფხულის“ გასრესა ითვლებოდა საბჭოთა ბლოკის შიდა საქმედ“.

2006 წლის 17 აგვისტოსთვის ჩეხეთში შეტანილი იყო 397 განცხადება იმ დანაშაულებზე, რომელიც შეჭრის დროს ჩაიდინეს საბჭოთა ჯარებმა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაწყვეტილება მიიღო 342 განცხადებაზე, 65 შემთხვევაში კი გაცემულ იქნა კომპენსაცია. გადახდილი კომპენსაციის საერთო თანხამ შეადგინა თითქმის სამი მილიონი კრონი.

„ფაქტებს ცენტრალურ სამხედრო და ნაციონალურ არქივებში ვამოწმებთ. თუ აუცილებელი დოკუმენტები იქ არ აღმოჩნდება, განმცხადებელმა მტკიცებულობის სახით შეიძლება წარმოადგინოს ორი მოწმის ჩვენება. შემთხვევათა უმეტესი ნაწილი ეხება დაჭრას ან სიკვდილს ოკუპაციური ჯარების სატრანსპორტო საშუალებებთან შეჯახებისას. მეორე ადგილზეა ხალხის სიკვდილი ან დაჭრა ოკუპაციის პირველ დღეებში ქუჩაში მიმდინარე შეტაკებებში. არის გაუპატიურების შემთხვევებიც,“ – გამოხატა ჩეხეთის ოფიციალური პოზიცია შსს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა.

ქვეყანა, ფაქტობრივად სრულად დატოვა ინტელიგენციამ, რომელმაც პოლიტიკური თავშესაფარი იპოვა, ძირითადად, დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საბჭოთა არმიამ თავისი წასვლის შემდეგ დატოვა რამდენიმე განადგურებული ობიექტი, რომელთა მაშინდელმა ფასმა შეადგინა 2,3 მილიარდი კრონი. ამ ობიექტების უმეტესობა ამჟამად ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ანგარიშზეა, მათი აღდგენისთვის საჭირო ფული არავის არ გააჩნია. დიდი ნაწილი ამ ობიექტებისა რეკონსტრუქციას არც ექვემდებარება და ნელ-ნელა ნადგურდება. ჩეხეთი და სლოვაკეთი სავსეა მიტოვებული ტერიტორიებით, რომლებზეც რუსული პოეტური კინოს გენიოსს, ანდრეი ტარკოვსკის შეუფერხებლად შეეძლო ახალი „სტალკერი“ გადაეღო.

როგორი ქალები მოსწონთ ქართველ მწერლებს

<<< დასაწყისი გვ. 78

არც დავით ქართველიშვილია გულგრილი „ვაშლისებრი“ ფორმებისა: „მამამისივით დიდი, ცისფერი, წყლიანი თვალები აქვს, მაღალია, თეთრი კანი აქვს და შავი თმა. ... მარის მშვენიერი ტაკოები აქვს...“ („ახალი წიგნი“).

„მრგვალი“, „მკვრივი“, „ზეცისკენატყორცნილი“ და ა.შ. საჯდომის აქცენტირება, ვფიქრობ, ამგვარის ქართულ სინამდვილეში დეფიციტით არის გამოწვეული. აკი თავად მწერლებიც კი აღნიშნავენ, რომ ქართულ ნაციას ძირსდავარდნილი საჯდომი აქვს. ქართული უკანალის თავისებურება პირველად, თუ არ ვცდები,

ლაშა ბუღაძემ აღბეჭდა თავის მოთხრობაში „პირველი რუსი“, რითაც დიდად გაანაწყენა ქართული საზოგადოება. ავტორის აზრით, ამ მოთხრობის მთავარ პერსონაჟს სწორედ ისეთი უკანალი აქვს, როგორიც ქართველ ქალთა დიდ უმეტესობას: „უკანალი ჩავარდნილი – ესეც ქართული“.

დაბალი საჯდომის მქონე ქალს ლაშას კიდევ ერთ რომანში ვხვდებით: „ნათიას მწვანე მაისური ეცვა (ამ მაისურს მხოლოდ სახლში იცვამდა) და ოდნავ ჩაჩაჩული სპორტული შარვალი, რომელიც კიდევ უფრო უდაბლებდა ისედაც საკმაოდ ჩავარდნილ მრგვალ უკანალს“ („კარიკატურისტი“).

ნაციონალური ნაკლის მიმართ სრულიად დაუნდობელია ზაზა ბურჭულაძეც. ასე აღწერს მწერალი „ადიბასში“ სახინკლის მიმტანს: „კლასიკური ქართული ტანი აქვს: მოკლე ფეხები, მსხვილი თეძოები და ბრტყელი, „მსხლისებური“ ტრაკი. ... ერთდროულად მძიმედ და ჰაეროვნად მისრიალებს, როგორც უთო“.

დაბალი საჯდომი არც ბასა ჯანიკაშვილის გმირებს მოსწონთ: „პრინციპში, ერთი ჩვეულებრივი ტრაკჩავარდნილი ლამაზი გოგოა, რა. მეტი არაფერი“ („ოცნებით კაიროში“).

ლაშა ბუღაძე ისე გაკადნიერდა, რომ ნაციისთვის დამახასიათებელი გარეგნული ნიშნები არა მარტო ქართველებში, არამედ ბერძნებშიც გამოავლინა. მისი დაკვირვებით, ბერძენ ქალებს საოცრად დიდი საჯდომი აქვთ. ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესის“ გმირი, მამით ბერძენი ჰელენა მის ქართველ ნაცნობს ეუბნება, რომ დედაც რომ ბერძენი ჰყოლოდა და არა გერმანელი, „სქელი ტრაკი ექნებოდა“. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ლაშა ბუღაძე მარტო ქართველი ან ბერძენი ქალის მიმართ არ არის კრიტიკული. იუმორით და ირონიით აღწერს იგი ქართველ კაცებსაც: „რითი დავხვდი ჰელენას? შესიებული წელით და უმოძრაობისგან მომჩვარული მუცლით“ („ლიტერატურული ექსპრესი“).თუმცა ეს სხვა სტატიის თემაა.

მესამე კატეგორიის ქალი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არის ქართველი, შესაბამისად, მას არ აქვს ჩავარდნილი უკანალი, მას ყველაფერი თავის ადგილზე აქვს, კარგად აწყობილია, ძირითადად ქერა, ხშირად წითელი (ან წითლად შეღებილი) თმით. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ბასა ჯანიკაშვილის ნატაშკა („ოცნებით კაიროში“), აკა მორჩილაძის რომანის „Maid in Tiflis“ თითქმის ყველა ქალი პერსონაჟი, დათო ტურაშვილის მარიშა („ტიბეტი არ არის შორს“), „I.R.A.“-ს გმირი ირლანდიელი გოგონა, უცნობი წარმომავლობის პერსონაჟი მოთხრობიდან „ვიღაც ძალიან, ძალიან ლამაზი გოგო“. სხვათაშორის, დათო არსად აღწერს ქართველ ქალს (გურჯი ხათუნის გარდა). ალბათ, დელიკატურ მწერალს მათი წყენინება არ უნდა.ამ კატეგორიის ქალი ვერ ვნახე ვერც ლაშა ბუღაძესთან და ვერც დავით ქართველიშვილთან.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ქართველი მწერლების გმირების უმეტესობას პატარა მკერდი მოსწონთ. მაგალითისთვის რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ. ზაზა ბურჭულაძე: „მუხლებზე მდგარს პატარა ძუძუები ოდნავ უქანავებს“ („ადიბასი“); ლაშა ბუღაძე: „...შინდისფერ ტუჩებზე, წვრილ ნიკაპზე, გრძელ კისერზე, საკოცნელ მალებზე, შეზნექილ მუცელზე და მაისურზე ამობერილით წარმოდგენილ მრგვალ და პატარა მკერდზე უნდა დამეწყო ფიქრი...“ („ლიტერატურული ექსპრესი“), „კარიკატურისტმა შოკას ამოხრტილული ხერხემალი დაუკოცნა და ცალი ხელი წელზე შემოაჭდო, მეორეთი კი პატარა, აპრეხილი მკერდი დაუზილა“ („კარიკატურისტი“), „კოტიკომ ლიფს ქვემოთ შეაცურა ხელი და აღმოაჩინა, რომ მანანიკოს თითქმის საერთოდ არ ჰქონდა მკერდი...“ („ოქროს ხანა“); დათო ტურაშვილი: „მკერდი ჰქონდა ულამაზესი – ისეთი ლამაზი, როგორსაც ვერცერთი პროგრამისტი ვერ ააწყობს ვერცერთ კომპიუტერში და ეს ყველაზე კარგად თვითონ მარიშამ იცოდა. ალბათ, ამიტომაც არ დამხვედრია გზად არანაირი ლიფი...“ („ტიბეტი არ არის შორს“). დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევდა, რომ ტურაშვილი არ აკონკრეტებს მკერდისზომას. მაშ, რაღატომ მივაკუთვნეთ იგი იმ მწერალთა რიგს, რომლებიც უპირატესობას მცირე ზომის მკერდს ანიჭებენ? სწორედ აქ გამოვიყენე პირადი ნაცნობობა და ვთხოვე დათოს, განემარტა ჩემთვის, რა ზომისაა მისთვის ლამაზი მკერდი. პასუხმაც არ დააყოვნა: ხელში რომ ჩაეტევა, იმხელაო. და, შესაბამისად, რახან ტურაშვილის ხელი არ არის გოლიათის ხელი, შეიძლება ითქვას, რომ მისი იდეალური მკერდიც მცირე ზომისაა.

მკერდის და საჯდომის გაკრიტიკებას კიდევ აიტანდა ქართველი ქალი, მაგრამ როცა ნივთებს გადარებენ სათაყვანებელი მწერლები, ეს უკვე ყოვლად აუტანელია: „ეკატერინე ფანცქველაშვილი ხან მაგიდას ჰგავს, ხან წიგნების თაროს, ხანაც სავაჭრო დახლს ან უბრალო საწერკალამს“ (ბასა ჯანიკაშვილი, „ფერადი ჩრდილი“); „არ ვიცი, იქნებ პოლონური ტანების ფონზე მომეჩვენა ასე... მაგრამ ის, რაც ჩვენ გავიცანით, საერთოდ არ იყო ადამიანური. ჩვენ დაგვყვებოდნენ: გოგონა-რადიატორი, გოგონა-უთო, გოგონა-სარეცხიმანქანა, გოგონა-მტვერსასრუტი, გოგონა-აკვარიუმი, გოგონა-ბრეჟნევის პორტრეტი, გოგონა-ვინმე უცნობი მეცნიერის ბიუსტი, გოგონა-კარადა, გოგონა-ვენტილატორი...“ (ლაშა ბუღაძე, „ლიტერატურული ექსპრესი“).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართველ მწერლებს არაფერი გაეგებათ მაღალი მოდისა. მაღალი მოდა იქით იყოს და ზოგჯერ ისე აცმევენ ქალებს, რომ მათი ტუალეტის წარმოდგენა ძალზე ჭირს. მაგალითად, სრულიად არაადეკვატურად არის ჩაცმული პერ-ლაშეზის სასაფლაოზე ექსკურსიაზე მყოფი „ლიტერატურული ექსპრესის“ გმირი ჰელენა: „ეცვა წითელი საწვიმარი, თავზე კი ლურჯი ბერეტი ეხურა. ...მის ფეხებს დავხედე. როგორც მოველოდი, პრაქტიკულად, არაფერი ეცვა საწვიმრის ქვეშ“. გაუგებარია, რატომ ჩააცვა ამ წესიერ გოგოს ლაშა ბუ-

www.taichi-qigong.ge

NUKRI DIERASHVILI TAIJI QUAN, QIGONG

ღაძემ სრულიად შეუსაბამო ადგილას ისე, როგორც რომელიმე ევროპული ქუჩის მეძავებს აცვიათ? ნეტა, სად ნახა ქალი, რომელსაც საწვიმარი შიშველ ტანზე აცვია?

უგემოვნოდ ჩაცმული ქალის მაგალითები მრავლად დაიძებნება აკა მორჩილაძესთანაც, თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ აკასთან ჩაცმულობა, როგორც წესი, მისი გმირის ხასიათს გადმოგვცემს, სხვებთან კი უფრო მეტად ან მხოლოდ გარეგნობას ან სოციალური ფენისადმი კუთვნილებას. საერთოდ, უგემოვნოდ და არა დეკვატურად ჩაცმულ ქალებს მარტო ქართულ ლიტერატურაში არ ვხვდებით. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება ევროპული ლიტერატურიდანაც. ერთი ჩემი მეგობარი, უკვე ხანში შესული ბერძენი მწერალი, 21-ე საუკუნის თინეიჯერზე წერს, „სარაფანი“ გაიხადა და გიპიურის პერანგის ამარა დარჩაო. როგორც ჩანს, ჩემს მეგობარს ყველაზე უფრო მძაფრი ეროტიკული გამოცდილება იმ ეპოქაში აქვს მიღებული, როცა ქალებს კაბების ქვეშ გიპიურის პერანგები ეცვათ.

საკმაოდ ორიგინალურად აცვია დათო ტურაშვილის მარიშასაც: „ეცვა თხელი (ალბათ) ჩითის კაბა და მაღალყელიანი შავი ბათინკები. ბათინკების დანახვისას ვიგრძენი საკუთარი სისხლი, აჩქარებით რომ დაიარა ჩემი სხეული...“ („ტიბეტი არ არის შორს“). სწორედ ეს შავი ბათინკები ხდება იმის მიზეზი, რომ ტურაშვილის მთხრობელს ქალი შეუყვარდა: „ის იყო მართლაც ლამაზი, გამხდარი და მაღალი, მოკლედ, ბიჭურად შეჭრილი თმებით, ოდნავ აწეული ცხვირით და გასაოცარი სილურჯის თვალებით. ფეხზე ეცვა შავი, მაღალყელიანი ბათინკები, რაც ყველაზე მაცდური მიზეზი იყო იმისთვის, რომ შემყვარებოდა“.

სხვათაშორის, დათო ტურაშვილს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ფეხსაცმლის მიმართ. მის პიესაში „შავი კეტები“, რომელიც მეძავების ყოფას ასახავს, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის (მეძავისთვის დამახასიათებელი ატრიბუტიკა) კედებზე გაცვლა ერთგვარი მეტაფორაა გზააცდენილი ქალის სწორ გზაზე დადგომისა. ამიტომ, გირჩევთ, დათოსთან შეხვედრისას ქუსლიან ფეხსაცმელს მოერიდოთ.

ისე, Converse-ის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ჩვენთვის საინტერესო თითქმის არც ერთი მწერალი დაუტოვებია გულგრილი. კედები აცვიათ დათო ქართველიშვილის („ლურჯი გრძელსახელოებიანი მაისური აცვია, ჯინსი და შინდისფერი კედები“ – „ახალი წიგნი“), ლაშა ბუღაძის („...ფეხები თეთრ კედებში ჰქონდა ჩაყოფილი...“, „ელენე რომ გავიცანი, მწვანე კედები ეცვა“ — „ლიტერატურული ექსპრესი“), დათო ტურაშვილის („შავი კეტები“) პერსონაჟებს. საერთოდ ფეხსაცმელს, როგორც ჩანს, უფრო მეტი დატვირთვა აქვს ამ მწერლებთან, ვიდრე მათი პირველადი ფუნქცია – ფეხისშემოსვაა. მეტიც, ფეხსაცმელი სექსუალური აქტის ნაწილიც კი ხდება. ქალები ხშირად ან გამიზნულად არ იხდიან და ან ვერ ასწრებენ ფეხსაცმლის გახდას. განსხვავება მხოლოდ ფეხსაცმლის ტიპშია. თუკი აკა მორჩილაძის გმირს მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმელი აღაგზნებს („ხელში ღონივრად უნდა ჭეროდა მისი წვივები და თვალის კიდით დაენახა მისი თეთრი ფეხსაცმლის წვეტიანი ქუსლი“ – „სხვა“), დათო ტურაშვილს, როგორც უკვე ვთქვით, მაღალყელიანი ბათინკები გვრის შფოთვას („...ვაკოცე მუცელზე და გამახსენდა ბათინკები. დავფიქრდი: ამ შავ, მაღალყელიან და მრავალთასმიან ბათინკებს ვინ გახდიდა“ – „ტიბეტი არ არის შორს“). ლაშა ბუღაძე ამ მხრივ უფრო მარტივია, აქ ბოტასიც მშვენივრად გადის („ჯინსები ნაწილობრივ გავხადე... მარჯვენა ფეხი ბოტასიანად გამოაძვრინა შარვალში“ – „ლიტერატურული ექსპრესი“).

სრულიად განსაკუთრებულია ზაზა ბურჭულაძის დამოკიდებულება ქალის ტუალეტისადმი. თუკი ზაზა ბურჭულაძე პაემანს დაგინიშნავთ, არ ჩაიცვათასე: „...ქალს კრემისფერი ქოშები, ტილოს თეთრი შარვალი და ტანზე მომჯდარი მოლიმნისფრო პერანგი აცვია. მკერდი ან არა აქვს, ან მე ვერ ვარჩევ მის ძუძუებს მისი მუცლის ნაკეცებისგან. პასტელისფერებიანი აბრეშუმის შარფი მხრებზე ყურადღების გადასატანად უნდა ქონდეს მოგდებული. ...მისი მანქანა მისივე ფეხისფრჩხილებზე წასმული ლაქის ფერია“ („ადიბასი“). მასთან ვერც მწვანეკედებით ან შავი მაღალყელიანი ბათინკებით გახვალთ ფონს. აქ დიდი ყურადღება, საკუთარ თავზე მუშაობაა საჭირო. ისე უნდა გამოიყურებოდეთ, რომ თქვენს მიერ შერჩეული სამოსი თან გიხდებოდეთ და თანაც თქვენს ინდივიდუალურობას და ორიგინალურობას უსვამდეს ხაზს. ზაზასთან დიდი სიფრთხილე გმართებთ, იმიტომ, რომ ის აუცილებლად მიხვდება, Armani გაცვიათ თუ Armeni. აი, აკა მორჩილაძესთან კი მშვიდად შეგიძლიათ ჩაიცვათ „პაკისტანური ჯილეტი“ და „ფართო ტოტებიანი ჯინსის შარვალი“, მთავარია ეს უკანასკნელი „შემოტმასნული“ იყოს („ტერცო-მონდო“), ან „დამწვარი ჯინსის ქურთუკი“ („Maid in Tiflis“) – ეს, შესაძლოა, სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს იმისთვის, რომ მის ლიტერატურულ პერსონაჟად იქცეთ.

არ ვიცი, რამდენად ემთხვევა მწერლების გემოვნება მათი პერსონაჟების გემოვნებას, თუმცა ერთი კი შეიძლება ითქვას – მათ ნაწარმოებებში ხშირად კრთებიან ის ქალები, რომლებიც ნაწარმოების შექმნის დროს მათ გვერდზე არიან. და თუკი ეს მართლაც ასეა, დათო ქართველიშვილის შემდეგი რომანის გმირი ულამაზესი ქალი უნდა იყოს.

და ბოლოს, ძვირფასო ქალებო, რჩევის სახით მინდა გითხრათ: თუკი თქვენ ვერ აკმაყოფილებთ ქართველი მწერლების სტანდარტებს, თუკი არ გაქვთ მაღალი ფეხები ან თქვენი საჯდომი უფრო „მსხლისებრია“ ვიდრე „ვაშლისებრი“, ნუ გაიტეხთ გულს, თქვენ მაინც გაქვთ შანსი, მოხიბლოთ ისინი – იკითხეთ მათი წიგნები, რადგან მწერალს ხომ ყველაზე მეტად საკუთარი შემოქმედების დამფასებელი ქალი მოსწონს.

www.tbilisjinternational.com

3 ოქტომბერი, კვირა

ვამლეტი

– ოსჭარას კორშუნოვასი

OKT Teatre, Lithuania
ვილნიუსის საქალაქო თეატრი, ლიტვა

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

29 სექტემბერი-14 ოქტომბერი

FM
ცნობი
98.0

ASIAN STYLE

VONG
asian fusion
(special lunch menu)
29 Abashidze st.
T:(+995 32) 29 25 70

PARISIAN STYLE

cafe BELLE DE JOUR
(special lunch menu)
29 Abashidze st.
T:(+995 32) 23 09 23

As Italian As it gets

BUFFET
29 Abashidze st.
T:(+995 32) 22 49 61

VERY JAPANESE

"SAKURA 桜 SUSHI"
29 Abashidze st.
T:(+995 32) 29 31 08

EXTREMELY FRENCH

BRASSERIE
L'EXPRESS
(special lunch menu)
31 Chardin st.
T:(+995 32) 43 93 49

Upscale
Restaurant
Chain

MON group

www.mon.ge

MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA

GOETHE-INSTITUT GEORGIEN

Embassy of the United States Georgia

Centre Culturel Français Alexandre Dumas

BRITISH COUNCIL

Polish Embassy in Georgia

Government of the Netherlands

Estonian Embassy in Tbilisi

EUROPE HOUSE GEORGIA

OUt dooR.ge

CGCCA

www.artisterium.org

ARTISTERIUM 3

3rd Tbilisi International Contemporary Art Exhibition and Art Events

საქართველოს ეროვნული მუზეუმი,
თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის ქ. 8,
ქარვასლის შენობა

Georgian National Museum,
Tbilisi History Museum, 8 Sioni street
“Karvasla” building

არტისტერიუმი

თბილისის თანამედროვე ხელოვნების მე-3 საერთაშორისო გამოფენა

წარმოიდგინე მომავალი

Imagine the Future

ოქტომბერი OCTOBER 2-10 / 2010